ᲗᲘᲜᲔᲘᲯᲔᲠᲣᲚᲘ ᲛᲝᲓᲐ — ᲙᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐ

ცხელი წიგნები

სახლში მიგვანიო ფასნამატის გარეშე!

www.elva.ge

ტელ.: 38-26-73; 38-26-74

„მსოფლიოს დიდი ომები"
ფორმატი: 27X34 სმ
ეკ. რიცხვი: 176
ფერი: ნაცრისფერი
ფასი: 32.90
ისტორიული ფოტოებით, ინფორმაციული და ეფექტიანია ომებისა მსოფლიოს ხანგრძლივი ქვეყნისა და ოკეანეს ინფორმაციული ალბომების სანდოობა!

„365 ფოტოგრაფიული ადგილი ევროპაში ფოტოალბომი"
ფორმატი: 26X22 სმ
ეკ. რიცხვი: 176
ფერი: ნაცრისფერი
ფასი: 24.99
ეფექტური ფოტოალბომი ისტორიული, ეროვნული, ტრადიციული, ბარბარიზმული, ეკონომიკური, ფოტოალბომი ევროპის ადგილებზე

„ადიდო ქართველები"
ავტორი: ლარისა ნინიძეა
ფორმატი: 20X25 სმ
ეკ. რიცხვი: 127
ფერი: ნაცრისფერი
ფასი: 20.90
ქართველი ეროვნული ტრადიციის ფოტოალბომი ეროვნული ფოტოალბომი ბიბლიოთეკა ოთხენ, ნინოს, ეროვნული ოთხენ ნიგნი და ბიბლიოთეკა"

„ბიბლიოგრაფია ოფი ზალი ნინოდა..."
ფორმატი: 19X21 სმ
ეკ. რიცხვი: 487
ფერი: ნაცრისფერი
ფასი: 9.90
ლიტერატურული, ბიბლიოგრაფიული, ისტორიული ნაბეჭდი ეროვნული ბიბლიოგრაფიული - ბიბლიოგრ. ეროვნული ფოტოალბომი ბიბლიოგრ. ეროვნული ფოტოალბომი

„ეს ხანდაზმა ხალხური"
ფორმატი: 19X21 სმ
ეკ. რიცხვი: 210
ფერი: ნაცრისფერი
ფასი: 6.90
ეროვნული ბიბლიოგრ. ზეციერ ბიბლიოგრ. ეროვნული ეროვნული ბიბლიოგრ. ეროვნული ეროვნული ბიბლიოგრ. ეროვნული ეროვნული ბიბლიოგრ. ეროვნული ეროვნული



„XX საუკუნის ქართული ბიბლიოგ."
ავტორი: ეკატერინა ბიბლიოგ.
ფორმატი: 14X20 სმ
ეკ.რიცხვი: 248
ფერი: ბიბლიოგ.
ფასი: 3.99
ბიბლიოგრ. ბიბლიოგ. ეროვნული ბიბლიოგ. ეროვნული ეროვნული ბიბლიოგ. ეროვნული ეროვნული ბიბლიოგ. ეროვნული ეროვნული ბიბლიოგ. ეროვნული ეროვნული

„ფიქრებს ფრინველის ზეციერი"
ავტორი: ეროვ. ეფრინ
ფორმატი: 14X20 სმ
ეკ. რიცხვი: 528
ფერი: ბიბლიოგ.
ფასი: 7.90
ბიბლ. ბიბლიოგ. ეროვ. ეროვ. ეროვ

№24 (470)
11 - 17 ივნისი, 2009 წ.
ფასი 1 ლარი

ამბავი, რომელიც მინდა, განმეორდეს

ფეხსაცმელი ფანილები

შავი ზოლი მალე ამომ დამთავრდეს, სიკეთეზე კი ვამ, სიკეთეზე ყოდა ვადაყვეთ.

ეროსულობა

39

■ მინიატიურები
პოლიტიკური დუელი თუ პაემანი შავნაბადაზე ანუ „მიშა, მოვდივარ, გენაცვალეეე“ 5
■ შხეფები
ჩირაღდანი წაიღეს, ჩირაღდანი მოდის! 6
■ ფაქტი და კომენტარი
10 თვის ბავშვის ორგანიზმში აღმოჩენილი 5 თვის ემბრიონი და მშობლები, რომლებმაც შვილის სიკვდილს მოაწერეს ხელი 8
■ სამართალი
„მუხროვანის ამბოხში“ ბრალდებულებს ფიზიკური განადგურებით ემუქრებიან(?!) 9
■ პოლიტიკა
რაში მდგომარეობს ექსპერტთა არაობიექტურობა 10
■ ერთი მინის შვილები
„ჩვენ და აფხაზებს ხომ გენეტიკური მახსოვრობის უზარმაზარი მარაგი გვაქვს“ 14
■ ძლიერნი ამა ქვეყნისანი
მედვედევისა და პუტინის საშვებულებო მარშრუტი 17
■ ფსიქოპორტრეტი
მიშა გომიაშვილი: „ჩემზე ერთგული ადამიანი ამ ქვეყანაზე არ მეგულება“ 20
■ ერუდიტი
„სტატიებს სათაურის მიხედვით ვარჩევ“ 22
■ შოუბიზნესი
ნევროზზე დაწერილი და ნათხოვარი ინსტრუმენტებით ჩაწერილი სიმღერები 24
■ სასიძო
როგორ გოგონებს აქვთ თემო საჯაიას „დაპყრობის“ შანსი 26
■ საპატარძლო
„პასუხმა შეიძლება დაიგვიანოს, მაგრამ ის აუცილებლად მოვა“ 27
■ ღიმილი
გია ფერაძის ოხუნჯობები 28
■ ანტიდეპრესანტი 30

„ჩემზე ერთგული ადამიანი ამ ქვეყანაზე არ მეგულება“



მიუხედავად იმისა, რომ არაერთხელ დაენგრა ოჯახი, მიიჩნევს, რომ ერთგულია. იმიტომ, რომ არც ერთი ცოლისთვის არასდროს უღალატია. მისთვის მიუწვდომელი ქალი არ არსებობს. რატომ მოსწონთ ქალებს? – ეს ქალებს უნდა ჰკითხოთო, – აღნიშნავს.

20

ერედველმა გოგონამ მუზეუმი კუთხის ოკუპაციის ამბავი ფრანგფურტში შეიტყო

რამდენიმე წლის წინ, ერედველმა გოგონამ გერმანიაში გამგზავრება გადაწყვიტა. გავიდა ორიოდე წელი და აგვისტოს ომის დროს მისი სახლი გადაწვეს, სოფელი მიწასთან გაასწორეს და სხვა სოფლებთან ერთად, ერედვეც საოკუპაციო ზონაში მოაქციეს.

90

ფეხსაცმელი ფანილები

– საიდან იცით, რომ კაზინოში ვიყავი? – ჩამჭრელი კითხვა დასვა ნიამ. უცნობმა დაუდევრად აიჩეჩა ფართო მხრები.

– აბა, საიდან უნდა მოდიოდეთ? აქ ახლომახლო სხვა ისეთი ადგილი არ არის, სადაც ადამიანი გართობას შეძლებს, თანაც თქვენნაირი მანდილოსანი, – ოდნავ ხმა ჩაეხრინწა მამაკაცს, – გარდა ამისა, გიცანით, სამორინეში შეგამჩნიეთ.

82

■ იმიჯი
სტილისტების მუშაობით
უკმაყოფილო თათია სულუაშვილი 30
■ სამყარო
„ბუნებაში ბევრი საოცრება ხდება“ 32
■ მოზაიკა 34
■ ჯანმრთელობა
✓ შაქრიანი დიაბეტი და ფიტოთერაპია 36
✓ დღეში 3 ფინჯანი ჩაი –
გულის ოპტიმალური დაცვა 37
■ ქურნალი ქურნალში
✓ ცხოვრება 39
✓ გზავნილები 55
■ ტკივილი
მოხუცებულთა თავშესაფრისთვის
გამეტებული ადამიანები 71
■ უშიშროების არქივიდან
✓ რუსი ჯარისკაცის ჩანაწერები 72
✓ ფუტკრების „ჩაგვრისთვის“ სიკვდილმისჯილნი 73
■ რომანი
ვაჟა გიგაშვილი.
ერთი ვინმე ყაფლანიშვილი (გაგრძელება) 74
■ ტაიმ-აუტი 78
■ საკითხავი ქალებისთვის
✓ როგორ მოვიყვანოთ თავი წესრიგში 80
✓ „აიძულეთ“ მამაკაცი, რომ შეგიყვაროთ... 81
■ სასიყვარულო რომანი
სვეტა კვარაცხელია.
წითელი ფეხსაცმელი (გაგრძელება) 82
■ ბიოგრაფია
ჯონ დევისონ როკფელერი
– „კლივლენდელი მეფისტოფელი“ 86
■ ვარსკვლავები 88
■ ემიგრანტი
ერედველმა გოგონამ მშობლიური კუთხის
ოკუპაციის ამბავი ფრანკფურტში შეიტყო 90
■ თინეიჯერული პონტები
მოზარდები და მოდა 92
■ შეუცნობელი
ნოსტრადამუსის კატრენები გაშიფრულია 95
■ ასპარეზი
ასათიანმა ყოფილი
მწვრთნელის ვერაფერი გაიგო 97
■ საზოგადოება
პიროვნებები და ქარიზმა 98
■ ტაძარი
ქართველი ბერები იერუსალიმში
ფეხსაცმლით არ დადიოდნენ 100
■ ფავორიტები
მესი მიღწეულით არ კმაყოფილდება 102
■ ავტო 103
■ სკანვორდი 104
■ პროგნოზი 105
■ დედათბილისი 106

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

„აიძულეთ“ მამაკაცი, რომ შეგიყვაროთ...



როცა ვინმეს სიკეთეს უკეთებთ, თავად ორმაგ სიამოვნებას იღებთ: ჯერ ერთი, კმაყოფილი ხართ საკუთარი თავის; მეორეც, კიდევ უფრო გესიმპათიურებათ ადამიანი, რომელსაც ასიამოვნეთ. ასევე შეყვარებული ადამიანი – სურს, რასაც სასიამოვნო გაუკეთოს გულის სწორს – იგი ხომ ძალიან კარგია და იმსახურებს ამას!

81

ვარჯიში კისრის კუნთებისათვის

მხრები გადახარეთ უკან, თავი მაღლა ასწიეთ, ნიკაპი კი წინ წამოსწიეთ – თითქოს მკერდზე იდებთო. თავი რიგრიგობით გადახარეთ, ხან მარჯვენა, ხან მარცხენა მხრისკენ. ამ დროს მხრები დაბლა უნდა ჩამოუშვათ.

80

გია ფერაძის ოხუნჯობები

„გია სკოლაში გაუთავებლად ოხუნჯობდა, დადიოდა „მაგალოებზე“ და ხშირად, ცუდი ნიშნებიც ჰქონდა, მაგრამ ბოლო მეოთხედში, ყველა მასწავლებელი ნორმალურ ნიშანს უწერდა, რათა იგი კლასში არ ჩარჩენილიყო და ერთი წლით არ გახანგრძლივებულიყო მათი წვალება“.

28

– კაცი მოგიკლავს?

ლეო დაიბაბა, ქვეშიდან გამოხედა ნოდარს. მერე თქვა:

– ქალიც.

– ქალი რაგო?

– ბაევიკებში იყო. ერთად მოიცელენ.

– უმუშევარი ხარ?

– კი...

– ტარება იცი?

– კი.

– პრავა გაქვს?

– მაქვს.

– ჩვენთან იმუშავებ, დაცვაში.

74

პოლიტიკური დუელი თუ პაემანი შავნაბალზე

ანუ „მიშა, მივდივარ, გენაცვალეთ"

რას არ იტყვის კაცის ენა და მით უმეტეს, ამ „ხმათა ხავერდების და ღმერთების ენაზე". ენას რომ საქციელიც შესაბამისი მოსდევდეს, ჩვენისთანა ბედნიერი, როგორც ბრძენი ანრი ჯოხაძე მღერის, მართლა არც ერთი ერი არ იქნებოდა, მაგრამ რად გინდა: ვამბობთ ერთს, ვაკეთებთ მეორეს, ვფიქრობთ მესამეს, ვწერთ მეოთხეს და მხარს ვუჭერთ მეხუთეს... აბა, რა ამბავსაც ამ დღეებში მოველოდით ოპოზიციისგან და რაც სინამდვილეში ქნეს, ისე განსხვავდება ერთმანეთისგან, როგორც გუბაზ სანიკიძე კახა კუკავასგან.

პირველი სამი ტალღის არგამართლების მერე, 7-9 ივნისისთვის პროტესტის ისეთ მეოთხე ტალღას დაგვპირდნენ, გვეგონა, მართლა წალეკავდა ყველაფერს, მაგრამ მსგავსი არაფერი მინახავს, ანდა ტელევიზორი მაქვს გაფუჭებული და ვერ ვხედავ. რაღა ტალღას ელოდებიან, არ ვიცი. მგონი, ჩვენი ოპოზიცია ამ ტალღებზე სერფინგით ერთობა, მთავრობას კი არ ებრძვის...

არა, დაპირებული პიკეტირება მართლაც მოაწყვეს შსს-სთან, ოღონდ — გარედან, მერე მოერიდათ, მერაბიშვილი არ გაბრაზდეს, თორემ შენობის შიგნიდან „პიკეტირება" მოგვიწევსო და ფინანსთა სამინისტროს საპიკეტირებოდ გადაინაცვლეს. მხარდამჭერებიც ბლომად ვიყავით... უი, უკაცრავად — იყვნენ, მაგრამ მერე ფეხსაცმელმა მომიჭირა და დაიშალნენ. დაიშალნენ იმ იმედით, რომ არასოდეს დაიშლებიან...

თუმცა, რაც ჩემი ამ პროვოკაციის მთავარი თემაა, იმაზე ჯერ სიტყვაც არ დამისველებია: სწორედ მაშინ, როცა ოპოზიციის ლიდერები ერთმანეთსა და ხალხს ერთგულებას და უკან არდახევას ეფიცებოდნენ, ერთ-ერთი ლიდერის ჯიბეში ტელეფონმა დარეკა (კიდევ კარგი, ვიბროზარზე ჰქონდა დაყენებული, თორემ ამდენი ათასი ადამიანის ხმაურში რას გაიგონებდა?), ზარის ავტორი „ის" იყო, ზემოდან. სავარცხლების ქარხნის და ფანქრის სათლელების ფაბრიკის გახსნებს შორის, ე.წ. „ფანჯარა" ჰქონია და რადიკალური ოპოზიციის ყველაზე რადიკალურ ლიდერს დაურეკა.

(*სიტუაცია თანდათან იძაბება*) როგორც მოგვიანებით გაირკვა, ზარის ავტორის შეკითხვა, — ამ საღამოს რას აკეთებო? — იმდენად საინტერესო აღმოჩნდა, რომ ლიდერთა თათბირი იქვე, შსს-სთან, თაკარა სიცხეში გაიმართა. „იასნია", ყველამ იცის, რომ „ის" — ფაბრიკა-ქარხნებს მხოლოდ დღისით ხსნის, თორემ საღამოობით მაგარ პონტებში იჩითება: ხან რას მიირთმევს და ხან — ვის. ჰოდა, უთხრა ძველ მეგობარს, პურმარილი დაგვიძველდაო. უარი როგორი სათქმელია?!.

(*სიტუაცია სულ უფრო დამაინტრიგებელი ხდება*) დანარჩენი ლიდერების აზრი ერთმანეთისას კი ემთხვეოდა, მაგრამ ამას დაურეკა და მთავარიც ესაა. სხვები ამბობდნენ, — ეთქვა და ჩვენც წამოვიდოდით, მარტო შენ — რა პონტიაო?! ბოლოს ამ მთავარმა უთხრა, — გაჩერდით ახლა, თორემ შეიძლება, „ვაბშე" აღარ დარეკოს და დავრჩეთ ისეო, — და დაშოშმინდნენ.

ეს გადაწყვეტილება მიტინგზე მისულ ხალხს თავად ზარის ადრესატმა რომ გაუმხილა, ისეთი სტვენა და „არა" ატყდა, რომ სულ დამავიწყდა ფეხსაცმელების მოჭერა და ხალხი ისევ მიბრუნდა. გასაგებიცაა, თუ ვთქვით, რომ არანაირი მოლაპარაკება პრეზიდენტთან, გადადგომის საკითხის გარდა, „არ მოსულა", ასეც უნდა იყოს. კი, მოხდა გამონაკლისი და ოთხი კაცი გავუშვით მოლაპარაკებაზე, მაგრამ მაშინ გვეგონა, გადადგებოდა. ახლა?.. ოთხმა ვერ გადააყენა და ერთი გადააყენებს?! მოკლედ, ენისა და საქციელის სრული შეუსაბამობა რომ ვახსენე ზემოთ, იმის კიდევ ერთი თვალსაჩინო მაგალითი ნახა მიტინგზე კიდევ ერთხელ მისულმა, ლამის მზედარტყმულმა საზოგადოებამ და უკმაყოფილომ და ფეხსაცმელმოჭერილმა დატოვა იქაურობა. მაგრამ ზარის ადრესატსაც რა ექნა? თქვა კაცმა გასაგებად, — არშეხვედრა უფრო იოლია, მაგრამ, როგორც ჩანს, დღეს მიშასთან მისვლა ჩემი ხვედრიაო. რას იზამთ, ბატონო ლევან, საერთოდ, პოლიტიკოსობაც მძიმე ხვედრია...

შეხვედრა ზუსტად 9 საათზე დაიწყო შავნაბადას რეზიდენციაში. რა იყო სინამდვილეში ეს შეხვედრა — პოლიტიკური დუელი თუ პოლიტიკური პაემანი, ამას ვერასდროს გავიგებთ; არც ის ვიცით დეტალურად, როგორ და რა შედეგით დამთავრდა იგი. მაგრამ პრეზიდენტმა უკვე „გააკეთა შედეგი": კიდევ ერთი ბზარი, კიდევ ერთი ეჭვი. მოგეხსენებათ, ეჭვი ისეთი რამაა, რომ მოსიყვარულე ოჯახს ანგრევს და ამ ძლივს შეწებებული ოპოზიციის დასაშლელად ალბათ იკმარებს. უმტკიცე მერე შენ, არაფერი შემოუთავაზებია და არც მე წავსულვარ დათმობაზეო... არც მაშინ წასულხართ დათმობაზე, ოთხნი რომ შეხვდით, მაგრამ ორ დღეში აალაგეთ საკნები კოსტავაზე...

(*პროვოკატორის ეჭვები*) რადიკალური ოპოზიციის ყველაზე რადიკალური ლიდერისადმი უნდობლობა პირველად სწორედ იმ საკნების აღებისას გაჩნდა და უთხრეს კიდეც, — აწი ხალხს ველარ მოკრებთო, — ახლა კი უფრო გაძლიერდა. როგორ ფიქრობთ — მარტო ხელისუფლებას აძლევს ხელს ამ ორძმიანი დიდი „ძალის" დასუსტება? იქნებ, თვითონ ოპოზიციაშიც არის ვინმე ისეთი, ვისაც არ მოსწონს, „თვითონ რომ ფულს იხდის და მუსიკას სხვა უკვეთს"?! ხომ მისახვედრად ჩამოგიყალიბეთ?.. ჰოდა, გაიგეთ ახლა, ვინ იყო ზარის ავტორი: ქარხნების გამხსნელი თუ მიტინგების დამფინანსებელი. აი, ესაა პოლიტიკა: შენი მტრის მტერი შენი მოყვარე რომ გგონია, აი, სწორედ მანდ „დაგერხა" (სიტუაცია უხამსი და უხერხულია, მაგრამ — გასაგები).

P.S. *ოპოზიციის თათბირზე:*

— *რა ვქნათ, ხალხო, ბიჭი შეხვედრაზე მიდის და სირცხვილია, ასე, სპორტულებით ხომ არ გავუშვებთ?!*

— *სწორია, პიჯაკი და ჰალსტუხი უნდა.*

— *„გალსტუკს" არ გავიკეთებ მე.*

— *ნუ გაიკეთებ, ბატონო, მაგრამ რომ გაგიბრაზდეს რამეზე და გამოგეკიდოს, მოიხსნი ჰალსტუხს, დაუტოვებ და სანამ ის ამას შეჭამს, კი იქნები სამშვიდობოს გამოსული.*

ПРОВОКАТОРИ

გაოგნებული ტალღა გინახავთ? მე — კი!.. ჩვენმა პრეზიდენტმა მთელ ევროპაში საუკეთესო, ბათუმის ოპერის თეატრის მშენებლობის შესახებ გვამცნო თუ არა, უმალ, მეორე პრეზენტაციის მომსწრენიც გაგვხადა. მან ბრძანა, — ბათუმის სანაპიროზე მთელ კავკასიაში ყველაზე მაღალი, 42-სართულიანი „თავისუფლების ჩირაღდანი“ უნდა ავაშენოთ, რომელიც საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის სიმბოლო გახდებაო. ამ დროს დედაქალაქში მძლავრი საპროტესტო ტალღა ბობოქრობდა, ბათუმში კი ზაფხულის უწყინარი ზღვის ტალღა ფიქრობდა, — ვიდრე ამოვისუნთქე, მეორე გრანდიოზული მშენებლობა დაწყებულა, მე კი იმას ვდარდობ, — ნეტავ, ამ ზაფხულს, ამ გადარეულ ქვეყანაში ერთი ტურისტი მაინც თუ ჩამიწვება მკლავებში?.. ტალღა კი არა, ხალხი და „თვითმმართველი“ საკრებულოც პირდაპირ პრეზენტაციაზე იგებს ახალ-ახალი, გრანდიოზული იდეების შესახებ...

ჩიჩაღღანი წაილეს, ჩიჩაღღანი ეოღლის!

„რეიზა წერ ამ წერილებს, ვიცოდე მაინც...“

ᲩᲐᲑᲐ ᲐᲜᲐᲜᲘᲫᲔ

შხეფი 1–ელი

როცა საქართველოს დამოუკიდებლობა ბათუმის ცაზე ფეიერვერკით აღინიშნა, ხოლო პრეზიდენტი საკაშვილი რომის გზას დაადგა, ბათუმის ერთ-ერთ ქუჩაში ორი ქალბატონი ბჭობდა:

— რაფერც კი თბილისში ოპოზიცია აქციას დააქუხებს, მთავრობა რეგიონებში მიდის. ხომ ხედავ, თბილისი ოპოზიციურად ზანზარებს, ჩვენთან კი სიმღერა-კონცერტია, იბრეთული მაშხალ-მუშხალები (*ფეიერვერკები. — ავტ.*)...

— მასე გეგონოს! ჩვენმა პრეზიდენტმა დღესაც გაჰკრა კბილი ვარშალომიძეს. რა, ვერ დეინახე?

— საიდან იგებ ამ შესაცხადებელ ამბებს? ტელევიზორში ვუყურე, ვარშალომიძე და მიშა ერთმანეთს შესციცინებდნენ, — არ დამთმო პოზიცია პირველმა.

— საიდან ვიცი და იქ ვიყავი: პრეზიდენტმა ამ ჩვენს თავრობის კაცს მშენებლობის ტემპი დუუწუნა. ასე უთხრა, — შეჯიბრებაში გინვევ და თუ ისე არ გამოადგამ ფეხს, რაფერც მე ვადგამ, გლახათ იქნება შენი საქმეო... კი, ასე თქვა!

— ისე, რაფერ გინდა, ამ პრეზიდენტს დეეწიო სირბილში? — ჩაიქირქილა ქალმა და გზა განაგრძო. — ამას წინათ, პრეზიდენტიზა წერილის მიცემა მინდოდა, მარა, აპა...

— რეიზა წერ ამ წერილებს, ამხელა ქალი, ვიცოდე მაინც.

— რეიზა და ჩემს ქმარს რომ პაპამისმა დუუტია მიწა-წყალი და ახლა გვდავებიან, — შენია, მაგრამ ჩემიაო, იმიზა გავაშანშალე წერილი. მომადგენ ამას წინებზეც, ჩემო ციური, — გინდა თუ არა, წითელ ზოლში ხართ (ისე, კი გაწითლდებოდა მიწა, მაგინის ნაცვლად, სირცხვილით) და მოწმობას ვერ მოგცემთო. ჩემს მეზობელს მისცეს, მარა მერე, ისევ წაართვეს და გაგონილა?..

— კი, რაფერ არა?! მეც ძლივაი გავარკვიე, რომ ჩემი ბოსტანი ჩემი ყოფილა.

— ჰოდა, იმას გიყვებოდი: მიწის კომისიის ხალხს რომ დუუწივლე წვრილი ხმით, მგონი, ოპერაში ეგონენ თავი და ისე გეიქცენ, ჯერ არ გამოჩენილან.

— ოპერას მაგინი აშენებენ და რის შეეშინდენ? მაგ ოპერის გადმოღმა ვცხოვრობ და მგონი, ზღვაზე გადასლასაც იმიკრძალავენ... რა იყო, გიკვირს, თუ? გეტყვიან, — არ გაცვიათ, ქალბატონო, კულტურულადო. ანდა, სულაც, სასტუმრო კაფე-ბარსაც მიაშენებენ, დიდ გალავანსაც შემოარტყამენ, რაფერც ქობულეთში ქნეს. ალბათ, დამსვენებლებსაც ვეღარ მივღებ, — ვერსიების ჩამოთვლას აღარ ამთავრებდა ქალბატონი.

— კაი, გეყოფა, წაჩუმდი, თორემ რომ გვისმენდეს ახლა ვინმე და მუუტანოს ხებერი თავრობას, ხომ დეგვემხო თავზე აი აბდალა ცხოვრება?! წნევა დაგვარტყამს, ორვეს... ვიფიქრე, ერთხელ მაინც გევსეირნებ-მეთქი და ვარეესად ამტკივდა თავი. არადა, ჩვენ რომ გვაქ, იმფერ საავადმყოფოში მოხვედრას, ოპერაში დაჟდომა მირჩევნია.

— მართალი ხარ. შარშან ავად რომ გავხდი, რაფერც იქნა, გამუედი ნარკოზიდან ჩვენს რესპუბლიკურში და რას ვხედავ: კატა არ მიკნავის, გულზე შემომჟდარი? რომ ვიკივლე, — ე, სა ვარ-მეთქი? აქეთ მისაყვედურენ, — კატა რომ არ გვყავდეს მოშენებული, ვირთხები შეგჭამდათ, ქალბატონოო. რაღა მეთქვა?..

შხეფი მე–2

„ვაი, საცოდაო საქართველოვ, საით მიდიხარ?!“ — ეს ნაცნობი, მტკივნეული ფრაზა ბათუმის ქუჩაში მაშინ გავიგონე, როცა მომღერალმა უცნობმა აჭარიდან „გოლგოთის გზა“ წამოიწყო. ბათუმის თეატრის წინ გამართულ სცენაზე „ოპოზიციური“ ცეცხლი ჯერ ნაცნობმა ოპოზიციონერმა დეპუტატებმა დაანთეს, შემდეგ — მომღერლებმა, ბოლოს — ხალხს ანთებული ჩირაღდნები ჩამოურიგეს და როცა კოლონა რუსთაველის ქუჩას ფეხით გაუყვა, ღია ფანჯარასთან მდგომი ერთი კაცისგან გავიგონე ის, რაც ამ „შხეფის“ შესავალში უკვე ვახსენე...

ჩირაღდნიანი ბათუმელები უკვე ბათუმს დაუბრუნდნენ და თქვეს:

— ეჰ, რაფერ ტყუილად ჩაგვიყვანეს თბილისში?!

— ჩაგიყვანეს? ე.ი. იქ თქვენი ნებით არ ჩასულხართ და პროტესტს ვიღაცის გამო გამოთქვამთ? — ჩავეძიე ნაცნობ ახალგაზრდას, რომელსაც სამი ყოფილი მოჩირაღდნეც თან ახლდა.

— მეც კი მაქვს ბევრი სათქმელი, მაგრამ შენ რომ ოპოზიცია ხარ, თუ მიზანს ვერ აღწევ, რეიზა აწვალებ ხალხს?!

— ოპოზიციამ ბევრი ტაქტიკური შეცდომა დაუშვა, მაგრამ ყველაფერს სხვას არ უნდა ვაბრალებდეთ. ეს ქართული ჭირია: გვგონია, რომ ჩვენს გასაკეთებელს სხვა გააკეთებს, — თქვა ერთ-ერთმა მოჩირაღდნემ. — თუ თითოეულმა არ გავიაზრეთ, რას ვაკეთებთ, სად ვდგავართ და რისთვის, ცუდად იქნება ჩვენი საქმე.

— მართალია. ჩვენ უწმინდესის სიტყვაც კი ისე გვესმის, როგორც გვინდა, — თქვა მესამემ. — არადა, რა თქვა პატრიარქმა გაუგებარი? მოგვიწოდა, ამპარტავნობა დაივიწყეთ და არჩევნები ჩაატარეთო.

— პატრიარქმა ისიც თქვა, პრეზიდენტების გადაყენებით ქვეყანაში კარგი არაფერი მომხდარაო, — არ ცხრებოდა „პირველი მოჩირაღდნე“.

— მართალიცაა. ამით იმასაც გაესვა ხაზი, რომ ძველი პრეზიდენტი გადავაყენეთ, მაგრამ უკეთესი ვერ მოვიყვანეთ, ანუ მიშა ცუდიაო. რა, ასე არაა?

— ასეა, ალბათ, — ჩაიდუდუნეს ბიჭებმა და გზა გააგრძელეს...

შხეფი მე–3

ბათუმში აგორებული ოპოზიციური ტალღა ქობულეთსაც მიადგა: ნარგიზ კაიკაციშვილი, ქობულეთის გამგეობის შენობის წინ გაშლილ კარავში 22 დღე შიმშილობდა და მისი მდგომარეობით ადგილობრივი მთავრობიდანაც არავინ დაინტერესებულა. ჯანმრთელობის მკვეთრად გაუარესების გამო, მოშიმშილე სახლში გადაიყვანეს და ამ ქალბატონის მოთხოვნა, რომ მისი შვილი ციხიდან გეთავისუფლებინათ, მოთხოვნადვე დარჩა.

ქალბატონი ნარგიზი ექსპრემიერ ზურაბ ნოღაიდელის ნათესავის — პაატა კიკაციშვილის დედაა. პაატა შარშან, ნარკოტიკების შენახვის ბრალდებით დააკავეს და 7 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. მისი სასამართლო საქმე არა მარტო ახლობლებსა და პოლიტიკოსებს, არამედ კვალიფიციურ იურისტებსა და სახალხო დამცველსაც კი აოცებს, რადგან ბრალდების მხარის მოწმე პოლიციელებმა ჩვენებები აშკარად აურიეს (მოსამართლეს ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია), ხოლო დაცვის მხარეს, საქმის გასაცნობად, მხოლოდ ნახევარი საათი მისცეს. ამასთანავე, პროცესს რამდენიმე ჟურნალისტი არ დაასწრეს.

ალბათ, ამ შხეფებით თემიდაც გაკვირვებულია, მაგრამ ყველაზე მეტად გასაკვირი ისაა, სოლიდარობის შხეფებიც რომელიღაც ნაპირთან, უგზო-უკვლოდ რომ დაიკარგა — მოშიმშილე დედის ნუგეშის საცემად უბრალო მოქალაქეები არ გამოჩენილან... იქნებ, შიშის გამო, მაგრამ შიშს ხომ „თვითონ ეშინია“, როცა ხელჩაჭიდებულ ადამიანებს „ხედავს“!..

შხეფი მე–4

ამას წინათ, ქობულეთის ერთ-ერთი მაღალმთიანი სოფლის ცენტრში ამოვყავი თავი, სადაც მართალია, რწმუნებულის გარდა, ყველა უმუშევარია, მაგრამ იმ დღეს ძალიან ბევრი გახარებული სახე შევნიშნე. მალე, ამის მიზეზიც გავიგე:

— მოვიდა აგერ ჟურნალისტი და აცნობებს ქვეყანას, რაფერ გავარემონტეთ სასაფლაო. ჰოო, რა გიკვირს? რაიონის ხელმძღვანელობას მუუცია ჩვენი ხელმწიფიზა (ასე ეძახიან სოფლის რწმუნებულს) 1.200 ლარი და უთქვამთ, — ამით სოფლის ცენტრს მობანეთ პირი, რაცხა გააკეთეთო...

— ჰოდა, გავამაგრეთ ჩვენი წინაპრების ძვლები, — ამაყად ჩაერთო საუბარში მოხუცი კაცი.

— წინაპრებს უნდა დაფასება. ასფალტი დაგვიგეს სოფლის გზაზე, შუქი აღარ გვენატრება ოჯახში და პური, მაგრამ მაინც ვერ ეგვიტანია აი თავრობა. ეჰ, ჩვენი წინაპარი კიდევ, რამდენს უძლებდა!..

— აბა, აბა! — დაეთანხმნენ მოსაუბრეს სოფლის ცენტრში მდებარე, საერთო სასაფლაოს ჭიშკართან შეკრებილები.

— მოიცათ, საფლავს და მიცვალებულს თუ უნდა პატივისცემა, ცოცხლებმა რაღა დავაშავეთ, ვითომ?! — იკითხა ახალგაზრდამ.

— მაგი, ჩადი და ჩვენი რაიონის უმფროსობას ჰკითხე! — სიტყვა ბანზე აუგდო მოხუცმა.

მე კი ახლახან შემდგარი, გერმანელი დეპუტატებისა და ქობულეთის ხელმძღვანელობის შეხვედრა გამახსენდა. თურმე, ქობულეთის საკრებულოს თავმჯდომარეს სტუმრებისთვის მისალმებამდე(!) უკითხავს, — ხელფასი რამდენი გაქვთო?..

შხეფი მე–5

ქართული ენერგოკომპანიების მისამართით ხშირად გაისმის საყვედური — ზოგჯერ სამართლიანი, ზოგჯერ — უსამართლო. მართალია, ბოლო დროს ზღვისპირეთში ყველაფერი განათდა, მაგრამ „სიბნელის შხეფიც“ ბევრგან შეგხვდებათ: „სად წერენ ეს „ენერგოპროს“ კაცები ქვითრებს, კოსმოსში?“, „რაფერ მაქ 200 ლარი გადასახადი, როცა ჩემს „სოჩიკზე“ 82 ლარია ნაჩვენები?!“, „საიდან მაქ გადასახდელი 100 ლარი, როცა ოჯახში საერთოდ არ ვყოფილვარ?..“

„კოსმოსიდან გამოწერილი“ გადასახადების აღსაკვეთად, ხალხმა გამჭვირვალე მრიცხველების დამონტაჟება მოითხოვა. ხალხის მოთხოვნა კანონადაც იქცა და როცა აჭარის მთავრობა ენერგორუბიკონებით უშუალოდ „შეწუხდა“, კორპუსებში ახალი მრიცხველებიც გამოჩნდა. მრიცხველები კი დამონტაჟდა, მაგრამ რომელი კაბელი რომელთან შეაერთეს, გადაჭრეს და „გადამისამართეს“, ვეღარაფერს გაიგებ. ზოგიერთ სადარბაზოში ისეთი ბათქაბუთქი ატყდა, რომ ქუჩაში გამვლელი ერთხანს ჩერდებოდა და აყურადებდა, — მოკლე ჩართვის ხმაა თუ მორიგი შემოსევისო?.. მოკლედ, ენერგოსიახლემ ის მოგვიტანა, რომ რამდენიმე ბინა (მათ შორის, ჩემიც) სიბნელეში დარჩა. ამას არც აღვნიშნავდი, ენერგოკომპანიიდან არასამუშაო დღეებში შეცდომის გასწორებისთვის ვინმეს მოყვანა რომ შეიძლებოდეს — უქმეებში კომპანიის ხელმძღვანელობას მობილური ტელეფონი გათიშული აქვს, უბნის ელექტროტექნიკოსი კი მხრებს იჩეჩს, — ეგ ამბავი მე არ მეხებაო(!). აღნიშნული კომპანიის დაახლოებით, 15 წარმომადგენელს ვეხვეწე, რომ ჩემთვის ელექტროენერგია ჩაერთოთ და ამ 15-დან ერთ-ერთი, ენერგოკომპანიის თანამშრომლის მძღოლიც აღმოჩნდა, ანუ მასთანაც მირჩიეს საქმის გარკვევა.

ჩაბნელებული უიკ-ენდის ბოლოს, როგორც იქნა, ახლობელმა ელექტროტექნიკოსმა აანთო შუქი ჩემს ფანჯრებში და მერე, გამჭვირვალე მრიცხველებიც მძიმედ აგრუხუნდა...

P.S. დილით, როცა სადარბაზოდან გავდიოდი, ღია მრიცხველების კარადას მიშტერებული კაცის გაბრაზებული ხმა შემომესმა:

— რანაირადაა გამჭვირვალე ეს მრიცხველები? ციფრებს კი ვხედავ, მარა, შიგ რა ეშმაკი ჩამისვეს, რაფრა დევინახო?!. ■



10 თვის ბავშვის ორგანიზმში აღმოჩენილი 5 თვის ემბრიონი

და მშობლები, რომლებმაც შვილის სიკვდილს მოაწერეს ხელი

9 ივნისს, ქვეყნის პრეზიდენტი და ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი, ლევან გაჩეჩილაძე კიდევ ერთხელ მიუსხდნენ მოლაპარაკების მაგიდას, რომელიც უშედეგოდ დასრულდა და საპრო-ტესტო აქცია კვლავაც გრძელდება. რასაკვირვე-ლია, ეს ფაქტი საზოგადოებისთვის მეტად მნიშვნელოვანი იყო. ასევე, გასულ კვირას, ორი მცირეწლოვანი ბავშვის ავადმყოფობამ-აც დიდი გამოხმაურება პოვა...

ნათია ქივიძე

ანრი ხვიჩავა, *მუშა, 54 წლის:*

— ლევან გაჩეჩილაძისა და მიხეილ სააკაშვილის დახურულ კარს მიღმა შეხვედრა ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტი იყო. ამ შეხვედრას ყველანი სულმოუთქმელად ველოდით, მაგრამ გამოგიტყდებით და, იმის ეჭვიც მქონდა, რომ ამითაც არაფერი გამოვიდოდა და ეს ეჭვი გამართლდა. ხელისუფლებამ და ოპოზიციამ რამდენჯერ გამართა დიალოგი, მაგრამ ამან შედეგი ვერც ერთხელ ვერ გამოიღო. ამბობენ, — პრეზიდენტმა გაჩეჩილაძე მხოლოდ იმიტომ დაიბარა, რომ ადრე მეგობრობდნენო. თუ ნამდვილი მეგობრები იყვნენ, დავიჯერო, პოლიტიკამ მათ ძმაკაცობას ძირი გამოუთხარა? თუ დღემდე მეგობრები არიან, მაშინ ესეც გვითხრან, რაღას გვთამაშებიან? ანდა, თუ ლევანმა ძმაკაცობა იცის, უნდა უთხრას, — არ მესმის, რატომ ალანძღვინებ ხალხს თავს? ვიდრე ვიღაცას მოუკვლიხარ, წადი, რა, შენს გზაზეო... თუმცა, სააკაშვილი მრჩევლებს არ უსმენს და მეგობარს დაუგდებს ყურს? ახლა საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ საქართველოს ვერც ეუთოს დამკვირვებლები უშველიან, ვერც — ამერიკელები და არც ეს გაუთავებელი მიტინგები მოგვიტანს რამეს. 2013 წლამდე სააკაშვილს სავარძელს ვერავინ დაათმობინებს და ისიც არაა გამორიცხული, რომ თავხედობა ეყოს და პრეზიდენტობის სურვილი მომავალშიც გამოთქვას...

ელენე გურტიკაშვილი, *ბუღალტერი, 46 წლის:*

— ჩემი აზრით, ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები დიალოგის სახით უნდა მოგვარდეს და არა ქუჩაში დგომით, სადაც ერთმანეთის შეურაცხყოფის გარდა არაფერს აკეთებენ. იმის იმედი, რომ გაჩეჩილაძისა და სააკაშვილის შეხვედრა რაიმე დადებით შედეგს გამოიღებდა, სიმართლე გითხრათ, არ მქონდა. ისე, სახელმწიფო საკითხი ერთი ხელის მოსმით არც უნდა წყდებოდეს, ყველაფერზე ნელ-ნელა, ეტაპობრივად უნდა შეთანხმდნენ. მთავარია, მოლაპარაკებები ბოლომდე აწარმოონ და ზოგიერთმა ოპოზიციონერმა ხელმძღვანელმა ჟურნალისტებს ან პოლიციას ხალხი საცემრად არ მიუსიოს... გარდა ამისა, აღმაშფოთა 4 წლის გოგონას ამბავმა, რომელიც დაიწვა და მის გადასარჩენად სისხლის გადასხმა იყო საჭირო, იეღოვას მოწმე მშობლებს კი, თავიანთი მრწამსის გამო, ამის გაკეთება არ სურდათ და ბავშვი რეანიმაციიდან შინ წაიყვანეს. ნებისმიერი მშობელი დამეთანხმება, რომ შვილის სიცოცხლის გამო, ადამიანი ეშმაკსაც კი მიჰყიდის სულს (ამისგან ღმერთმა დაგვიფაროს), მათ კი თავიანთი სექტანტობის გამო, შვილის სიკვდილს მოაწერეს ხელი. ვენაცვალე სააკაშვილს, ბავშვი საავადმყოფოში ძალით რომ დააბრუნებინა. მეცოდება ის პატარა, ასეთი მშობლები რომ ჰყავს. მათ მშობლის უფლება უნდა ჩამოართვან და ბავშვს ნორმალური მრწამსის მქონე მეურვე დაუნიშნონ, თორემ ღმერთმა უწყის, ისინი იეღოვას გამო, შვილის სიცოცხლეს სასწორზე კიდევ რამდენჯერ დადებენ...

ნატო გოგოლაძე, *ისტორიკოსი, 34 წლის:*

— მნიშვნელოვნად ის უცნაური ფაქტი მიმაჩნია, რაც 10 თვის ბავშვს დაემართა. საოცრებაა, რომ მის ორგანიზმში 5 თვის ემბრიონი აღმოჩნდა. 10 თვის ბავშვი და თან, ბიჭი, პრაქტიკულად, ორსულად იყო. მგონი, მსოფლიოში მსგავსი ფაქტი არასდროს დაფიქსირებულა. მგონი, ამით ღმერთი რაღაცას მიგვანიშნებს. კიდევ კარგი, იმ ბავშვის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება და ცხოვრებას ჩვეულებრივად განაგრძობს. ამ ფაქტს, ალბათ, მსოფლიო მედიკოსები და მეცნიერები გამოიკვლევენ და მერე გვეტყვიან, თუ რასთან გვქონდა საქმე. გარდა ამისა, აღმაშფოთა მეორე ბავშვის ამბავმაც, რომელსაც სისხლის გადასხმა ესაჭიროებოდა, მაგრამ იეღოველი მშობლები ექიმებს ამის უფლებას არ აძლევდნენ. ღმერთი ზემოდან იყურება და დარწმუნებული ვარ, მათ თავიანთი უმეცრებისთვის მალე მიეზღვებათ. როგორ შეიძლება, შვილის გადასარჩენად არ იბრძოლო? თუმცა, იმ ადამიანისგან, რომელიც საკუთარ რელიგიას უარყოფს და ცხოვრებას სექტანტებს დაუკავშირებს, გასაკვირი არაფერია... წლების შემდეგ პატარა ანა გაიზრდება და იმასაც გაიგებს, თუ როგორ მოექცნენ მშობლები...

გიორგი ხეჩიაშვილი, *მძღოლი, 46 წლის:*

— ევროკავშირის დიპლომატები ქართველებს გვაფრთხილებენ: შესაძლოა, რუსებმა ომი განაახლონ და აგვისტოში დაწყებული საქმე დაასრულონო. მსგავსი ეჭვი, ალბათ, ყველას გვაქვს, რადგან ვხედავთ, რომ ოკუპანტები აღარავის ემორჩილებიან და აფხაზეთისა თუ ცხინვალის რეგიონში უამრავ პოსტს ხსნიან. გარდა ამისა, ორივე მხარე იარაღით მარაგდება და იქ სამხედრო წვრთნა მიმდინარეობს, ჩვენ კი მიტინგებზე დავრბივართ. საქართველოში მოსალოდნელ საფრთხეზე არავინ ფიქრობს და ლაპარაკობს. ოპოზიცია და ხელისუფლება ერთმანეთს ეჯიბრებიან, მართავენ შეხვედრებს, რომლებიც ყოველთვის უშედეგოდ მთავრდება, მერე კი ლანძღავენ ერთმანეთს და საგარეო პოლიტიკისთვის ამიტომაც ვერ იცლიან. ნუთუ, ეს ყველაფერი არ მოჰბეზრდათ? ერთხელ და სამუდამოდ, რაღაცაზე ხომ უნდა მოილაპარაკონ, რათა მერე, სხვა თუ არაფერი, მტრის წინაალმდეგ გაერთიანდნენ და ქვეყნის გადასარჩენად რაიმე იღონონ?!. სააკაშვილს ოღონდაც, პრეზიდენტის სავარძლიდან ნუ „აატყავებ“ და ქართველების მიერ დაღვრილი სისხლი სულაც არ ადარდებს. ის ბოლო წუთამდე თავის „ჭიას“ გაიხარებს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი მიწასთან გაგვასწორებს, აქედან გაქცევასაც მოახერხებს. ჩვენი ბედი კი ნეტავ, ვინმეს მართლა თუ ანაღვლებს?.. ■



„მუხროვანის ინსცენირებული ამბოხის გამო დაკავებულ სამხედრო პირებს ხელისუფლება გარიგებას სთავაზობს და თავისუფლების სანაცვლოდ, ოპოზიციის ლიდერებზე ჩვენებების მიცემას სთხოვს“, — აცხადებს „კონსერვატორების“ ერთ-ერთი ლიდერი, ბიძინა გუჯაბიძე და ამბოხში ბრალდებული 40-მდე სამხედრო პირის, მათ შორის, კობა კობალაძის, კობა ოთანაძისა და ლევან ამირიძის გათავისუფლებას მოითხოვს. როგორც გუჯაბიძე ამბობს, სახელმწიფოს წინააღმდეგ შეთქმულების მომზადების ბრალდებით დაკავებული გენერალ-მაიორი — კობა კობალაძე უკვე 33-ე დღეა, შიმშილობს, მაგრამ ხელისუფლება ამაზე არ რეაგირებს.

„მუხროვანის ამბოხში“ ბრალდებულებს ფიზიკური განადგურებით ემუქრებიან(?!)

„ვინც გარიგებაზე წავა, მას ახალ თანამდებობას ან ფულს სთავაზობენ“

ხათუნა ბახტურიძე

— ბატონო ბიძინა, საიდან გაქვთ ინფორმაცია, რომ ამბოხში ბრალდებულებზე ზეწოლა მიმდინარეობს?

— ეს ინფორმაცია თავად დაკავებული სამხედროების ოჯახის წევრებმა და ადვოკატებმა მომაწოდეს.

— მათგან რა სახის ჩვენებების მიცემას ითხოვენ?

— დაკავებულებს აძალებენ, თითი გაიშვირონ ოპოზიციის ლიდერებისკენ და თქვან, რომ მუხროვანის ე.წ. ამბოხში ისინიც მონაწილეობდნენ. ზოგიერთ მათგანს ფიზიკური განადგურებით ემუქრებიან, ზოგს — ცოლ-შვილის სიცოცხლის ხელყოფით, ზოგს კი ახალი ბრალდებების შეთითხნით, ხოლო იმ სამხედროებს, ვინც გარიგებაზე წავა, გათავისუფლებას, ახალ თანამდებობას ან ფულს სთავაზობენ.

— თქვენი ინფორმაციით, ასეთი ჩვენების მიცემას რომელიმე მათგანი თუ აპირებს?

— არა, ისინი ვაუკაცურად დგანან და გარიგებას არ თანხმდებიან.

— მათგან კონკრეტულად, ვის დასახელებას ითხოვენ?

— გვარების დასახელების უფლება არ მაქვს, მაგრამ იმას კი გაგიმხელთ, რომ ისინი არა რიგითი ოპოზიციონერების, არამედ ლიდერების „ჩაშვებას“ ითხოვენ.

ბიძინა გუჯაბიძესთან ინტერვიუს ჩაწერის შემდეგ, არსებულ პრობლემაზე სასაუბროდ სამხედრო ექსპერტებს: გიორგი თავდგირიძესა და ირაკლი სესიაშვილს დავუკავშირდით.

— ბატონო გიორგი, თქვენი აზრით, მუხროვანის ამბოხის ოპოზიციის ლიდერებთან დაკავშირება ხელისუფლებას რაში სჭირდება?

— ე.წ. მუხროვანის ამბოხი ხელისუფლებისათვის საკმაოდ მძიმე შედეგით დასრულდა, რადგანაც მის მიერ დადგმული სცენარი ნაკლებად სარწმუნო აღმოჩნდა არა მარტო ქართველი ხალხისთვის, არამედ უცხოელი მეგობრებისთვისაც. მაშინ ამ ე.წ. ამბოხით ოპოზიციის დისკრედიტაცია ვერ მოახერხეს და ამის გაკეთებას ახლა ცდილობენ. სააკაშვილი შეეცდება, ოპოზიციის ნაწილი მოქრთამოს, ნაწილი კი დააშინოს. ვფიქრობ, მუხროვანის ამბებს იმ ოპოზიციონერების წინააღმდეგ გამოიყენებს, ვისაც ვერც მოქრთამავს და ვერც — შეაშინებს. გარდა ამისა, „მუხროვანის აჯანყებასაც“ ხომ უნდა მოუძებნოს ახსნა? როგორც წესი, ჯარში ამბოხი ორი მიზეზით ეწყობა: ან ემოციური გაღიზიანების ნიადაგზე, ან კიდევ, პოლიტიკური ამბიციურობის ანუ ხელისუფლებაში მოსვლის სურვილის გამო...

— ზოგიერთი მოსაზრების მიხედვით, იმ დღეს, ჯარი უკმაყოფილებას აგვისტოს ომში განცდილი მარცხისა და ჯარისკაცებისთვის დეზერტირობის დაბრალების გამო გამოხატავდა.

— კი, მაგრამ უკმაყოფილება მხოლოდ 8 თვის შემდეგ გამოხატეს? როდესაც ჯარი ემოციურად გაღიზიანებულია, განცხადებებს აკეთებს, დაუმორჩილებლობას აცხადებს და ჯანყდება. მუხროვანში მსგავსი ფაქტები არ დაფიქსირებულა.

— ცნობილია, რომ მუხროვანის ბატალიონის მეთაურმა, მამუკა გორგიაშვილმა გააკეთა განცხადება, რომელშიც ქვეყანაში არსებული ვითარების გამო უკმაყოფილებას გამოხატავდა...

— მან უკმაყოფილება იმიტომ გამოთქვა, რომ ჯარს მომიტინგეების დარბევა უბრძანეს. ჯარისკაცები უკანონო ბრძანებას არ დაემორჩილნენ. მუხროვანში სულ სხვა ტიპის დაუმორჩილებლობა იყო, მაგრამ ხელისუფლებამ და მის მიერ კონტროლირებადმა ტელევიზიებმა ის სხვაგვარად შეფუთეს. სხვათა შორის, ასეთი დაუმორჩილებლობა ორთაჭალაშიც და სხვა სამხედრო ნაწილებშიც იყო და მაშინ ამის გამო მეთაურები — სულხანიშვილი და კობაიძეც დააკავეს. ხელისუფლებას არც იმის გახმაურება აძლევს ხელს, რომ უკანონო ბრძანების შესრულებაზე ჯარმა უარი უთხრა და თან, არც წაყრუება სურს, რადგანაც ორი კურდღლის ერთად დაჭერა გადაწყვიტა — თან ოპოზიციის დისკრედიტაციას მოახდენს და თან, ჯარს დასჯის.

— თუ უკანონო ბრძანება არც ერთმა სამხედრო ნაწილმა არ შეასრულა, მხოლოდ მუხროვანის ბატალიონი რატომ ისჯება?

— მუხროვანის ბატალიონის ჯარისკაცებს თვალსაჩინოებისთვის სჯიან. ის განცალკევებით მდგარი ბატალიონია და თანაც, თბილისთან ახლოსაა (ანუ ამბოხების მოწყობისთვის ხელსაყრელ ადგილზეა). გარდა ამისა, მუხროვანში გარკვეული ინციდენტი ადრეც მოხდა (2001 წელს) და ჩათვალეს, რომ მოსახლეობა ამ ორ ფაქტს ერთმანეთს დაუკავშირებდა. სწორედ ამ მოსაზრების გამო შეარჩიეს მაშინდელი „ბუნტოვშჩიკები“: ოთანაძე და კრიალაშვილი. მინდა აღვნიშნო, რომ ეს ადამიანები არც მაშინ აწყობდნენ ბუნტს, უბრალოდ, სოციალური პირობების გაუმჯობესებას ითხოვდნენ. ხელისუფლებას ამ სცენარში „გენერალთა კლუბის“ ჩათრევაც უნდოდა, მაგრამ მიხვდა, რომ 5 გენერალს ერთდროულად ვერ „გადაყლაპავდა“ და ამიტომაც, მხოლოდ კობალაძით შემოიფარგლა. იმედი მაქვს, დაკავებული ოფიცრები თავისუფლების ან სხვა რამის სანაცვლოდ ხელისუფლებას არ გაურიგდებიან. მათი ხსნა მხოლოდ სიმართლეს შეუძლია.

ირაკლი სესიაშვილი:

— თავდაპირველად, „მუხროვანის ამბოხებულები“ სააკაშვილმა რუსეთთან კავშირში დაადანაშაულა, მაგრამ შემდეგ, „ეხო მოსკვისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ეს ბრალდება თავადვე უარყო. ალბათ მიხვდა, რომ ამ საქმეში რუსეთის დადანაშაულებისთვის სერიოზული არგუმენტები დასჭირდებოდა და ნაყალბევი სცენარით თავის მართლების საშუალებას არავინ მისცემდა. ახლა ცდილობს, ამბოხი ოპოზიციას დაუკავშიროს. მერწმუნეთ, მათ არაფერი გამოუვათ! ძალ-ღონეს არ დავიშურებთ იმისთვის, რომ აჯანყებაში ბრალდებული სამხედროების უდანაშაულობა დავამტკიცოთ.

— როგორც ვიცი, თქვენი ორგანიზაცია კობა კობალაძეს იცავს. მისი უდანაშაულობის დასამტკიცებლად რა არგუმენტები გაქვთ?

— ჯერ გამოძიება მიმდინარეობს და კონკრეტული ფაქტების დასახელებისგან თავს შევიკავებ, მაგრამ გარწმუნებთ, ის უდანაშაულოა. ■

რაში მდგომარეობს ექსპერტთა არაობიექტურობა

და ვის აძლევს ხელს ვადამდელი არჩევნები

დღეს ქვეყნის ხელისუფლება დაკისრებულ მოვალეობას ვერ ასრულებს, საკუთარ მოსახლეობას, ეკონომიკური თუ პოლიტიკური თვალსაზრისით, სერიოზული საფრთხეების წინაშე აყენებს და ერთადერთი გამოსავალი — ვადამდელი არჩევნებია — ასეთ განცხადებებს ბოლო დროს ექსპერტთა ერთი ნაწილი სულ უფრო ხშირად აკეთებს. „ექსპერტთა კლუბის“ წევრებმა პარლამენტარებს მანდატების დატოვებისკენაც კი მოუწოდეს. ექსპერტთა მეორე ნაწილიც ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ არასწორი მმართველობის შედეგად, ქვეყანა ჩიხშია მოქცეული, მაგრამ ფიქრობს, რომ დღეს ვადამდელი არჩევნების ჩატარება შექმნილ რთულ ვითარებას კიდევ უფრო დაამძიმებს. საინტერესოა, უჭერენ თუ არა მხარს ვადამდელი არჩევნების ჩატარების იდეას ქართველი საზოგადოების წარმომადგენლები და ცნობილი მოღვაწეები.

ხათუნა ბახტურიძე

ჟაბუა ამირეჯიბი:

— საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები უეჭველად უნდა ჩატარდეს.

ოტია იოსელიანი:

— რაღა აზრი აქვს?! ქვეყანა დაღუპეს და ახლა გინდა, საპრეზიდენტო არჩევნები ჩაატარონ, გინდა — საპარლამენტო, კისერიც უტეხიათ!.. რამდენიმე დღის წინ, ცაგერის რაიონის სოფელ ჩხუპელიდან სკოლის მოსწავლეები მესტუმრნენ. როგორც მათმა პედაგოგებმა მითხრეს, ორი-სამი წლის წინ ამ სოფლის სკოლაში 400 ბავშვი დადიოდა, ახლა 90 დადის და ფიქრობენ, რომ სექტემბრისთვის მხოლოდ 3 თუ 4 ბავშვი შევა პირველ კლასში. არავის ანაღვლებს, შობადობა ასე რომ შემცირდა. ხელისუფლება მარტო საკუთარ ჯიბესა და კუჭზე ზრუნავს, ოპოზიციას კი იმდენი ჭკუა არ აქვს, რომ ასეთი უვარგისი ხელისუფლება ქვეყანას მოაშოროს. სულ მთლად უცხოელების იმედზე ვართ „დაყრილები“. ისე, ამერიკელები კი ძალიან გვეხმარებიან და მათი მადლობელი ვარ, მაგრამ „ჰუმანიტარულ ბავშვებს“ გამომიგზავნიან ეგენი?..

თამარ ჩხეიძე:

— პირველ რიგში, საარჩევნო კანონმდებლობა და საარჩევნო გარემო უნდა შეიცვალოს. თუ ვადამდელი არჩევნები ამის გარეშე ჩატარდა, არანაირი საფუძველი არ გვაქვს, ვიფიქროთ, რომ რაიმე დადებით შედეგს მოვიღებთ.

თემურ ძორიძე:

— შექმნილ მდგომარეობაში, ყველაზე კარგი გამოსავალი ახალი არჩევნების ჩატარება იქნებოდა. ეს ახლანდელი ხელისუფლებისგან ისეთი მსხვერპლი არ არის, როგორსაც ჩვენი მეფეები შუა საუკუნეებში იღებდნენ ქვეყნისთვის: შეგახსენებთ, რომ ისინი ქვეყნის ინტერესებს ხშირად საკუთარ სიცოცხლეს სწირავდნენ მსხვერპლად.

ლაშა ბაძრაძე:

— უნდა ჩატარდეს. თავის დროზე, განვაცხადე კიდეც, რომ კარგი იქნებოდა, ჩაგვეტარებინა რეფერენდუმი, რომელშიც სწორედ ეს კითხვები დაისმებოდა. ვფიქრობ, დემოკრატიის განვითარებისათვის, მსგავსი რეფერუნდუმის ჩატარება წინ გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა.

თეა ჭეჟია, *დიასახლისი:*

— თუ არჩევნები ისევ შარშანდელი პრინციპით ჩატარდება, არა მგონია, ამას რაიმე განსხვავებული შედეგი მოჰყვეს.

მარინა ბაბუნაშვილი, *ჟურნალისტი:*

— უნდა ჩატარდეს. ჩემი აზრით, ახლა ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი — ვადამდელი არჩევნების ჩატარებაა. ამის მერე ოპოზიციას სათქმელი აღარაფერი ექნება და უკან დაიხევს.

ანდრო მაისურაძე, *არქიტექტორი:*

— უნდა ჩატარდეს, მაგრამ ისეთი მეთოდებით — არა, როგორითაც შარშან ჩატარდა.

ეკა ქავთარაძე, *დიასახლისი:*

— რა დროს არჩევნებია? ვერ ხედავთ, ქვეყანა რა მდგომარეობაშია? ეკონომიკური კრიზისის პირობებში, მიზანშეწონილად არც საპარლამენტო არჩევნების ჩატარება მიმაჩნია და არც საპრეზიდენტოსი. ვფიქრობ, კარგი იქნება, თუ ოპოზიცია ტაიმ-აუტს აიღებს და ეკონომიკური კრიზისის გადავლამდე, უფრო ძლიერ პოლიტიკურ პროგრამებს მოამზადებს.

ლევან ვეფხვაძე:

— არსებული საარჩევნო კოდექსის პირობებში, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება მიხეილ სააკაშვილს საშუალებას მისცემს, ახალი არჩევნები ისეთი წინასაარჩევნო კამპანიით და გაშუქების ხარისხით ჩაატაროს, როგორც ეს 21 მაისის არჩევნების დროს განახორციელა. ჩვენი მთავარი მიზანია, ჩავატაროთ ისეთი არჩევნები, რომელიც თვისებრივად ახალ ხელისუფლებას მოგვცემს. ამიტომ საჭიროა, პარლამენტს მუშაობის საშუალება მიეცეს და საპარლამენტო არჩევნები შეცვლილი საარჩევნო კოდექსით ჩატარდეს.

ვადამდელი არჩევნების ჩატარებას კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები და „ექსპერტთა კლუბის“ მოწოდებას — ნებაყოფლობით დატოვონ დეპუტატის მანდატები — აგრესიულად პასუხობენ.

გიგი წერეთელი:

— არ გამოვრიცხავ, რომ „ექსპერტთა კლუბის“ რამდენიმე წარმომადგენელს პოლიტიკაში მოსვლა სურდეს, ამიტომ, მათ გასაგონად ვიტყვი, რომ ასეთი პრეცედენტის დაშვების შემთხვევაში, იგივე პრობლემა მათაც შეექმნებათ.

— თუ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება ქვეყანაში არსებულ პრობლემებს ვერ წყვეტს, რატომ უნდა უხდიდეს ხალხი ფულს?

— ასე არ არის საქმე. ვერც ოპოზიციის ნაწილი ასრულებს ოპოზიციონერისა და პოლიტიკოსის ფუნქციას.

MK

ექსპერტებმა მათაც მოუწოდონ პოლიტიკისთვის თავის დანებებისკენ. რაც შეეხება ჩვენს მუშაობას, ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ ქვეყანა კრიზისიდან გამოვიდეს, მაგრამ ამას მარტო ვერ მოვახერხებთ. ოპოზიციამ უნდა შეიგნოს, რომ ასეთ სიტუაციაში ერთადერთი გამოსავალი — დიალოგია.

ნუგზარ წიკლაური:

— ექსპერტები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ოპოზიციურ მხარეს წარმოადგენენ, ამიტომ ჩვენ მათ შემფასებელად და ექსპერტებად ვერ აღვიქვამთ და ვერც მათ აზრს გავითვალისწინებთ.

— თქვენ უარყოფთ იმ ფაქტს, რომ პარლამენტი უკვე 3 თვეა, არ მუშაობს?

— მართალია, პლენარული სხდომები არ იმართება, მაგრამ გარწმუნებთ, ყველა კომიტეტი დაძაბულ რეჟიმში მუშაობს. გასვლითი სხდომების დროს საკმაოდ ბევრი კანონპროექტი შევიმუშავეთ. გათავისუფლდება თუ არა პარლამენტის შენობა, კანონპროექტებს მაშინვე გავიტანთ პლენარულ სხდომაზე.

— როგორც ექსპერტებმა თქვეს, პარლამენტის ადგილსამყოფლის დროებით შეცვლა, სხდომის ან სესიის მოწვევის მიზნით, მხოლოდ საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროსაა დასაშვები.

— ეს პოლიტიკური განცხადებაა. ვინც ამას ამბობს, ექსპერტი კი არა — ოპოზიციონერია. არ შეიძლება, ერთ ადამიანს მსაჯობაც უნდოდეს და ფეხბურთელობაც. ექსპერტებმა მშვენივრად იციან — ჩვენს შენობაში იმიტომ არ შევდივართ, რომ შესაძლო პროვოკაციებს ვერიდებით. ჩვენი უზენაესი ამოცანაა, ქართველ ხალხს შორის დაპირისპირება არ მოხდეს.

„ექსპერტთა კლუბის“ წარმომადგენელი, ***სოსო ცისკარიშვილი*** *ფიქრობს, რომ სახელისუფლებო გუნდის წარმომადგენლები სხვადასხვა მეთოდით, საკუთარი უმოქმედობის გამართლებას ცდილობენ, რითაც ქვეყანას კიდევ უფრო დიდ საფრთხეში აყენებენ. მისი აზრით, ოპოზიციონერები და მათი მომხრეები კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს არ სჩადიან და ფიზიკურად არავის უპირისპირდებიან, არასასურველი სიტყვების მოსმენით გამოწვეული დისკომფორტი კი ყველა იმ დეპუტატმა და ხელისუფალმა უნდა აიტანოს, რომლებიც საკუთარ ხალხს აბუჩად იგდებენ...*

— ბატონო სოსო, როდესაც პარლამენტარებს მანდატის დატოვებისკენ მოუწოდებდით, ფიქრობდით, რომ ისინი ამ მოწოდებას გაიზიარებდნენ?

— ილუზიების ტყვეობაში არ ვართ და არ ვფიქრობდით, რომ პარლამენტარები მეორე დღესვე დაიწყებდნენ განცხადებების წერას. ჩვენ ამ მოწოდებით, გვინდოდა, საზოგადოების ყურადღება გაგვემახვილებინა იმ ფაქტზე, რომ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები დაკისრებულ მოვალეობას არ ასრულებენ, მაგრამ ხელფასს მაინც იღებენ. უკვე მესამე თვეა, პარლამენტში პლენარული სხდომები არ იმართება, მთავრობა კი იატაკქვეშა მოძრაობაზეა გადასული და ქართველ ხალხს ხან ქვეყნის ზღვისპირეთში ემალება, ხან — უცხოეთში.

— თქვენი აზრით, დღევანდელ პირობებში, რამდენად შესაძლებელია დემოკრატიული არჩევნების ჩატარება?

— დღეს დემოკრატიული არჩევნების პერსპექტივა ნულის ტოლია, მაგრამ ახალი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება ნიშნავს წინსწრებად, ადეკვატური საარჩევნო გარემოს შექმნას. სხვათა შორის, ლევან ვეფხვაძე მართალს ბრძანებს, რომ დღეს ჩატარებული არჩევნებით, ისეთივე შედეგს მივიღებთ, როგორიც შარშან მაისში მივიღეთ. ძალიან თამამი აღიარებაა მისი მხრიდან: ე.ი. ადასტურებს, რომ ის და მისი პოლიტიკური გუნდი პარლამენტში უკანონო არჩევნების შედეგად მოვიდნენ. ჩვენი მოწოდების მიზანი, საქმის კურსში საზოგადოების ჩაყენებასთან ერთად, პარლამენტართა მოქალაქეობრივი ღირსების შეფასებაც გახლავთ და იმის მცდელობაც, რომ ხელისუფლებას საარჩევნო გარემოს შეცვლისკენ ვუბიძგოთ.

— საზოგადოების დიდი ნაწილი, რომელსაც სააკაშვილის ხელისუფლება არ მოსწონს და ვადამდელი არჩევნების მომხრეა, ამბობს, რომ ვერც სხვა ღირსეულ კანდიდატს ხედავს. ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს ოპოზიციის არასწორი პოლიტიკის შედეგია?

— ვინც ასეთი დილემის წინაშე დგას, აიღოს ფურცელი, ერთ მხარეს დაწეროს დღევანდელი პრეზიდენტის გვარი, მეორე მხარეს კი — შესაძლო კანდიდატების გვარები და თავად იმსჯელოს, რომელს სჯობია დღევანდელი პრეზიდენტი და რომელს — არა...

— დღევანდელ კანდიდატებს შორის, ნამდვილად არიან ისეთი პიროვნებები, რომლებიც საზოგადოების გაღიზიანებას იწვევენ...

— კი, მაგრამ საზოგადოებას ამის არ უნდა შეეშინდეს: დემოკრატიული საპრეზიდენტო არჩევნების შემთხვევაში, ასეთი პოლიტიკური პერსონები გამარჯვებას ვერ მიაღწევენ. შეიძლება, იმის მომსწრენიც გავხდეთ, თუ როგორ ჩამორჩება წინ წასული მელა...

— როგორ ფიქრობთ — რისთვის დასჭირდა პრეზიდენტს ლევან გაჩეჩილაძესთან შეხვედრა?

— ეს, ხელისუფლების მხრიდან, არასერიოზული ნაბიჯი იყო. ოპოზიციის მხრიდან რამდენიმეპუნქტიანი შეთავაზება ხელისუფლებამ კომენტარის ღირსადაც არ მიიჩნია. ამ შეხვედრის ერთადერთი მიზეზი გახლდათ ის, რომ პრეზიდენტს სურდა, მაღალი რანგის სტუმრისთვის დაენახვებინა, თითქოს ოპოზიციასთან დიალოგის პროცესი არ შეწყვეტილა. გარდა ამისა, ეს ნაბიჯი ლევან გაჩეჩილაძის დისკრედიტაციასაც ემსახურება: ხელისუფლება გრძნობს, რომ ძმებ გაჩეჩილაძეებს საკმაოდ მაღალი რეიტინგი აქვთ. სააკაშვილი-გაჩეჩილაძის შეხვედრამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ დემოკრატიის ტაღღებზე საუბარი მხოლოდ ფიქციაა.

— „ექსპერტთა კლუბის“ მიერ გაკეთებულ კრიტიკულ განცხადებებს ხელისუფლების წარმომადგენლები თქვენი ოპოზიციური განწყობილებით ხსნიან. მართლაც, ხომ არ განვიცდით ობიექტურ, მიუკერძოებელ ექსპერტთა დეფიციტს?

— ჩვენ ოპოზიციონერები კი არა, კრიტიკულად განწყობილი რეალისტები ვართ და ჩვენი განწყობილება არ იცვლება, ქვეყნის ხელისუფლების შეცვლასთან ერთად. როდესაც ხელისუფლების წარმომადგენლებს საკუთარი შვილი ჰკითხავს, — მამა, ხალხი, რომელიც ხელფასს გიხდის, შენი სამსახურით უკმაყოფილოა და რას აპირებო? — მათ შეუძლიათ უპასუხონ: ადამიანები, რომლებიც ასე ლაპარაკობენ, ოპოზიციურად არიან განწყობილნი და იმათ არ დაუჯერო, შვილოო, — დანარჩენი საზოგადოებისათვის ასეთი პასუხი მისაღები ვერ იქნება... ■

ზლაპრული მოგზაურობა, რომელიც ქრისტინე იმედაძეს პუტინმა აიტაცა და

ლალი ფაცია

გასულ კვირას, თქვენი მონამორჩილი და ამ რუბრიკის ახლანდელი სტუმრები, შოუბიზნესისა და პრესის სხვა წარმომადგენლებთან ერთად, მაია ასათიანის გადაცემაში გახლდით მიწვეულები... „ევროვიზიის“ კონკურსის სკანდალთან დაკავშირებული მომღერლის — ქრისტინე იმედაძის იქ გამოჩენისთანავე, რომელიც სულ რამდენიმე დღის დაბრუნებულია ევროპის საგასტროლო ტურნედან, კითხვები გამიჩნდა. ამიტომაც გადაცემის ჩაწერისას, კულისებში მასთან გასაუბრებაც შევძელი.

მრავალშვილიანი საოჯახო ღვინიაშვილი და ცხოვრება მანჩესტერში

ჟურნალისტი – ქრისტინე იმედაძე
რესპონდენტი – სალომე ღვინიაშვილი

— ქრისტინე, ის ერთი ფრაზა — „არ გვინდა პუტინი“ — მაინც რა აკვიატება იყო?

— იმ ერთმა ფრაზამ გამოიწვია ეს ამბავი. ის რომ არ ყოფილიყო, ვინ გაგვიცნობდა ევროპაში?

— მოკლედ, თქვენს სიმღერას მაგარი პიარი გაუკეთდა...

— დიახ, და ყველა ინტერვიუში პუტინსა და მის პრესსპიკერს მადლობას ვუხდიდი. ჩვენი სახსრებით ამხელა პიარის გაკეთებას ნამდვილად, ვერ შევძლებდით. ამისთვის უზარმაზარი თანხა დაგვჭირდებოდა. ამიტომ, ყველა ინტერვიუს ბოლოს, პუტინს მადლობას ვუხდი.

— პირადადაც გადაუხდი, თუ ოდესმე მასთან შეხვედრის შანსი მოგეცემა?

— თუ ოდესმე ამის საშუალება მომეცემა, აუცილებლად ვეტყვი მადლობას...

— იმედი გაქვს, რომ თქვენი პირისპირ შეხვედრა მშვიდობიანად ჩაივლის?

— რა გგონია, მართლა ძალიან გაბრაზებულია?! დარწმუნებული ვარ, ჩვენი სიმღერა კაბინეტში აქვს და ხანდახან მისი მოსმენით ერთობა კიდეც. არც ისე გაბრაზებულია, როგორც ჩანს. პუტინი, მედვედევი და მისი პრესსპიკერები ამ სიმღერაზე ალბათ — ერთობიან.

ამ ბლიცინტერვიუს შემდეგ, ქრისტინესთან კითხვები მოდელ სალომე ღვინიაშვილსაც ჰქონდა, რომელიც აგრეთვე ახალი ჩამოსულია მანჩესტერიდან, ის ხომ იქ ოჯახთან ერთად ცხოვრობს... ჰოდა, მათ ერთმანეთისთვის მეტი კითხვის დასმის საშუალება რომ ჰქონოდათ, მეორე დღეს ისინი ჩვენს რუბრიკაში მოვიწვიე.

— ხანდახან ასეთი ლამაზი, მოდელი ცოლი რომ ჰყავს, სურვილი არ უჩნდება, შენთან ერთად რაიმე რეკლამაში გადაიღოს?

— ამაზე არც ერთი არ დავფიქრებულვართ. რაღაც კარგი რამ მითხარი. მგონი, ეს იდეა ვიღაცას უნდა შევაპაროთ...

— ახლა შენს შვილებზე მელაპარაკე.

— დათუნა უკვე დიდი ბიჭია. მეორე კლასში გადავიდა. ფეხბურთზე მივიყვანეთ, მაგრამ რაღაც არ გამოუვიდა და გამოვიყვანეთ. ტასუნა აგვისტოში სამი წლის ხდება და ოჯახში ყველაზე ჭკვიანია. ნიტა ჯერ ძალიან პატარაა, რვა თვის არის...

— ტასუნას ბალეტზე შეყვანა არ გინდა?

— მე მშობლებმა ბალეტზე ცოტა ხანს მატარეს, მერე გამომიყვანეს და სპორტსკოლაში შემიყვანეს. ამიტომაც ბალეტზე სიარული ბავშვობიდან დღემდე — ჩემი ოცნებაა. ტასუნას ბალეტზე აუცილებლად მივიყვან.

— თქვენი ოჯახის ახლანდელი, თბილისური არდადეგები რამდენ ხანს გასტანს?

— სავარაუდოდ, ერთი თვე. მერე ხიზანამ საფეხბურთო გუნდი უნდა შეიცვალოს. ამის გამო, შეიძლება, სხვა ქვეყანაში გადაბარგებამ მოგვიწიოს.

— სავარაუდოდ სად?

— ალბათ, თურქეთში.

— კარგია, უფრო ახლოს იქნები.

მგონი, მანჩესტერში რაღაც სასწავლებელშიც სწავლობდი, არა?

— კი, 6 თვე ფეშენ-დიზაინის განხრით ვისწავლე, მაგრამ იმის გამო, რომ ცოტა რთული ფეხმძიმობა მქონდა, სასწავლებელში სიარულიც ვეღარ შევძელი. თან ბევრი სამეცადინო მქონდა. ახლა სადაც წავალთ, სექტემბრიდან ისევ მინდა, რომ იქ სწავლა გავაგრძელო.

— მახსოვს, რაღაც გეგმებიც გქონდა — შენი სალონის გახსნა გინდოდა...

— კი, მინდა, საკუთარი სალონი მქონდეს, რადგანაც პროფესიით დიზაინერი ვარ. მაგრამ იმის გამო, რომ ჯერ არ ვიცი, სად დავბინავდებით, ეს გეგმა ფერხდება.

— ანუ სანამ შენი მეუღლე აქტიურ სპორტშია და ფეხბურთს თამაშობს, ეს საქმე არ გამოგდის.

— კი, და ჯერ არც ვჩქარობ. მერე საბოლოოდ სადაც დავბინავდებით, იქ დავიწყებ ჩემს საქმეს. მინდა, ტანსაცმლის საკუთარი ხაზი მქონდეს და პატარა მაღაზია.

— მანჩესტერში არ გქონდა საშუალება, ცნობილ დიზაინერთან პრაქტიკა გაგეგლო?

— იქ სასწავლებელს რომ ამთავრებ, სამუშაოდ თვითონ განაწილებენ, მაგრამ ხომ გითხარი, სწავლა ამჯერად ბოლომდე ვერ მივიყვანე და ამიტომაც შემეშალა ხელი.

— სალომე, იქაური (ინგლისი) და აქაური ცხოვრების სტილზე რომ ვისაუბროთ, რა განსხვავებაა?

— ფაქტია, რომ მანჩესტერში სხვა ცხოვრებაა, ჩვენგან აბსოლუტურად განსხვავებული. იქ მთელი კვირა მუშაობენ და შაბათ-კვირას მართლაც რომ ისვენებენ, ერთობიან. მაგრამ ბოლო დროს აქაც ვატყობ, რომ ნელ-ნელა შემოდის ასეთი ტენდენცია...

— აქ რომ ჩამოდიხარ, თუ მონაწილეობ რაიმე ჩვენებაში?

— კი, მაგრამ აქ მნიშვნელოვანი არაფერი ხდება. თან ჩვენთან მოდელობა იოლია. იქ თუ ეს პროფესია აირჩიე, ამისთვის ყველაფერი გვერდზე უნდა გადადო...

— ახლა შენი გეგმები გაგვაცანი.

— ცოტა ხანში მთელი ოჯახი დასასვენებლად თურქეთში მივდივართ. რომ დავბრუნდებით, მერე მე და ხიზანა დასასვენებლად მარტოები წავალთ. მოკლედ, უნდა დავისვენოთ. ეს თვე მაქსიმალურად გამოვიყენოთ. იმის გამო, რომ ხიზანას საკმაოდ დატვირთული რეჟიმი აქვს, მისთვის დასვენება აუცილებელია.

— ძალიან მიყვარს თქვენი წყვილი და ყველაფერს საუკეთესოს გისურვებთ.

ჟურნალისტი – სალომე ღვინიაშვილი
რესპონდენტი – ქრისტინე იმედაძე

— მინდა, რომ ჯერ შენს შვილზე მელაპარაკო, იმაზეც — როგორი დედა ხარ...

— რომ ვთქვა, შესანიშნავი დედა ვარ-მეთქი, ძალიან ხმამაღალი ნათქვამი იქნება, რადგანაც ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, ბავშვს ყურადღებას ვაკლებ. თუმცა სულ ვცდილობ, რომ თავისუფალი დრო მაქსიმალურად ტაისიასთან ერთად გავატარო. ძალიან მხიარული და კონტაქტური ბავშვია. ახლა, წასული რომ ვიყავი, ვიტანჯებოდი, მას რომ ვერ ვხედავდი. ჩემი მეგობრები მეუბნებოდნენ, უცხო ხალხს ეკითხება — დედა სად არისო? ამას რომ ვიგებდი, მეცოდებოდა, გული მეწვებოდა, მაგრამ რა ვქნა? პროფესიაც ხომ ჩემი ცხოვრების შემადგენელი ნაწილია?!

— დარწმუნებული ვარ, შენ შვილი ცოტა ხანში დედის პროფესიით ძალიან იამაყებს...

— ორი წლის ხდება. რუსულად და ქართულად — ორივე ენაზე თანაბრად მეტყველებს. რუსი ძიძა გვყავს და ამის ბრალია. ჩემს სიმღერებს ცნობს. იმ სიმღერებშიც კი, სადაც ოთხნი (ჯგუფი „სტეფანე და სამი გოგო“) ვმღერით, ჩემს პარტიებს გამოარჩევს: ეს დედაა, — ამბობს. თუ ტელევიზორში დამინახა, უხარია.

— თავისუფალ დროს მას ვუთმობო, მითხარი. სად დაგყავს?

— ტაისია ჩემ გარეშეც დაჰყავთ კუს ტბაზე, მაგრამ მეც, როცა თავისუფალი ვარ, კუს ტბაზე ამყავს. სულ იმას ვცდილობ, ბავშვი ჰაერზე დიდხანს იყოს. ხანდახან კაფეში ერთად დავდივართ, სტუმრადაც დამყავს. ყველგან, როგორც საკუთარ სახლში, თავს ისე გრძნობს, ძალიან კარგად ერთობა. ხშირად დაბადების დღეებზე ეპატიჟებიან.

— ნანახი მყავს შენი შვილი. მართლაც ლამაზი და საყვარელი გოგოა...

— სადაც მიდის, ისე ემთხვევა, რომ ყველაზე პატარაა ხოლმე და ყურადღების ცენტრში ექცევა. არ არის პრეტენზიული და უხასიათო, უცხოობა არ იცის და ყველასთან მიდის. მე თუ ვერ ვახერხებ სადმე მის წაყვანას, ჩემს მეგობრებს ან თავის ნათლიებს მიჰყავთ. ყველას მიჰყვება, დამოუკიდებელია.

— ვინ გინდა, რომ გამოვიდეს — ბალერინა თუ მომღერალი?

— ბალეტი ძალიან დიდ შრომას მოითხოვს და არ არსებობს, ვინმეს დააძალო, გინდა თუ არა, ბალერინა უნდა გამოხვიდეო. იმედი მაქვს, ტაისიას მონაცემები ექნება. ბალეტზე შევიყვან და მერე თვითონ გადაწყვიტოს. მინდა, რომ კარგად მღეროდეს, უკრავდეს, ყველაფერი იცოდეს. მაგრამ ვერ ვიტყვი, მისი მომღერლობა მინდა-მეთქი.

— რატომ? თუ მონაცემი ექნება?

— თუ კარგი მონაცემი ექნება, ალბათ მხოლოდ ამ შემთხვევაში დავთანხმდები. ისე კი, მინდა, რომ კლასიკას გაჰყვეს. ბებიაჩემი ამბობს, ბავშვს ქრისტინეზე კარგი სმენა და ხმა აქვსო. საერთოდ მიმაჩნია, რომ გოგონამ ბალეტზე აუცილებლად უნდა იაროს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მან ბალეტის სკოლა გაიაროს, რადგანაც იქ ბევრ ისეთ დეტალს სწავლობ, რაც ცხოვრებაში გამოადგება.

— მაინც რას?

— ამის დაწვრილებით მოყოლა ძნელია, მაგრამ იქ ბევრი სირთულეა. თან, მე საბალეტო სკოლაში მონაკოში ვსწავლობდი. იქ საკმაოდ მცირე ასაკში არაერთი წინააღმდეგობის დაძლევა მომიხდა. მას მერე, ცხოვრებაში ბევრი წვრილმანი აღარ მაკვირვებს და ყველაფრისთვის მზად ვარ. ბალეტის პედაგოგები მკაცრები არიან. არასდროს შეგაქებენ. ეს შეიძლება, ბავშვის ფსიქიკაზე ცუდადაც მოქმედებს, კომპლექსებს აჩენს, მაგრამ ჩემს ცხოვრებაში ამ სკოლამ დადებითი როლი ითამაშა... ტრავმა რომ არ მიმეღო, ბალეტს გავყვებოდი. ბებიაჩემი მეუბნება, რომ მოგენდომებინა, ცალი ფეხითაც იცეკვებდიო, მაგრამ არც ასეა საქმე...

— ახლა მომიყევი შენი ვოიაჟის შესახებ ევროპაში იმ ჯგუფთან ერთად, რომელსაც „სტეფანე და სამი გოგო“ ჰქვია. ძალიან ამაყი ვიყავი, როდესაც სახლში, მანჩესტერში ვიჯექი, ტელევიზორს ვუყურებდი და BBC NEWS-ზე უეცრად, პირდაპირ ეთერში, „სტეფანე და სამი გოგო“ გამოჩნდა. სტუდიაში ისხედით და თქვენი ახალი კლიპის შესახებ საუბრობდით. ძალიან გამიხარდა, რომ იმწუთას მთელი მსოფლიო გიყურებდათ...

— ვიყავით ევროპის ბევრ ქვეყანასა თუ ქალაქში. კონცერტები ძირითადად, კლუბებში გვქონდა. ინტერვიუებს ვაძლევდით წამყვან ჟურნალებსა და ტელევიზიებს. მილანში, მადრიდსა და ბარსელონაში ტელეკომპანიებიდან რომ გამოვდიოდით, ადამიანები ჩვენთან ფოტოებს იღებდნენ. თბილისში შევეგუე იმას, რომ მცნობენ და შეიძლება, ვიღაც მოვიდეს და ჩემთან ფოტო გადაიღოს, მაგრამ მილანში ნამდვილად, ძნელი წარმოსადგენი იყო ეს. თავი სიზმარში მეგონა, როდესაც გვეუბნებოდნენ: დღეს რაღაც ჩარტებში მეორე ადგილი დაიკავეთო; როდესაც „გარდიანის“ ფურცლებზე ჩვენი საქებარი სტატია დაიბეჭდა, ის ჟურნალისტი ამბობდა: დღეს ბრიტნი სპირსმა კლიპი გადაიღო და ამდენს იმაზე არ ლაპარაკობენ, რამდენსაც თქვენზეო. კორესპონდენტმა პარიზში გვითხრა, რომ კლუბებში თქვენს სიმღერას სიამოვნებით უსმენენო. ვიღაცამ ისიც გვითხრა, მოსკოვში სტუდიებშიც აჟღერებენ თქვენს ნამუშევარსო...

— არადა, მოსკოვში თქვენი გაშვება არ უნდოდათ...

— ...ხალხს ძალიან მოსწონს ეს სიმღერა და გეტყვი, რომ მასზე კიდევ ბევრად უკეთესი სიმღერები ჩაწერეთ...

— თბილისში კონცერტის გამართვას არ აპირებთ?

— აუცილებლად. ახლა ცოტას დავისვენებთ და კონცერტი გვექნება. ევროპაში 45-დღიანი, საოცრად დატვირთული ტურნე გვქონდა. ის იყო, რომ ორი დღით „ალტერვიზიისთვის“ თბილისში ჩამოსვლამ მოგვიწია.

— ქრისტინე, როდესაც ამ სიმღერის გამო თქვენი ჯგუფის მისამართით სალანძღავი სიტყვების ნიაღვარი მოდიოდა, პირადად შენ რას განიცდიდი?

— ქართველი ხალხისგან ლანძღვას

შევეჩვიე... ისე, უცნაურია, საზღვარგარეთ როგორც კი გაღიარებენ, მაშინ იწყება — აი, ხედავ, როგორ გვასახელაო! აქ მანამდე არ დაგაფასებენ, სანამ უცხოეთში არ გაღიარეს...

— როდესაც ეს სიმღერა ჩაიწერა, რამდენად რეალური იყო ფინალამდე მისი დაუბლოკავად გასვლისა და მოსკოვში თქვენი მშვიდობიანად ჩასვლის შანსი?

— მიუხედავად იმისა, რომ ვერც ერთ შანსს ვერ ვხედავდით, რომ შეიძლებოდა, მოსკოვში ჩავსულიყავით, მე მაინც ბოლომდე იქ გამგზავრებაზე ვოცნებობდი. ჩვენგან ყველაზე მეტად ნინის ეშინოდა, რადგანაც ლაპარაკობდნენ, რომ იქ სკინჰედები დაგვხვდებოდნენ და ის ამის გაგონებაზე ძალიან ფრთხებოდა. ჩაწერაზე, რეპეტიციაზე ვაწყნარებდით, მერე სახლში რომ მიდიოდა, ურეკავდნენ მეგობრები და ეუბნებოდნენ, არ წახვიდეთ, საშიშიაო. ნინი ისევ იწყებდა ტირილს... მე კი მხნედ ვიყავი და ახლაც ვამბობ, რომ ბოლომდე მინდოდა ჩასვლა.

— როგორ გგონია, საფრთხის შემცველი არ იყო თქვენი მოსკოვში ჩასვლა?

— როგორ არ იყო?! მით უმეტეს, რომ მოსკოველი დაცვის თანამშრომლები პირადად ჩვენს დაცვაზე უარს აცხადებდნენ. ჩვენ პირველი ჯგუფი ვართ, ვინც დისკვალიფიკაცია მიიღო... მადრიდში, ძალიან მაგარ ჟურნალისტთან, მაგარ რადიოში ვიყავით მიწვეულები, შესანიშნავი ინტერვიუ გვქონდა. იქიდან პრომოუტერთან ერთად რომ გამოვედით, უეცრად რუსი ქალბატონი მოგვვარდა, ახლა შემთხვევით გავიგონე თქვენი ხმა და ჩემთან უნდა წამობრძანდეთ, ჟურნალისტი ვარ, თქვენთან ინტერვიუ უნდა ჩავწეროო. მე, ნინი და სტეფანე ვიყავით. იმწუთას თაკო არ გვახლდა. 8 წელია, აქ ვცხოვრობ და ჩემი გადაცემა რუსეთის ერთ-ერთ რადიოსიხშირეზე გადისო. მას საუბრისას ასეთი რამ წამოსცდა: რუსულმა მთავრობამ რომ დაგბლოკათო... ეს ნათქვამი დავიჭირე და იქვე ვუთხარი, მეგონა, „იბიუმ“ დაგვბლოკა, როგორც თქვენ ამბობთ, თურმე რუსეთის მთავრობას დავუბლოკივართ-მეთქი. ხასიათი გავუფუჭე, მაგრამ თავი ისე დაიჭირა, არც შეუმჩნევია. ბოლოს გვითხრა: მე ერთი ქართული სიმღერა ვიცი და ვგიჟდები მასზე; ამასთან, ქართველი ხალხიც მიყვარსო. ჩვენც ძალიან გვიყვარს რუსები-თქო, — ვუთხარით. პირადად მე რუსეთში უამრავი მეგობარი მყავს და შეიძლება ითქვას, რომ ბავშვობა მოსკოვში მაქვს გატარებული. დღემდე ვმეგობრობ მათთან და ვგიჟდები მოსკოვზე, მაგრამ რა გავაკეთო, რომ აგვისტოში რუსეთმა საქართველო დაბომბა და სიცოცხლე გაგვიმწარა-მეთქი?.. მერე გავარკვიეთ, თუ რომელი იყო იმ ქალის საყვარელი ქართული სიმღერა და სამ ხმაში „სულიკო“ ვუმღერეთ. ტიროდა. ბოლოს ინტერვიუ ისე დაამთავრა, რომ მეც მეტირებოდა. თქვენს სიმღერაზე გამახსენდა მთელი ჩემი ახალგაზრდობა, საქართველოში ნამყოფი ვარ და კარგის მეტი არაფერი მახსოვსო...

— რამდენიმე კლიპი გაქვთ გადაღებული?

— არა, ჯერ ერთი და რომ არ მოგატყუო, დიდად კმაყოფილი არ ვარ. ლონდონში გადავიღეთ. არც ისე ცუდია, მაგრამ მე არ მომწონს.

— სამომავლო გეგმებზეც მელაპარაკე...

— სულ 6 სიმღერა ჩავწერეთ. უნდა აღვნიშნო, რომ სტეფანე მსოფლიოში ყველაზე ნიჭიერი ადამიანია. ტურნეს დაწყებამდე 10 დღეში 6 სიმღერა დაწერა, რომელზეც — არც მეტი — არც ნაკლები — მთელი ევროპა გიჟდება! სადაც ვიმღერეთ, ყველგან მოეწონათ. ამ სიმღერაზე იქაური პროდიუსერებიც გადარეულები არიან. ტექსტებს მე და თაკო ვწერდით, კახუჩელას მეუღლეც გვეხმარებოდა, ინგლისური ენა კარგად იცის. ასე რომ, სტეფანემ ათენა და ათენა ღამეები. ფონოგრამები კოტე ნონიკოვს გააკეთებინა... სტეფანეს კიდევ 6 სიმღერა აქვს გასაკეთებელი და რამდენადაც ვიცი, ეს სიმღერები ბენდთან ერთად უნდა ვიმღეროთ. შემდეგი ტურნესთვის 45-წუთიანი ცოცხალი კონცერტი უნდა მომზადდეს...

— როდის გაიმართება შემდეგი ტურნე?

— მგონი, სექტემბრისთვის.

— ვინ არის თქვენი იქაური მასპინძელი თუ პროდიუსერი?

— სტივენ ბადი, ვინც აქ იყო „ევროვიზიის“ შესარჩევ ტურზე ჟიურიში. მან რა დღიდანაც მოგვისმინა, გაგიჟდა. არადა, მას ბევრ კარგ მომღერალთან უმუშავია, თვით მადონასთანაც. ტურნეს დროს ძალიან მძიმე სამუშაო რეჟიმი გვქონდა. ყოველ ორ საათში იყო ინტერვიუ, ზოგჯერ ინტერვიუმდე საათნახევრის გზა გვქონდა გასავლელი. მაგრამ ამ ყველაფრისგან, პირადად მე, დიდი გამოცდილება მივიღე. ან ის რად ღირს, თაკო გაჩეჩილაძეს ადამიანი დანიშნულების ადგილზე თავის დროზე მისვლას რომ ასწავლის? ყველგან აგვიანებს. ასე რომ, ვისაც რა მინუსები გვქონდა, იმ რეჟიმის წყალობით, გამოსწორება დაგვეტყო. არადა, ყველაფერი წამი-წამში იყო გაწერილი. ზებუნებრივი ძალა უნდა მქონოდა, რომ ის საქმე პაუზების გარეშე გამეკეთებიანა. დილის 6 საათზე ვიღვიძებდით, პირდაპირ ეთერში მივდიოდით, იქიდან სასტუმროში რომ ვბრუნდებოდით, ყავის დალევის საშუალებაც კი არ გვქონდა — რა დროს ყავაა, ინტერვიუ იწყება, ჭამისთვის ერთი საათი გეძნებათო. არადა, იმ ერთ საათში, მარტო 40 წუთი შეკვეთას ველოდებოდით. ბოლოს ისეთი დაძაბულები ვიყავით, რომ ერთმანეთს ვეუბნებოდით, ახლა მოვიკრიბოთ ძალები, რომ არაფერზე ვიჩხუბოთ-თქო. დასვენების საათებიც რომ გვქონდა, მაშინაც კი კამერა დაგვყვებოდა. ამით რომც დამთავრდეს ყველაფერი, ჩემი ცხოვრებით უკვე კმაყოფილი ვარ. ცოტა ხანში, ფილმად გამოვა ეს ჩვენი საოცარი, ზღაპრული ტურნე და მას მაყურებელი ნახავს.

— წარმატებები მინდა გისურვო შენც და შენს ჯგუფსაც.

■

„ჩემი ოცნებაა, პოლიტიკოსებმა პოლიტიკა გააადამიანურონ“, — ეს სიტყვები მწერალ გურამ ოდიშარიას ეკუთვნის — კაცს, რომელიც არა მარტო ამბობს, არამედ თავად იღვწის ამ ოცნების ასასრულებლად... ამ ცოტა ხნის წინ ბატონი გურამის ახალი წიგნის — „სათვალიანი ბომბის“ პრეზენტაციაზე გახლდით. „კავკასიური სახლის“ მოცრო დარბაზში ბევრი ისაუბრეს მწერლის შემოქმედებაზე, რომელიც ორი მოძმე ერის — ქართველთა და აფხაზთა დაახლოების კეთილშობილურ საქმეს ემსახურება. ამ მისიის კიდევ ერთ გამოხატულებად, დედასამშობლოსგან მოწყვეტილ აფხაზეთში ბატონი გურამის ამასწინანდელი სტუმრობაც იქცა და, ბუნებრივია, მშობლიურ ქალაქში ნანახგანცდილის შესახებ შთაბეჭდილებების გაზიარება ვთხოვეთ.

ირმა ხარშილაძე

— ამ გართულებულ, დაძაბულ ვითარებაში როგორ აღმოჩნდით სოხუმში?

— გახსოვთ, ალბათ, რომ ომის დამთავრების შემდეგ პირველად 5 წლის წინ ჩავედი სოხუმში. ეს ჩემი მეორე სტუმრობა იყო მშობლიურ ქალაქში. მართლა გასაოცარი რამ მოხდა, რომ ასეთ ვითარებაში მოვახერხე ჩასვლა. ზოგიერთს — იქ არ მოეწონა ჩემი სტუმრობა, ზოგიერთს — აქ. ამჯერადაც ჩემი ბავშვობის მეგობრებმა დამპატიჟეს. მამა ომამდე გარდამეცვალა და სოხუმშია დასაფლავებული. ჩემმა აფხაზმა მეგობრებმა მითხრეს, — ჩამოდი, რომ კოლია ძიას — მამაჩემს გულისხმობდნენ — საფლავზე გავიდეთო. თანაც, შარშან კორეაში გაეროს ერთ-ერთმა ქვედანაყოფმა — მშვიდობის გლობალურმა ფედერაციამ მშვიდობის ელჩის სტატუსი მომანიჭა. ასე რომ, ამჯერად გაეროს ეგიდით წავედი და გაეროს თვითმფრინავით ჩავფრინდი ბათუმამდე, შემდეგ კი გაეროს ვერტმფრენით, ბათუმიდან — სოხუმში, ბაბუშერის აეროპორტში. გარდა ამისა, არსებობს ორ ხალხს შორის ურთიერთობის უნიკალური სისტემა ანუ — ქართულ-აფხაზური კომისია, რომელსაც ზურაბ ლაკერბაია ხელმძღვანელობს და ჩემი გამგზავრების დროსა და დეტალებს სწორედ მან გაუწია ორგანიზება. მარტო არ გავმგზავრებულვარ სოხუმში — ჩემგან დამოუკიდებლად, თბილისიდანვე ჩემთან ერთად იმგზავრა საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთის — „აბხაზსკი მერიდიან“ — რედაქტორმა, ჟურნალისტმა დევი ფუტკარაძემ, რომელიც ამ წლების განმავლობაში პირველად მოხვდა სოხუმში. დავბინავდით სასტუმროში, რომელიც სოხუმის დენდროპარკში მდებარეობს. რა თქმა უნდა, შემეძლო ჩემს მეგობრებთანაც დავრჩენილიყავი, მაგრამ დევის ვერ მივატოვებდი — ამ შემთხვევაში „სტუმარი-მასპინძლის“ სტატუსი უფრო მქონდა (*იცინის*).

„ჩვენ და აფხაზებს ხომ გენეტიკური მახსოვრობის უზარმაზარი მარაგი გვაქვს“

— ბოლოს და ბოლოს, გაიარეთ თქვენს სახლთან?

— ამჯერად შორიახლოს გავიარე. მეუბნებოდნენ, გაგიჭირდებაო, მაგრამ ყველას ვუთხარი, რომ ჩემთვის მთავარი ის სახლი კი არა, ჩვენი ურთიერთობა იყო.

— ბატონო გურამ, როგორ დაგხვდათ 2009 წლის სოხუმი?

— პირველად, ულალი კატა შემომეგება — ცხოველები გრძნობენ ადამიანების კეთილგანწყობას (*იცინის*). რასაკვირველია, ჩემი მონატრებული მეგობრები დამხვდნენ, გზადაგზა უცნობ ადამიანებსაც ვხვდებოდი და გაოცებული და ბედნიერი ვიყავი, როდესაც მეუბნებოდნენ, რომ ჩემს ნაწარმოებებს კითხულობდნენ, ბოლო პერიოდში გამოცემული „პრეზიდენტის კატაც“ კი წაეკითხათ, DVD-ზე ჩაწერილი, თემურ ჩხეიძის მიერ სოხუმის ქართულ თეატრში დადგმული ჩემი პიესაც — „ზღვა, რომელიც შორია“ — ნანახი ჰქონდათ. ისიც მითხრეს, — მიუხედავად იმისა, რომ სპექტაკლში რამდენიმე საკამათო ადგილია, მაინც სიამოვნებით ვუყურეთო. აფხაზეთის უნივერსიტეტში მასობრივი ჩვენებები და დისკუსიებიც მოუწყვიათ.

— ანუ აფხაზეთის ხელისუფლება ხალხს ამ სპექტაკლის ნახვას არ უკრძალავს?

— თავდაპირველად, ასე ვთქვათ, იატაკქვეშეთში ნახულობდნენ, შემდეგ ერთ ლექტორ ქალბატონს უჩვენებია აფხაზეთის უნივერსიტეტში და პრობლემები არ შეჰქმნია. ამის შემდეგ მიხვდნენ, რომ ამ ტიპის ჩვენებები შესაძლებელი იყო. როგორც ჩანს, იქაც იმუშავა იმ ფაქტმა, რომ ქართველიც და აფხაზიც ამ სპექტაკლში თავის სატკივარსა და პრეტენზიას ამბობს და ამით ერთმანეთის გულში ჩახედვის საშუალება აქვთ. ამის დასტურად ერთ მაგალითს მოგიყვანთ: სპექტაკლში არის ეპიზოდი, როდესაც მორიგი წაკამათების შემდეგ უეცრად, აფხაზი ქართველს ეუბნება: სასაფლაოზე ვიყავი და მამაშენის საფლავი მოვინახულეო. მერე დასძენს, — ჩემებიც იქ არიან დასაფლავებულიო. ასეთი ძუნწი საუბარი ახასიათებთ აფხაზებს — მე კარგად ვიცნობ მათ ხასიათს. აფხაზეთში სპექტაკლის ნახვის შემდეგ ბევრ მეგობარს გულზე მოხვდა ეს სიტყვები, რომ იტყვიან, ემცხეთა და მახსოვს, შარშან, სექტემბერში მირეკავდნენ და მეუბნებოდნენ: სასაფლაოზე ვართ, ეკლესიასთან და მამაშენის საფლავს ვერ მივაგენითო... მე აქედან ვკარნახობდი, როგორ წასულიყვნენ და საბოლოოდ მიაგნეს. საბედნიეროდ, საფლავის ქვა ადგილზე დახვდათ, მხოლოდ ღობე იყო მოპარული. გაუსუფთავებიათ, ქვა გაუპრიალებიათ, ფოტოც გადაუღიათ და ინტერნეტით გამომიგზავნეს. დედაჩემს რომ ვაჩვენე, გაგიჟდა... მე კი ძალიან ბედნიერი კაცი ვარ, რომ ბევრი მეგობარი მყავს აფხაზიც და სხვა ეროვნებისაც და სხვაგვარად ვერც წარმომიდგენია — ქვეყანას, კაცს, ოჯახს თუ მტერი მეტი ჰყავს, ვიდრე — მეგობარი, ის უბედურია... ამ სპექტაკლის გამარჯვებაზე კიდევ მოგიყვანთ მაგალითს: ჩემი მეგობარი, მსახიობი დიმა ჯაიანი, რომელიც ქართველ პერსონაჟს განასახიერებს, ხშირად იმეორებს თავის გამოსვლებში, — ამ როლის შესრულებამდე, აფხაზებზე ბევრ ძვირს ვამბობდი, მაგრამ სპექტაკლმა ბევრი რამ სხვაგვარად შემაფასებინა და სხვა თვალით დამანახვაო. დიმა სოხუმელია და მწარე გამოსვლებს აფხაზებიც ვერ აპატიებდნენ, თუმცა სპექტაკლის შემდეგ მასში მტერი კი არა, უკვე მსახიობი დაინახეს და მისდამი დამოკიდებულებაც შეეცვალათ. სოხუმში ერთმა ახალგაზრდა აფხაზმა გოგონამ ისიც მიამბო, რომ ერთ-ერთი ჩვენებისას, ფინალური ეპიზოდის შემდეგ — როდესაც ქართველი დევნილი მეგრული სიტყვებით ეფერება მშობლიურ მიწას, ომში ქმარდაღუპულ აფხაზ ქალბატონს უთქვამს: აი, ქართველები რანი არიან — ჩვენი გასაჭირი და ტკივილი გამოამზეურეს და უფრო ადვილად გაგვაგებინეს თავიანთიო... ამის გარეშე ვერ ვიქნებით. როცა სოჭში ჩვენმა მსახიობებმა სპექტაკლი — „ზღვა, რომელიც შორია“ — ითამაშეს, სოჭის მერს — რუს მამაკაცს, რომელიც მანამდე საკმაოდ აგრესიულად გამოსულა, სპექტაკლის შემდეგ სიტყვა ვეღარ წარმოუთქვამს — ტირილი დაუწყია სცენაზე... სხვათა შორის, ერთ რამეს გიამბობთ, ჯერ არავისთვის მომიყოლია — სიმბოლური დამთხვევა მოხდა: 1997 წელს სწორედ იმ სასტუმროში — „უემჩუჟინაში“ გვქონდა აფხაზეთის დელეგაციასთან ერთ-ერთი პირველი ომის შემდგომი შეხვედრა, სადაც სოხუმის თეატრის მსახიობებმა ამ ცოტა ხნის წინ ანუ 2009 წელს ეს სპექტაკლი წარმოადგინეს. მაშინ იმ სასტუმროში აფხაზებმა მხოლოდ ჩემთან საუბარი ისურვეს და აღიარეს, რომ მათი მწერალიც ვიყავი. იქ ჩემი აფხაზი კოლეგა, მწერალი ბათალ კობახიაც იმყოფებოდა. სოხუმიდან მას არ ვიცნობდი. სასაუბროდ იმ კაფე-ბარში ჩავედით, რომელიც ჩვენმა მსახიობებმა სცენად გამოიყენეს. ბათალმა მიამბო, რომ ომის დროს მისი და დაღუპულა რუსულ ვერტმფრენში, რომელიც ქართველებს აუფეთქებიათ. 70-მდე მშვიდობიანი მოქალაქე ყოფილა იმ ვერტმფრენში... ბათალის დას, თურმე 7 წელი არ უჩნდებოდა შვილი და მაშინ ყოფილა ფეხმძიმედ... ბათალმა ისიც მიამბო, ბავშვობაში დასთან ერთად სოფელში ბაბუასთან რომ მიდიოდა და ავტობუსიდან ჩამოსულები შორიდან ბაბუის დარგულ დიდ ხეს რომ შეამჩნევდნენ, როგორ უხაროდათ — იცოდნენ, სახლთან ახლოს იყვნენ. დის დაღუპვის შემდეგ უჭირდა თურმე ბათალს იმ სოფელში ჩასვლა. ერთხელ უცდია, მაგრამ შორიდან ის ხე დაუნახავს თუ არა, უკან გაბრუნებულა. ბათალის მონათხრობი ჩემი სპექტაკლის ღერძად ვაქციე და ბოლოს, ქართველ გმირს ვათქმევინე აფხაზისთვის — ასტამურ, არ მოჭრა ის ხე-მეთქი. საოცარი არ არის, რომ საქართველოს გარეთ პირველივე სპექტაკლი სწორედ იმ კაფე-ბარში ითა-

გაგრაში, სასტუმრო „გაგრიფშთან“

მაშეს ჩვენებმა?!

— ფიქრობთ, რომ აფხაზებსა და ქართველებს ცოტათი გაუთბათ გულები ან ცოტათი მაინც გაიარა წყენამ?

— რაღაც დონეზე — კი. იცით, როგორ არის?.. პირველი მპატიებელი, სხვათა შორის, ყოველთვის მსხვერპლია, დიდი ტკივილის გადამტანი ადამიანია. იქ რამდენიმე ახალგაზრდა კაცს შევხვდით, ხელმოჭრილს, ფეხმოჭრილს, ტაქსის მძღოლი ვნახეთ ინვალიდი, რომელმაც გაიგო, რომ ქართველები ვიყავით და „კაკ ხოროშო, კაკ ხოროშოო“, — გვითხრა, მაგრამ ვერ გეტყვით, რას გულისხმობდა ამ სიტყვებში. მშვიდობიანად კი გვატარა და დამშვიდობებისას მანქანიდანაც გადმოვიდა... ერთ დღეს სოხუმის ბაზარშიც შევედით. ოფიციალურად ჩაცმულები ვიყავით, ჰალსტუხიც კი გვეკეთა, მოკლედ, ძახილის ნიშნებივით ვჩანდით (*იცინის*)... ბაზარი აშკარად უკეთესი გაუხდიათ, გაურემონტებიათ, მეგრული და ქართული ლაპარაკიც გავიგონე. მოვაჭრეებს ვეუცხოვეთ და გვაკვირდებოდნენ; როცა იგებდნენ, რომ ქართველები ვიყავით, საუკეთესო პროდუქტს გვთავაზობდნენ... რაღაცები ვიყიდე, აფხაზური აჯიკაც წამოვიღე და ტაქსით ვაპირებდით სტუმრად წასვლას. იქვე რამდენიმე ძველი „ჟიგული“ იდგა რიგში, მეხუთე თუ მეექვსე იყო ახალი „ვოლგა 31“. პირველივე ტაქსისთან მივედით, მაგრამ პატივისცემის ნიშნად, თვითონვე „მოგვართვეს“ ვოლგა, როგორც უფრო პრესტიჟული. არ იცოდნენ, რომ ქართველები ვიყავით, მაგრამ მოგვეჩვენა, რომ გუმანით ხვდებოდნენ. თითქოს 5 წლის წინანდელი აფხაზეთისგან განსხვავებული აფხაზეთი დამხვდა, თითქოს უფრო თვალნათლივ ჩანდა მისთვის დამახასიათებელი სტუმართმოყვარეობა, პატივისცემა... ადამიანური ურთიერთობა ყველას მოენატრა, დაიღალა ხალხი დაძაბულობით, ომით, მტრობით და საყრდენი ისევ ამ ურთიერთობებში მოძებნა. კოსმოსში ბევრი ცდა ჩაატარეს და კიდევ ბევრს ჩაატარებენ, მაგრამ ერთ-ერთმა განსაკუთრებით გამაოცა: მცენარის (მგონი, ია-იას) თესლი აიტანეს, პირობებიც შეუქმნეს; თესლი გაღივდა, ყვავილობის დროც მოუვიდა, მაგრამ ვერ იყვავილა. იმიტომ, რომ თავის ფესვებში გაიხლართა — მიზიდულობის ძალა არ ჰქონდა, დედამიწა არ ჰქონდა ახლოს. ადამიანიც ასე არ არის?.. თუ მას საყრდენი არა აქვს, თავის ფესვებში გაიხლართება და ვერ აყვავდება, ვერ იხეირებს, ვერ გაიხარებს. ასე, საყრდენდაკარგულები ვართ ქართველებიც და აფხაზებიც.

კონცერტების მუზეუმად ქცეული ბიჭვინთის მონასტერი, სადაც კვლავ უკრავს გერმანული ორგანი

— თქვენს პიესაში არის ფრაზა: მალე აფხაზეთში აფხაზურ სიტყვას ვერ გაიგონებთო. ამ მხრივ რა ვითარება დაგხვდათ?

— სხვათა შორის, სპექტაკლის სწორედ ეს ფრაზა ემწარათ აფხაზებსაც ყველაზე მეტად; ემწარათ, მაგრამ არ ეუცხოვათ, რადგანაც ამაზე თვითონაც ხშირად წერენ. ჩვენ და აფხაზები ბედით ერთმანეთს ვგავართ — ბევრი ქართველი წავიდა საზღვარგარეთ და იგივე დაემართათ აფხაზებს. როგორც ჩვენ გვყვანან „ახალი ქართველები“, ისე ჰყვანან მათ „ახალი აფხაზები“, რომლებიც ჩვენებივით, შინ დარჩენილებს ეხმარებიან. ბევრი ახალი შენობა ვნახე სოხუმსა თუ გაგრაში, ბევრი ახალი სასტუმრო აუშენებიათ. აქ მეკითხებოდნენ, აფხაზეთი ისევ გატიალებულია თუ ცოტათი გაალამაზესო? სიმართლე კი ისაა, რომ ბევრი შენობა აღუდგენიათ, ბევრიც აუშენებიათ. ძალიან ლამაზია ღამის სოხუმი, ლამპიონებითაა გაჩახჩახებული... კიდევ ერთი, თავდაცვითი მექანიზმი აქვთ შემუშავებული — ვერავინ იყიდის სახლს, შენობას, თუ აფხაზეთის მკვიდრი არ არის. თუ უცხოს უნდა ყიდვა, ის ეძებს ვიღაც ადგილობრივს, რომ იმის სახელით შეიძინოს, მაგრამ „იმის სახელით“ ყოველთვის არ ამართლებს ან რამდენს იპოვი, ვისი სახელითაც ყიდვას შეძლებ?.. ქუჩაში ძირითადად, აფხაზებს ვხედავდი. ვიცი, რომ თურქები ყიდულობენ და აშენებენ სასტუმროებს, სახლებს, მაგრამ ეს თურქებიც აფხაზეთის მკვიდრნი არიან, დროებით წასულები, უკან დაბრუნებას რომ ფიქრობენ, თუმცა ქუჩაში ისინი არ შემიმჩნევია. ამას წინათ, „ბენეტონის“ მაღაზიის გახსნას ხმაური რომ მოჰყვა, ძალიან დიდი „ჩინის“ ხალხი რომ აპროტესტებდა ჩვენთან ამ ამბავს, მათ კომპეტენციაში გაცილებით მნიშვნელოვანი საქმეების მოგვარებაა, თუნდაც აფხაზეთთან მიმართებაში და 30 კვადრატული მეტრისთვის ამ დონის ხალხი არ უნდა წუხდებოდეს. მაგალითად, ჩინური რესტორანიც არის სოხუმში, ჩინური საქონელიც იყიდება და გამოუცხადონ მაშინ ჩინეთსაც ომი. კიდევ, გაგრის მაღაზიებში შესანიშნავი ჩინური სუვენირები ვნახე გაგრიფშის, ჟოეკვარას და სხვა ადგილების გამოსახულებით. დავინტერესდი, — ასე ლამაზად ვინ დაამზადა-მეთქი? ამოვაბრუნე და წავიკითხე: „მეიდ ინ ჩაინა“. ასეა, კერძო ბიზნესს ვერ შეაჩერებ. სოხუმის ბაზარში ომის დროს გადახვეწილი ბოშებიც კი დაბრუნებულან და ვაჭრობენ — ეტყობა, მშვიდად გრძნობენ თავს.

— აფხაზები დამოუკიდებლად გრძნობენ თავს მას შემდეგ, რაც რუსებმა მათი დამოუკიდებლობა აღიარეს?

— პირველ რიგში, იგრძნობა, რომ მშვიდად არიან. ქართული მხარის თავდასხმის არ ეშინიათ. ადრე სულ ამბობდნენ, — ქართველები უომრად არ დათმობენ აფხაზეთსო, — ეშინოდათ, როცა ესმოდათ, როგორ ძლიერდებოდა ქართული არმია, ყოველ შემთხვევაში, ისინიც იმას ისმენდნენ, რაც ყველას გვესმოდა, მაგრამ აგვისტოს ამბებმა ბევრი რამ შეცვალა. ეს დამოუკიდებლობის აღიარებაც მათთვის მოულოდნელი აღმოჩნდა, მაგრამ უკვე აღარ ეშინიათ ქართველების თავდასხმის. ახალი საკურორტო სეზონისთვის ემზადებიან და ელოდებიან სტუმრებს, დამსვენებლებს, რომლებიც აფხაზეთში ფულს შემოიტანენ... მიხარია, რომ სოხუმი კვლავ გალამაზდა, მაგრამ მე — სოხუმელ კაცს გული მტკივა, რომ უჩემოდ ლამაზდება ჩემი მშობლიური ქალაქი... არ მინდა, ჩემი დაბრუნებით თუნდაც აგური დააკლდეს მას და მანამდეც მზად ვარ, მას ბევრი რამ შევმატო. ერთი ბავშვური იდეა მაქვს, ოღონდ არ ვიცი, როგორ განვახორციელებ — მინდა, ჩემს სახელზე სოხუმის ლამპიონში ერთი ნათურა ყოველთვის ენთოს, ამის განხორციელებაში კი ჩემი იქაური მეგობრები აუცილებლად დამეხმარებიან... ვხვდები, ძველი ნაბიჯებით სიარული აღარ შეიძლება, ახალი გზა და ნაბიჯები უნდა მოვძებნოთ.

— როგორ ფიქრობთ — შესაძლებელია, სოხუმის თეატრის სცენაზეც ითამაშონ სოხუმის ქართული თეატრის მსახიობებმა „ზღვა, რომელიც შორია“?

— წელს ალბათ შეუძლებელი იქნება, რადგან საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ემზადებიან. მაგრამ არარეალური ნამდვილად არ არის, ცოტა დრო უნდა გავიდეს — ჩვენ და აფხაზებს ხომ გენეტიკური მახსოვრობის უზარმაზარი მარაგი გვაქვს! ეს ბევრს ნიშნავს. ■

მამის საფლავთან

მედვედევისა და პუტინის საშვებულებო მარშრუტი

ტრადიციულად, რუსეთის პრეზიდენტისა და პრემიერის შვებულებებს სამუშაო შვებულებებად მოიხსენიებენ. მართლაც, მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტი და პრემიერი სოჭში – იმ ქალაქში ჩადიან, რომელიც დაძაბული მუშაობისთვის ნამდვილად არაა განკუთვნილი, ისინი ამას მაინც ახერხებენ და საზღვარგარეთელ ლიდერებთან – შეხვედრებსა და მოლაპარაკებებს, რუს ჩინოვნიკებთან კი თათბირებს აწყობენ. ასე რომ, პლაჟი, ზღვა, სკუტერები, კატარღები, თევზაობა და სხვა საკურორტო გართობა მხოლოდ შესვენებებს შორის თუა შესაძლებელი.

სოჭის საპრეზიდენტო და საპრემიერო რეზიდენციებში ახალი საზაფხულო სეზონისთვის ყველაფერი მზადაა

„თეთრი ცეკვა" „ბოჩაროვ რუჩეიში"

სოჭის საპრეზიდენტო რეზიდენცია „ბოჩაროვ რუჩეი" სახელგანთქმული ისტორიული ადგილია. 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამდე ტერიტორია, სადაც ახლა სააგარაკო კომპლექსია გაშენებული, ვინმე ვაჭარ ბოჩაროვს ეკუთვნოდა, ნაკადული კი, საიდანაც ტერიტორიის სახელწოდება მოდის, დიდი ხნის წინ დაშრა და ბალახმაც გადაუარა.

„ბოჩაროვ რუჩეის", როგორც საბჭოთა კავშირის უმაღლესი ხელმძღვანელობისთვის განკუთვნილი სახელმწიფო აგარაკის მშენებლობა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 30-იან წლებში დაიწყო, 50-იანი წლების შუახანებისთვის კი აქამდე შემორჩენილი სახეც მიიღო. ყველაზე ხშირად „ბოჩაროვ რუჩეიში" სახალხო კომისარი ვოროშილოვი ჩადიოდა. ამიტომაცაა, რომ სოჭის მკვიდრნი „ბოჩაროვ რუჩეის" დღემდე, „ვოროშილოვის აგარაკად" მოიხსენიებენ.

ტერიტორია, სადაც ახლა სააგარაკო კომპლექსია გაშენებული, ვინმე ვაჭარ ბოჩაროვს ეკუთვნოდა

საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცეკას გენერალურმა მდივანმა ლეონიდ ბრეჟნევმა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში სხვა კურორტებზე სრულიად უშედეგოდ მკურნალობდა, ერთხელაც თავის პირად ექიმს ჰკითხა: უბრალო საბჭოთა ადამიანი რომ ვიყო, მკურნალობას სად მირჩევდითო? „მაცესტაზე, სოჭში", — უპასუხა ექიმმა. და ბრეჟნევიც „ბოჩაროვ რუჩეიში" გაემგზავრა. მაცესტაზე პირველი აბაზანების მისაღებად ბრეჟნევი პირადმა დაცვამ ხელში აყვანილი შეიყვანა, ხოლო სულ რამდენიმე აბაზანის შემდეგ გენსეკმა წაცეკვებაც კი სცადა.

სხვათა შორის, პუტინი და მედვედევი მაცესტაზე ერთხელაც კი არ ყოფილან, რაც არცაა გასაკვირი — ისინი ხომ ჯერ ისევ ახალგაზრდები არიან და სახსრებიც წესრიგში აქვთ. აი, პრეზიდენტი ელცინი კი „ბოჩაროვკაში" 1991 წლის აგვისტოს პუტჩის შემდეგ ჩავიდა და, საბჭოთა კავშირის დასაშლელი, „ბელოვეჟის ხელშეკრულების" მოსამზადებლად, თან საკუთარი თანამებრძოლებიც ჩაიყვანა.

პუტინმა სოჭში ჯერ კიდევ 2000 წლიდან, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის რანგში დაიწყო სიარული და მას შემდეგ საყვარელ „ბოჩაროვკას" წელიწადში რამდენჯერმე მაინც სტუმრობდა. როცა მედვედევი ქვეყნის პრეზიდენტი გახდა, მან „ჩამოპრემიერებულ" პუტინს „ბოჩაროვკაში" სიარული კვლავ შესთავაზა, მაგრამ პუტინმა შეთავაზებაზე უარი განაცხადა: ეს ხომ პრეზიდენტის რეზიდენციაა!.. თუმცა „ბოჩაროვკაში" რამდენიმე კორპუსი და მათ შორის, ე.წ. პრემიერის აგარაკიც დგას.

სოჭი, 2003 წლის სექტემბერი

ᲥᲐᲤᲨᲘᲐ – ᲝᲥᲠᲝᲡ ᲗᲔᲕᲖᲘᲡ ᲡᲐᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲝᲓ

წელს მედვედევი სოჭში პრეზიდენტის რანგში მეორე ზაფხულს გაატარებს. მას სამუშაო შვებულება საავარაუდოდ, აგვისტოში ექნება. თუმცა ის „ბოჩაროვკაში“ პუტინის პრეზიდენტობის ხანაშიც ხშირად ჩადიოდა. თავის დროზე, პუტინმა ელცინის დროინდელი ჩოგბურთის კორტი პრესცენტრად გადააკეთა, რომელსაც ახლა კომპიუტერული და საკონფერენციო დარბაზები და ბარიც აქვს, სადაც სტუმრებსა და ჟურნალისტებს ყავით, ჩაითა და ბუტერბროდებით უფასოდ უმასპინძლდებიან.

შარმან, მედვედევთან ანგელა მერკელის სტუმრობისას

სოჭში ჩასვლისას მედვედევი ზღვისპირა კორპუსში ჩერდება. საცხოვრებელ კორპუსთან მდებარე პარკში მომცრო შადრევანია, რომელშიც ოქროს თევზები (ოღონდ, უკვე შემოწმებულია, რომ ისინი სურვილებს არ ასრულებენ...) დაცურავენ.

ოფიციალურ შეხვედრებს პრეზიდენტი პლუშით გაწყობილ ე.წ. სასტუმრო აგარაკზე მართავს. აქ ოდესღაც ჯორჯ ბუში-უფროსი თავის ცოლ ბარბარასთან ერთად იყო გაჩერებული, ხოლო გასულ გაზაფხულზე — ჯორჯ ბუში-უმცროსიც სტუმრობდა. მაშინ პუტინსა და ბუშ-უმცროსს პრეზიდენტების რანგში ბოლო შეხვედრა ჰქონდათ. ამ შეხვედრისას ერთი კურიოზიც მოხდა — პუტინმა სტუმარს ტერიტორიის დათვალიერება შესთავაზა და გზად პრესცენტრშიც შეიყვანა. იმ მომენტისთვის იქ ყუბანის კაზაკთა გუნდის წევრები იყვნენ შეკრებილნი და პრეზიდენტების წინაშე გამოსასვლელად ემზადებოდნენ. ბუშმა ერთ-ერთი კარი შეაღო და კაზაკური სამოსლის უთოობაში გართული, უამრავი ლამაზმანის დანახვაზე კინაღამ ყბა ჩამოუვარდა.

„ბოჩაროვ რუჩეი“ საკმაოდ ხმაურიანი ადგილია: იქ ახლომდებარე რკინიგზიდან მატარებლების ხმაური, მეზობელი სანატორიუმებიდან კი მუსიკა და დამსვენებელთა მხიარული ხმებიც

ᲔᲚᲪᲘᲜᲘ „ᲑᲝᲩᲐᲠᲝᲕᲙᲐᲨᲘ“ 1991 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲞᲣᲢᲩᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲩᲐᲕᲘᲓᲐ

ისმის. ამიტომაცაა, რომ „ბოჩაროვკაში“ რომელიმე სახელმწიფოთაშორისი მოლაპარაკებისას მიმდინარე, ფრიად სერიოზულ საუბარს ზოგჯერ ფუქსავატური შეძახილებიც (მაგალითად — „ქალბატონები კავალრებს „თეთრ ცეკვაზე“ იწვევენ!“) ერთვის.

ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲛᲝᲑᲘᲚᲘᲗ ᲒᲐᲡᲔᲘᲠᲜᲔᲑᲐ

თავისი საცხოვრებელი კორპუსიდან „სამუშაო აგარაკამდე“ პრეზიდენტი მედვედევი ელექტრომობილით (ასეთი პაწია მანქანებით პეტერბურგში გამართული, „დიდი რვიანის“ მონაწილეები დასეირნობდნენ) მიდის. რეზიდენციის შესასვლელში პრეზიდენტის საზოგადოებრივი მისაღებია, სადაც მისი ვიზიტის დროს ადამიანები საკუთარი პრობლემებით სავსე განცხადებების დასატოვებლად იყრიან თავს. როგორც წესი, სოჭში ჩასული პრეზიდენტის მენიუში თევზი ყოველთვისაა შეტანილი. განსაკუთრებით, ადგილობრივი ქაფშიითა და ტრადიციული კავკასიური მწვადით გამასპინძლებაც ძალიან უყვართ. უფრო მეტიც — „ბოჩაროვკაში“ მაყალი პირდაპირ ქუჩაში დგას. აგარაკს საკუთარი სათბური აქვს, სადაც კივი, ლიმონი და ნაირ-ნაირი ყვავილი ხარობს. ყვავილებისგან თაიგულებს კრავენ და საპრეზიდენტო ღონისძიებების დროს მაგიდებს ამშვენებენ.

მედვედევი რუს ჩინოვნიკებს მეორე სართულზე, თავის სამუშაო ოთახში ხვდება, რომლის ფანჯრებიდანაც პლუშით გაწყობილი სასტუმრო აგარაკის პარკი მოჩანს. საზღვარგარეთელ სტუმრებს კი პირველ სართულზე, ბუხრიან დარბაზში იღებენ. მისი ფანჯრებიდან ფართოდ გაშლილი ზღვის ხედი მოჩანს.

„ბოჩაროვ რუჩეიში“ ორი — მტკნარი და ზღვისწყლიანი აუზი და ზღვასთან მდებარე სატრენაჟორო დარბაზიცაა. პლაჟზე პრეზიდენტის კატარღა „კავკაზისთვის“ განკუთვნილი, სპეციალური ნავმისადგომია მოწყობილი, თუმცა ამჟამად „კავკაზი“ თავის ჩვეულებრივ ადგილას — ქალაქის ცენტრში, პორტთან დგას და ეკიპაჟი მას საზღვაო სეზონისთვის ამზადებს. პრეზიდენტი მედვედევი „კავკაზით“ ზღვაში ჯერ არ გასულა. ალბათ ეს ამ ზაფხულს მოხდება.

პლაჟზე პრეზიდენტის კატარღა „კავკაზისთვის“ განკუთვნილი, სპეციალური ნავმისადგომია მოწყობილი

ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲛᲐ ᲡᲔᲖᲝᲜᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲒᲐᲮᲡᲜᲐ

გაპრემიერების შემდეგ პუტინმა „რივიერის“ რეზიდენციაში სიარული დაიწყო. რეზიდენციისგან მარცხნივ, იმავე სახელწოდების პარკია, მარჯვნივ კი — „საგრაფო ნანგრევები“. ადრე იქ გასული საუკუნის დასაწყისში აშენებული, სოჭის უძველესი სანატორიუმი „კავკაზსკაია რივიერა“ იდგა. 90-იან წლებში ის იმ დროს საკმაოდ ცნობილმა ოლიგარქმა, ბრინცალოვმა იყიდა და მის ადგილზე პომპეზური სამორინეს აშენება გადაწყვიტა. მაგრამ ოლიგარქს ამის ნება არ დართეს და ისტორიული ძეგლის უწინდელი სახით აღდგენაც მოსთხოვეს. ამის შემდეგ ბრინცალოვმა სანატორიუმის უცხოელებისთვის მიყიდვა სცადა, მაგრამ ისევ უშედეგოდ. ახლა „კავკაზსკაია რივიერა“ სრულიად გაპარტახებულია და მის ძველ დიდებას მნახველს შესასვლელთან ჯერ კიდევ შემორჩენილი მემორიალური დაფებიღა თუ შეახსენებს...

აი, „რივიერაში“ კი პუტინის პრეზიდენტობისას მთელი რუსეთის უფროსობა და აგრეთვე, დსთ-ის ქვეყნების პრეზიდენტებიც ისვენებდნენ. ტაჯიკეთის ამჟამინდელი პრეზიდენტი რახმონი (მაშინ მას ჯერ კიდევ რახმონოვად იცნობდნენ) ზღვაში ყოველთვის პირადი მცველების გარემოცვაში შედიოდა, ბელორუსი „ბატკა“ ლუკაშენკო კი „რივიერის“ გზებზე გორგოლაჭიანი ციგურებით დაქროდა.

რუსეთის ხელმძღვანელობიდან „რივიერაში“ ყოფნა განსაკუთრებით ჩერნომირდინს (რა თქმა უნდა, თავისი პრემიერობისას) უყვარდა. თუმცა მას შემდეგაც, რაც ელცინმა მთავრობის

მეთაურის პოსტიდან მოხსნა, ჩერნომირდინი პირველ რიგში, საპრეზიდენტო „ბოჩაროვკაში“ ჩავიდა, პრესა შეკრიბა და მინისტრთა ახალი კაბინეტი გააკრიტიკა. ხოლო თავზე ხელაღებული ადგილობრივი ჟურნალისტის კითხვაზე, — მართალია თუ არა, რომ შვეიცარიულ ბანკში 5 მილიონი დოლარი გაქვთო? — ფურცელი და კალამიც მოითხოვა და ჟურნალისტს ხელწერილი დაუწერა, რომლითაც შვეიცარიული ბანკიდან საკუთარი ფულის გამოტანას სწორედ მას ანდობდა. საბოლოოდ, ჟურნალისტს ჩერნომირდინის ფული მაინც არ ერგო, რადგან ყოფილი პრემიერის ხელწერილი „ბოჩაროვკიდან“ გასვლისას, დაცვამ ჩამოართვა...

ისე, სოჭელებს ჩერნომირდინმა სხვა მხრივაც დაამახსოვრა თავი. მაგალითად, როცა მოსწრებულად ჰკითხეს, — სკუტერის „შეკაზმვა“ თუ მოასწარითო? — მან მშვიდად უპასუხა: საერთოდ, რაც მოძრაობს, ყველაფერს ვკაზმავო...

„რივიერას“ რეზიდენციაში ოფიციალური შეხვედრებისთვის განკუთვნილი კორპუსი რამდენიმე წლის წინ, ფრადკოვის პრემიერობისას, მილიციის ავტოფარეხის ადგილზე გაჩნდა. თავად პუტინი „რივიერაზე“ ძველ, ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში აშენებულ ორსართულიან კორპუსში ცხოვრობს. „რივიერასაც“ აქვს აუზი, სადაც პუტინი დილაობით ცურავს. რეზიდენციის პლაჟი ქალაქის პლაჟისგან მასიური ღობითაა გამოყოფილი. და თუ ამ ღობეში რაღაც მანქანებით დარჩენილ ღრიჭეში შეხედვას გაბედავ, მაშინვე გუშაგი წამოგადგება თავზე და გეტყვის: დაბეჯითებით გთხოვთ, ღობეს არ მიუახლოვდეთ და შიგნით არ შეიხედოთო...

პუტინის რეზიდენციის ახალ კორპუსს მოვლილი ეზო აქვს, სადაც ახალგაზრდა პალმები და ბზები დგას, ცენტრში კი შადრევნის ჩუხჩუხი ისმის. ცოტა ხნის წინ პუტინი „რივიერაში“ თავისი ახალი „ნივით“ დასეირნობდა.

„რივიერის“ რეზიდენციის გაფორმებაში წამყვანი ე.წ. „ყურძნის თემაა“: ჭაღებზე მინის ყურძნის მტევნები კონწიალობს, სავარძლები კი ხის ყურძნებითაა მორთული.

პრეზიდენტობის დროს პუტინმა სოჭის ბევრ რესტორანში მოასწრო ყოფნა. მედვედევს კი ქალაქში ჯერაც არ გაუვლია და მთელ დროს „ბოჩაროვ რუჩეიში“ ატარებს.

პუტინმა სულ ახლახან, უკვე გახსნა სოჭის სეზონი და იტალიის პრემიერ-მინისტრ სილვიო ბერლუსკონის უმასპინძლა. მან სენიორ ბერლუსკონი სანაპიროზე მდებარე სოჭის ერთ-ერთ ყველაზე მოდურ რესტორანში წაიყვანა. პრემიერები იქ, იახტის ფორმის ზედა სართულზე ისხდნენ და იტალიური და ხმელთაშუა ზღვისპირეთის სამზარეულოს კერძებს აგემოვნებდნენ.

მარშან, სოჭში ბუშის სტუმრობისას

თვითმხილველების მტკიცებით, იტალიური სადილების სოჭური ვარიანტი ბერლუსკონის ძალიან მოეწონა... ■

მოამზადა რუსუდან ლებანიძემ

მიშა გომიაშვილი: „ჩემზე ერთგული ადამიანი ამ ქვეყანაზე არ მეგულება“

ნინო მჭედლიშვილი

— ბატონო მიშა, ეს კითხვა ალბათ ბევრჯერ დაუსვამთ, მაგრამ თქვენი ფსიქოპორტრეტი სრულყოფილი რომ იყოს, კვლავ ამ კითხვით დავიწყებ. როგორი იყო პატარა მიშა გომიაშვილი?

— საშინელი ბავშვი ვიყავი, ცელქი და მავნე, რაც ხელში მომხვდებოდა, ყველაფერს ვაფუჭებდი. არავის შიში და რიდი არ მქონდა. ალბათ იმიტომ, რომ სათანადოდ არ მიწყრებოდნენ...

— მშობლებიდან თქვენ მიმართ სიმკაცრეს ვინ უფრო იჩენდა?

— დედა უფრო მკაცრი იყო. სხვა საკითხია, ვუჯერებდი თუ არა მას. თუმცა უზრდელი არასდროს ვყოფილვარ, თან დედაჩემი სიგიჟემდე მიყვარდა. მამა უფრო ლოიალური იყო. ვერ ვიტყვი, რომ მშობლებმა ცუდად გამზარდეს... პირველ რიგში, უზრდელი არ ვარ. ამ ასაკშიც კი ვიცი უფროსი და უმცროსი. წიგნი მიყვარს, ერთგული ვარ. სიყვარული მაქვს ჩემი ქვეყნის, მშობლების, მეგობრების, ოჯახის... ესეც მშობლების დამსახურებაა, თუმცა არ მახსოვს, ამას როგორ ახერხებდნენ. მამაჩემი მეუბნებოდა, მე მაკარენკო არ ვარ, უყურე იმას, ხალხთან როგორ ვურთიერთობ, როგორი მეგობრობა ვიცი, როგორ მიყვარს, როგორ მძულს, როგორ ვეფერები, როგორ ვმუშაობ და რაც მოგწონს, ის აიღეო.

— დაემსგავსეთ მამას?

— ძალიან. ერთადერთი, რაშიც არ ვგავარ მამაჩემს, ეს მიზანდასახულობაა. მიუხედავად იმისა, რომ მამა ძალიან ბევრჯერ ეცადა ჩემს ბიზნესში შეთრევას, არ გამოუვიდა. ეს საქმე საერთოდ არ მაინტერესებს. მამაჩემს რომ ვაკვირდებოდი, არ მესმოდა, როგორ შეიძლება, ღამის 4-5 საათამდე იჯდე კაზინოში სუფრასთან ან გრიალებდე ქალებთან, მერე მოხვიდე სახლში, 2 საათი

მსახიობების ოჯახში გაიზარდა და სხვა პროფესია თუ არსებობდა, ვერც წარმოედგინა. მამას მხოლოდ მიზანდასახულობაში არ ჰგავს. მშობლებმა სიყვარული, ზრდილობა და ერთგულება ასწავლეს. მიუხედავად იმისა, რომ არაერთხელ დაენგრა ოჯახი, მიიჩნევს, რომ ერთგულია. იმიტომ, რომ არც ერთი ცოლისთვის არასდროს უღალატია. მისთვის მიუწვდომელი ქალი არ არსებობს. რატომ მოსწონთ ქალებს? — ეს ქალებს უნდა ჰკითხოთო, — აღნიშნავს. თვითონ ტიპაჟი — მიშა გომიაშვილი არ მოსწონს, რადგანაც ამბობს, რომ მელოტი და გაბურძგნილია. ამ მელოტმა და გაბურძგნილმა მსახიობმა ისიც კი მოახერხა, რომ მასთან ინტერვიუზე მისული, ასაკით ბევრად უმცროსი ჟურნალისტი, მაკა თვალჭრელიძე მოხიბლა. მაკა ახლა მასთან ცხოვრობს. ის მისი პრესმდივანცაა, რომლის დახმარებითაც შედგა მსახიობთან ეს ინტერვიუ. მიშა გომიაშვილი უცხო სატელეფონო ზარებს არ პასუხობს ანუ იმ ზარებს, რომლებიც ტელეფონში არ აქვს ჩაწერილი. ჩემი რესპონდენტი შემპირდა, რომ შეძლებისდაგვარად გულახდილი იქნებოდა და აი, ჩვენი დიალოგის შედეგიც.



ბავშვობა მამასთან ერთად გასტროლებსა და გადალებებზე მაქვს გატარებული

დაიძინო, გამთენიისას ადგე და სამსახურში წახვიდე. მან მთელი ცხოვრება ასე გაატარა და იმას მიაღწია, რასაც მიაღწია...

— სკოლის პერიოდს როგორ გაიხსენებთ?

— ჯერ 53-ე სკოლაში ვსწავლობდი, მერე მთელი ოჯახი საცხოვრებლად მოსკოვში გადავედით და როცა დავბრუნდით, ვერაზე, ჩვენს სახლთან ახლოს, 51-ე სკოლაში მიმიყვანეს. მაშინ უკვე მეოთხე კლასში ვიყავი. კარგი და სანიმუშო სკოლა იყო. ჩვენს კლასს შატალოზე სიარული არ უყვარდა... ძალიან ცელქები ვიყავით, მაგრამ ამავე დროს, ზრდილობიანებიც. არაჩვეულებრივი პედაგოგები გვყავდნენ. ყველაზე მეტად ბიოლოგიის მასწავლებელი და კლასის დამრიგებელი — აიონა ქავთარაძე მიყვარდნენ. კარგი მოსწავლე არ ვიყავი, მაგრამ მაინც ყველას ვუყვარდი.

— „ქუჩის აკადემია“ რა ასაკში გაიარეთ?

— სკოლიდან რომ გამოვდიოდით, სულ სხვა ადამიანები ვხდებოდით... სხვათა შორის, ჩვენი პრეზიდენტიც ჩემს სკოლაში დადიოდა. ჩვენ შორის სხვაობა 7 თუ 8 წელია. ამ ასაკობრივი სხვაობის გამო სკოლიდან მიშა არ მახსოვს (მე რომ მეათე კლასში ვიყავი, ის მეორეში სწავლობდა). ვისაც „ქუჩის აკადემია“ არ გაუვლია, არც იცის, რას ნიშნავს ეს და არასწორად ესმის ეს განსაზღვრებაც. იმ „აკადემიაში“ ჩვენ ზრდილობას, ვაჟკაცობას ვსწავლობდით. დღეს ვიღაცას, გოგონას თანდასწრებით რომ იგინება, ეს ვაჟკაცობა ჰგონია. ჩვენს დროს ასეთი რამ არ ხდებოდა. კიროვის ბაღში ფეხბურთზე დავდიოდით, საქმესაც ვარჩევდით, ერთი-ერთზე ვჩხუბობდით კიდეც, თუმც მერე ვრიგდებოდით და „პონჩიკის“ საჭმელადაც მივდიოდით. გულში ბოღმას არავინ იდებდა. გვზრდიდნენ ის უფროსი ბიძები, რომლებიც ქუჩაში, სასტუმრო „საქართველოსთან“ იდგნენ.

— პროფესიის არჩევაში ვინ დაგეხმარათ?

— მსახიობების ოჯახში დავიბადე და გავიზარდე. მთელი ჩემი ბავშვობა მამასთან ერთად გასტროლებსა და გადაღებებზე მაქვს გატარებული და არც მიფიქრია, რომ ამ ქვეყანაზე სხვა პროფესიაც არსებობდა...

— პირველი სიყვარული როდის გეწვიათ?

— სკოლაში, მეოთხე კლასში მე და ჩემს კლასელ ალეკო კვაშალს ერთი თანაკლასელი — მარინა ლეგრანი გვიყვარდა (მე და მარინა ახლა ვმეგობრობთ). მისი გულისთვის ალეკოს ერთხელ საცემრად დავხვდი. ორივე ქიაჩელის ქუჩაზე ვცხოვრობდით და ამიტომ, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციასთან, მიწისქვეშა გადასასვლელში დავხვდი.

— რატომ?

— აბა, ამევსო მოთმინების ფიალა, მან ჩემს რჩეულს ძვირად ღირებული სუნამო აჩუქა (იყო იმ დროისთვის ასეთი პოპულარული სუნამო — „მოუეტ ბიტ“). ამან მართლა გამაგიჟა. მაგრამ იმ დღეს მიწისქვეშა გადასასვლელში ალეკო ბიძამისთან ერთად ჩამოვიდა (ბიძა ძალიან ზორბა კაცი იყო). იმ დღეს არაფერი ვუთხარი, მეორე დღეს კი ეგ ამბავი დამავიწყდა.

— მარინამ ვინ აირჩია?

— ერთი ვიცი, რომ ჩემკენ არ გადმოხრილა. მე კი ბავშვობიდან ასე ვარ — ვინც ჩემ მიმართ ინტერესს არ გამოხატავს, მასთან არ ვურთიერთობ.

— პირველი პაემანი გახსოვთ?

— პირველი პაემანი სხვა სკოლელთან მქონდა (ის ჩემზე 2 წლით უმცროსი იყო), ერთმანეთს ვერის ბაღში შევხვდით.

— რა ეცვა?

— ფეხზე საბოები ეცვა და დანარჩენი არ მახსოვს...

— ქალებში ყოველთვის პოპულარობით სარგებლობდით. მიუწვდომელი ქალი თუ გყოლიათ, ისეთი, რომელზეც მხოლოდ ოცნებას ბედავდით?

მამა ძალიან ბევრჯერ ეცალა ჩემს ბიზნესში შეთრევას, არ გამოუვიდა

— ამ შეკითხვაზე რომ გიპასუხოთ, შეიძლება, მკითხველმა იფიქროს, ამას რაღაც თავში აქვს ავარდნილიო, მაგრამ თუ დამიჯერებთ, ასეთი ქალი ჩემს ცხოვრებაში არ ყოფილა.

— როგორ გგონიათ, ყველაზე მეტად რა მოსწონთ ქალებს თქვენში?

— არ ვიცი, ეს ქალებს ჰკითხეთ. მე რომ ქალი ვიყო, არ მომეწონებოდა მიშა გომიაშვილი.

— რას უწუნებთ?

— აბა, რა არის, „პოსლიკა“, წვერიანი — გაბანჯგლული კაცი რა მოსაწონია?!

— დასაწყისში აღნიშნეთ, რომ მშობლებისგან ერთგულება ისწავლეთ. თუმცა არაერთხელ შექმენით და დაანგრიეთ საკუთარი ოჯახი...

— ჩემზე ერთგული ადამიანი ამ ქვეყანაზე არ მეგულება. მე იმ ადამიანის ერთგული ვარ, ვის გვერდითაც ვცხოვრობ.

— რისი თქმა გინდათ, ცოლები გღალატობდნენ?

— არა, რა სისულელეა, ღმერთმა დამიფაროს! სხვა რამეს ვამბობ. არიან ქმრები, რომლებიც ვითომ მთელი ცხოვრება ერთ ქალთან არიან, რომელსაც ცოლი ჰქვია და პარალელურად 352 საყვარელი ჰყავთ. იყო ერთ ქალთან და ფიქრობდე სხვაზე, ეს მე არ მესმის!.. ვიღაცის საწოლიდან ადგე და მერე ცოლის საწოლში ჩაწვე.

— ცოლისთვის არასდროს გიღალატიათ?

— არასოდეს!

— ოჯახის დანგრევის ინიციატორი თქვენ იყავით ხოლმე?

— ხან ჩემი საბაბით ინგრეოდა ოჯახი, ხან თვითონ მივდიოდი...

— როდის მიდიოდით?

— როცა აღარ გიყვარს, იქ რაღა გინდა?!

— თემა შევცვალოთ, ზარმაცი ხართ?

— კი. მეორე დღისთვის საქმის გადადებაც ჩემი სტილია, თუნდაც ამით საქმე ფუჭდებოდეს.

— დილით რომელ საათზე იღვიძებთ?

— 7-8 საათზე. ადრე მეღვიძება. ადრე, ძილი დღის 1-2 საათამდე მიყვარდა. ახლა ეტყობა, დავბერდი (*იცინის*).

— ისეთი დღეები თუ გქონიათ, ხელი რომ ჩაგიქნევიათ ცხოვრებაზე?

— მქონია რთული დღეები, მაგრამ გზა იმედისკენ, ღვთის წყალობით, ყოველთვის ჩანს ხოლმე, ბოლომდე ხელი არასდროს ჩამიქნევია.

მეორე დღისთვის საქმის გადადებაც ჩემი სტილია, თუნდაც ამით საქმე ფუჭდებოდეს

— ყველაზე მეტად რისი გეშინიათ?

— რომ გითხრათ, არაფრის-მეთქი, მოგატყუებთ. არაფრის მარტო გიჟს არ ეშინია, მაგრამ რთულია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა.

— სიკვდილზე გიფიქრიათ?

— მიფიქრია. ეს ისეთი რამაა, რომ ამაზე ყველა ასაკში ფიქრობ.

— ამის გეშინიათ?

— ადამიანს რაც არ უნახავს, იმის შიში ყოველთვის აქვს. ეს ნორმალურია. ადამიანს ყოველთვის ეშინია: პირველად წყალში შესვლის, პირველი სექსის, პირველი სიმთვრალის... ეს ბუნებრივია.

— ახლა, ერთი უცნაური სიტუაცია უნდა შეგიქმნათ. წარმოიდგინეთ, რომ ნაბახუსევზე...

— (*მაწყვეტინებს*) მაგას როგორ წარმოვიდგენ (*იცინის*)?!.

— ...ერთი სიტყვით, ნაბახუსევზე, მეუღლე გიყვებათ, წინალამეს, მერასთან, როგორ მღეროდით „თბილისოს“ და როგორ ითხოვდით მეორე ხმას გიგი უგულავასგან. რას იფიქრებთ, იმას, რომ მეუღლე გატყუებთ, თუ იმას, რომ ბევრი დაგილევიათ?

— შეიძლება, მეუღლეც მატყუებდეს, მაგრამ არც იმას გამოვრიცხავ, რომ ასეთი რამ გამეკეთებინა. თუ ძალიან ბევრი დავლიე, ყველაფერი შესაძლებელია. ისე, მაგარი დასანახავი ვიქნებოდი (*იცინის*), არა?

— ყველაზე დიდი სისულელე მიამბეთ, რაც სიმთვრალეში ჩაგიდენიათ.

— სიმთვრალეში კაცი სულ სისულელეებს არ სჩადის?! მაგრამ ახლა რაღაც ვერ ვიხსენებ.

— მთვრალს ცოლი თუ მოგიყვანიათ?

— (*ფიქრობს*) კი.

— და ეს სისულელე არ ყოფილა?

— მეორე დღეს, ის ქალი უკან არ გამიშვია. ესე იგი, არ იყო სისულელე.

■

ღევან ღელაშვილს „ანეკდოტების კიდობანი“ სიმთვრალეში „ეხსნება“

„სტატიებს სათაურის მიხედვით ვირჩევ...“

თამუნა კვინიკაძე

ლევან ლელაშვილი, იგივე კიჭა „ერუდიტში“ სტუმრობაზე უყოყმანოდ დამთანხმდა. შეხვედრის დროს კი მითხრა, რომ ბოლო დროს წიგნებზე ხშირად, ჟურნალებს კითხულობს. ყველაზე აქტიური მკითხველი სტუდენტობის წლებში იყო. მისი საყვარელი ავტორი — ჭაბუა ამირეჯიბია. ამბობს, რომ წიგნი არასდროს მოუპარავს... კითხვაზე — ლიტერატურული პერსონაჟებიდან მეგობრად ვის აირჩევდით? — დათა თუთაშხიას კინოგმირის ინტონაციით მპასუხობს: „არ მიფიქრია მაგაზე მე!...“

პრეამბულის მაგივრ

— **ბატონო ლევან, პოეზია არ გიყვართ?**

— პოეზიასთან მწყრალად ვარ. ლექსი ზეპირად არ მამახსოვრდება.

— **საერთოდ, როგორი მეხსიერება გაქვთ?**

— ამ მხრივ საქმე 5-იანზე ნამდვილად არ მაქვს.

— **ანეკდოტები არ გავიწყდებათ და...**

— ზეპირად მართლა ბევრი ანკედოტი ვიცი, ღვინოს თუ დავლევ, კიდევ უფრო მეტი მახსენდება, „ანეკდოტების კიდობანი“ „მეხსნება“.

— **ამჟამად რომელიმე წიგნს თუ კითხულობთ?**

— არა, როცა თავისუფალი დრო მაქვს, ჟურნალ-გაზეთებს ვკითხულობ.

— **რა შინაარსის სტატიებით ინტერესდებით?**

— სტატიები ეკონომიკაზე, ბიზნესზე, სპორტზე, ტექნიკურ სიახლეებზე, ამოუცნობ მოვლენებზე მაინტერესებს.

— **საკუთარ ინტერვიუებს ყოველთვის ეცნობით?**

— რა თქმა უნდა. ჟურნალ-გაზეთებში სტატიებს სათაურის მიხედვითაც ვირჩევ.



— **რომელი ქართული სიმღერა მიეძღვნა შალვა ახალციხელს?**

— არ ვიცი.

— **„შავლეგო“. ვინ ასრულებს ბიჭიკოს როლს ფილმში „ჭრიჭინა“?**

— დოდო აბაშიძე.

— **რა ექვა დოდო აბაშიძეს ოფიციალურად?**

— დავითი.

— **გერმანია, დანია, ესპანეთი, საფრანგეთი: ჩამოთვლილთაგან რომელი ქვეყნის ჰიმნს არ გააჩნია ტექსტი?**

— საფრანგეთის ჰიმნს.

— **ცდებით, ტექსტი ესპანეთის ჰიმნს არ აქვს. რომელი ნახევარკუნძულია ყვითელ და იაპონიის ზღვებს შორის მოქცეული?**

— არ ვიცი.

— **კორეის. ჭოროხი, მტკვარი, ენგური, თერგი — ამ მდინარეებიდან რომელი მიედინება მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე?**

— ენგური.

— **დაასახელეთ კონტინენტი, რომელსაც ერთი ნახევარკუნძული და ერთი ყურე აქვს.**

— (*ფიქრობს*) ვერ გიპასუხებთ.

— **აფრიკა. რა ეწოდება დედამიწის შემცირებულ მოდელს?**

— გლობუსი.

— **რა ერქვა ფრანგ მეფეთა სასახლეს, რომელიც XVIII საუკუნიდან ხელოვნების მუზეუმია?**

— ლუვრი.

— **რომელი ოკეანის აუზს განეკუთვნება შავი ზღვა?**

— ატლანტის ოკეანის აუზს, არა?

— **დიახ. რომელ ქვეყანაში წავიდნენ ემიგრაციაში ნოე ჟორდანია და მისი მთავრობის წევრები?**

— თურქეთის გავლით საფრანგეთში ჩავიდნენ.

— **რა ჰქვია სილამაზის ქალღმერთს ბერძნულ მითოლოგიაში?**

— უცნაური სახელი აქვს.

— **ვერ იხსენებთ?**

— (*ფიქრობს*) აფროდიტე. სწორად ვამბობ?

— **რა თქმა უნდა. რამდენ წუთს გრძელდება რაგბის ტაიმი?**

— 40 წუთს.

— **ეს ქვეყანა ევროპის ყველაზე დიდ სახელმწიფოდ მიიჩნევა, რადგან მის შემადგენლობაში შედის კუნძული გრენლანდია.**

— არ ვიცი.

— **დანია. რას აგროვებს ფილატელისტი?**

— მარკებს.

— **„ჩვენში ყველაფერს გაპატიებენ, ამას კი — არასდროს“ — რის შესახებ თქვა შალვა ნუცუბიძემ?**

— დედის გინების შესახებ (*ციონის*).

— **თქვენს პასუხში ლოგიკა არის, მაგრამ შალვა ნუცუბიძე სხვა რამეს გულისხმობდა.**

— ზუსტი პასუხი არ ვიცი.

— **ნიჭის შესახებ ამბობდა.**

— ვეთანხმები. ნამდვილად ასეა.

— **ეს ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ხუმრობდა: ბავშვობიდან ხეიბარი რომ არ ვყოფილიყავი, აუცილებლად ფირალი ვიქნებოდიო. იგი ხშირად ვინმე კერძო პირს იშვიათი ნაკეთობის ნივთს გამოართმევდა და ეტყოდა, ამ ნივთს შინ წავიღებ, შევისწავლი და ხვალ დაგიბრუნებო. მეორე დღეს კი გაზეთში აქვეყნებდა ინფორმაციას, ამა და ამ ადამიანმა საქართველოს მუზეუმს ესა და ეს ნივთი აჩუქაო. ვინ იქცეოდა ასე?**

— არ ვიცი, ეს ამბავი პირველად მოვისმინე.

— **ექვთიმე თაყაიშვილი. რა არის ელდორადო?**

— არც ეგ ვიცი.

— **ზღაპრული, სიმდიდრით განთქმული, არარსებული ქვეყანა. საკუთარ ბეჭედზე ამოტვიფრული**

საქართველოში?

— აქ დარჩენაზე არასოდეს მიფიქრია. ქართველი ემიგრანტების უმრავლესობა ალბათ ჩემნაირად ფიქრობს, დაბრუნება უნდა. ისე, ისეთებსაც ვიცნობ, რომელთაც სამშობლოში ჩამოსვლა აღარ სურთ. მე ისინი მეცოდებიან. ჩემი დიდი სურვილია, რაც შეიძლება სწრაფად დავბრუნდეთ. ველოდებით სიტუაციას, რომელიც, სხვათა შორის, ჩვენ თვითონვე უნდა შევქმნათ... ვერასოდეს ვიქნები აქ ლაღი, აქ არაფერი მახარებს...

— ესპანური ენის დაძლევის ბარიერი ახსენეთ. დღეს რა დონეზე ფლობთ ენას?

— ამ საქმეში ძალიან დამეხმარა ფრანგული ენის ცოდნა (მსგავსი გრამატიკა აქვს) და ურთიერთობები ესპანელებთან. ამჟამად უკვე ესპანურად გამართულად ვლაპარაკობ. დრო, როგორც იტყვიან, გაფრინდა... ხშირად აქ გატარებულ წლებზე გული მწყდება, თუმცა რეალისტი ვარ და კარგად ვხედავ, რომ აქ ყოფნამ ბევრი ცხოვრებისეული პრობლემა მომიხსნა.

— გაქვთ თუ არა საკუთარი სახლი?

— ჩემი მეუღლე ვისთანაც მუშაობს, მათ მოგვცეს სახლი, რომელშიც არანაირ გადასახადს არ ვიხდით... ეს ბინა მანამდე იქნება ჩვენს განკარგულებაში, სანამ აქ ვიქნებით. ნატვრა ყოველთვის თან გვდევს და მალე დაბრუნების მოლოდინში ვართ!.. მაქვს სახლის შეძენის საშუალება (30-წლიანი განვადებებია) და აქ მეტად ფეხის მოკიდების შანსი, მაგრამ ეს ჩემთვის წყევლაა. ესპანეთში სამუდამოდ დამკვიდრების არანაირი სურვილი არ მაქვს, რადგანაც ძალიან მიყვარს ჩემი პატარა, გაჭირვებული სამშობლო.

— საქართველოში ვინ გყავთ?

— მშობლები, ახლა ჩემი შვილიც უკვე მანდ არის (ორი თვეა, რაც საქართველოში დაბრუნდა) და კიდევ უამრავი ახლობელი.

— იქ, სადაც თქვენ ცხოვრობთ, ბევრი ქართველია?

— ჩვენს უბანში ქართველები ნაკლებად არიან. ქართველებს ძირითადად, მართლმადიდებლურ ეკლესიაში ვხვდებით, რომელიც ესპანეთში ერთადერთია. ესაა რუსული სტილის ეკლესია, ჰყავს რუსი მოძღვარი... ქართველები თავიდან უფრო ხშირად ვურთიერთობდით. მე და ჩემს მეუღლეს რამდენიმე საუკეთესო მეგობარი გვყავს, რომელთანაც ძალიან გვახარებს ურთიერთობა (შემიძლია, გულდაწყვეტით აღვნიშნო, რომ ბევრი აქ მყოფი ჩვენი თანამემამულე არცთუ სახარბიელოდ იქცევა).

— მართლმადიდებლური ეკლესია ახსენეთ. იქნებ უფრო ვრცლად გვიამბოთ მის შესახებ.

— ჩვენგან 200 კმ-ში, ერთ პატარა ქალაქში, მთელ ესპანეთში ერთადერთი მართლმადიდებლური ეკლესიაა, სადაც მიგვიხარია ხოლმე. წლევანდელი შობის დღესასწაული განსაკუთრებით დაუვიწყარი იყო, დავესწარი საშობაო წირვას. დიდ დღესასწაულებზე იქ ბევრი ქართველი იყრის თავს.

— თავისუფალ დროს რას საქმიანობთ?

— აქ უმუშევრად დიდხანს ყოფნა ტრაგედიაა. თავიდან მეტი ასკეტიზმით ვცხოვრობდით, ყველა „კაპიკს“ ანგარიშს ვუწევდით. მართალია, არანაირი ვალი არასოდეს გვქონია, მაგრამ კარგად ვიცი გაჭირვების ფასი... სამუშაო დღეები — სამუშაო-სახლით შემოიფარგლება. შაბათ-კვირას და დღესასწაულებზე თავს უფლებას ვაძლევთ, სხვადასხვა ადგილი დავათვალიეროთ, ძალიან მიყვარს კინო. ჩემს ესპანელ მეგობრებთან ერთად, თეატრშიც დავდივარ. ვნახულობთ მეგობრებს, ვიწყობთ პიკნიკებს. აქვე საშუალება მომეცა, გამეცნო უამრავი ეროვნების ადამიანი და მათი ტრადიციები. მათი გაცნობის შემდეგ მეტად მახარებს ჩემი ქართველობა, ყოველთვის სიამაყით ვამბობ, რომ ქართველი ვარ. აქ ბევრმა იცის და ბევრმა არც იცის საქართველოს შესახებ, ამიტომ, როგორც შემიძლია, ვაცნობ ჩვენს ქვეყანას. დიდი თანაგრძნობა მივიღე მათგან აგვისტოს ომის დროს (ჩემი ესპანელი ახლობლები, შემიძლია ვთქვა, რომ ჩემზე არანაკლებ განიცდიდნენ აგვისტოში საქართველოში მომხდარ საშინელებას). დავრწმუნდი, რომ საუკეთესო ერი ვართ, რა თქმა უნდა, ჩვენი ნაკლოვანებებით. გული იმაზე მწყდება, რომ ქართველებს შეგვიძლია, უკეთ ვიცხოვროთ, მაგრამ... ხშირად პარალელს ვავლებ თვითონ ესპანელსა და ქართველს შორის და დიდ განსხვავებას ვამჩნევ მენტალიტეტში. ჩვენი ბუნების, კულტურისა და ისტორიის მქონე ადამიანებს რატომ გვიჭირს ასე? და რატომ ვართ ამდენი ქართველი უცხო ქვეყანაში საშოვარზე გადმოხვეწილი? სადაც არ მგონია, იქ ვხვდები ქართველს და მიკვირს... რომ არ უჭირდეს საქართველოს, ესპანეთში ხომ არ ვიცხოვრებდი?!

— ესპანეთში დედმამიშვილების ცივი ურთიერთობა ახსენეთ. იქნებ ამასთან დაკავშირებული რაიმე ამბავი მოგვიყვეთ?

— მართლაც რომ მაოცებს მათი ურთიერთობა. ალბათ ქართველებში გარე ბიძაშვილები უფრო ახლოს არიან ერთმანეთთან, ვიდრე ესპანელი ღვიძლი დედმამიშვილები. ერთ მაგალითს მოვიყვან: ესპანეთში 8 წლის გოგონას (ვისთანაც ვმუშაობ) ვკითხე: მამაშენის ძმას რა ჰქვია-მეთქი? — დამავიწყდაო, — მიპასუხა. საშინელება ის იყო, რომ ცოცხალ ბიძაზე მითხრა, მოკვდაო... მაშინ, როდესაც ეს ბავშვი ინტელიგენტური ოჯახის შვილია (ექიმების შვილი), იმდენად იშვიათად ნახულობს ბიძას, რომ არც კი იცნობს მასა და ბიძაშვილებს... ერთხელ ესპანელების ქორწილში მოვხვდი (აქ თითქმის ყველა დაქორწინებული წყვილი ქორწილის შემდეგ სამოგზაუროდ მიდის). დავინტერესდი მათი სამოგზაურო მარშრუტით და პატარძლის ძმას ვკითხე, თუ სად მიდიოდა მისი გაბედნიერებული და? მან იქვე მდგომ მამას ჰკითხა, მაგრამ პასუხი არც ერთს არ ჰქონდა, რადგანაც არ იცოდნენ და რადგან არც აინტერესებდათ, ქორწილის მეორე დღეს სად უნდა წასულიყო მათი ოჯახის წევრი... ჩვენ სტუმართმოყვრეობის ტრადიცია სისხლში გვაქვს გამჯდარი. ჩემი მშობლების სახლის კარი მუდამ ღიაა. ამ ყველაფერს მიჩვეული, აქაც მომეცემა თუ არა საშუალება, ჩემთან რაიმე საქმეზე შემოსულ ესპანელს გულღიად ვუმასპინძლდები. უმეტესობა გაოცებული რჩება და ვერ ხვდება, თუ რატომ ვიქცევი ასე. მერე ვუხსნი, რომ კართან მოსული ადამიანის სახლში შემოპატიჟება — ეს ჩვენი ტრადიციაა. სხვათა შორის, ბევრს მოსწონს და აღნიშნავს, რომ ადრე აქაც უფრო თბილი ურთიერთობა ჰქონდათ ადამიანებს. განსაკუთრებით მოეწონათ ქართული ხაჭაპური... ჩემ გარშემო მყოფი ყველა ესპანელი, პატივისცემით გვეპყრობა და გვაფასებს. ძალიან მომწონს სუფრასთან მსხდომი ესპანელები (ლიტრობით ღვინისა და არაყის დალევა აქ მიუღებელია). პატივს ვცემ მათ კულინარიას. ალბათ მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა...

— ჰომოსექსუალისტების ქორწინებაც ახსენეთ...

— აქ ჰომოსექსუალისტების დაქორწინება დაშვებულია, მაგრამ ასეთი წყვილების დანახვა ყოველთვის მაოცებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისინი ბავშვებს იშვილებენ ხოლმე (ბავშვს 2 დედა ან 2 მამა რომ ჰყავს). მათ საზოგადოება არ კიცხავს. ეს ჩვეულებრივ მოვლენად არის მიჩნეული. აქ სქესშეცვლილი ადამიანებიც ვნახე, თუმცა ამ ყველაფერს კათოლიკური სარწმუნოება კრძალავს.

— შვილი ცოტა ხნით გყავდათ ესპანეთში ჩაყვანილი?

— მიუხედავად იმისა, რომ მას ძალიან მოეწონა ამ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე, ესპანეთში მისი ერთწლიანი ცხოვრების შედეგად, ოჯახმა მივიღეთ საერთო გადაწყვეტილება, რომ ის საქართველოში დაბრუნებულიყო და ახლა ცოტნე უკვე თბილისშია. მართალია, ჩემთვის მასთან დაშორება ძნელია, მაგრამ ჯერ შენი მშობლიური ისტორია და ლიტერატურა უნდა ისწავლო და შემდეგ — სხვა ქვეყნის. ცოტნე 15 წლისაა, მისი თანატოლები აქ ინსტიტუტში სწავლობენ (ასე ჰქვია ამათი სასწავლო სისტემის მიხედვით სკოლას). საუკეთესო მეგობრებიც შეიძინა და მასწავლებელთა მოწონებაც დაიმსახურა. გიტარის განხრით სწავლობდა კონსერვატორიაში, ასევე დაკავებული იყო სპორტით (კალათბურთითა და კულტურიზმით), მაგრამ ჩვენ ისევ საქართველოში მიღებული განათლება ვამჯობინეთ. ძალიან მენატრება ჩემი შვილი, მაგრამ მიხარია, რომ ის მაინცაა სამშობლოში და ემიგრატის ბედს არ იზიარებს. ქართველი საქართველოში უნდა ცხოვრობდეს. ვისურვებ საქართველოს გაერთიანებას და გაძლიერებას... ბევრ ქართველს შვილები აქ შეეძინა, ბევრმაც მცირე ასაკში ჩამოიყვანა თავისი პატარა და მათ დღეს ქართული არ იციან, რაზეც გული მწყდება... ტირილი და წუწუნი ჩემთვის მიუღებელია. ვცდილობ, არ დამთრგუნოს ნოსტალგიამ და მეტად შემართული ვიყო. ჩემი დევიზია, გულზე ხელი არ დავიკრიფო და ვიმოქმედო...

— წარმატებას გისურვებთ.

თამრიკო
ქმარ-შვილთან ერთად

ნევროზზე დაწერილი და ათასოვანი ინსტრუმენტებით ჩაწერილი სიმღერები

ჯგუფი „მგზავრები“ 2 წელიწადზე მეტია, რაც ჩამოყალიბდა და მსმენელის მოწონებაც მალევე დაიმსახურა... ისინი ფონოგრამის გარეშე მღერიან და ამბობენ, — ჯერ ისე არ გაგვჭირვებია, რომ ბარებში ვიმღეროთ. „უუუუ, ჯიგრებოოო, თქვენ გენაცვალეეეთ!“ — ამ სიტყვების გაგონება არანაირ თანხად არ გვიღირსო. „მგზავრების“ მგზავრულ ამბებზე სასაუბროდ, გიგი დედალამაზიშვილს, გუგა კუბლაშვილსა და ბეჟო ამირანაშვილს შევხვდი.

„როცა ომის შემდეგ კონცერტი გავმართეთ, დარბაზში ხალხი ტიროდა“

ელენე ბასილიძე

— „მგზავრები“ როდის დაიბადა?

გიგი:

— ყველაფერი თავისთავად მოხდა. 3-4 წლის წინ რამდენიმე სიმღერა დავწერე, რომლებიც ჩემს მეგობრებს ძალიან მოეწონათ. მერე ზოგმა ფანდურზე დაუკრა, ზოგმა — ჩელოზე, ზოგმაც — ფლეიტაზე, მაგრამ ჯგუფის ჩამოყალიბებაზე არც კი ვოცნებობდით, რადგან თვითკრიტიკულები ვართ და საკუთარ ძალებში დარწმუნებული არ ვიყავით. შემდეგ, ისე მოხდა, რომ ჯერ ერთ კონცერტზე გამოვედით, მერე — მეორეზე, მოგვიანებით კი სახელიც დავირქვით და ჩამოვყალიბდით კიდეც...

ბეჟო:

— მე, გუგა და გიგი ერთი საძმაკაცო ვიყავით და ტექნიკური უნივერსიტეტის კაპელაში ვმღეროდით. ქალბატონი ციცინო, გიგის დედა ჩვენი ხელმძღვანელი გახლდათ. მან მკითხა, — რაიმე ინსტრუმენტზე ხომ არ უკრავ? გიგიმ სიმღერა დაწერაო... ბავშვობაში გიტარაზე ვუკრავდი და ჯგუფში ფანდური მომცეს. რაკი სიმღერები დავუნახე, მასზე დაკვრაც უცებ დავამუღამე (*იცინის*).

გიგი:

— ჰოდა, ახლა „მხეცი“ ბიჭები არიან!

გუგა:

— ლომები ვართ, ლომები!

— „მგზავრები“ რამდენი წლისგან შედგება?

ბეჟო:

— სულ „თუთხმეტი“ კაცი ვართ.

— მაგრამ ბევრ კონცერტზე სრული შემადგენლობით არ გამოდიხართ...

გიგი:

— ყველა სიმღერის შესრულებას თხუთმეტივე კაცი არ სჭირდება და ზოგჯერ, ამიტომაც ვართ ცოტანი...

ბეჟო:

— არის სიმღერა, სადაც მხოლოდ სამნი ვუკრავთ, მაგრამ არის სიმღერა, სადაც ყველანი საჭირო ვართ.

გიგი:

— მაგალითად, სიმღერაში — „მთავარე“ მხოლოდ ჩელო და ფლეიტა უკრავს, „მე მოვიგონეში“ კი მხოლოდ ფანდურს ვიყენებთ და ა.შ.

— ჯგუფს სახელი როგორ შეურჩიეთ?

— პირველი კონცერტი პოეტებთან ერთად გვქონდა — „პაულო კოელიოში“. დეფი გოგიბედაშვილმა მკითხა, — თქვენს ჯგუფს რა ჰქვიაო? ჩვენი ერთ-ერთი ვერსია, „მგზავრები“ იყო და ეს სახელი ვუთხარით.

— როგორც ვიცი, „მგზავრები“ ბარებში არ მღერიან და ისიც მითხრეს, რომ სიმღერაში ძალიან დიდ თანხას ითხოვთ...

— მართალია, ძალიან ბევრ ფულს ვითხოვთ. იცი, რა? ჩვენ გვიყვარს, როცა მსმენელთან უშუალო კავშირი გვაქვს. „პიანიზე“ მოსმენა და — „უუუუ, ჯიგრებოოო, თქვენ გენაცვალეეეთ!“ — ამ სიტყვების გაგონება არანაირ თანხად არ გვიღირს. იმ დონეზე არ გაგვჭირვებია, რომ კონცერტი ბარში ჩავატაროთ. საერთოდ, კონცერტი ძალიან იშვიათად — 2-3 თვეში ერთხელ იმართება და 500-600 ლარი რა ფულია?! მიყვარს, როცა კონცერტს თეატრში ვატარებთ, სადაც მუსიკის მოსასმენად ფხიზელი ადამიანი მოდის და ჩვენც მთლიანად ვიხარჯებით.

— თქვენი სიმღერები ფართო საზოგადოებისათვის თუა ცნობილი?

— რა ვიცი, ვისაც ცოცხალი მუსიკა მოსწონს, ალბათ, ის გვისმენს კიდეც. ქართველი ხალხი ინერტულია და ამას, სნობობაც ემატება. ვიღაც შენს ერთ სიმღერას მოისმენს თუ არა, მოდის და გეუბნება, — შენს ჯგუფზე მაფანატებსო. ასეთი რაღაცები ძალიან მწყინს. პოზების დაჭერა და წამბაძველობა არ მიყვარს... ჩვენ არ ვჩერდებით, გამუდმებით ვმუშაობთ, მაგრამ მატერიალური პრობლემების გამო ყველაფერს ისე ვერ ვაკეთებთ, როგორც გვინდა. ისე, ეს კარგიცაა: მილიარდერები რომ ვიყოთ, შესაძლოა, სიმღერები ნევროზზე აღარ დაგვეწერა (*იცინის*).

— ჯგუფში ვინ უფრო მომთხოვნი და მკაცრია?

გუგა:

— (*იცინიან*) ლაშა დოხნაძე! ლაშა ჩვენი „სასწავლო ნაწილია“!

გიგი:

— ჯგუფი „მგზავრები“ არის სკოლა, სადაც მე „დირექტორი“ გახლავართ, ლაშა — ბოროტი „სასწავლო ნაწილია“, გუგა — „ექსკურსიამძღოლი“...

ბეჟო:

— მე კი მელოტი „მასწავლებელი“ ვარ (*იცინიან*).

— გიგი, რამდენად დიდია სპონსორების დაინტერესება თქვენით?

— ყველა სპონსორი მოდის, გვაძლევს 100 ლარს და უნდა დაუწერო 10 სიმღერა, შემდეგ გამოხვიდე მისი მაისურითა და „კეპკით“, მერე კი ჰა-ჰა, მოგცემს 150 ლარს. ეს ფული კი რაში უნდა ვიმყოფინოთ? ელემენტარულად, საკუთარი ინსტრუმენტები არ გვაქვს, ბევრი მათგანი ნათხოვარია. კარგ მუსიკას კარგი ინსტრუმენტი უნდა, კარგ ინსტრუმენტს ბევრი ფული სჭირდება, სპონსორები კი ამით სულაც არ ინტერესდებიან...

— ბეჟო, როგორია ისეთ ქვეყანაში სიმღერა, სადაც შოუბიზნესი თითქმის არ არსებობს?..

— ძალიან რთულია, მაგრამ ჩემი აზრით, შემოქმედი ადამიანისათვის მთავარია, რომ მან ენთუზიაზმი არ დაკარგოს! საქმე, რომელსაც აკეთებ, პირველ რიგში, უნდა გიყვარდეს.

გუგა:

— ჩვენ ერთმანეთთან ურთიერთობა გვიხარია, ეს დიდ სიამოვნებას გვანიჭებს. შეიძლება, რეპეტიციაზე მოვიდეთ, მაგრამ ის არ ჩატარდეს და მიუხედავად ამისა, სახლებში მაინც კმაყოფილები წავიდეთ.

— სულ რამდენი სიმღერა აქვს „მგზავრებს“?

გიგი:

— სულ 75 სიმღერა გვაქვს, აქედან — 10 კომპოზიციაა. 75 სიმღერიდან მხოლოდ 18 გვაქვს ჩაწერილი. ბევრი პროექტი გვაქვს განსახორციელებლი და 3 ალბომი გვაქვს ჩასაწერი, მაგრამ ამჟამად, ვერაფერს ვაკეთებთ, რადგანაც ალბომის ჩასაწერად 5-6 ათასი ლარია საჭირო. შესაძლოა, ეს თანხა ბილ გეიტსისთვის არაფერია, მაგრამ ჩვენთვის — დიდი ფულია.

— როგორ ფიქრობთ — საქართველოში ბევრს ესმის თქვენ სიმღერა?

გიორგი:

— მგონი, ბევრს არ ესმის, მაგრამ ცდილობს, გაიგოს (*იცინის*)...

გუგა:

— ესმით! ჩვენს კონცერტებზე ისეთი საზოგადოება დადის, რომ არ შეიძლება, მათ „მგზავრების“ არ ესმოდეთ. ძალიან ცოტაა ისეთი ადამიანი, რომელიც ჩვენს კონცერტზე სხვების დასანახავად მოდის... აგვისტოში, როცა ომის შემდეგ კონცერტი გავმართეთ, დარბაზში ხალხი ტიროდა.

გიორგი:

— საერთოდ, ის, რაც ადამიანის ყურისათვის ადვილი აღსაქმელია, მოწონებას იმსახურებს. შეიძლება, უბრალო „პაპსა“ შეასრულო, მაგრამ ეს სიმღერა ხალხმა აიტაცოს...

გიგი:

— სიმართლე გითხრა, არასდროს დავინტერესებულვარ, ესმით თუ არა ჩვენი მუსიკა. მე, პირველ რიგში, საკუთარი თავისათვის ვმღერი! ადამიანმა საკუთარი გრძნობები რაიმე სახით ხომ უნდა გამოხატოს? თუ რამე მახარებს ან მწყინს, ყოველთვის ვმღერი და ამით საკუთარ თავს ვეხმარები. თუ ჩემი სიმღერით ერთ ადამიანს მაინც მივანიჭებ სიამოვნებას და რაღაცაში დავეხმარები, მაშინ ჩემი საქმე შესრულებულია! იმაზე რომ ვიფიქროთ, ესა თუ ის სიმღერა ხალხს მოეწონება თუ არა, ჩვენი საქმე ცუდად იქნება — ეს უკვე შოუბიზნესია, რომელიც ძალიან არ მიყვარს! ხელოვნება სიკეთეს უნდა ემსახურებოდეს, მეც სიკეთეს ვაკეთებ და დავინახე, რომ ხალხსაც ესმის ჩვენი.

— ორნახევარ წელში 75 სიმღერის დაწერა როგორ მოასწარი?

— მაგალითად, აგვისტოს ომის დროს, ერთ თვეში 25 სიმღერა დავწერე, ანუ უარყოფითი ფაქტორები უფრო აღვიძებს მუზას. ჩვენში ბევრი პროტესტია, თუნდაც, გაუცხოების პრობლემის, ომის მიმართ...

გიორგი:

— ნებისმიერი გარეშე ფაქტორი მუსიკოსზე ძალიან მოქმედებს. აგვისტოს მოვლენებმა გიგიზე იმდენად იმოქმედა, რომ მთელი ის ემოცია, რაც ჰქონდა, სიმღერებში ჩადო! ჩვენი მეგობრები გორში იყვნენ, ქვეყანაში საშინელება ხდებოდა და ჩვენ, მუსიკოსებმა პროტესტი სიმღერით გამოვხატეთ.

— ქუთაისში გასვლითი კონცერტი გქონდათ. იქ როგორ შეგხვდნენ?

— „შეიძლება, გედევიღო თქვენთან სურათიი?..“ — აი, ასე შეგვხვდნენ (*იცინის*).

გიგი:

— თავიდანვე გაგვაფრთხილეს, — ქუთაისელებს ან ძალიან მოეწონებით, ან სტვენას დაგიწყებენო. მოკლედ, მათი მოწონება დავიმსახურეთ. ძალიან თბილი და ჯიგარი ხალხია!

— რამ ითამაშა მთავარი როლი, რომ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ჯგუფი ხართ?

გუგა:

— ცოცხალმა შესრულებამ. ჩვენ ფონოგრამით არ ვმღერით (*იცინის*). ხალხური ელემენტები გვაქვს სიმღერაში და ესაა მთავარი.

გიორგი:

— გვეუბნებიან, — ტელევიზიაში რომ მოდიხართ, ფონოგრამაზე რატომ არ უნდა იმღეროთო?! გიგის ამაზე სულ ელიმება: სასაცილოა, რომ მუსიკოსმა ფონოგრამის დახმარებით დაუკრასო!

გიგი:

— თუ ვიღაცას ფონოგრამა სიმღერის შესრულებაში ეხმარება და უხარია, რომ ის არსებობს, რამდენიც უნდა, იმდენი იმღეროს, მე კი მიხარია, როცა ცოცხალ შემსრულებელს ვუსმენ!

— სულ რამდენ ინსტრუმენტზე უკრავთ?

— (*ითვლიან*) დაახლოებით, 12-ზე... მალე ჭიბონი, ჭუმირი, ჩონგური გვექნება და შესაბამისად, ჩვენს რეპერტუარში ფოლკლორის ელემენტები გაიზრდება.

— ჯგუფში 2 გოგონა გყავთ...

— ჩვენს „ჩელისტკას“, გვანცა მათიაშვილს ბიჭი შეეძინა და ამ ფაქტით გახარებულები ვართ! მოკლედ, „მგზავრებს“ უკვე შვილიც გვყავს, პატარა სანდრო. გვანცა პროფესიონალი მუსიკოსია. აი, ჩემს დას კი ხან ცოტას, ხანაც — ბევრს ვეჩხუბები (*იცინის*)...

გიორგი:

— გიგი ნინის მიმართ უფრო მომთხოვნია... ნინი უმაგრესი ადამიანია, მაგრად მღერის!

— რაიმე თავს გადახდენილ, სახალისო სიტუაციას ხომ ვერ გაიხსენებთ?

— ამას წინათ გიგიმ დილაუთენია დამირეკა და მეუბნება, — პლაკატისთვის ფოტოს ვიღებთ და ცხრის ნახევარზე გაგარინის მოედანზე იყავიო... მთაწმინდიდან საბურთალოზე გავვარდი, დათქმულ დროს იქ ვიყავი. მალე, გუგა და გვანცაც მოვიდნენ. ველოდებით გიგის. გავიდა 1 საათი, ორი, სამი... გიგი დაახლოებით, 12 საათზე გამოჩნდა და გვეუბნება: წამოდით, მთაწმინდაზე უნდა ავიდეთ და სურათები გადავიღოთო. მიგვიყვანა ჩემს უბანში, ჩემს სახლთან ახლოს. კინაღამ გადავირიე: აქ თუ მოვდიოდით, იქ რატომღა გამაქცია და თანაც, 3 საათი რისთვის მაცდევინე-მეთქი?!

გიგი:

— უჰ, დროში ცოტა „მეჭედება“ (*იცინიან*)...

გუგა:

— ამა თუ იმ კონცერტისას, კულისებიდან სცენაზე ყოველთვის მატარებლის ხმის ფონზე გავდივართ და ხალხს ვეცნობით, ჩვენს სახელსა და გვარს ვამბობთ... ქუთაისში გამოსვლისას, მატარებლის ხმის ნაცვლად, „ვარსკვლავთა ომების“ საუნდტრეკი ჩაირთო (*იცინიან*). ყველაფერი იმაზე მაგარი გამოვიდა, ვიდრე ჩაფიქრებული გვქონდა — გიგიმ მუსიკა გამოართვევინა და უშუალობით გავიდა ფონს.

გიორგი:

— ზამთარში, მერიის დაკვეთით, „შარდენზე“ კონცერტი ტარდებოდა. მაგრად ყინავდა, ხელთათმანებითა და ქუდებით ვუკრავდით. ბოლოს, გიგიმ „მთვარე“ იმღერა. ხალხს უყვარს ეს სიმღერა და ატყდა ერთი ამბავი. ბოლოს, საწყალი გიგი ლამის სცენას შეეყინა — ხელში გიტარა ეჭირა, საწყალი კაცის გამომეტყველება ჰქონდა და ისე მღეროდა, ჩვენ კი კულისებში გავეპარეთ და სმა დავიწყეთ (*იცინიან*).

გიგი:

— მე ყველა სიმღერაში დაკავებული ვარ და სადაც სხვა წევრები არ მღეროდნენ, იმ სიმღერიდან 2 სიტყვას წავუმღერებდი თუ არა, სცენაზე კაციშვილი აღარ იდგა. მერე, კულისებისკენ მივბრუნდებოდი ხოლმე და ამათ ვეძახდი: მოოდით, მოოოდით... ბოლოს, „დავეყინე“ სცენას. თან, კარგად გვიხდიდნენ და რომ არ მემღერა, არ გამოდიოდა (*იცინის*)... ■

სულ 75 სიმღერა გვაქვს (გუგა, გიორგი და ბეჟო)

„ჩემი პუტჩეკა ძნელია!..“

დიპლომიან მომღერალს საკუთარ თავზე ლაპარაკი არ უყვარს

მომღერალი მარიკა თხელიძე, მიუხედავად იმისა, რომ გათხოვებაზე ჯერ არ ფიქრობს, ჩვენს რუბრიკაში სტუმრობას მაინც დათანხმდა. მარიკა 21 წლისაა, შეყვარებული არ ჰყავს და როგორც ამბობს, მისი რჩეული თბილი, ყურადღებიანი, მორწმუნე (მართლმადიდებელი) და ჯანსაღი იუმორის მქონე ადამიანი უნდა იყოს.

მარეხ ჭონიშვილი

— მარიკა, შენს შემოქმედებაში რა სიახლეებია?

— მე და თიკა ჯამბურიამ ახალი დუეტი ჩავწერეთ. მას ჩვენი მსმენელი რადიოს საშუალებით ძალიან მალე მოისმენს. მე და თიკა მეგობრები ვართ და უკვე ბევრი დუეტიც დაგვიგროვდა. მოგეხსენებათ, მუსიკალურ კარიერაში დიდი პაუზა გამომივიდა, რადგან რამდენიმე წელი სწავლაზე ვიყავი გადართული. ახლა კი ამისთვისაც მოვიცალე და ვცდილობ, მსმენელს რაღაც ახალი შევთავაზო.

— მარიკა, როგორ ფიქრობ, რა დადებითი თვისება გაქვს?

— ოოო... მე ძალიან კარგი გოგო ვარ და ბევრი დადებითი თვისებაც მაქვს. რაც მთავარია, დიპლომიანი საპატარძლო ვარ (*იცინის*). ეს ხუმრობით, ისე კი საკუთარ თავზე ლაპარაკი არ მიყვარს. მირჩევნია, სხვამ შემაფასოს.

— შენი ოჯახი გაგვაცანი.

— მყავს დედა (მამა კი მოგეხსენებათ, აფხაზეთის ომში დამეღუპა), ბებია, ბაბუა. ასევე — ბიძაშვილები, მამიდაშვილები, მეგობრები, რომლებიც ჩემი უახლოესი ადამიანები არიან და ამიტომაც, მათ ოჯახის წევრებად მივიჩნევ.

— ჰოროსკოპით ვინ ხარ და გჯერა თუ არა ვარსკვლავების წინასწარმეტყველების?

— თევზები ვარ. საერთოდ, ჰოროსკოპს ყურადღებას არ ვაქცევ და შესაბამისად, მისი წაკითხვის სურვილიც არასოდეს გამჩენია.

— რა განათლება გაქვს?

— ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის დიპლომატიის ისტორიის ფაკულტეტი მაქვს დამთავრებული; მომავალი დიპლომატი ვარ, მაგრამ ჯერჯერობით არ ვმუშაობ.

— საოჯახო საქმეების გაკეთება თუ გეხერხება?

— სამზარეულოში ტრიალი, სახლის დალაგება და უთოობა არ მიწევს. ამ მხრივ, დედას და ბებიას ბავშვობიდანვე განებივრებული ვყავარ. მე ხან გადაღებაზე ვარ, ხან — ჩაწერაზე და ისინიც ყველანაირად ხელს მიწყობენ, მეხმარებიან.

— ახლა კი განებივრებენ, მაგრამ გათხოვების შემდეგ ამ ყველაფრის გაკეთება რომ დაგჭირდეს, რას იზამ?

— რაღაცების გაკეთება ვიცი. თან, ზარმაცი ნამდვილად არა ვარ და როცა დამოუკიდებელ ცხოვრებას დავიწყებ, ყველაფერს თანდათან ვისწავლი.

— შეყვარებული თუ გყავს?

— არა.

— არც არასდროს გყვარებია? საინტერესოა, ამ დროს როგორია მარიკა თხელიძე?

— ვფიქრობ, ეს ძალიან პირადული თემაა, პირადულზე ლაპარაკი კი არ მიყვარს.

— მაშინ ის მაინც მითხარი, როგორი ბიჭები მოგწონს?

— ბიჭი, რომელიც მომეწონება, უნდა იყოს მაღალი, უხვი, მდაბალი და ლამაზი (*იცინის*). შეიძლება, ახლა გითხრა, — ქერა, ცისფერთვალება ბიჭები მომწონსმეთქი, მაგრამ ხვალ სულ სხვანაირი ტიპი მომეწონოს. ეს — რაც შეეხება გარეგნობას... ისე კი ჩემი რჩეული თბილი, ყურადღებიანი, მორწმუნე (მართლმადიდებელი) და ჯანსაღი იუმორის მქონე ადამიანი უნდა იყოს. დაბღვერილი ტიპები არ მიყვარს.

დაბღვერილი ტიპები არ მიყვარს

— ალბათ, თაყვანისმცემლები განებივრებენ ხოლმე...

— თაყვანისმცემლები მართლა არ მაკლია და ისინი ბევრ სასიამოვნო სიურპრიზსაც მიკეთებენ. მაგალითად, ბევრჯერ დამხვედრია სახლში ულამაზესი ვარდები. ასეთი ყურადღება ქალს ყოველთვის სიამოვნებს და სტიმულს აძლევს.

— მარიკა, შენი გაბრაზება იოლია?

— ძალიან მომთმენი ვარ. ყოველთვის ვცდილობ, გაწონასწორებული ვიყო, მაგრამ ზოგჯერ რთულია.

— მტირალა ხარ?

— ჩემი ატირება ძნელია. თუმცა, ძალიან ემოციური ვარ.

— ეჭვიანობა გჩვევია?

— თუ ადამიანი გიყვარს, ზომიერების ფარგლებში, მასზე უნდა იეჭვიანო კიდეც.

— შენი მომავალი მეუღლის მატერიალური მდგომარეობით თუ დაინტერესდები?

— ადამიანს, იმის მიხედვით, თუ ანგარიშზე რამდენი თანხა აქვს, არასოდეს ვაფასებ. ურთიერთობაში ფული მთავარი არ არის. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დამანახვოს, საყვარელი ადამიანისათვის რისი გაკეთება შეუძლია, რამდენად მონდომებული და მიზანდასახულია.

— ქართულ ტრადიციებზე რას იტყვი?

— ქართულ ტრადიციებს პატივს ვცემ, მაგრამ მათში ბევრი რამ არ მომწონს და არც ვიზიარებ.

— მაგალითად, ქართული ტრადიციის მიხედვით, ბიჭი საცოლის ოჯახში უნდა მივიდეს და მშობლებს მისი ხელი სთხოვოს...

— ეს ტრადიცია ძალიან მომწონს და მივესალმები კიდეც. გამიხარდება, თუ ჩემი რჩეული ოჯახში გვესტუმრება და მშობლებს ჩემს ხელს სთხოვს.

— ასევე, ქართული ტრადიციის მიხედვით, როცა გოგო თხოვდება, მშობლები მას მზითევს ატანენ. შენ თუ გაქვს მზითევი?

— არა (*იცინის*). ვერ ვხვდები, ეს რა საჭიროა და ამიტომაც, მზითევს არ ვაგროვებ.

— ოდესმე თუ გიფიქრია, როგორი ქორწილი უნდა გქონდეს?

— ამაზე ჯერ არ მიფიქრია, მაგრამ ერთ რამეში დარწმუნებული ვარ

— აუცილებლად თეთრი კაბა მეცმება და ქორწილში ყველა ჩემი საყვარელი ადამიანი შეიკრიბება.

— ოჯახის შექმნის შემდეგ ქმრის ოჯახთან ერთად თუ იცხოვრებ?

— უკონფლიქტო ვარ, ადამიანებთან ურთიერთობა არ მიჭირს. კარგია, როცა წყვილი ცალკე ცხოვრობს და იმ პრობლემებსა თუ სიხარულს, რაც ახალდაქორწინებულებს აქვთ, დამოუკიდებლად ხვდება; მაგრამ თუ იმის საშუალება არ იქნება, რომ ჩემს მეუღლესთან ერთად მარტო ვიცხოვრო, რა პრობლემაა?! — მის ოჯახსაც სიამოვნებით შევეგუები.

— დედამთილთან ცხოვრება არ გაგიჭირდება?

— გააჩნია დედამთილს (*იცინის*).

— დედამთილს „დედას“ თუ დაუძახებ?

— ყველა ადამიანს პატივს ვცემ, მაგრამ მე დედა უკვე მყავს!

— ქალისა და მამაკაცის ქორწინებამდე ურთიერთობის შესახებ რა აზრის ხარ?

— არავის განსჯას არ ვაპირებ, მაგრამ ჩემთვის ქორწინებამდე ურთიერთობა მიუღებელია. საერთოდ, სიყვარულში ყველა ეტაპს თავისი სილამაზე აქვს და ეს სილამაზე არ უნდა დაამახინჯო.

— როდესაც მამაკაცი მოგწონს, რას აკეთებ იმისთვის, რომ თავი მოაწონო?

— ასეთი სიტუაცია ჯერ არ მქონია და ალბათ, არც მექნება. მიმაჩნია, რომ ურთიერთობაში პირველი ნაბიჯი მამაკაცმა უნდა გადადგას, ქალმა კი თავი დაიფასოს. ვფიქრობ, კაცისთვის რაც უფრო მიუწვდომელი ხარ, მით უფრო ეცდება, შენი ყურადღება დაიმსახუროს. თუმცა არიან ისეთი მამაკაცებიც, რომლებსაც იმისათვის, რომ დაგინახონ, „გამოღვიძება“ სჭირდებათ.

— მარიკა, შენმა რჩეულმა კარიერასა და ოჯახს შორის არჩევანის გაკეთება რომ მოგთხოვოს, რომელს აირჩევ?

— თუ ვუყვარვარ, ასეთი არჩევანის წინაშე არ დამაყენებს. მას წინასწარ ეცოდინება, რომ ჩემთვის ორივე მნიშვნელოვანია.

— ამ ინტერვიუს შემდეგ თაყვანისმცემლები გამოგეხმაურებიან და შენთან შეხვედრას მოინდომებენ. რომელიმე მათგანს თუ შეხვდები?

— ყველა ის ადამიანი მიყვარს და პატივს ვცემ, ვისაც მარიკა თხელიძე უყვარს. თუკი ჩემთან შეხვედრის სურვილი ვინმეს გაუჩნდება, შევხვდები და გავესაუბრები, ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ.

P.S. აი, ასეთი მომხიბვლელი, ჭკვიანი და თანაც, დიპლომიანი საპატარძლო გვყავს. მარიკას თაყვანისმცემლებს საშუალება გეძლევათ, გამოეხმაუროთ ტელეფონის ნომერზე: 8(55). 45-48-50. მარიკა საუკეთესო მესიჯის ავტორს შეხვდება. წარმატებას გისურვებთ! ■

ბერლუსკონი აბობოქრდა

იტალიის პრემიერ-მინისტრმა, სილვიო ბერლუსკონიმ „უღირს საქციელში“ იტალიური პრესა დაადანაშაულა, რომელმაც საზოგადოებას პრემიერის განქორწინების გამო გამოწვეული სკანდალის ცენტრში მოქცეული, 18 წლის ფოტომოდელის — ნოემი ლეტიციას უძრავი ქონების შესახებ აუწყა. იტალიური ფინანსური გაზეთ Il Sole 24 Ore-ის ცნობით, 2003 წლიდან, ნეაპოლის მახლობლად, პორტიჩიში მდებარე ლეტიციების ბინა ნოემის სახელზე ირიცხება. ასევე, მის სახელზეა გაფორმებული ნეაპოლში მდებარე 2 სხვა ბინაც და გარეუბან სეკონდილიანოში არსებული პატარა საოჯახო მაღაზიაც. გაზეთს არც იმის აღნიშვნა დავიწყნია, რომ ქონების შვილებზე გაფორმების პრაქტიკა იტალიაში ფართოდაა გავრცელებული და რომ ნოემი ლეტიციას სახელზე გაფორმებული არც ერთი უძრავი ქონება ლუქსის კლასს არ მიეკუთვნება. მიუხედავად ამისა, იტალიის პრემიერი აღშფოთებას ვერ ფარავს და ამასწინანდელი მიწისძვრის ეპიცენტერ ლაკუილაში ვიზიტისას, კიდევ ერთხელ, მრისხანედ გაიმეორა, რომ „გოგონა სრულიად მიუღებელი სახით გახდა ჟურნალისტების სამიზნე“. „რა უფლებით ერევით მის პირად ცხოვრებაში? — ჯიუტად უტევდა პრემიერი ჟურნალისტებს. — რა უფლებით უთვალთვალებთ პატივსაცემ ოჯახს?“.

ბერლუსკონი დარწმუნებულია, რომ მას, როგორც პოლიტიკოსს, ნოემი ლეტიციასთან დაკავშირებული ამბავი მხოლოდ სიმტკიცეს შემატებს. მეტიც, თურმე, ეს სკანდალი, ევროპარლამენტის არჩევნებში, რომლის შედეგადაც ის შეიძლება, „ევროკავშირის ერთ-

ნოემი ლეტიცია

ერთი ყველაზე ავტორიტეტული ლიდერი“ გახდეს, ხმების მოგროვებაშიც კი დაეხმარება. „მე ისეთი ცომისგან ვარ მოზელილი, რომ რაც მეტად მესხმიან თავს, მით მეტად ვრწმუნდები ჩემი მოსაზრებების სისწორეში და იმაშიც, რომ ამ პოსტზე ჩემი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე ვიმყოფები“, — განაცხადა ბერლუსკონიმ CNN-ისთვის მიცემულ ინტერვიუში. ოპოზიციის ბრალდებებს კი მან ასე უპასუხა: „დარწმუნებული ვარ, ეს თავდასხმები მემარცხენეებს ბუმერანგივით მიუბრუნდებათ. ჩემი პერსონალური რეიტინგი 74,8 პროცენტია და ამიტომაც, სრულიად მშვიდად ვარ“. როგორც ჩანს, იტალიის პრემიერს სიმშვიდე ნოემი ლეტიციას მამის ინტერვიუმაც შემატა, რომელშიც ის ირწმუნება, რომ მისმა ოჯახმა ბერლუსკონი 2001 წელს, სრულიად შემთხვევით გაიცნო.

როგორც ყოველთვის, კოლორიტული იყო პარტია „ჩრდილოეთის ლიგის“ ლიდერის, უმბერტო ბოსის კომენტარებიც. „ეს ხელოვნურად გაბერილი ხმაურია, — განაცხადა მან, — ამის მიზეზი კი ისაა, რომ ახლოვდება არჩევნები, მაგრამ მემარცხენეებს სათქმელი ბევრი არაფერი აქვთ. არა მგონია, პოლიტიკოსებს ქალებთან ღლაბუცის დრო ჰქონდეთ. პირადად მე, საპირფარეშოშიც ვერ ვახერხებ მარტო დარჩენას. გარდა ამისა, ბერლუსკონი უკვე ასაკშია. კარგი, დავუშვათ, „ვიაგრაც“ არსებობს, მაგრამ მე ამის ნაკლებად მჯერა...“

იტალიის პრემიერის საქციელზე კომენტარი კათოლიკურმა ეკლესიამაც გააკეთა. „ადამიანებს, რომლებიც უმაღლესი დონის საზოგადოებრივ პოსტზე არიან, უფლება არ აქვთ, ყურადღება არ მიაქციონ იმას, თუ რა გავლენას ახდენს მათი საქციელი საზოგადოებრივ აზრზე“, — განაცხადა ერთ-

გია ფერაძის ოსეფხოზები

ანუ „აქდამეკიდოს“ გრიშაშვილის ლექსი, გაცურებული „ბლაგოროდნი დევიცები“ და ზეიკო ბოცვაძის „მიცვალებული“

ნანული ჯოტიკაშვილი

ცნობილი მსახიობი, გია ფერაძე ათიოდე წლის წინ გარდაიცვალა. თუმცა, ვისაც მისი ჯინო თუ თეატრალური როლები უნახავს, ჯარგად ახსოვს მსახიობის მიერ განსახიერებული როლები – „ჯავჯასიური ცარცის წრიდან“ ან ფილმიდან – „არასერიოზული ჯაცი“. მსახიობის ცხოვრებიდან რამდენიმე მხიარულ ეპიზოდს მისი ძმა, ილია ფერაძე იხსენებს.

პირველად სცენაზე

გია 6 წლის იყო, როცა ბაბუა — სერგო გადასახლებიდან დაბრუნდა. იგი გიას დააყენებდა ხოლმე სკამზე და ლექსებს ათქმევინებდა. გია მაშინ ყველა სიტყვას გამართულად ვერ წარმოთქვამდა და ენას ბავშვურად უქცევდა.

ერთხელაც, ბაბუის მეგობრის, დიდი პოეტის — იოსებ გრიშაშვილის საღამო ტარდებოდა; იმ ლექსებს შორის, რომელიც გიამ იცოდა, იყო გრიშაშვილის ლექსი — „დიდება ბელადს“. ბაბუამ გიას ხელი მოჰკიდა და საღამოზე წაიყვანა. პოეტს შვილიშვილი წარუდგინა და უთხრა, რომ გიამ მისი ლექსი იცოდა და თანაც, გამოთქმით კითხულობდა. მეორე განყოფილებაში ის წამყვანმა წარადგინა და ხალხით სავსე დარბაზის წინაშე დიდ სცენაზე გია პირველად გამოვიდა. როგორც ბაბუა ჰყვებოდა: არავითარი დაბნეულობა და მორცხვობა, გია რიხიანად გავიდა, სცენის შუაში დადგა და გამოთქმით დაიწყო: „დიდება ბელადს“. ლექსი — „აქდამეკიდოს“ გრიშაშვილისა!“ დარბაზში ხარხარი ატყდა. გია დაიბნა. იგი სიტყვა „აკადემიკოსის“ ნაცვლად, „აქდამეკიდოს“ ამბობდა, რაც ბაბუამ კარგად იცოდა! სცენაზე, სავარძელში მჯდომი სოსო წამოდგა, გიასთან მივიდა, თავზე ხელი მოუთათუნა და ღიმილით უთხრა: „შვილო, ამ მთავრობას რომ ვკიდივარ, ეგ ვიცოდი, მაგრამ შენ რაღა დაგიშავე?“ ეს იყო მომავალი მსახიობის სასცენო დებიუტი.

ბებიები სკოლაში

გია სკოლაში გაუთავებლად ოხუნჯობდა, დადიოდა „შატალოებზე“ და ხშირად, ცუდი ნიშნებიც ჰქონდა, მაგრამ ბოლო მეოთხედში, ყველა მასწავლებელი ნორმალურ ნიშანს უწერდა, რათა იგი კლასში არ ჩარჩენილიყო და ერთი წლით არ გახანგრძლივებულიყო მათი წვალება. როდესაც დამრიგებელი მშობელს იბარებდა, გიას მორიგეობით ბებიები მიჰყავდა. არ ჰყავდა, თუ რა! — ხან ერთს გაუძღვებოდა, ხან — მეორეს



„შვილო, ამ მთავრობას რომ ვკიდივარ, ეგ ვიცოდი, მაგრამ შენ რაღა დაგიშავე?“

და ხანაც — მესამეს... ის ბებიებს მოფერებით, „ბლაგაროდნი დევიცებს“ ეძახდა, რადგანაც ისინი მხოლოდ მეგობრულად „ურჩევდნენ საქმეს“. გია ჰპირდებოდა მათ, რომ აუცილებლად გამოსწორდებოდა, გახარებული ბებიები კი ნაყინის ფულსაც აძლევდნენ ხოლმე.

მასწავლებლის საყვედურების მოსმენა ყველაზე ხშირად ბებია ნინას უწევდა. გია მას სიყვარულით „მაკარენკოს“ ეძახდა. თუ დედა და ძმა რამეზე ტუქსავდნენ, იმწუთასვე გაისმოდა: — Оставь ребенка, не будь садистом!.. და სამივე ბებია მატროსოვივით გადაეფარებოდა.

როცა კინოში წასასვლელად ფული მოუნდებოდა, ბებიებს დასვამდა და სხვადასხვა ფოკუსს უტარებდა (ფულს წინასწარ ართმევდა). ერთხელ, ერთერთი ფოკუსი არ გამოუვიდა. ნადია ბებიამ დაუსტვინა და შვილიშვილს ფულის დაბრუნება მოსთხოვა, მაგრამ გია უკვე ეზოში იყო.

„მიცვალებულის“ გამოცხადება

დაბრუნდებოდა თუ არა გია გასტროლებიდან, მისი სახლისკენ მონატრებული მეგობრების განუწყვეტელი სვლა იწყებოდა. კარზე ზარია, ე.ი. მორიგი სტუმარი მოვიდა; გიამ სათვალთვალოში გაიხედა და მეგობარი — ამირან ბუაძე დაინახა. ოთახში შებრუნდა, მიცვალებული ქალის რეზინის ნიღაბი გაიკეთა, ბებიის ხალათი ჩაიცვა, წელში მოკუნტულმა და ჯოხზე დაყრდნობილმა კარი გაუღო. თან არაამქვეყნიური ხმით სახლში შეიპატიჟა. ამირანს გული კინაღამ გაუსკდა, რადგანაც ნიღაბი მართლაც, საშინელი შესახედავი იყო.

— ვაიმე! — იყვირა ამირანმა და მეექვსე სართულიდან პირველამდე სირბილით ჩავიდა, თან, იძახდა: — ფერაძე ხარ, ფერაძე, ხომ ვიცი, რო ფერაძე ხარ!..

ზეიკოს პურმარილი

გია, ნანული სარაჯიშვილი და ამირან ბუაძე „პახმელიაზე“, დილით, ზეიკო ბოცვაძეს მიადგნენ. ფული არც ერთს არ ჰქონდა. ზეიკო მათი ხშირი

მასპინძელი იყო, მაგრამ იმ დროს ფული არც მას ჰქონდა. იგი თეატრისგან თავისუფალ დროს თავს ჭრა-კერვით ირჩენდა. ამავე დროს, ზეიკოს თაყვანისმცემლები რესტორანში ხშირად ეპატიჟებოდნენ და იქიდან, ვითომდა ძაღლისთვის, მეგობრებისთვის პურმარილი მოჰქონდა.

ამჯერადაც, დატრიალდა ზეიკო თავის კოხტა სამზარეულოში და სულმიხდილ მეგობრებს სუფრა გაუშალა. წინადღეს, მეზობლის დასაფლავება ყოფილა და ჭირისუფალმა ოჯახმა, მეზობლებს მოსახსენებელი გაუგზავნა. მაგიდაზე გაჩნდა მოხარშული ზუთხი, სათალი, ხაშლამა და როდესაც შილაფლავიც მოაყოლა, გიამ თქვა:

— ისეთი ქელეხის პურმარილი გაგვიშალა, რომ მგონი, სადმე მიცვალებულიც ეყოლება დამალული.

ადგა და ზეიკოს საძინებელში შევიდა. მუთაქები სწრაფად საწოლში დაალაგა, ზეწარი გადააფარა და ისე გაასწორა, გეგონებოდა, ვინმე იწვა, მერე კი იქიდან გაფართოებული თვალებით გამოვარდა, — ხომ გითხარით, მართლაც ჰყავს მკვდარი, თუ არ გჯერათ, მიდით, ნახეთო. მან ნანული და ამირანი ძალით შეუშვა საძინებელში.

ლოგინში ზეწარგადაფარებული „მიცვალებულის“ დანახვაზე ნანული და ამირანი საძინებლიდან ყვირილით გამოცვივდნენ და კიბეზე დაეშვნენ. ზეიკომ ბევრი იცინა, მერე კი შეშინებული მეგობრები ძლივს დაამშვიდა.

ზეიკომ ბევრი იცინა, მერე კი შეშინებული მეგობრები ძლივს დაამშვიდა

სურათთან გასაუბრება

ვაჟა ლორთქიფანიძე გიას ახლო მეგობარი იყო. როდესაც იგი კომკავშირის ცეკას მდივანი გახდა, შეხვედრებზე გიაც ხშირად დაჰყავდა. ერთ დღეს, გიამ კაბინეტში მიაკითხა. ვაჟამ სთხოვა: ცოტა ხანს აქ დაჯექი, 10 წუთში უცხოელი სტუმრები უნდა მივიღოო. გია მოშორებით, კუთხეში დაჯდა, შემოვიდნენ სტუმრები. გია როგორც აქტივისტი მსახიობი, ისე წარადგინეს, გავიდა 20 წუთი. შეხვედრა გაჭიანურდა. პურმარილის მოლოდინში გიას სული უკაწკაწებდა, ადგილზე ვერ ისვენებდა. ცოტა ხანში ადგა, სიგარეტი ამოიღო, ცეკას მდივანთან მივიდა და მობოდიშებით ასანთი სთხოვა. უარი მიიღო. მივიდა კედელთან, სადაც ბრეჟნევის ახალგაზრდობის სურათი ეკიდა. „მცირე მიწაზე“ გადაღებული ფოტოდან, პაპიროსით ხელში ფორმაში გამოწყობილი ბრეჟნევი იმზირებოდა.

— Разрешите прикурить?

— ჰკითხა გიამ და ყველასგან შეუმჩნევლად ჯიბიდან სანთებელა ამოიღო, შემდეგ კი სიგარეტი ბრეჟნევის სიგარეტს მიადო, მსუყე ბოლი გამოუშვა და გემრიელად გააბოლა. მერე სურათს თავი დაუკრა და ლეონიდ ილიჩს მადლობა ხმამაღლა გადაუხადა.

სტუმრები გაოგნდნენ და სურათს მიაშტერდნენ. ყველაზე მეტად, ვაჟა ლორთქიფანიძე გაოცდა, რომელიც სურათთან ზურგით იჯდა, ამიტომაც, ვერ გაეგო, როგორ მოუკიდა გიამ სიგარეტს და რატომ უხდიდა მადლობას ლეონიდ ილიჩს. ■

სიგარეტი ბრეჟნევის სიგარეტს მიადო, მსუყე ბოლი გამოუშვა და გემრიელად გააბოლა

იყიდეთ!
ივნისის ნომერი



თქვენ ხომ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით...

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი

ეოჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

1. ობი კიმონოს დეკორატიული სარტყელია.

2. პარანგონი — უნაკლო, უზადო ბრილიანტია.

3. ათოსი დ'არტანიანზე 12 წლით უფროსი იყო.

4. მოგოლები ინდოეთის მმართველთა დინასტია იყო XVI-XIX საუკუნეებში.

5. სალვადორ ალიენდე და ერნესტო ჩე გევარა განათლებით ექიმები იყვნენ.

6. „ვსე ანეკდოტი ნა ბლანდინოკ საჩინიაიუტ ბრიუნეტკი", — ამბობს კლარა ნოვიკოვა.

7. „იუმორი ერთგვარი ამორტიზატორია ჩვენს გზებზე სასიარულოდ", — ამბობენ რუსები.

8. კანადაში ორიათასწლიანი სეკვოიის წაქცევის შედეგად გამოწვეული მიწის რყევა სეისმოლოგებმა რიხტერის სკალით ორ ბალად შეაფასეს.

9. ობერეკი — პოლონური ხალხური ცეკვაა. მისი მოტივები შოპენის მუსიკაშია წარმოდგენილი.

10. კართაგენის დანგრევიდან 50 წლის შემდეგაც კი ჰანიბალით აშინებდნენ ძიძები რომაელ ბავშვებს.

11. პაოლო იაშვილი ბაბუაჩემის დისშვილი იყოო, ჰყვებოდა მსახიობი დათო ხურცილავა (ჯაპანა).

12. „ხანუმას" დადგმის შემდეგ რობიკო სტურუას ეპიგრამა მისწერეს: „გვთავაზობენ „ხანუმას" ხან მოხარშულს, ხან — უმად".

13. „აქ ამბავი ატყდება, მამა სინოკ ნე ვაზმიოტო!" — თავში ხელებს იცემდა ერთ-ერთ გადაცემაში პაატა გულიაშვილი.

14. ივანე ჯავახიშვილის მეუღლე ანასტასია ჯამბაკურ-ორბელიანი ერეკლე მეორის შვილიშვილის შვილიშვილი იყო.

15. „ჩემი ყურშა", — მოფერებით ასე ეძახის ბიძინა კვერნაძე გიგა ლორთქიფანიძეს. „ჩემი მუსიკა ყველაზე კარგად მას ესმის", — ამბობს ქართველი კომპოზიტორი ქართველი რეჟისორის შესახებ.

16. „ჩვენთან არავითარი აჯანყება არ არის, მაგრამ ეს რეგვენები მას ძალად შექმნიან", — გაოგნებული იყო ინგლისელთა არაკეთილგონივრული მმართველობით ბენჯამინ ფრანკლინი.

17. როცა რუსეთის პირველი სახელმწიფო სათათბირო დაშალეს და მის დეპუტატებს დევნა დაუწყეს, ერთ-ერთი მათგანი მატარებლით ბრუნდებოდა სამშობლოში. მგზავრობისას მან გაზეთ „ფრანკფურტერ ცაიტუნგის" კორესპონდენტი გაიცნო და გამოთხოვებისას საკუთარი მისამართი დაუტოვა: „ვიქნები ან ამ მისამართზე, — უთხრა მან კორესპონდენტს,

სტილისტების მუშაობით უკმაყოფილო თათია სულაშვილი

„შეიძლება, ჩემ მიერ შეძენილი, ძვირად ღირებული ნივთი უყურადღებოდ მივაგდო, მაგრამ ნაჩუქარს, თუნდაც იაფფასიანს, ასე არ მოვექცევი", — მითხრა „კომედი შოუს" მომხიბვლელმა ქალბატონმა — თათია სულაშვილმა, რომელიც საკუთარ გარეგნობაზე ყოველთვის განსაკუთრებულად ზრუნავს და ცდილობს, შინიდან მოუწესრიგებელი არ გამოვიდეს. უყვარს იმიჯის ხშირი ცვლა, ამას კი თმის ფერის შეცვლით ახერხებს.

და სილამაზისთვის გალებული მსხვერპლი

სოფო ჭონიშვილი

— თავის მოვლა და მოწესრიგება დიდ სიამოვნებას მანიჭებს... გაღვიძების შემდეგ, დაახლოებით 10-15 წუთი სარკის წინ ვჯდები და საკუთარი თავის ყურებით ვტკბები, შემდეგ კი სააბაზანოში შევდივარ, შხაპს ვიღებ, მერე ვიცვამ და სამსახურში მივდივარ.

— თქვი, რომ სარკეში ყურება სიამოვნებას განიჭებს. საკუთარ გარეგნობაში ყველაფერი მოგწონს?

— (*იცინის*) რაღაცები მომწონს, რაღაცები — არა. საერთოდ, ნათქვამია, — უნაკლო ადამიანი არ არსებობსო. განსაკუთრებით, ჩემი ცხვირი და თმა არ მომწონს.

— სილამაზის სალონს არ სტუმრობ?

— ერთი პერიოდი სილამაზის სალონში ხშირად დავდიოდი, თმას სტილისტი მივარცხნიდა, მაგრამ მერე მივხვდი, რომ ფენის ხშირმა გამოყენებამ თმა ძალიან დამიზიანა. ამიტომაც, სალონში სიარულზე დროებით უარს ვამბობ. საერთოდ, ბუნებრივად ტალღოვანი თმა მაქვს და ახლა, რატომღაც, ბუნებრივი თმა უფრო მომწონს.

— თმის მოსავლელად რაიმე ბუნებრივ ნიღაბს თუ იყენებ?

— საკუთარი ექსპერიმენტებიდან გამომდინარე, მივხვდი, რომ თმისთვის ყველაზე კარგი ნიღაბი მაიონეზია — დაბანამდე 1 საათით ადრე, თმაში მაიონეზს კარგად შევიზელ და მერე თბილი წყლით და შამპუნით ჩამოვიბან. შედეგი არაჩვეულებრივია — ეს ნიღაბი თმას ბზინვარებას და სასიამოვნო ეფექტს აძლევს.

„ტუჩებს სიამოვნებით დავიბერავდი

— სახის კანის მოვლის შენეული მეთოდი თუ გაქვს?

— ცოტა მშრალი კანი მაქვს და ამიტომ, ძილის წინ, ყოველთვის ღამის მკვებავ კრემს ვისვამ. ვცდილობ, სახის კანი არ დავტვირთო და ბუნებრიობა დიდხანს შევინარჩუნო.

— დილით სახლიდან ყოველგვარი მაკიაჟის გარეშე გადიხარ?

— მხოლოდ ტუჩის „ბლესკს" და „ტუშს" ვისვამ. ისე, ყოველი შემთხვევისთვის კოსმეტიკას ყოველთვის ჩანთით ვატარებ. მობილური ტელეფონისა და კოსმეტიკის გარეშე სახლიდან არასოდეს გავდივარ.

— რა ფირმის კოსმეტიკას იყენებ?

— კრემებს — სახის კანისთვის, ტანისა და ხელისთვის კოსმეტოლოგი მიმზადებს. რაც შეეხება სხვა კოსმეტიკურ საშუალებას, მათ — „ისი პარისა" და „ვულევუს" მაღაზიებში ვყიდულობ.

— ახლა შავი ფერის თმა გაქვს, ეს შენი ბუნებრივი ფერია თუ შელებილი გაქვს?

— ბუნებრივად წაბლისფერი თმა მაქვს. შავად თმა ახლახან შევიღებე... პირველად, თმა სკოლა რომ დავამთავრე, მაშინ შევიღებე. მას შემდეგ თითქმის ყველანაირი ფერი მოვსინჯე. ერთხელ ავიჩემე — ქერა უნდა გავხდე-მეთქი, სილამაზის სალონში წავედი და შევიღებე. შინ რომ დავბრუნდი და სარკეში ჩავიხედე, ტირილი დავიწყე — საშინლად არ მომეწონა. იმავე საღამოს თმა შავად გადავიღებე.

— მანიკიურსა და პედიკიურს თავად იკეთებ?

— როცა თავისუფალი დრო მაქვს, ამისთვის სილამაზის სალონში მივდივარ, ეს კი ძალიან იშვიათად ხდება. ისე, ძირითადად ამას თავად ვახერხებ.

— სად ისვენებდი?

— ჯერ ანტალიაში, იქიდან კი გონიოსა და ქობულეთში გამოვიარე.

— ძირითადად, რა ფერის ტანსაცმელს ატარებ? ნათელი ფერები მოგწონს თუ შედარებით მუქი?

— ადრე შავი ფერი ძალიან მიყვარდა და ჩემს გარდერობში სხვა ფერის ტანსაცმელს ვერც იპოვიდით. ბოლო დროს, რატომღაც, მყვირალა ფერები მომწონს — წითელი, ყვითელი, მწვანე, თუმცა, შავ ფერს მაინც არ ვღალატობ.

— ჩაცმის როგორ სტილს ანიჭებ უპირატესობას?

— ხან კლასიკურად ვიცვამ, ხან — სპორტულად, ხან კიდევ, შერეულად. ძალიან მიყვარს ჯინსის შარვალი, მაგრამ კედებს და ბოტასს არასოდეს ვიცვამ, რადგან დაბალძირიან ფეხსაცმელებზე საშინლად დავდივარ (*იცინის*).

— აქსესუარები გიყვარს?

— ძალიან, უპირატესობას ოქროსფერ სამკაულს ვანიჭებ, ვერცხლისფერებს კი იშვიათად ვიკეთებ. რაც შეეხება საათს და სათვალეს, ეს ჩემი სუსტი წერტილია. უამრავი სათვალე მაქვს. მათ შორის, უმრავლესობა ნაჩუქარია. ახლახან სათვალეების მაღაზიაში შევედი და გამყიდველმა ერთი სათვალე მაჩუქა. საერთოდ, ნაჩუქარ ნივთებს ძალიან ვუფრთხილდები. შეიძლება, ჩემი შეძენილი ძვირად ღირებული ნივთი უყურადღებოდ მივაგდო, მაგრამ ნაჩუქარს, თუნდაც, იაფფასიანს ასე არ მოვექცევი.

— მაღაზიებში სიარული გიყვარს?

— ოო... ყოველთვის მიკვირს იმ ადამიანების, რომლებსაც მაღაზიებში სიარული არ უყვართ. მე შემიძლია, მთელი დღე, დაუღალავად ვიარო, რადგანაც სამოსის ყიდვის პროცესი სიამოვნებას მანიჭებს.

— ფულს დაუნანებლად რაში ხარჯავ?

— ყველაზე დიდი თანხა შემიძლია ჩანთაში გადავიხადო (*იცინის*). ძალიან მომწონს დიდი და ორიგინალური ჩანთები.

— დღის განმავლობაში სარკეში ხშირად იყურები?

— სახლში რომ ვიყო, ალბათ მთელი დღე სარკის წინ ვიტრიალებდი, მაგრამ სამწუხაროდ, სამსახურში ამის საშუალება ნაკლებად მაქვს. ახლა, სარკიანი მობილური შევიძინე და შიგადაშიგ, ვიყურები და ვიპრანჭები ხოლმე.

— წარბების კორექცია თავად გაიკეთე?

— როცა სკოლა დავამთავრე, წარბების კორექცია პირველად მაშინ გავიკეთე. ძალიან სქელი, გადაბმული წარბები მქონდა. კოსმეტოლოგთან ვიყავი და ისე საშინლად გამიკეთა, რომ იმის შემდეგ, ამ საქმეს არავის ვანდობ, თავად ვიკეთებ. სხვათა შორის, ბევრი აღნიშნავს, რომ მათ ძალიან ლამაზად ვიქნი. სტილისტებმა ისე დამაშინეს, რომ სალონში თმის შესაჭრელადაც აღარ შევდივარ. საერთოდ, უპრეტენზიო ადამიანი ვარ და როცა რაღაც არ მომწონს, ამას ხმამაღლა არასოდეს ვამბობ, ამიტომაც, დაზარალებული ყოველთვის მე ვრჩები. ხშირად, სტილისტისთვის მადლობა გადამიხდია, გამოვსულვარ და გარეთ მიტირია. ისე, ცოტა დებილიც ვარ. შეგიძლია, ზუსტად ასე დაწერო, არ მეწყინება (*იცინის*).

— დიეტაზე ყოფნა ხშირად გჭირდება?

— საკუთარ თავს, ამ მხრივ, ყოველთვის ვაკონტროლებ. 1 კგ რომ მოვიმატო, მაშინვე დიეტას ვიწყებ, მასაჟებს ვიკეთებ და ა.შ. ჭამა ძალიან მიყვარს. ჩემი დიეტაზე ყოფნა დიდი მსხვერპლის გაღებაა, მაგრამ რას ვიზამ, სილამაზეც მსხვერპლს მოითხოვს (*იცინის*).

— საკუთარ გარეგნობაში რას შეცვლიდი?

— ძალიან მინდა, ცოტა დიდი ტუჩები მქონდეს. რომ ვიცოდე, კარგად გამიკეთებენ, ტუჩებს დაუფიქრებლად დავიბერავდი. სამწუხაროდ, თბილისში ამას ვერ აკეთებენ — ძალიან არაბუნებრივი გამოსდით.

— იმიჯის შექმნაში ვინ დაგეხმარა?

— ყოველთვის ახტაჯანა გოგო ვიყავი, მაგრამ სტუდენტობის პერიოდში საკუთარი იმიჯი დავხვეწე. მერე გემოვნებაც შემეცვალა და შესაბამისად, ჩაცმის სტილიც. ქუსლიანი ფეხსაცმელები ჩავიცვი და ა.შ. ჩემი იმიჯის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული როლი ჩემს დას მიუძღვის. ის ჩემზე უფროსია და ძალიან გემოვნებიანია. მაკიაჟის გაკეთებაც მან მასწავლა. ბავშვობიდან მას ვუყურებდი და ყოველთვის მაინტერესებდა, ასე ლამაზ მაკიაჟს როგორ იკეთებდა.

— გამომწვევად ჩაცმაც გიყვარს?

— მოკლე კაბას არასოდეს ვიცვამ. მიმაჩნია, რომ არ მიხდება. არც ღრმად დეკოლტირებულ მაისურებს ვიცვამ. ჩემი აზრით, ქალი რაც უფრო ნაკლებად გამოაჩენს თავისი სხეულის ნაწილებს, მით მეტად საინტერესო და სექსუალურია. საერთოდ, ძალიან მომწონს ბუნებრივად ლამაზი გოგონები. ამიტომაც, ყოველთვის ვცდილობ, საკუთარი თავი ზედმეტად არ გადავტვირთო. ბევრი ლამაზი ქალი მინახავს, მაგრამ პირდაბანილი ვეღარ მიცნია — მაკიაჟით გალამაზებული ქალები არ მომწონს.

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეროვნული ფილოსოფიის ბუნების წიგნაკიდან:

— ან პეტრე-პავლეს ციხეში“.

18. დიმიტრი ბაქრაძემ თავის დროზე მრისხანე პასუხი გასცა პროფესორ პატკანოვს, რომელიც უარყოფდა „ქართლის ცხოვრების“, როგორც ისტორიული წყაროს მნიშვნელობას. დიდი ქართველი მეცნიერის, ისტორიკოსის, არქეოლოგის, ეთნოგრაფისა და დიდი პატრიოტის დაკრძალვაზე დიმიტრი ბაქრაძისადმი მიძღვნილ ლექსში აკაკი წერეთელმა მას „მეორე დიმიტრი თავდადებული უწოდა“. ილიამ კი „ივერიაში“ გამოაქვეყნა ხელმოუწერელი მოწინავე, სადაც ეწერა: „მხოლოდ წარსულის ცოდნით დაუცავს ყოველ ერს თავისი ეროვნება, თავისი არსებობა, თავისი ვინაობა და ეგ წარსული შენ მოგვეცი“.

19. საქართველოს სხვადასხვა კუთხის ზღაპრები იაკობ გოგებაშვილმა საკუთარ სოფელშივე შეკრიბა. „დედაენის“ ავტორმა ეს ზღაპრები ვარიანელ რძლებს მოაყოლინა.

20. თამარ მეფის ზეობის პერიოდში სიკვდილით არავინ დასჯილა, გარდა გუზან ტაოსკარელისა. ამ მოღალატე დიდებულის ცოდვაც დავით სოსლანის კისერზეა — მან თამარის დაუკითხავად დაასჯევინა იგი, რადგან კარგად იცნობდა საქართველოს მეფის გულმოწყალე ხასიათს.

21. ისთმოსის ყრილობაზე შეკრებილმა ბერძნებმა გადაწყვიტეს, სპარსთა წინააღმდეგ ლაშქრობაში ალექსანდრე მაკედონელთან ერთად მიეღოთ მონაწილეობა. მაკედონურ-ბერძნული ლაშქრის მთავარსარდლად გამოცხადებულ ალექსანდრეს, სახელმწიფოს მრავალი მოღვაწე და ფილოსოფოსი მოწიწებით ულოცავდა მხედართმთავრობას, გარდა დიოგენე სინოპელისა, რომელიც არანაირ ყურადღებას არ აქცევდა მაკედონელთა მეფის ირგვლივ ატეხილ აჟიოტაჟს. მაშინ ალექსანდრე თავად გაემართა ფილოსოფოსთან შესახვედრად. დიოგენე ამ დროს წამოწოლილი იყო და მზეზე თბებოდა. მოახლოებული მეფე და მისი ამალა რომ დაინახა, ოდნავ წამოიწია და ალექსანდრეს გახედა. ალექსანდრე თავაზიანად მიესალმა ფილოსოფოსს და ჰკითხა: ხომ არაფერი გჭირდებაო? დიოგენემ უპასუხა: ცოტა იქით გაიწიე, მზეზე ნუ მეფარებიო! ამ პასუხმა, როგორც გადმოგვცემენ, ალექსანდრე უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა. გაოცებული ფიქრობდა თურმე ფილოსოფოსის სიამაყესა და მის ასეთ უკმეხობაზე. ბოლოს თავისთვის ჩაილაპარაკა: ალექსანდრე რომ არ ვიყო, დიოგენეობას ვინატრებდიო.

„ინსპექტორი“ შაშვი, მოთვინიერებული ბულბული და გუგულის უჩვეულო თვისება

ახლა მის ოჯახში 2 ჩიტბატონა ცხოვრობს. დანარჩენები მეგობრის სახლში, დიდ ვოლიერში ჰყავს გაშვებული. ამბობს, რომ მგალობელი ჩიტებისადმი ინტერესი ბავშვობიდან გაუჩნდა. ბუნებაში 60 წელზე მეტხანს იხეტიალა და ბევრი დაკვირვება აწარმოა. გივი ლონგურაშვილს (ახლობლებისთვის — ტუგო) ვთხოვე, ბუნებაში ნანახი საოცრებების შესახებ ჩვენი მკითხველისთვის მოეთხრო. ჩვენი დიალოგის დასრულებამდე ჩიტბატონები საოცარი ხმებით გალობდნენ...

„ბუნებაში ბევრი საოცრება ხდება...“

თამუნა კვინიკაძე

— ბუნებაში გასვლა და ხეტიალი ბავშვობიდანვე მიყვარდა. მტკვრის სანაპიროზე მეთევზეებთან ხშირად ჩავდიოდი. მაშინ ნამდვილი მეთევზეები მთელ ზაფხულს მდინარის სანაპიროზე ატარებდნენ და ღამესაც იქ ათევდნენ. როგორც კი დამინახავდნენ, ჩხუბით მაგდებდნენ, — ჯერ პატარა ხარ და რა დროს შენი თევზაობაა? მდინარეში არ დაგვეხრჩოო, მაგრამ მერე, დამიმეგობრდნენ და თევზაობაც მასწავლეს. სხვათა შორის, დამჯერი და მორიდებული ბავშვი ვიყავი.

— მტკვარში თევზის რომელ სახეობას იჭერდით?

— ყველაზე მეტი ლურჯა იყო. წვერას და გველანასაც ხშირად ვიჭერდით. მაშინ მტკვარი სუფთა გახლდათ და იმდენი თევზი იყო, მდინარიდან რომ გადაგეხედა, დაინახავდით, თუ როგორ თამაშობდნენ წყლის ზედაპირზე, ჰაერში ხტოდნენ... ბოლო წლებში აღარ შემინიშნავს, მაგრამ 6-7 წლის წინ, ბრაკონიერები ნავებით მოდიოდნენ და თევზს, განურჩევლად მისი სიდიდისა, დენით კლავდნენ. ამის გამო გული ძალიან მტკიოდა.

— სათევზაოდ რეგიონებში არ დადიოდით?

— რა თქმა უნდა, რეგიონებშიც დავდიოდი. სხვებთან ერთად თევზის ჭერა არ მიყვარს, მარტო თევზაობა მირჩევნია. ერთხელ კალმახზე სათევზაოდ ლიახვზე წავედით, ერედვთან ახლოს ვიყავი. ანკესი გადავაგდე თუ არა, დავინახე, ჩემკენ პატარა ბიჭები წამოვიდნენ. ხასიათი გამიფუჭდა, ვიფიქრე — მოვლენ და ბანაობას დაიწყებენ, ან წყალში ქვას ისვრიან, იხმაურებენ და თევზს დამიფრთხობენ-მეთქი. ბიჭები შორიახლოს ჩამოსხდნენ, თან — მაკვირდებოდნენ. ცოტა ხნის შემდეგ მომიახლოვდნენ და მითხრეს, — არასწორად თევზაობო. გაკვირვებულმა შევხედე. ბიჭები წყალში შევიდნენ. ქვები ამოაბრუნეს და ხავსზე მიმაგრებული პატარა არსებები მომიყვანეს. ისინი ნემსკავზე წამოვაგე და იმ დღეს, ბავშვების წყალობით, ბევრი კალმახი დავიჭირე.

— ბატონო გივი, მგალობელი ჩიტებით რა ასაკიდან დაინტერესდით?

— ბავშვობაში მცხეთის ქუჩაზე, ნათესავებთან სტუმრად ხშირად მივდიოდი. ის ოჯახიც ბუნების დიდი მოყვარული იყო. მათ ჰქონდათ ვარდი, რომელზეც 4 სხვადასხვა ფერის ყვავილი იშლებოდა. ერთ-ერთი სტუმრობისას, ქუჩაში დავინახე კაცი, რომელსაც ხელში ჩიტებით სავსე გალია ეჭირა. მაშინ 12 თუ 13 წლის ვიყავი. ჩიტებს შორის ჩემი ყურადღება ჩიტბატონებმა მიიქციეს. ეს ულამაზესი და კარგად მგალობელი ჩიტია.

— პირველად რომელი ჩიტი შეიძინეთ?

— მამამ საჩუქრად გალია და 2 მწვანულა მიყიდა. მწვანულა გამძლე ჩიტია. მზესუმზირას თავად „ტეხავს“ და ჭამს. სხვებს კი მასავით ძლიერი ნისკარტი არა აქვთ. მზესუმზირა და სარეველა მცენარეების თესლი ჩიტების საყვარელი საკვებია. მწვანულას ტყის იადონსაც ეძახიან.

— კარგად გალობს?

— გალობს, მაგრამ ბევრი მუხლი არ აქვს.

— ჩიტის გალობა მუხლებით ისაზღვრება?

— დიახ. მაგალითად, ბულბულს შეუძლია, 24 მუხლით იგალობოს და ეს მაქსიმალურია.

— ბულბულის დაჭერა რთული არ არის?

— რა თქმა უნდა, რთულია. პირადად მე, მათ ბადით ვიჭერდი. გაზაფხულობით ტყეში დავდიოდი და აღვნუსხავდი, კარგი მგალობელი ბულბულები რა ადგილზე მხვდებოდნენ. ზოგიერთ მათგანს ვიჭერდი, ფეხზე ნიშანს ვუკეთებდი და ვუშვებდი. ამით მათ არაფერი უშავდებოდათ. ბულბული გამოსაზამთრებლად ასეულობით კილომეტრზე მიფრინავს.

— როგორც მითხრეს, თქვენ ერთსა და იმავე ბულბულს ტყეში 5 წლის მანძილზე ხვდებოდით და უვლიდით. მას როგორ დაუმეგობრდით?

— ჩემს მრავალწლიან პრაქტიკაში ეს გამონაკლისი იყო. მასავით კარგი მგალობელი 3-4 ბულბული თუ მინახავს. ის წიწამურის ტყეში ვიპოვე და ნიშანი გავუკეთე. მასთან პერიოდუ-

ლად მივდიოდი, საკვები მიმქონდა. შემოდგომაზე თბილ ქვეყნებში გაფრინდა, გაზაფხულზე კი ისევ წიწამურის ტყეში დაბრუნდა. ასე 5 წლის მანძილზე გრძელდებოდა. ბულბული შემეჩვია, ზოგჯერ თბილისში, სახლშიც მომყავდა, დღისით ვუვლიდი, ღამე კი ვუშვებდი. ზოგჯერ ჩემი ბულბული ლეკვივით უკან დამდევდა. 5 წლის შემდეგ, გაზაფხულზე წიწამურისკენ კვლავ მასთან შესახვედრად გავეშურე. ის ტყე გაჩეხილი დამხვდა და ბულბულიც აღარ მოფრინდა. გული მეტკინა, მაგრამ რაღას ვიზამდი?! კარგი ბულბული მთელი ღამე გალობს. მათ ასეთი ჩვევა აქვთ — თბილი ქვეყნებიდან ჯერ მამლები მოფრინავენ, ერთ ადგილზე ჩერდებიან და გალობას იწყებენ. ერთი კვირის შემდეგ კი დედალი ბულბულებიც მოფრინავენ და მგალობელ მამლებთან მიდიან. თუ გინდა, ბულბული სახლში გყავდეს და იგალობოს, ის აუცილებლად დედლის ჩამოსვლამდე უნდა დაიჭირო — თუ დედალთან შეხვედრის შემდეგ დაიჭირე, აღარ იგალობებს.

— საოცარია, მათ მხოლოდ ერთი პარტნიორი ჰყავთ?

— ზუსტად ვერ გეტყვით, შეიძლება, ასეც არის. დედალ ჩიტებს არასდროს დავკვირვებივარ. ფრინველის მხოლოდ გალობა მაინტერესებს.

— დედალი ჩიტები არ გალობენ?

— ბუნებაში მხოლოდ ერთი გამონაკლისი არსებობს — ეს არის ჩიტი სტვენია, რომლის დედალიც გალობს. დანარჩენის — არც ერთი. ქათმებიც კი ასე არიან: დილით მამალი ყივის, დედალი — არა. ბულბულები ჩამოფრენის დღეს ნაკლებად გალობენ — დაღლილები არიან და ძალას იკრებენ.

— ბულბული სხვა ჩიტებისგან კიდევ რით განსხვავდება?

— საკვებს დაბნელებამდე, საათში ერთხელ, მცირე რაოდენობით იღებს. ის არასდროს სუქდება და ყოველი ჭამის შემდეგ გალობას იწყებს.

— სხვა ჩიტებზეც ვილაპარაკოთ. იადონი კარგი მგალობელია?

— იადონს სასიამოვნო ხმა აქვს, მაგრამ მხოლოდ ერთი ტონით მღერის. მასზე გაცილებით საინტერესო ფრინველია გუგული.

— კვერცხს მართლა სხვა ფრინველის ბუდეში დებს?

— დიახ, ეს მისი ჩვევაა. გუგული მხოლოდ ერთ კვერცხს დებს და ზოგჯერ, მას ადგილსაც კი უცვლის — ერთი ბუდიდან მეორეში გადააქვს. ფრენის დროს კვერცხი ნისკარტით უჭირავს. მას იმდენად მაგარი ნაჭუჭი აქვს, ჩამოგდების შემთხვევაში, ქვაზეც რომ დავარდეს, არ გატყდება. ამით სხვა ჩიტების კვერცხებისაგან გამოირჩევა. გუგულის ბარტყს ბუდის მფლობელი ჩიტი კვებავს და ზრდის, მაგრამ მიუხედავად ამისა, ბოლოს, პატარა გუგული „ძიძას“ ბუდიდან აგდებს. მოკლედ, ბუნებაში ბევრი საოცარი რამ ხდება.

— ყველაზე კარგ მგალობელ ჩიტად რომელს მიიჩნევთ?

— 4 სახეობისას დავასახელებ: მინდვრის ტოროლა, წრიპა, ჩიტბატონა და

მეკანაფე. მინდვრის ტოროლა ჰაერში პეპელასავით დაფარფატებს, თან გალობს და ძალიან მაღლა ადის. როცა გალობას დაამთავრებს, მიწისკენ ფრთებდაკეცილი, ქვასავით ეშვება. წრიპა შაშვების ერთ-ერთი ნაირსახეობაა, მას ტყის ბულბულსაც ეძახიან. ჩიტები გალობას ერთმანეთისგან სწავლობენ, მიბაძვის უნარი აქვთ. ამაზე ერთი ნამდვილი ამბავი გამახსენდა, რომელიც ჩემს ახალგაზრდობაში მოხდა. სანაპიროზე, გალაკტიონის ხიდთან ინსპექტორები ხშირად იდგნენ და მანქანებს აჩერებდნენ. იქვე, ერთ-ერთ ხეზე შაშვს ბუდე ჰქონდა გაკეთებული და ცხადია, ინსპექტორების სასტვენის ხმა ყოველდღე ესმოდა. ბოლოს, მგავსად სტვენა თავადაც ისწავლა და პერიოდულად უსტვენდა ხოლმე. მისი ხმის გაგონებაზე მძღოლები მანქანას აჩერებდნენ, მაგრამ ახლომახლო სამართალდამცავებს ვერ ხედავნენ. ბოლოს, გაირკვა, რომ შაშვი „ინსპექტორობდა“.

— მგალობელი ჩიტების სიყვარულით საქართველოს რომელი რეგიონი გამოირჩევა?

— ნესტიანი ჰავის გამო, მწერიჭამიათა უმრავლესობა (მაგალითად, ბულბული, შაშვი და ა.შ.) დასავლეთ საქართველოში ბინადრობს.

— ადამიანს ყველაზე კარგად რომელი ფრინველი უმეგობრდება?

— ჩიტბატონა. ბარტყობიდანვე თუ ზრდი, უფრო გეჩვევა. მე მყავდა ჩიტბატონა, რომელიც დილით სახლიდან მიფრინავდა, საღამოს ბრუნდებოდა და გალიაში თავისით შედიოდა.

— გალიაში ყველა ჩიტი ძლებს?

— რა თქმა უნდა, ყველა ვერ ძლებს. ზოგი იმდენად ფრთხიალებს, რომ არ გაუშვა, ვერ მოისვენებს. ჩიტი, რომელიც გალიაში გინდა ჩასვა, თვინიერებით უნდა გამოირჩეოდეს, ამასთანავე, ლამაზი და კარგი მგალობელიც უნდა იყოს. ■

სასინქრონული პირველი
www.ambebi.ge
www.ambebi.ge
www.ambebi.ge

რთული გზა წარმატებამდე

• მომღერალი ბეიონსი სილამაზის სალონში დამლაგებლად მუშაობდა.

• Rolling Stones-ის ლიდერი — მიკ ჯაგერი, სკოლაში სწავლის დროს, ნაყინს ყიდდა, შემდეგ კი ფსიქიატრიულ კლინიკაში გიჟებს სდარაჯობდა.

• დიპლომატი კოლინ პაუელი ბრონქსში — ნიუ-იორკის ყველაზე ღარიბ უბანში დაიბადა და გაიზარდა. სწავლის ფულის გადასახდელად, ავეჯის მაღაზიაში დაიწყო მუშაობა და სხვა გამყიდველების მშობლიური ენა — იდიშიც ისწავლა.

• მომღერალი გვენ სტეფანი რძის პროდუქტების მაღაზიას ალაგებდა.

• მსახიობი ტომ კრუზი გაზეთებს არიგებდა.

• ბილ მიურეი ქუჩაში შემწვარ წაბლს ყიდდა.

• გიგანტური ქათმის კოსტიუმში გამოწყობილი ბრედ პიტი რესტორან „პოლლო ლოცო“-ს რეკლამას უკეთებდა.

• კრისტოფერ უოკენი ბავშვობაში ცირკში ცხოველებს უვლიდა. შემდეგ ლომის მწვრთნელმა ასისტენტად აიყვანა. მოგვიანებით მსახიობმა აღიარა, რომ ლომი ძალიან ბებერი იყო და ფინიას ხასიათი ჰქონდა.

• მომღერალი ოზი ოზბორნი სასაკლაოზე მუშაობდა.

• მსახიობი ჯიმი სტიუარტი 2 წელი საავტომობილო გზებს ხაზავდა, ილუზიონისტის ასისტენტიც იყო და აშშ-ის შეიარაღებულ ძალებში გენერლის წოდებამდეც იმსახურა. ■

ღამთხვევები

ნაპოლეონი 1760 წელს დაიბადა, ჰიტლერი — 1889-ში (129 წლის შემდეგ).

ნაპოლეონი ხელისუფლებაში 1804 წელს მოვიდა, ჰილტერი — 1933 (129 წლის შემდეგ).

ნაპოლეონი ვენაში 1812 წელს შევიდა, ჰიტლერი — 1941 წელს (129 წლის შემდეგ).

ნაპოლეონმა 1816 წელს წააგო ბრძოლა, ჰილტერმა — 1945 წელს (129 წლის შემდეგ).

ორივე მეთაური ქვეყნის სათავეში 44 წლისა მოვიდა. რუსეთს 52 წლის ასაკში დაესხნენ. ორივემ 56 წლის ასაკში წააგო ბრძოლა.

როგორც უკვე მოგახსენეთ, ჰიტლერი 1889 წელს დაიბადა. მივუმატოთ 129 წელი და 2018 წელს, მსოფლიოს შეიძლება ახალი ნაპოლეონ-ჰიტლერი მოევლინოს.

ლინკოლნი 1818 წელს დაიბადა, კენედი — 1918 წელს (100 წლის შემდეგ).

ლინკოლნი 1860 წელს აშშ-ის პრეზიდენტი გახდა, კენედი — 1960 წელს (100 წლის შემდეგ).

ორივენი, პარასკევ დღეს, მეუღლეების თანდასწრებით, თავში გასროლის შედეგად დაიღუპნენ. ლინკოლნი კინოთეატრ „კენედის“ წინ მოკლეს, კენედი — ავტომობილ „ლინკოლნში“. სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე, ლინკოლნი შტატ მერილენდის ქალაქ მონროს ესტუმრა. კენედის რომანი ჰქონდა მსახიობ მერილინ მონროსთან. ორივე სამხრეთში დაიბადა, დემოკრატიული პარტიის წევრები, პრეზიდენტობამდე ამერიკის სენატორები იყვნენ.

ლინკოლნის მკვლელი — ჯონ უილკის ბუტი 1839 წელს დაიბადა, ლი ჰარვი ოსვალდი (კენედის მკვლელი) — 1939 წელს (100 წლის შემდეგ). ბუტი თეატრიდან გაიქცა და სხვენში შეიპყრეს. ოსვალდი სხვენიდან გაიქცა და თეატრში დაიჭირეს. ორივე პრეზიდენტი ჯონსონის გვარის წარმომადგენელმა შეცვალა. პირველი — ენდრიუ ჯონსონი 1808 წელს დაიბადა; მეორე — ლინდონ ჯონსონი — 1908 წელს (100 წლის შემდეგ).

1838 წელს ამერიკელმა მწერალმა ედგარ პომ გამომცემელს ახალი ხელნაწერი — „არტურ გორდონ პიმის თავგადასავალი“ — მიუტანა. ნაწარმოებში მოქმედება ასე ვითარდება: ხომალდის დაღუპვის შემდეგ, ოთხი მეზღვაური შუა ზღვაში აღმოჩნდება. შიმშილით გაწამებულები ერთ-ერთ გადარჩენილს — რიჩარდ პარკერს შეჭამენ. 1884 წელს გემ „მაგნონეტის“ ჩაძირვის შემდეგ, ოთხი მეზღვაური ერთ ნავში აღმოჩნდა და მათაც, თვითგადარჩენის მიზნით, ერთ-ერთი გადარჩენილი — რიჩარდ პარკერი შეჭამეს.

1898 წელს „მენსფილდის“ გამომცემლობამ მორგან რობერტსონის რომანი „ამაოება“ გამოსცა. რომანში აღწერილია გემ „ტიტანის“ ტრაგიკული დაღუპვა, რომელიც ზუსტად „ტიტანიკის“ მოვლენებს ემთხვევა. „ტიტანისა“ და „ტიტანიკის“ აღწერილობა იდენტურია. ორივე გემი აპრილის ღამეს აისბერგს ეჯახება („ტიტანიკის“ ტრაგედია 1912 წელს მოხდა). რომანსა და რეალობაშიც გემებზე 3 ათასი მგზავრი იმყოფებოდა, იქაც და იქაც არ იყო სამყოფი მაშველი კანჯო. ■

სრულწმენები კვირის დღეების მიხედვით



✓ **ორშაბათი** — არ წამოიწყოთ ახალი საქმეები, არ ვარგა გამგზავრება, ფულის გაცემა. უზმოზე თუ დაგაცემინათ, საჩუქარს მიიღებთ. კარგია თმის შეჭრა (ქალებისთვის შეღებვა). კბილის ამოღება.

✓ **სამშაბათი** — კარგია მოგზაურობისთვის. არ ისესხოთ ფული — მთელი ცხოვრება ვალებში ჩაფლული იქნებით.

✓ **ოთხშაბათი** — ამ დღეს ნუ გადახვალთ ახალ ბინაში. თუ ახალი მეგობრების შეძენა გსურთ, შეიჭერით თმა. არ მიირთვათ ხორციანი კერძი.

✓ **ხუთშაბათი** — წარმატების მომტანი დღეა. მზის ამოსვლამდე მიიღეთ შხაპი. თმის შეჭრა სასიკეთო ცვლილებებს და მატერიალურ კეთილდღეობას მოგიტანთ.

✓ **პარასკევი** — რთული დღეა. ახალი საქმეების წამოწყებას არ გირჩევთ. ქალური საქმეებისგან (კერვა, ქსოვა, ქარგვა) თავი შეიკავეთ. გათხოვილმა ქალმა ამ დღეს არ უნდა იბანაოს.

✓ **შაბათი** — კარგია მოგზაურობა, სამსახურისა და საცხოვრებელი მისამართის შეცვლა.

✓ **კვირა** — თუ ბედნიერების შენარჩუნება გსურთ, ფრჩხილები არ მოიჭრათ. არც თმის შეჭრა მოგიტანთ წარმატებას.

თმის შეჭრა ასევე არ შეიძლება, მთვარის მე-9, 15-ე, 23-ე და 29-ე დღეს და მთვარისა და მზის დაბნელებისას.

გარდა ამისა, ყურადღება მიაქციეთ მთვარეს. ახალი მთვარიდან სავსე მთვარეობამდე ადამიანი ენერგიის მოზღვავებას გრძნობს. შეიძლება, ახალი საქმეების წამოწყება. სავსემთვარეობის შემდეგ მთვარე კლებას იწყებს და ადამიანი ენერგიის ნაკლებობას განიცდის. უმჯობესია დაწყებული საქმეების დასრულება, ძველი ნივთებისა და მომაბეზრებელი ურთიერთობისგან გათავისუფლება. ■

სულელური ინსტრუქციები

ერთხელ ერთმა ქალბატონმა „მაკდონალდსის“ ყავით პირი დაიწვა. კომპანიას სასამართლოში უჩივლა და კომპენსაციის სახით 1 მლნ დოლარი მიიღო. მას შემდეგ ყავის ჭიქაზე გაჩნდა წარწერა: „ფრთხილად: ყავა ცხელია“. ასეთი სულელური ინსტრუქცია ბევრ საქონელზე არსებობს, მაგალითად:

● მიკროტალღურ ღუმელზე ვკითხულობთ: „არ გააშროთ ცხოველები“. ეს წარწერა მას შემდეგ გაჩნდა, რაც ერთმა დიასახლისმა ღუმელში ფისოს გაშრობა გადაწყვიტა. გაცილებით ჰუმანურად ჟელერს სარეცხი მანქანის ინსტრუქცია: „არ გამოდგება ცხოველების გასარეცხად“.

● გაყინული პიცის ყუთზე წერია: „გაცხელების შემდეგ პიცა ცხელი იქნება“; ტორტისაზე — „არ გადააბრუნოთ“.

● საბავშვო სუპერმენის კოსტიუმს ასეთი ინსტრუქცია ამშვენებს: „კოსტიუმი ფრენის შესაძლებლობას ვერ მოგანიჭებთ“.

● ფოტოაპარატის წარწერა: „ფოტოაპარატი მხოლოდ მაშინ იღებს სურათებს, როცა მასში ფოტოფირი დევს“.

● „როვენტას“ უთოს ასეთი წარწერა აქვს: „არ დააუთოოთ ტანსაცმელი სხეულზე“.

● ბარათის ინსტრუქცია: „საშობაო მისალოცი ბარათი მხოლოდ შობაზე უნდა გაგზავნოთ“.

● „სეარსის“ ფირმის თმის საშრობზე წერია: არ გამოიყენოთ ძილში“.

● აბაზანის საწმენდ სითხეს ასეთი წარწერა ამშვენებს: „უკეთესი შედეგის მისაღებად, აბაზანა გახეხეთ, როცა ის უკვე სუფთაა“.

● რკინიგზის სადგურის ელექტრობოძზე ასეთი ინსტრუქციაა: „ყურადღება, სადენებში გადის მაღალი ძაბვის დენი, ხელის მოკიდება იწვევს მომენტალურ სიკვდილს, კანონდამრღვევი დაჯარიმდება!“.

● შამპუნის ფლაკონზე ვკითხულობთ: „არ გამოდგება თევზების გამოსაკვებად“; „პალმოლივის“ საპონზე — „არ იჭმევა“.

● აბსურდული ინსტრუქციები ძირითადად ამერიკულ პროდუქციას ამშვენებს“, — ასეთ დასკვნამდე მივიდა გერმანული გაზეთი „შპიგელი“. მათ გაზეთში ორი „მარგალიტი“ დაიბეჭდა: „არ აანთოთ სანთებელი შარვლის ჯიბეში“ და „დაკეცვამდე ეტლიდან ამოიყვანეთ ჩვილი“. ■

ფაქტები ბანანზე

ბანანის 40 სახეობა არსებობს. სეიშელის კუნძულ მაოზე ოქროსფერი, წითელი და შავი ბანანი იზრდება. ადგილობრივები მათ ზღვის პროდუქტებთან ერთად მიირთმევენ.

ბანანებს კოსმეტიკაშიც იყენებენ. ამბობენ, ივ სენ ლორანის ფირმა, სხვადასხვა ნიღბის, ლოსიონისა და კრემის დასამზადებლად, ყოველწლიურად რამდენიმე ათას ტონა ბანანს ყიდულობსო.

კუბაზე ბანანი-ფრის მიირთმევენ, ვენესუელაში — ბანანის ფლავს, აფრიკელები ბანანს ყველა კერძში — ომლეტშიც და ტომატის წვნიანშიც უმატებენ, უგანდაში ბანანის ლუდსაც ხდიან. ხილის ლუდში ალკოჰოლი 28 პროცენტამდეა.

ყველაზე უჩვეულოდ, გემის დასაცურებლად, ინდოეთში ბანანს იყენებენ. ერთი გემის ზღვაში ჩასაცურებლად საშუალოდ, 20 ათასი ბანანია საჭირო. ■

რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი

შაქრიანი დიაბეტი და ფიტოთერაპია

შაქრიანი დიაბეტი საკმაოდ ხშირი ენდოკრინული დაავადებაა, რომელიც განპირობებულია ინსულინის პირველადი ან მეორადი უკმარისობით და ნივთიერებათა ცვლის დარღვევით (განსაკუთრებით ნახშირწყლოვანი ცვლის დარღვევით) ვლინდება. დაავადებას მრავალი მიზეზი აქვს: მემკვიდრული წინასწარგანწყობა, ადვილად ათვისებადი ნახშირწყლების უზომოდ მოხმარება, სიმსუქნე, პანკრეატიტი და სხვა. დიაბეტის ძირითადი გამოვლინებაა: წყურვილი, მადის მატება, ხშირი შარდვა, სისხლში შაქრის დონის მატება.

შაქრიანი დიაბეტი ორი სახისაა: დიაბეტი — ტიპი I (ინსულინდამოკიდებული); დიაბეტი — ტიპი II (ინსულინდამოუკიდებელი). გამოყოფენ მის მსუბუქ, საშუალო სიმძიმისა და მძიმე მიმდინარეობის, ასევე კომპენსირებულ და დეკომპენსირებულ დიაბეტს.

მკურნალობა. მკურნალობის შერჩევა დიაბეტის ტიპიდან და სიმძიმიდან გამომდინარე ხდება. მის ძირითად პრინციპს ნივთიერებათა ცვლის (პირველ რიგში, ნახშირწყლოვანი ცვლის) მოწესრიგება წარმოადგენს. აუცილებელია დიეტის დაცვა, შაქრის დამწევი პრეპარატების ან ინსულინის დანიშვნა. დიაბეტი ტიპი I-ის მკურნალობა ინსულინითა და დიეტით ხდება, ტიპი II-ის მკურნალობა — დიეტით და შაქრის დამწევი პრეპარატებით (მათ შორის მცენარეული საშუალებებითაც).

ფიტოთერაპია. დღეისთვის ტრადიციულ და კლინიკურ მედიცინაში შაქრიანი დიაბეტის მკურნალობის დროს, ფართოდ იყენებენ ფიტოპრეპარატებს. ეჭვს არ იწვევს შაქრიანი დიაბეტის დროს ინსულინისმაგვარი ნივთიერების, ინსულინის შემცველი ბევრი მცენარის სამკურნალო მნიშვნელობა. ეს მცენარეებია: წითელი მოცვი, ჟოლო, ხბოშუბლა, მოცვი, შვრია, კომბოსტო, ლობიო, დაფნის ფოთოლი, ბაბუაწვერა, კულმუხო, ოროვანდის ფესვები, ვარდკაჭკაჭა და სხვა.

ვეგეტატიურ ცენტრებსა და ნივთიერებათა ცვლაზე განსაზღვრულ მატონიზებელ გავლენას ახდენს ადაპტოგენები: ჟენშენი, ლევზეა და სხვა. სასარგებლო მკურნალობაში იმ სამკურნალო მცენარეების ნაკრების ჩართვა, რომელიც აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას (წითელი მოცვი, ჭინჭარი, სიმინდის ულვაში, ასკილი, კამა და სხვა), ასტიმულირებს კუჭქვეშა ჯირკვლის ფუნქციას (კოთხუჯი, ალოე, კრაზანა, ფარსმანდუკი, ორკბილა, ძირტკბილა, ბეგქონდარა და სხვა). გასათვალისწინებელია, რომ შაქრიანი დიაბეტის დროს ხშირად ადგილი აქვს სისხლძარღვების დაზიანებას. ასევე ნაჩვენებია ანგიოპროტექტორული თვისებების მქონე მცენარეების (წიწიბურა, კრაზანა,

მოცვი, ასკილი, შვიტა, სამყურა და სხვა) გამოყენება.

შაქრის დამწევი და პანკრეასის ჯირკვლის ფერმენტების გამააქტიურებელი თვისებები აქვს ბევრი ბოსტნეულისა და ხილის წვენს. მაგალითად, ასეთებია — კარტოფილი, კომბოსტო, ჟოლო, მსხალი და სხვა. თავდაპირველად მათ 1:1 გაზავებული სახით (50-100 მლ), ჭამამდე ნახევარი საათით ადრე სვამენ. შემდეგ თანდათანობით კონცენტრაციას ზრდიან და რაოდენობა დღეში 1-2 ჭიქამდე აჰყავთ.

მცენარეული ნაკრები — შაქრიანი დიაბეტი, ტიპი II: 20-20 გ მოცვის ჭინჭრისა და პიტნის ფოთლები, 30-30 გრამი ბაბუაწვერას, შვიტას, ძირტკბილას, ვარდკაჭკაჭას ფესვები, 20-20 გ კრაზანა, მატიტელა, მარწყვის ფოთოლი, 40 გ ლობიოს სადგული. ამ ნარევის 2-3 სუფრის კოვზს უნდა დაასხათ 1 ლ მდუღარე წყალი, წამოადუღოთ, დაახუროთ თავზე 20 წთ, შემდეგ გაფილტროთ. მიიღეთ დღეში 3-4-ჯერ 100-100 მლ ნაყენი, ჭამამდე 30 წუთით ადრე. მკურნალობის კურსია 4-6 კვირა, წლის განმავლობაში უნდა ჩაიტაროთ 3-4 კურსი. ■

ᲐᲘᲠᲩᲘᲔ ᲓᲐ ᲨᲔᲘᲫᲘᲜᲔ ᲡᲐᲮᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲣᲡᲕᲚᲔᲚᲐᲓ

წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

www.elva.ge

პრესის და წიგნების გავრცელების სააგენტო „ᲔᲚᲕᲐ.ᲯᲔ"

გამოცემის დასახელება	1ეგზ. ფასი	3 თვე
1. ГЕО / GEO	9.00	27.00
2. ЛИЗА	2.50	32.50
3. 100 ЧЕЛОВЕК, КОТОРЫЕ ИЗМЕНИЛИ ХОД ИСТОРИИ	5.00	65.00
4. ПУТЕШЕСТВИЕ ПО СВЕТУ	8.00	24.00
5. СЕМЬ ДНЕЙ	2.50	32.50
6. HELLO! / ᲰᲔᲚᲚᲝᲥ!	4.00	52.00
7. ОТДОХНИ!	2.00	26.00

ᲐᲖᲠᲐᲕᲘᲡ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ

E-mail: elva@kvirispalitra.com

მედიცინის სიახლეები

დღეში 3 ფინჯანი ჩაი — გულის ოპტიმალური დაცვა

დიეტოლოგები აცხადებენ, რომ ჩაი გულის მუშაობაზე სასარგებლოდ მოქმედებს. ფინელმა და ფრანგმა მეცნიერებმა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად აღმოაჩინეს, რომ ჩაის მოყვარულთა რიგებში იშვიათია გულ-სისხლძარღვთა დაავადების შემთხვევები.

მეცნიერებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ჩაიში შემავალი ფლავონოიდები გულ-სისხლძარღვთა სისტემის მუშაობაზე დადებით ზეგავლენას ახდენს. ფინეთში ჩატარებული კვლევებით დადგინდა, რომ ადამიანებს, რომლებიც დღეში 2 ფინჯან ჩაიზე მეტს მიირთმევენ, 21%-ით უქვეითდებათ გულის შეტევის განვითარების რისკი, ხოლო ფრანგი სპეციალისტები კი მიიჩნევენ, რომ ჩაის მოყვარულებს, რომლებიც ყოველდღიურად 3 ფინჯან ჩაის სვამენ, გულის დაავადების 32%-ით ნაკლები რისკი აქვთ. ბრიტანელი მეცნიერები დიდი ხანია ამტკიცებენ, რომ მას, ვინც დღეში 3 ფინჯან ჩაის სვამს, გულის შეტევა სხვებთან შედარებით, 70%-ით იშვიათად უვითარდება. ■

გარუჯვა ტვინის მუშაობას აუმჯობესებს

ამერიკელი მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ გარუჯვის მოყვარულებს სხვადასხვაგვარი გონებრივი მოშლილობა იშვიათად აქვთ. ტვინის ნორმალურ მუშაობას იცავს ვიტამინი D, რომელიც მზის აბაზანების მიღების დროს გამომუშავდება.

კვლევამ აჩვენა, რომ ვიტამინ D-ს მაღალი დონე, რომელიც ორგანიზმში გარუჯვის პროცესში გამომუშავდება, უზრუნველყოფს საშუალო და ხანდაზმული ასაკის ადამიანების ტვინის ფუნქციონირებას.

ეს იმ კვლევის შედეგია, რომელშიც მონაწილეობდა 40-79 წლის ასაკის 3000-ზე მეტი ადამიანი. აღმოჩნდა, რომ ორგანიზმში ვიტამინ D-ს მაღალი დონე მახსოვრობის გაუმჯობესებასა და რეაქციების სისწრაფეს განაპირობებდა.

მაგრამ მეცნიერები გვაფრთხილებენ, რომ გარუჯვასთან დაკავშირებით აუცილებელია სიფრთხილის გამოჩენა; მართალია, იგი დადებითად მოქმედებს ტვინის მუშაობაზე, მაგრამ ამავე დროს იზრდება სხვადასხვა (კანის, სარძევე ჯირკვლის და სხვა) ონკოლოგიური დაავადებების განვითარების რისკი. ■

ველოსიპედი — შაკიკის საწინააღმდეგო საუკეთესო საშუალება

შვეიცარიელი მეცნიერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ შაკიკის შეფერხების ან მისგან თავის დაღწევის საუკეთესო საშუალებას ველოსიპედით სიარული წარმოადგენს. საქმე ენდორფინებში ან, როგორც მას ხშირად უწოდებენ, „ბედნიერების ჰორმონებშია“, რომლებიც ბუნებრივ ტკივილგამაყუჩებელ საშუალებებს წარმოადგენს.

აღმოჩნდა, რომ ველოტრენაჟორზე რეგულარული ვარჯიში ან ველოსიპედით სიარული ხელს უწყობს შაკიკის შეტევის სიხშირის 90%-ით დაქვეითებას.

შაკიკით დაავადებული ბევრი ადამიანი თავს არიდებს სპორტს, რადგან მიიჩნევს, რომ ის ახალი შეტევის პროვოცირებას გამოიწვევს, მაგრამ ასეთი მიდგომა სწორი არ არის. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ველოტრენაჟორზე ვარჯიშის შემდეგ, კვლევაში მონაწილეთა უმრავლესობას თავის ტკივილის სიხშირე საგრძნობლად უმცირდებოდა, ასევე უმცირდებოდა ტკივილის ინტენსივობა. მეტიც, ბევრმა ადამიანმა თავი დაანება ტკივილგამაყუჩებლის მოხმარებას.

ადრე ჩატარებული კვლევების მიხედვით, ისეთი ფიზიკური აქტივობა, როგორიცაა ცურვა და სუფთა ჰაერზე სეირნობა, ასევე სასარგებლოა შაკიკის დროს. ■

წონაში დაკლებამ შეიძლება ხანდაზმულთა ჭკუასუსტობა გამოიწვიოს

როგორც ამერიკელი მეცნიერები აცხადებენ, მოხუცებულთა ასაკში წონაში დაკლება შეიძლება მოხუცებულთა დემენციის განვითარების ადრეული ნიშანი იყოს. სპეციალისტების მიერ ჩატარებული კვლევებით დადგინდა, რომ ჭკუასუსტობის განვითარების რისკი განსაკუთრებით მაღალია იმ შემთხვევაში, თუ ადამიანს ჰქონდა ჭარბი წონა და ასაკში დაიწყო წონაში დაკლება. კვლევა მიმდინარეობდა 8 წელი, მასში მონაწილეობა მიიღო 1836 იაპონური წარმოშობის ამერიკელმა. ცნობილი გახდა შემდეგი — მსუქნებთან შედარებით 79%-ით მეტ, დაბალი მასის მქონე გამოსაცდელ პირს შემდგომში ჭკუასუსტობა დაემართა. ხოლო მათ, ვინც კვლევის პერიოდში სწრაფად იკლებდა წონაში, დემენცია 3-ჯერ უფრო ხშირად განუვითარდა, ვიდრე მათ, ვინც ნელა იკლებდა.

კვლევის ავტორების აზრით, ეს მონაცემები იმას მოწმობს, რომ ასაკოვანი ადამიანების წონაში დაკლება შეიძლება დემენციის პირველი ნიშანი იყოს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მსუქნები დაცული არიან ჭკუასუსტობისგან; სპეციალისტების მიერ ადრე ჩატარებული კვლევების მიხედვით, საშუალო ასაკში, ჭარბი წონა, სიბერეში დემენციის განვითარების რისკს ზრდის. ■

მედიტაცია იმუნიტეტს აძლიერებს

ცნობილია, რომ მედიტაცია დასვენების, მოდუნებისა და სტრესებთან გამკლავების საუკეთესო საშუალებაა. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მედიტაციას კიდევ ერთი სასარგებლო თვისება აქვს: კერძოდ, ამერიკელი მეცნიერების აზრით, მედიტაციას ადამიანის იმუნური სისტემის გაძლიერების უნარი აქვს. გარდა ამისა, იგი სასარგებლოდ მოქმედებს გადაწყვეტილების მიღებისა და ემოციებზე პასუხისმგებელ ტვინის უბნებზე.

მედიტაციის ანტისტრესული პროგრამა 8 სეანსს მოიცავს. ამ პროგრამის კურსის გავლის შემდეგ, ადამიანის ორგანიზმში CD-4, T–ლიმფიცირეტების რაოდენობა იზრდება. რაც მეტია ორგანიზმში ეს უჯრედები, მით უკეთ არის იგი დაცული.

მეცნიერები ადამიანებს ურჩევენ, კვირაში 4-5-ჯერ 20-20 წუთის განმავლობაში დაკავდნენ მედიტაციით. ეს დრო საკმარისია ორგანიზმში ენერგიის აღსადგენად, მოსადუნებლად და ყოველდღიურ სტრესებთან გასამკლავებლად. ■

იკითხეთ თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის

ოჯახის
ჟურნალი
მამა
ბავშვი
ოჯახი
ამოცანა
ბავშვი
ბავშვი
ბავშვი

თქვენთვის, ქალბატონებო!

ჩოგორ იქცევიან ლირსეული მამაკაცები...

მარინა ბაბუნაშვილი

ზოგისთვის პირველი სიყვარული ლამაზი და ტკბილი მოსაგონარია, ზოგისთვის — გაუნელებელი დარდი. ჩემმა ერთ-ერთმა ნაცნობმა, ეკამ, დიდ გრძნობასა და მამაკაცის ლირსეულ საქციელზე მიამბო („მე აგაშენებინებ ჭაობზე ქალაქს“, „კვირის პალიტრა“, 2005 წლის 12 სექტემბერი).

ამბავი პირველი

„უგ გოგო დათოსია“...

ეკა კასპში დაიბადა და გაიზარდა. მოხდენილი, ლამაზი გოგონა იყო და პატარაობიდანვე ძალიან ბევრ ბიჭს მოსწონდა. თანატოლებმა ამბავი მიუტანეს, დათოს უყვარხარო. იგი მისივე სკოლელი, ერთი წლით უფროსი იყო. დათოს მშობლები გაშორებულები იყვნენ. ყოფილ ცოლზე განაწყენებულ მამას, დათოც დავიწყებული ჰყავდა, რასაც ბიჭი ძალიან განიცდიდა. მეშვიდე კლასში, როგორც იტყვიან, მთლად აიწყვიტა, სკოლის „ყოჩი“ გახდა და ყველას, — მასწავლებელს თუ მოსწავლეს მისი სახელი ეკერა პირზე.

ამონარიდი წერილიდან: „მთელი სკოლა და უბანი ჩვენს სიყვარულზე ლაპარაკობდა, თუმცა, არ ვიცოდი, მიყვარდა თუ არა. თუმცა, ძალიან მსიამოვნებდა მისი ყურადღება, სხვების მოწიწება ჩემდამი — დათოს გამო ყველა პატივს მცემდა. არც მას აუხსნია სიყვარული ჩემთვის. ერთხელ, მე და დედა ქუჩაში მივდიოდით. უბანში ბიჭები შეჯგუფულიყვნენ. როცა ჩავუარეთ, ერთ-ერთმა ქათინაურით შემამკო, სხვებმა კი მაშინვე ჩააჩუმეს: ეგ გოგო დათოსია და მაგაზე ფიქრიც არ გაბედოო“.

დათომ ეკაზე ერთი წლით ადრე დაამთავრა სკოლა, მაგრამ სწავლის გაგრძელებაზე არც უფიქრია. ის წელიწადიც ჩუმ „წვა-დაგვაში“ გაატარა. ეკას უკვე სწყინდა კიდეც ვაჟის გადამეტებული მორიდებულობა. გოგო სკოლის დამთავრებისთანავე სტუდენტი გახდა. ცოტა ხანში კი მიხვდა, რომ დათო ენატრებოდა. როგორც კი ზამთრის სესიებს მორჩა, მაშინვე კასპს მიაშურა. მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, დათოსთვის დაერეკა და ურთიერთობა გაერკვია. დათოს დედამ უპასუხა — ორი თვეა, რაც პეტერბურგში წავიდაო. გული დასწყდა ეკას. არ ეგონა, ასე გამოუმშვიდობებლად თუ წავიდოდა. ეკა თბილისში დაბრუნდა და მალევე გათხოვდა კიდეც.

ამონარიდი წერილიდან: „გავიდა დრო. შვილიც შემეძინა, სკოლაშიც მივიყვანე, მაგრამ დათოს წასვლის მერე დარჩენილი სიცარიელე ვერა და ვერ ამოვავსე. სამი წლის წინ, ერთ-ერთმა მეგობარმა მითხრა, დათო ჩამოვიდა და თბილისში მუშაობსო. იმ დროს ქმართან ნაჩხუბარი ვიყავი და ცალკე ვცხოვრობდი. გავიგე დათოს სამსახურის ტელეფონის ნომერი და დავურეკე. მეორე დღესვე შევხვდით. ცოტა შეცვლილიყო, თმაც შეთხელებოდა, თუმცა მის

თვალებში დიდი სიყვარული მაინც იკითხებოდა“.

ეკა გაოცებული დარჩა, როცა დათომ მისი ცხოვრების წვრილმან-მსხვილმანი დეტალურად გადმოულაგა. თურმე, პეტერბურგიდან რამდენიმე თვეში დაბრუნებულა, მაგრამ ეკას გათხოვების ამბავი რომ გაუგია, უკანვე დაბრუნებულა. ბავშვობის დროინდელმა სიყვარულმა იფეთქა... ეკას აღარ უნდოდა, ქმარს შერიგებოდა, დათოსთან ბედნიერად და კარგად გრძნობდა თავს. რამდენიმე ხნის მანძილზე ხვდებოდნენ ერთმანეთს, მყუდრო კაფეში დასხდებოდნენ და იგონებდნენ განვლილ წლებს. დათო მომავალზე სიტყვას არ ძრავდა, ეკას კი უნდოდა, ვაჟს ეთქვა: წამოდი ჩემთან და სიკვდილამდე ერთად ვიყოთო!

ბოლოს, ეკას გაუწყდა მოთმინების ძაფი და უთხრა: ასე მგონია, ჭაობში ვარო. დათომ მშვიდად მიუგო: მე აგაშენებინებ ჭაობზე ქალაქსო... ცოტა ხანში კი დათომ გარკვევით აუხსნა: ვიცი, რა არის უმამობა... შენს ქმარს ისეთი არაფერი ჩაუდენია, რომ ზურგი შეაქციო, ამიტომ მას უნდა დაუბრუნდეო... მაშინ ეს სიტყვები უსიამოვნოდ მოხვდა ეკას. მოგვიანებით კი მიხვდა, რომ დათომ ისევ და ისევ მისი სიყვარულის გამო გადაწყვიტა ასე. ის არასოდეს ყოფილა ეგოისტი და მოიქცა ისე, როგორც ღირსეული მამაკაცები იქცევიან.

ამბავი მეორე

„ეს გრძნობა წმინდაზე წმინდაა“

ეკა კარგა ხანი, არ მენახა. როგორც კი „ჰორიზონტზე“ გამოჩნდა, მაშინვე „მისი“ დათო გამახსენდა და მოვიკითხე კიდეც. დამპირდა, ამ დღეებში მოვიცლი, დავსხდეთ და ვილაპარაკოთო.

— ალბათ დათოსავით ბევრი არ მოიქცეოდა. ჩემთვის მსგავსი ამბავი არაერთხელ მოუყოლიათ და ხშირ შემთხვევაში ან ოჯახი დანგრეულა, ან ურთიერთობა დიდი ტკივილით დასრულებულა.

— გულახდილად გეტყვი, ყოველთვის იმის სურვილი მიჩნდება, დათოს დავურეკო და მადლობა გადავუხადო...

— მადლობა? რისთვის?

— იმისთვის, რომ „ჭაობზე“ მართლაც ამაშენებინა ქალაქი. დღეს ეს „ქალაქი“ — ჩემი ოჯახი, მეუღლე და შვილებია. როცა ჩემი პატარა შვილის ტიტინი მესმის, თავს უბედნიერეს ადამიანად მივიჩნევ. მაშინ ისეთ ჭკუაზე ვიყავი, მეუღლესთან გაშორებას მართლა ვაპირებდი. სხვა კაცი ქალის ასეთ მდგომარეობას თავის სასარგებლოდ გამოიყენებდა, მან კი ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ოჯახს დავბრუნებოდი, მერე მეორე შვილიც გავაჩინე.

— იმის მერე დათო აღარ გინახავს?

— მხოლოდ მობილურით მეხმიანება. როცა დათო მეორედ გაქრა ჩემი ცხოვრებიდან, გადავწყვიტე, მეგობრებშიც აღარ მეკითხა მისი ამბავი. ჩემი მეზობელი ერაყში მსახურობდა. იქიდან დაბრუნებულმა მითხრა, შენი სკოლელი დათო გავიცანი, ისიც ერაყში მსახურობს და ახლაც იქ არისო. ძალიან კარგი ადამიანია, მთელ ღამეებს საუბარში ვათენებდითო. მეტი აღარაფერი უთქვამს, აღარც მე ჩავეძიე. ისე გამიხარდა დათოს „გამოჩენა“ ასე მეგონა, პირისპირ შევხვდი და ვესაუბრე. აგვისტოში ომი რომ დაიწყო, შემეხმიანა, მომიკითხა. ჩვენ ხომ კასპიდან ვართ, რუსები კი ლამის მცხეთამდე შემოვიდნენ. გაგიკვირდება და (ამაზე მეც მეღიმება ახლა), როგორც კი დათო შემეხმიანა და მითხრა, ერაყიდან ქართველები მოვდივართო, რაღაცნაირი სიმშვიდე დამეუფლა.

— დათო და მისი მეგობრები იბრძოდნენ სამხრეთ ოსეთში?

— ომის დაწყებიდან ერთი კვირის მერე ჩამოვიდნენ ქართველი ჯარისკაცები. ამ დროისთვის ყველა სამხედრო ნაწილი გამოსული იყო სამხრეთ ოსეთის ტერიტორიიდან. დათო ტელეფონით კვლავ შემეხმიანა. ნახვით არ გვინახავს ერთმანეთი... ვიცი, რომ კასპშია, არ მუშაობს. მთელი გულითა და სულით ვუსურვებ ბედნიერებას და წარმატებებს. მან იცის დიდი სიყვარულიც, მეგობრობაც, ერთგულებაც და თანადგომაც. მთელი არსებით მიყვარს, მაგრამ მიყვარს არა როგორც მამაკაცი, არამედ — როგორც ადამიანი. მისდამი გრძნობა წმინდაზე წმინდაა და მადლობელი ვარ, რომ ეს სიყვარული არ შებღალა.

„ის ბედნიერია, რომ ამქვეყნად ვარსებობ“

„38 წლის განმავლობაში ხშირად გამჭირვებია და გამოუვალ მდგომარეობაში ჩავვარდნილვარ, მაგრამ ოპტიმიზმს ვინარჩუნებდი. ცოტა ხნის წინ უცნაურმა სევდამ დამრია ხელი. ქმარიც მყავს, შვილებიც, მეგობრებიც, მაგრამ უცებ ისე მომინდა ჩემი ძველი „მეგობრის“ ნახვა და მასთან საუბარი, რომ კინაღამ ავტირდი. მას დღემდე მეგობარს ვეძახი და ვერც წარმომიდგენია, გურამი „სხვანაირად“ მოვიხსენიო... ჩვენ კლასელები ვიყავით. ყველამ იცოდა, რომ ვმეგობრობდით, მე ჩემს თაყვანისმცემლებზე ველაპარაკებოდი, ის — თავისაზე. ბოლო კლასებში კი რაღაც „სხვანაირს“ ვამჩნევდი, მაგრამ საკუთარ თავსაც არ ვუმხელდი. გავიდა დრო. გავთხოვდი, გურამიც დაოჯახდა და მრავალი წლის შემდეგ გამომიტყდა, რომ მეშვიდე კლასიდან ვუყვარდი. თავდაპირველად გავბრაზდი, მერე კი გადამიარა სიბრაზემ. გურამი ხომ არაფერს მთხოვდა, არც თავს მახვევდა თავის სიყვარულს. უბრალოდ, ერთ მშვენიერ დღეს გული დაიღალა და გამომიტყდა, ეს იყო და ეს. მირეკავდა, მომიკითხავდა ხოლმე. მიკვირდა, რომ ჩემი ხმის მიხედვით იგებდა ჩემს განწყობას. მას უანგაროდ და გულწრფელად ვუყვარდი და იმითაც ბედნიერი იყო, რომ ამქვეყნად ვარსებობდი... როცა სევდა შემომაწვა, უცებ მომინდა მასთან დალაპარაკება. უბრალოდ, ვუთხარი, რომ მისი ნახვა მინდოდა... ბედნიერებაა, როცა ამქვეყნად ერთი ასეთი ადამიანი მაინც გეგულება.

ნათია.“

როგორც ჩანს, დედამთილსა და რძალს შორის არსებული პრობლემა ძალიან ბევრს აწუხებს, ამიტომაც უამრავი მკითხველი გამოეხმაურა „კვირის პალიტრაში“ დაბეჭდილ წერილს — „დედამთილის რჩეულმა ბრჭყალები გამოაჩინა“. „ცხოვრებისთვის“ მოსული წერილებიდან ორი ავარჩიე (ერთ-ერთი ვრცელი „საჩივარი“ გაზეთშიც გამოვამზეურე), ერთი დედამთილს ეკუთვნის, მეორე — რძალს.

ულამაზესი ლამაზმაც

„65 წლის ქალი ვარ. ორი ვაჟი მყავს. უფროსი დიდი ხანია, გერმანიაში ცხოვრობს, იქაური ცოლი და ორი ქალიშვილი ჰყავს. უმცროსი შვილის შემყურეს კი, ლამისაა გული გამისკდეს.

გაგას გაჩენას (7 წლით უმცროსია თავის ძმაზე) კინაღამ ჩემი სიცოცხლე შეეწირა. შვილების გარჩევა როგორ შეიძლება, მაგრამ გაგა სუსტი ბავშვი იყო და განსაკუთრებულად ვზრუნავდი მასზე... მერე, დათო უცხოეთში რომ გადაიხვეწა, გაგას სულ იმას ვეხვეწებოდი, შენ მაინც შეირთე ცოლად ქართველი გოგო, ყველანაირად დაგეხმარებიმეთქი. ძლივს მოვაყვანინე ცოლი. ეგეც მე მოვიწონე და იმდენი ვუქე, დაინტერესდა, გაიცნო და მალევე დაქორწინდა. სამი თვე არ იყო გასული, სიავე გამოიჩინა რძალმა. კარგა ხანს არაფერს ვუმხელდი შვილს, მაგრამ როცა რძლის უზრდელობა ყველა ზღვარს გადასცდა, გაგას შევაპარე, — ცოტა მკაცრად დაელაპარაკე შენს ცოლს, ჩემს ნალოლიავებ ოჯახს ნუ დამიქცევსმეთქი... დაწვრილებით არ ღირს ჩემი ოჯახის უსიამოვნებებზე ლაპარაკი, მაგრამ ერთს გეტყვით, ჩვენ შორის ურთიერთობა გამწვავდა. მას ბავშვი არ უჩნდებოდა და ისეთი აგრესიული იყო, ვემალებოდი და ვცდილობდი, თვალში არ შევჩეხვოდი. ჩემს ოთახში შევიკეტებოდი ხოლმე, გაგა კი ერთს არ მკითხავდა, რამე ხომ არ გინდა ან ცუდად ხომ არ ხარო? როცა დათოსთან გერმანიაში ჩავედი, მასთან გული მოვიოხე. უმცროს ძმას დაურეკა და უსაყვედურა. გაგა კი ძალიან გამიბრაზდა, — ჩემი ცოლი შენთან არ ტყუის, რა გალაპარაკებდა რძალზეო! გული მომიკვდა. ჩემი შვილი ცოლს ამართლებდა, მე კი — მადანაშაულებდა. ვერ გამეგო, რაში ვტყუოდი ან რა ბრალი მიმიძღვოდა რძლის წინაშე. მე ხომ მის სამსახურში ვიყავი სულ. დათოსგან დაპატიჟებას ელოდნენ წინა ზაფხულს (ერთხელ უკვე იყვნენ და კვლავ სურდათ გერმანიაში წასვლა). მე რომ უდიერად მექცეოდნენ, დათო ნაწყენი იყო ძმასა და რძალზე, ამიტომ არც დაპატიჟა და არც ფული გამოუგზავნა. ჩემმა რძალმა ამაში მე დამადანაშაულა და უსიამოვნო ლაპარაკი ჩხუბში გადაიზარდა. არ მოერიდა ხელითაც კი შემეხო — მცემა. იმ საღამოსვე მოვთხოვე შვილს და მის ცოლს, დაეტოვებინათ სახლი. იმის მაგივრად, რომ ცოლისთვის საყვედური ეთქვა, გაგამ ჩაალაგა თავისი ტანსაცმელი, ნივთები და ხუსხუსით გაჰყვა თავის „ძვირფასს“. იმ ღამეს ძალიან ცუდად გავხდი, კეთილმა მეზობელმა არ მიმატოვა, გვერდიდან არ მომცილებია. დათო მეორე დღეს შემეხმიანა, მომიკითხა და კვლავ ვერ დავუმალე მომხდარი. კინაღამ გაგიჟდა. მასთან გავემგზავრე და ერთი თვე დავრჩი. გეფიცებით, იმ გერმანელ რძალს ვერც კი შევადარებ ამ ქართველს. ეტყობა, დათომ უთხრა, გულნატკენი რომ ვიყავი. თან მყვებოდა, ხან სად წამიყვანდა, ხან — სად. მაინც ვერ გავჩერდი დიდხანს და დავბრუნდი. ახლა ჩემი შვილი ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს და არც აინტერესებს, ცოცხალი ვარ თუ — არა. ის მაინც ვიცოდე, რა დანაშაული მიმიძღვის რძალთან.

ვერიკო დ.“

„თავი ვერაფრით შევაყვარე“

„ოჯახში შემატებულ ახალ წევრს (ანუ რძალს) მთელი სიცოცხლე ემახსოვრება, თუ როგორ დახვდნენ ქმრის ახლობლები. პირადად მე, უხეშად არ დამხვედრია დედამთილი, მაგრამ არც დიდი სიხარული შემინიშნავს. საქმე ის გახლავთ, რომ გიამ (ჩემმა ქმარმა) ერთწლიანი რომანის მერე უცებ მიიღო გადაწყვეტილება, ოფიციალური ნიშნობა-ქორწილის გარეშე მივეყვანე თავის ოჯახში. მე ქუთაისიდან გახლავართ, ჩემი მშობლები იქ ცხოვრობენ, მყავს უფროსი, დაცოლშვილებული ძმა. დედამთილმა მაგრძნობინა, რომ სულაც არ ეჩქარებოდა გიას დაქორწინება, რადგან ოჯახი ვალებში იყო ჩავარდნილი. ძალიან უხერხულად ვგრძნობდი თავს, როცა გიას დედა ჩემ გასაგონად ლაპარაკს იწყებდა იმ ადამიანებზე, რომლებსაც გაუმართლათ და მდიდარი რძალი შეხვდათ. მე კი მშობლებმა ვერც კი გამამზითვეს. მართალია, ჩხუბი არასოდეს მოგვსვლია, მაგრამ რომ არ ვეპიტნავებოდი, ამას პირველი დღიდანვე ვგრძნობდი. ბავშვი რომ გავაჩინე, გიას ვთხოვე, ცალკე გადავსულიყავით საცხოვრებლად. ჩემს მშობლებთან არასოდეს დამიჩივლია იმაზე, რაც მაწუხებდა და მაფიქრებდა. თუმცა, რამდენჯერმე კი გამოვხატე ჩემი სურვილი — ცალკე ცხოვრება მირჩევნია-მეთქი. ჩვენებმა ცოტაოდენი ფული მომიგროვეს და ბინის დაგირავება შევძელი. გია აღარ შემეწინააღმდეგა. ვიცი, ამის გამო უფრო მეტად გავანაწყენე ჩემი დედამთილი, მაგრამ იმედი მაქვს, გადაუვლის. ჩემი აზრით, ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ცალკე უნდა ცხოვრობდეს. გული მწყდება, რომ ჩემი მცდელობის მიუხედავად, ქმრის დედას თავი ვერაფრით შევაყვარე.

თქვენი მკითხველი, მაია დ.“

შეყვარებულთა დაშორების მიზეზი – „თბილისელ გოგოს კერიას არ გავაცივებინებ"

რუბრიკით „წერილი გულის სწორს" („გზა", №20), დაიბეჭდა შეყვარებული ვაჟის სასიყვარულო ბარათები სათაურით — „ბედისწერაა ჩვენი სიყვარული, მარი". მკითხველი დაინტერესდა, როგორ გაგრძელდა შეყვარებულების ურთიერთობა. მარი ორი კვირის შემდეგ მოვიდა რედაქციაში კუთვნილი წერილების წასაღებად და ეს ინტერვიუც მაშინ ჩაწერეთ:

— ისეთი სიყვარული, როგორიც ამ წერილებშია გადმოცემული, ბედნიერად უნდა დასრულებულიყო...

— კი, წესით ასეც უნდა ყოფილიყო, მაგრამ დავშორდით. ეს მარტო ჩვენთვის კი არა, მეგობრებისთვისაც მოულოდნელი იყო.

— რა იყო თქვენი დაშორების მიზეზი?

— ლევანი რაიონიდან იყო, მე თბილისში დაბადებული და გაზრდილი ვარ. როცა ჩვენი სიყვარულის ამბავი გამჟღავნდა, ჩემმა მშობლებმა დიდი წინააღმდეგობა გამიწიეს, — რას ჰქვია, ნაფერებ-ნალოლიავები გოგო სოფელში გავუშვათო. ლევანს აქ ბინა არ ჰქონდა და ბუნებრივია, არჩევანი არ მომიწონეს. ყველაფერი გავაკეთე, რომ ჩვენებს მიეღოთ და შეგუებოდნენ იმ აზრს, რომ ლევანი მათი სიძე გახდებოდა. მას უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, თბილისში დარჩენა უნდოდა, ქირით ვიცხოვროთო, — მეუბნებოდა. ბოლო ხანს კი ნერვიულობა დასჩემდა, იოლად გამოდიოდა მწყობრიდან, უცებ რაღაცაზე გამიბრაზდებოდა ან ეჭვიანობის სცენებს მიწყობდა, მერე ბოდიშებს მიხდიდა, რას აღარ აკეთებდა, რომ მეპატიებინა. მოგვიანებით, მისი მამიდაშვილისგან გავიგე, რომ თურმე, მამამისიც წინააღმდეგი ყოფილა ჩვენი შეუღლების. მეწყინა, შეურაცხყოფილიც კი დავრჩი, მე ჩემები დავითანხმე ლევანის სიძეობაზე, მამამისი კი თურმე იქით ბობოქრობდა, არ დამანახვოთ თბილისელი გოგო, კერიას გამიციებს, ძროხას ვერ მოწველის, ჩაის ვერ დაკრეფს. პარკეტზე გაზრდილმა, როგორ უნდა მოუაროს ამხელა კარმიდამოსო.

— ისე, მართლა თუ შეგეძლოთ ამდენი რამის გაკეთება?

— ლევანს სწყინდა, ეგღა მაკლია მარის ჩაი ვაკრეფინო ან ძროხა მოვაწველინოო. ვიცოდი, რომ თბილისში ცხოვრებას აპირებდა, თუმცა ეს იმას არ ნიშნავდა, რომ სოფელს მივატოვებდით, ან მის მშობლებს არ მივხედავდით. ის ოჯახში ერთადერთი ვაჟი იყო და მამამისს მიაჩნდა, რომ ჩემი რძლობით, ოჯახი დაექცეოდა.

— ლევანი დაოჯახდა?

— არა და სწორედ ეს მიკლავს გულს. მერჩივნა, მალევე შეერთო ცოლი და ბედნიერად ეგრძნო თავი. სადაცაა 50 წლის გახდება. ძალიან ვწუხვარ, რომ მარტოა. თურმე, მამამისს „საოჯახო კრება" გაუმართავს, ნათესავები მოუწვევია და შვილისთვის კატეგორიულად უთქვამს: ან მე, ან ის თბილისელი გოგო. ლევანი ძალიან გაბრაზებულა. პირში მიუხლია მამისთვის, არ გეღირსება ჩემი ცოლიო და სახლიდან წამოსულა.

— არ ეცადეთ, განერვიულებული ლევანი დაგემშვიდებინათ, რაიმე საიმედო გეთქვათ?

— ძალიან განიცდიდა მამის წინააღმდეგობას. თანაც ჰაერში იყო გამოკიდებული, ჯერ არ მუშაობდა, ჩემს მშობლებთან ცხოვრება არ უნდოდა და დაიბნა. არ იცოდა, რა გზას დასდგომოდა. ერთხელაც, ჩემი ძალით წაყვანა სცადა, — უფროსი და გველოდება და უნდა წამომყვეო. ასე როგორ გავყვებოდი, როცა ვიცოდი, რომ მამამისი თავს იგიჟებდა. უარი ვუთხარი, გამწარდა და — მითხრა: საერთოდ დამკარგავო. ძალიან დამწყდა გული. ფაქტია, რომ სირთულეებს გაექცა და მარტო დამტოვა. როგორც კი ისეთი თაყვანისმცემელი გამოჩნდა, რომელიც საიმედოდ და მტკიცე კაცად მივიჩნიე, ცოლად გავყევი. მოგვიანებით, მეგობრის დედამ მიამბო: ვერავინ ეუბნებოდა ლევანს შენი გათხოვების ამბავს, მე მთხოვეს, იქნებ, უთხრაო. როგორც იქნა, ვუთხარი, — ალბათ, იცი, მარი გათხოვდა-მეთქი. მაშინვე ვინანე, მიწისფერი დაედო სახეზე, ცოცხალ-მკვდარი იყო...

— რატომ იჩქარეთ გათხოვება?

— დღესაც კი მიჭირს ამის ახსნა. ალბათ, მაშინ მინდოდა მისი უსუსურობისთვის დამესაჯა და ამ ფორმით დავსაჯე კიდეც. ცხოვრებაში ბევრჯერ გამიჭირდა და ასეთ დროს ყოველთვის ლევანთან გატარებულ დღეებს ვიხსენებ. დასანანია, რომ ასეთი სიყვარული დაშორებით დასრულდა, მაგრამ იქნებ, უფალი წყვეტს ამასაც? ლევანმა დიდი სახსოვარი დამიტოვა...

ჟურნალისტს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ
ტელ: 899.27.25.61
ან ელფოსტით babunamarina@yahoo.com



რომანი

მარი ხაფარიძე

სიყვარულის ეკვატორი

ლასტიკი, უკიდეგანო ზღვის იქით სასტიკი მზე ჩაესვენა... ახლა ელისოს ყველაფერი სასტიკად ეჩვენებოდა, რადგან თვითონ მიიღო სასტიკი გადაწყვეტილება, მალხაზი სამუდამოდ დაევიწყებინა.

არადა, ყველაფერი ხომ ასე კარგად დაიწყო.

3 წლის წინ ის მხოლოდ 17 წლის, „დაულაგებელი" გოგონა იყო. მაშინ მალხაზი პირველად დაინახა: მოხდენილი, უზომოდ სიმპათიური, ჭკვიანური გამოხედვით, მწვანე თვალებით, ერთ-ერთი, ყველაზე პრესტიჟული უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი და ამ ყველაფერთან ერთად — მდიდარი!

„ეს მე არც კი შემომხედავს!" — გაიფიქრა ელისომ თუმცა, მათი გაცნობის პირველივე წამებიდან მათ შორის იმ ნაპერწკალმა გაიელვა, რომელიც საკუთარ თავზე ყველა შეყვარებულს გამოუცდია. მაშინ არც გოგონას და არც ბიჭს ამისთვის მნიშვნელობა არ მიუნიჭებია. თითოეულმა მათგანმა ერთმანეთში საუკეთესო მოსაუბრე იპოვა. ურთიერთობის ვაკუუმი დაძლიეს და როგორც იქნა, იპოვეს ისეთი ადამიანი, რომელსაც მოსმენა, ჭკვიანურად კამათი და თავისი აზრის მტკიცება შეეძლო.

შემდეგ იყო პაემნები და მშობლების ბოროტი ქირქილი: „რა საერთო უნდა ჰქონდეთ? რაზე ლაპარაკობენ ამდენი ხანი?"

მალხაზს აინტერესებდა ყველაფერი, რასაც ელისო ამბობდა. ის გაოცებული იყო, რომ თითისტოლი გოგო, ასე კარგად ერკვეოდა ეკონომიკის საკითხებში. მალხაზი გამუდმებით ეძებდა ისეთ ადამიანს, რომელიც მასავით კარგად, მისი ტემპით აზროვნებდა, პროფესიულ სფეროში. ელისო კი თითქმის ბავშვი იყო — თანაც ასეთი მომხიბვლელი და თან, როგორ აზროვნებდა?!

ელისოსთვისაც აღმოჩენა იყო მალხაზი, ვინაიდან, რასაც წინათ ეკონომიკის სფეროში ინტუიციით ხვდებოდა, ახლა ამას ასეთი ჭკვიანი და სიმპათიური მამაკაცი უდასტურებდა.

მათი ნაცნობები ამბობდნენ: „აი, 2 ჭკვიანი ადამიანი ერთმანეთს შეხვდა!"

ძალიან ლამაზი წყვილი იყო: შავგვრემანი, მწვანეთვალება მალხაზი და ქერა, ხუჭუჭთმიანი, ცისფერთვალება, მაღალი და თოჯინასავით ლამაზი ელისო. ქერა კულულები თავზე უწესრიგოდ ეყარა და წელამდე სწვდებოდა. თუ თმას არ დაიწნავდა, მაშინ ჩანჩქერივით ჩამოეშვებოდა ხოლმე ზურგზე და „დაღვრილი" ოქროს შთაბეჭდილებას ტოვებდა.

ლამაზი წყვილი კი იყო, მაგრამ თანამედროვე ახალგაზრდობისთვის — ცოტა უცნაური: არ დადიოდნენ ღამის კლუბებსა და სხვა გასართობ ადგილებში. მათ საამისოდ არ ეცალათ. ბედმა იმ ზაფხულს მხოლოდ 2 კვირა არგუნა — ასე ბევრი უცხო ადამიანებისთვის და ასე ცოტა მონათესავე სულებისთვის. თუმცა, ეს 2 კვირა სრულიად საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ ერთნაირად აზროვნება დაეწყოთ. მათი საყვარელი გასართობი იყო, გამოეცნოთ, ესა თუ ის აზრი ვის უფრო ადრე მოუვიდა თავში.

დასვენების დღეები, რომელიც მალხაზმა საკუთარ თავს დაუწესა, სწრაფად გავიდა და ელისოსთვისაც სამწუხაროდ, უცებ დასრულდა. მალხაზს დიდ ქალაქში დიდი საქმეები ელოდა, ელისო კი ჯერ ისევ პროვინციაში უნდა დარჩენილიყო და მომავალ ზაფხულს დალოდებოდა, რომ მალხაზი ისევ ჩასულიყო დასასვენებლად.

შემდეგ მოვიდა შემოდგომა. მალხაზს და ელისოს სწავლის გარდა ახალი, ძალზე სასიამოვნო საზრუნავი გაუჩნდათ — წერილები. ელისო თავის შენახვას ქსოვით ახერხებდა. გარდა ამისა, სკოლაში, დამამთავრებელ კლასში იყო და კარგადაც სწავლობდა. თუმცა, წერილებისთვის დროს ყოველთვის პოულობდა. მერედა, როგორი წერილები იყო?! მათში გაცილებით მშვენიერი არსება დაინახა მალხაზმა, ვიდრე იმ 2 კვირის მანძილზე.

მალხაზის წერილები იმის შესახებ უყვებოდნენ, რომ მიუ-

ხედავად უდროობისა, ბიჭი ელისოს ბევრ დროს უთმობდა. თუმცა, გრძნობასა და სიყვარულზე მინიშნებაც კი არ იყო. გოგოს კი უკვე გაცილებით მეტი უნდოდა, ვიდრე მხოლოდ მეგობრული ურთიერთობა გახლდათ.

წელიწადი უცებ გავიდა. და აი, ივლისის ერთ ცხელ დღეს მის სახლს შავი „ოპელი" მიუახლოვდა.

ახლა ეს მანქანა ჩვენთვის არაფერს წარმოადგენს, მაგრამ მაშინ, როცა უცხოური ავტომობილი საქართველოში მხოლოდ თითო-ოროლას ჰყავდა, ფაქტობრივად, ლიმუზინი გახლდათ. უცხო მანქანის გარშემო ლამის მთელმა უბანმა მოიყარა თავი. იქიდან მალხაზი გადმოვიდა, კარი მიხურა და...

ეზოს ჭიშკართან ის იდგა... არა, ეს ის გოგონა არ იყო, რომელიც ბიჭმა შარშან დატოვა. მთელი „დაულაგებლობა" სადღაც გამქრალიყო. მალხაზმა ახალი ელისო დაინახა, რომელიც ჩითის ხალათში გამოწყობილ დედოფალს ჰგავდა.

ღმერთო, ეს რა არის? ელისოს თმა შეუჭრია! მართალია, ბიჭივით მოკლედ არა, მაგრამ მისი თმა ახლა მხრებს ოდნავ იყო ჩამოცილებული... სახეზე ჭორფლის წერტილებიც სადღაც გამქრალიყო... მალხაზის წინ ისეთი ქალი იდგა, რომელიც შეიძლებოდა, ბევრი მამაკაცის საოცნებო ყოფილიყო.

ბიჭი გახევდა. ნაბიჯს ვერ დგამდა, რომ ამ მშვენიერ გოგონას გადახვეოდა და თბილად მოეკითხა. სწორედ ამ დროს ის ნაპერწკალი, რომელიც 1 წლის წინ ბიჭის გულში გაკრთა, მოგიზგიზე ცეცხლად გადაიქცა. ის თავისი ოცნებისკენ წავიდა და სულ დაავიწყდა საჩუქრები, რომლებიც ელისოს ჩამოუტანა.

მანქანის უკანა სავარძელზე იმდენი კოლოფი ელაგა, ტევა აღარ იყო. რა იყო ამ კოლოფებში?

ერთხელ ელისოს წამოსცდა, რომ სურდა, სრულად დაუფლებოდა გერმანულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებს, რომ ქსოვისგან წელი სტკიოდა, რომ სახლისა და პატარა ქალაქის ბიბლიოთეკაში არსებული ყველა წიგნი უკვე წაკითხული ჰქონდა, დაიჩივლა, რომ მაღაზიაში ყველა სუნელი არ ჰქონდათ... ჰოდა, მანქანის უკანა სავარძელზე ენების შესასწავლი ლიტერატურა, ზურგის მასაჟისთვის საჭირო მოწყობილობები, უამრავი საკითხავი წიგნი და „მსოფლიოს ყველა ქვეყნის სუნელის" ნაკრებიც კი ეწყო. იქ იყო ყველაფერი, რაზეც კი ელისოს ოდესმე უოცნებია.

თუმცა, ბიჭისთვის საჩუქრები გოგოსაც ჰქონდა მომზადებული. ისიც მთელი წელი შრომობდა და მალხაზს ნაქსოვი ტანისამოსის ნაკრები დაახვედრა. ბიჭს განსაკუთრებით ხელთათმანები მოეწონა, რომელიც, ისევე, როგორც ყველაფერი დანარჩენი, ზუსტად მისი ზომის იყო. გოგონა ყველაფერს იმ ზომების მიხედვით ქსოვდა, რომელიც მისმა გონებამ დაიმახსოვრა.

შემდეგ იყო პაემანი და გოგონას ცხოვრებაში პირველი კოცნა... იმ წელს მალხაზმა შვებულებისთვის 3 კვირა გამოძებნა. ეს იყო ბედნიერების 3 კვირა. მალხაზი ყოველ დილით, უთენია შეუვლიდა ელისოს, თავისი ოცნების ქალს გვერდით მოისვამდა და ზღვისკენ მიემართებოდნენ. ის ყოველდღე უყურებდა, როგორ ვარდებოდა მიწაზე მშვენიერი მხრებიდან ჩამოცურებული ჩითის ხალათი. ბიჭს უყვარდა ამ სურათის ყურება, მაგრამ თავის გრძნობას საგულდაგულოდ მალავდა. მათ გარშემო ყოველთვის იყვნენ უცხო ადამიანები, ბავშვები, რომლებიც ვერ იგებდნენ, რატომ არ აშორებდა წყვილი ერთმანეთს თვალს. ელისოს ბავშვებთან ურთიერთობაც მშვენივრად გამოსდიოდა.

„რა მშვენიერი დედა იქნებოდა", — გაიფიქრა მალხაზმა.

ასე გაირბინა ათმა დღემ. ელისოს თეთრი, ქათქათა სხეული გამუქდა. ბიჭს ის უკვე შოკოლადად ეჩვენებოდა. ერთ დღეს კი მალხაზს მანქანა გაუფუჭდა. ამ პატარა, პროვინციულ ქალაქში საჭირო ნაწილები ვერ იშოვა. ძებნას 2 დღე დასჭირდა, რემონტს — კიდევ ერთი. ნაწილების ძებნის დროს, მალხაზს 2 ძველი ნაცნობი შეხვდა და სტუმრად დაპატიჟა. სამივენი მშვენივრად გაერთნენ. მალხაზი კი ელისოს ცხოვრებიდან მთელი 2 დღით გაქრა. ამ ხნის განმავლობაში სხვებისთვის ნერვიულობა და შიში არ დაუნახვებია. თუმცა, შინაგანად ძალზე ღელავდა.

რას აკეთებდა ამ დროს მალხაზი?

მან მეგობრებთან ერთად ყველა საკურორტო ქალაქი შემოიარა... ბათუმი, ქობულეთი, ურეკი... ბიჭები მხიარულობდნენ. თუმცა, მხოლოდ პირველ დღეს და ისიც, დღის პირველ ნახევარში იყვნენ მხიარულად. შემდეგ მალხაზმა მოიწყინა, რადგან ინანა, რომ ელისო მიატოვა. ის კი იქვე, ახლოს მას ელოდა... მისი ოცნების ქალი, მსოფლიოში საუკეთესო ქალი... მომავალი ცოლი... დიახ, სწორედ ასე გაიფიქრა — მომავალი ცოლი! და ბიჭმა გადაწყვიტა, უკან დაბრუნდებოდა თუ არა, ელისოსთან, მაშინვე წამოეჭრა ეს საკითხი. მეორე დილით მეგობრებმა უკან დაბრუნება გადაწყვიტეს. ის იყო, ადგილიდან დაიძრნენ, რომ ადგილობრივი ხულიგნები დაესხნენ თავს და მანქანის მინებს ქვები დაუშინეს. ბიჭები მანქანიდან გადმოვიდნენ და ჩხუბში ჩაერთვნენ. მალხაზი ფიზიკურად მოუმზადებელი იყო და ძალზე დაზარალდა. მისმა მეგობრებმა მომხდურები მოიგერიეს, მალხაზი სასწრაფოდ ჩასვეს მინებჩამსხვრეულ, დაჭეჭყილ მანქანაში და გეზი შინისკენ აიღეს. მალე მანქანა ელისოს ჭიშკარს მიადგა. გაოცებულმა გოგომ ემოციები ძლივს მოთოკა და საყვარელი მამაკაცის მოვლას შეუდგა. ხალხურ მედიცინაში მთელი ცოდნის მობილიზება მოახდინა და მკურნალობამ მალე შედეგი გამოიღო. რამდენიმე დღის შემდეგ უკვე კარგად იყო და ფეხზეც წამოდგა.

ყველაფერი კარგი ოდესღაც მთავრდება. მათ შორის — შვებულებაც...

მალხაზი თბილისში დაბრუნდა. მთელი გზა საყვედურით იკლებდა საკუთარ თავს, რათა გამბედაობა არ ეყო, ყველაზე მნიშვნელოვანი ეთქვა გოგოსთვის.

დაზამთრდა. შეყვარებულები ერთმანეთს წერილებს სწერდნენ. მალხაზი ელისოს მოქსოვილ ტანისამოსში იყო გახვეული და ეგონა, რომ საყვარელი ქალის მიერ მოქსოვილი სვიტერი უფრო გაათბობდა, ვიდრე ნაყიდი.

მალხაზმა გადაწყვიტა, ახალი წელი საყვარელ ქალთან ერთად გაეტარებინა და ელისოს თავისთან ჩასვლა შესთავაზა. გოგო თანახმა იყო, მაგრამ მშობლებისგან სასტიკი უარი მიიღო, თბილისში მარტო გაშვებაზე. მალხაზმა უზარმაზარი, ლამაზი მანქანა დაიქირავა და ელისოს

გაუგზავნა, რაშიც ნახევარი წლის ხელფასი გადაიხადა, მაგრამ ოცნების ახდენისთვის არაფერი ენანებოდა. მან მთელი ის პერიოდი წინასწარ დაგეგმა, რაც ელისოს მასთან უნდა გაეტარებინა. გეგმაში ძვირფას მაღაზიებში შოპინგი, მდიდრულ რესტორნებში ვახშამი და საუკეთესო იუველირის მიერ, მისი ესკიზით დამზადებული საქორწილო ბეჭედიც შედიოდა.

თუმცა, ამ ყველაფერს გოგონაზე დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. მესამე დღეს, როგორც იქნა, მალხაზმა ამოღერღა, რისთვის მოაწყო ეს ყველაფერი.

ერთ-ერთი რესტორნის ნახევრად ჩაბნელებული კუპე, ერთმანეთის პირისპირ მსხდომი წყვილი... ბიჭმა ოფიციანტი ნაჩქარევად გაისტუმრა. ისინი ერთმანეთს თვალებში უყურებდნენ. მათ მზერაში უსაზღვრო სიყვარული იკითხებოდა. სიჩუმე მამაკაცმა დაარღვია:

— ელისო, რაღაც მინდა, გითხრა...

— რად გინდა სიტყვები? ისედაც ყველაფერს მივხვდი.

— და რას მიხვდი? — გაუკვირდა მალხაზს.

— ძალიან მნიშვნელოვანი რამის თქმა გსურს ჩემთვის.

— ჭკვიანი გოგო მყავხარ. ვერც კი წარმოიდგენ, რამდენად მნიშვნელოვანია ის, რასაც ახლა გეტყვი.

— ჩემთვისაც მნიშვნელოვანია ამის მოსმენა, — უპასუხა გოგონამ და ინანა, რომ უკვე დიდი ხანია, მალხაზის აზრებს კითხულობს.

— შენ ის ადამიანი ხარ, ვინც მინდა, ყველა ცხოვრებისეული უსიამოვნებებისგან დავიცავ. დამიჯერე, მსოფლიოში შენზე ლამაზი და ჭკვიანი გოგო არ არსებობს. რომ გითხრა, მიყვარხარ-მეთქი, ეს მხოლოდ ნაწილი იქნება იმ გრძნობის, რასაც შენ მიმართ განვიცდი. დიდი სურვილი მაქვს, დარჩენილი წლები ჩემ გვერდით გაატარო, — მალხაზმა ღრმად ამოისუნთქა და ხელი ჯიბისკენ წაიღო, რათა წინასწარ მომზადებული საჩუქარი ამოეღო, მაგრამ ელისოს ხმამ შეაჩერა.

— ჰო, მაგრამ რატომ არ მეკითხები, მზად ვარ თუ არა, ასეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მივიღო? შენ უკვე მიიღე განათლება, გაქვს საყვარელი საქმე, მე კი ჯერ მოსწავლე ვარ და მთელი ცხოვრება დიასახლისის როლში ყოფნა არ მხიბლავს. როდესაც მზად ვიქნები, გავხდე შენი ცოლი, ამას აუცილებლად შეგატყობინებ.

მალხაზმა მეტყველების უნარი დაკარგა და ძალა მხოლოდ იმისთვის ეყო, რომ გოგონასკენ ხელი გაეწვდინა. წითელ, გულის ფორმის, კოლოფში ულამაზი ბეჭედი იდო. რომელიც ფიქრებით ვინ იცის, უკვე რამდენჯერ ჰქონდა მორგებული საყვარელი ქალის გრძელ და ნაზ თითზე.

— არ გაჩქარებ, მაგრამ გთხოვ, ჩემს საჩუქარზე უარი არ მითხრა, — მალხაზმა კოლოფს თავი ახადა და ელისომ აღფრთოვანება ვერ დამალა. ასეთი სილამაზე არასოდეს ენახა. ქალურობამ გაიმარჯვა და გოგონამ ბეჭედი თითზე წამოიცვა. ამ დროს კარი მიმტანმა შეაღო და დაძაბული

სიტუაცია განმუხტა.

მეორე დღეს იმავე დაქირავებულმა მანქანამ მალხაზის საყვარელი ქალი უკან, ზღვისპირეთში წაიყვანა.

ორივესთვის ჩვეულებრივი დღეები დაიწყო. თუმცა, შეყვარებულები ფიქრში ისევ და ისევ იმ დღეს უბრუნდებოდნენ. ელისო ფიქრობდა, რომ ოჯახის გაძღოლასაც და სწავლასაც შეძლებდა. თუმცა, ამ დროს შეყვარებულებს გზაზე აფხაზეთის ომი „გადაეღობა". ელისოს თბილისში წამოსვლა და უნივერსიტეტში ჩაბარება არ შეეძლო. გადაწყვიტა, მალხაზს ჯერ ცოლად გაჰყოლოდა და შემდეგ ჩაებარებინა მისაღები გამოცდები.

როგორც იქნა, ბიჭმა საოცნებო წერილი მიიღო. ელისო აგვისტოს დასაწყისში ქორწილის გადახდას სთავაზობდა. მალხაზი თავს ბედნიერად გრძნობდა. მაშინვე შეუდგა ქორწილის სამზადისს. მალე გაირბინა გაზაფხულმა... ზაფხულმა... ელისოს გამოსაშვები გამოცდები ჰქონდა, მალხაზს — დიპლომის დაცვა და როგორც იქნა, მოვიდა ასე ნანატრი 8 აგვისტო.

ელისო ზღაპარში აღმოჩნდა. ლიმუზინი, ექსკლუზიური რესტორანი, ახალი ბინა, სადაც ყველაფერი ისე იყო შერჩეული, შენიშვნის მიზეზიც კი ვერ იპოვა... ეიფორია 1 კვირა გაგრძელდა. რამდენიმე დღის შემდეგ კი ელისოს გონება გაუნათდა: ეს სიმდიდრე, რაც მის გარშემო არსებობდა, ოქროს გალია აღმოჩნდა და ქორწინების თაფლობის თვეს წიწაკის მწარე გემო შეერია. და კიდევ ერთი მთავარი საკითხი — ბრძოლა ოჯახში პირველობისთვის. აღმოჩნდა, რომ მალხაზიც და ელისოც ერთნაირად შეუპოვრად იბრძოდნენ ძალაუფლებისთვის, რის გამოც მათ შორის ნაპრალი გაჩნდა, რომელიც თანდათან ყინულით ივსებოდა. ახალშექმნილი ოჯახი 3 კვირის თავზე ხუხულასავით დაინგრა.

ელისომ ნაჩქარევად დატოვა თავისი ოქროს გალია. მას შემდეგ ერთმანეთს აღარ შეხვედრიან.

p.s. *მალხაზმა ვერა და ვერ იპოვა თავისი ბედნიერება. ელისომ კი, საუკეთესო და ბედნიერი ოჯახი შექმნა. მეორე ქმარმა ის მიიღო ისეთი, როგორიც იყო...*

გამოხმაურება

„ნინის „ლოვე" მაჯობა ჩემ უყვარდეს, აუცილებლად დამორღებოდა"

„გზის" №23-ში დაიბეჭდა დათო 15-ის მესიჯი, რომელიც გვწერდა, რომ ერთი წლის წინ თანასოფლელ გოგოსთან, ნინისთან იწვა. „2 თვის წინ ძმაკაცმა დამირეკა (ახლა თბილისში ვარ) და მითხრა, — აქ რომ ჩამოხვალ, ჩემი შეყვარებული უნდა გაგაცნო. ჩავედი და... ის გოგო ნინი აღმოჩნდა. 3 დღეა, რაც ძმაკაცთან შეხვედრას თავს ვარიდებ, მისთვის თვალებში ჩახედვის მრცხვენია". დათო თავის საქციელს ნანობს და როგორც თავადვე აღნიშნა, ერთი ღამის შეცდომამ ცხოვრება დაუნგრია.



„შენს ძმაკაცს უფლება აქვს, სიმართლე იცოდეს"

ლიკა ქაჯაია

კლეოპატრა:

„საინტერესოა, თავად ნინი რას ფიქრობს? ჯერ შენთან გაერთო, ახლა კი შენს ძმაკაცთან ერთობა? პირველ რიგში, უნდა გაარკვიო, ნინის ის მართლა უყვარს თუ არა. თუ არ უყვარს და მასთანაც ერთობა, ჯობია, ძმაკაცს სიმართლე უთხრა, მაგრამ თუ გულწრფელად უყვარს, შეცდომა უნდა მიეტევოს. უფალმა მოგცეს ძალა ამ პრობლემასთან გასამკლავებლად".

გრუზინკა:

„დათო, შენ და ნინი უნდა დასხდეთ და დაილაპარაკოთ. ერთად უნდა გადაწყვიტოთ, თუ რა უნდა უთხრათ ნინის „ლოვეს". საკითხს დელიკატურად მიუდექით და შეეცადეთ, იმ ბიჭს გული არ ატკინოთ".

ლუნა:

„ვწუხვარ, მესმის შენი და იმასაც ვხვდები, ახლა როგორ გიჭირს... ერთადერთი, რისი თქმაც შემიძლია, ისაა, რომ ძმაკაცს სიმართლე უნდა უთხრა. ნეტავ, ნინი რას გრძნობს ან საერთოდაც, თავისი საქციელის არ რცხვენია? იქნებ, მასაც დაელაპარაკო. დათო, შენს ძმაკაცს უფლება აქვს, სიმართლე იცოდეს. სამივეს ლამაზ ცხოვრებას გისურვებთ! მესმის თქვენი და გული მტკივა, ასეთ რთულ სიტუაციაში რომ აღმოჩნდით".

სიკვდილა:

„როგორ და რანაირად, არ ვიცი, მაგრამ ძმაკაცს სიმართლე უნდა უთხრა. სჯობს, ყველაფერი შენგან გაიგოს".

უცნობი:

„თუ სიმართლეს არ ეტყვი, ე.ი. ძმობის ფასი არ გცოდნია. შენნაირი მეგობრის ყოლას ნამდვილად არ ვისურვებდი".

ნიგუ:

„მართალია, ცუდად მოიქეცი, მაგრამ ის მაშინ შენი ძმაკაცის შეყვარებული ხომ არ იყო? რადგანაც თავს იდანაშაულებ, კარგი ადამიანი იქნები. იმ გოგოს დაელაპარაკე და მოსთხოვე, რომ საქმროს სიმართლე უთხრას... მაგრამ არა, მგონი, ყველაფერს ის აჯობებს, რომ ძმაკაცს სიმართლე თავადვე უთხრა. წარმატებები!"

ძალი ცდუნება:

„ძამია, ვერ ვხვდები, რისი გრცხვენია? ვფიქრობ, მოსარიდებელი არაფერი გაქვს. თუ არ გინდა, შენი ძმაკაცი დაიტანჯოს, უნდა უამბო ის, რაც სინამდვილეში მოხდა. აი, მაშინ იქნები ნამდვილი ძმა".

უცნობი:

„დავით ბატონო, რა დროს შენი ქალთან დაწოლა იყო? ისე კი, რისი გრცხვენია? გოგოს უნდოდა და უარს ხომ არ ეტყოდი? საინტერესოა, ის ნინი რამდენი წლისაა, უკვე ასე რომ „გულაობს"? იცი, რას გეტყვი? — თუ თავს ვაუკაცად მიიჩნევ და ძმაკაცი შენთვის მართლაც ძვირფასია, პირდაპირ უთხარი, რომ მისი შეყვარებული ერთი პატარა კახპაა, მერე კი თავად გადაწყვიტოს, როგორ უნდა მოიქცეს. და კიდევ, ვიდრე ნინი შენს ძმაკაცს „ლამაზ" ზღაპარს მოუყვება, სიმართლე თავადვე გაამხილე".

აბეზარა:

„საინტერესოა, ნინის თუ რცხვენია საკუთარი საქციელის? მას უნდა დაელაპარაკო და გაარკვიო, თუ რას გრძნობს შენი მეგობრის მიმართ. თუ „ლოვე" არ უყვარს, სიმართლე უნდა თქვა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, მათგან შორს ყოფნაა საჭირო. გირჩევ, ცოდვები მოინანიო. უფალი გფარავდეს".

სასტიკი ძალი:

„რატომღაც, მგონია, რომ ყველაფერი შენი ფანტაზიის ნაყოფია... დათო, ვიდრე რაღაცას გააკეთებ, კარგად უნდა დაფიქრდე. და კიდევ, თუ ეს ამბავი სიმართლეა, იმ გოგოს სად ჰქონდა ტვინი?"

პატარა ძალუკა 20:

„იქნებ, შენმა მეგობარმა „ლოვეს" წარსულის შესახებ ყველაფერი იცის და მიუხედავად ამისა, ის მაინც უყვარს? ამიტომაც, მათ ბედნიერებას ნუ ჩაუშხამებ".

სვანის ასული:

„შენი ძმაკაცი მალე დადგება ფაქტის წინაშე და განაჩენსაც გამოგიტანთ. ღმერთმა ქნას, ყველაფერი მშვიდობიანად გაარკვიოთ, ამის შემდეგ კი, ის ან ერთ-ერთ თქვენთაგანს აირჩევს, ან ორივეს დაგკარგავთ. სამწუხაროდ, ამას წინასწარ უნდა შეეგუო".

იკუზკები:

„ამ შემთხვევაში, გასაკიცხი ნინია. შესაძლოა, შენთან შეცდა (ერთი შეცდომა ყველას ეპატიება) და ახლა „ლოვე" გულწრფელად უყვარს, მაგრამ ყველა ვარიანტში, მასთან ურთიერთობისგან თავი უნდა შეეკავებინა. საინტერესოა, როგორ გიყურებს თვალებში? ნუთუ, არ რცხვენია? მოკლედ, გაგიჟება შეიძლება, რა. ეს ბავშვები პამპერსიდან და საწოვარადან პირდაპირ სექსზე გადადიან... შენს ადგილას ძმაკაცს დაველაპარაკებოდი. ნინისთან ლაპარაკი კი არ ღირს — როცა გოგო ასე უსინდისოდ იქცევა, რა სიყვარულზე ან პატივისცემაზეა ლაპარაკი? ვინ იცის, შენს შემდეგ, კიდევ რამდენ კაცთან იწვა. რა თქმა უნდა, ამას დაზუსტებით ვერ ვიტყვი, მაგრამ გოგოზე, რომელიც ვიღაცასთან უსიყვარულოდ წვება, სხვანაირი წარმოდგენა ვერ გექნება... ნინის

„ლოვე“ მართლა რომ უყვარდეს, შენი წამოსვლის შემდეგ, აუცილებლად დაშორდებოდა, მაგრამ ეტყობა, დიდი უსინდისო ვინმეა. 15-16 წლის ასაკში ასე რომ იქცევა, მერე რაღას იზამს?.. P.S. არადა, სოფელში მაცხოვრებლები ქალაქელებს გვლანძღავენ და ქვეყნის დამაქცევრებს გვეძახიან, მაგრამ თავიანთი შვილების ამბავი რომ იცოდნენ...“

მორანი:

„საინტერესოა, იმ გოგოს შენს მეგობართან რამდენად სერიოზული ურთიერთობა აქვს? ან მაშინ თუ უყვარდათ ერთმანეთი, როცა შენთან წვებოდა?.. რაც მოხდა, მოხდა, მაგრამ ადრე თუ გვიან, ყველაფერი გაირკვევა და ძმაკაცი არ გაპატიებს, სიმართლე რომ დაუმალე. ნეტავ, ის გოგო რას ფიქრობს? ალბათ, მას შენზე მეტად რცხვენია იმ ბიჭის. თუკი ფიქრობ, რომ ძმაკაცს ნინი სერიოზულად მოსწონს, სიმართლე უნდა უთხრა. ასე უფრო მშვიდად იქნები. წარმატებები!“

უცნობი:

„პირველ რიგში, მინდა გითხრა, რომ გამოსავალი ყველა სიტუაციიდან მოიძებნება. თუ გინდა, სწორი გადაწყვეტილება მიიღო, მეგობრის ადგილას უნდა წარმოიდგინო თავი. საინტერესოა, რას აირჩევდი — ლამაზ ტყუილს თუ მწარე სიმართლეს?.. იქნებ, ნინის შენზე მეტად უჭირს?.. საკუთარ თავთან მართალი უნდა იყო და პრობლემაც გადაწყდება“.

ზეციერული:

„დავით, შემეხმიანე, რა... მინდა, გკითხო, მეგობარმა მსგავსი რამ რომ დაგიმალოს, როგორ მოიქცევი? პირადად მე, მსგავს შემთხვევაში, ძმაკაცს ბევრ პრობლემას შევუქმნიდი. ამიტომაც, გირჩევ, რომ მას სიმართლე უთხრა. თუ გაგიგებს, ხომ კარგი, თუ არადა, ის თავის გზაზე წავა, შენ კი — შენსაზე“.

ბისტერ:

„არ გაბედო და თქვენ შორის მომხდარი ძმაკაცს არ დაუმალო. იქნებ, სიმართლის აღიარება გაშინებს? ცხოვრება რისკია, მეგობარო, და შენც აუცილებლად უნდა გარისკო! მართალია, ამის მერე თქვენი მეგობრობა სასწორზე დაიდება, მაგრამ მერწმუნე, სიმართლეს ახლა თუ არ გაუმხელ, თქვენს ძმაკაცობას ფასი აღარ ექნება. იმოქმედე!“

ზოკოლადა:

„როცა ძმაკაცს სიმართლეს ეტყვი, იმედია, გაგიგებს. იმ პერიოდში, როცა ნინი შენთან იწვა, მისი „ლოვე“ ხომ არ იყო? იმ გოგოს, შესაძლოა, ურთიერთობა სხვებთანაც ჰქონდა და ახლა, შენს ძმაკაცსაც ატყუებს. ვალდებული ხარ, მეგობარს თვალი აუხილო. იმედია, ყველაფერი კარგად იქნება“.

მარიკუნა:

„არ ვიცი, ჩემი რჩევა გამოგადგება თუ არა, მაგრამ ვფიქრობ, შენი ძმაკაცის ცხოვრება მას შემდეგ უფრო აირევა, როცა გაიგებს, რომ სიმართლე დაუმალე. დამიჯერე, ამით მას უფრო გაანადგურებ, გულს ატკენ“.

ჰისს-ჰისა:

„კარგია, სინანულის გრძნობა რომ გაწუხებს, მაგრამ სამწუხაროდ, ახლა ველარაფერს გამოასწორებ. ყველაფერს აჯობებს, ძმაკაცს თუ არაფერს ეტყვი“.

„სხვის უბედურებაზე აგებული ბედნიერება მყარი ვერასდროს იქნება“

„გზის“ №23-ში დაიბეჭდა უცნობის მესიჯი. შეგახსენებთ, იგი გვწერდა, რომ უყვარს ცოლიანი კაცი. „ის „სპეცნაზელია“ და საქართველოში განვითარებული მოვლენების გამო მასზე ვნერვიულობ, მაგრამ უფლება არ მაქვს, დავურეკო. განშორებისას დამაფიცა: ჩემ თავს გაფიცებ, აღარ დამირეკო მანამ, ვიდრე ოქროს დაბადების დღე არ მექნებაო, რაც იმას ნიშნავს, რომ მას მხოლოდ 4 წლის შემდეგ თუ შევხვდები“.



„სათქმელი პირდაპირ არ გითხრა და არაკაცურად დაგშორდა“

ზოკოლადა:

„თუ ის ბიჭი ცოლიანია, უნდა შეეშვა. რომ ჰყვარებოდი, 4 წლით ვერ შეგელეოდა. ვფიქრობ, ეს ყველაფერი საბაბი იყო, დაშორებისთვის. თავს ნუ იტყუებ, ირგვლივ მიმოიხედე და სხვა მოძებნე. მაპატიე, მაგრამ ის ბიჭი შენი არასდროს იქნება“.

იკუშკები:

„მას ხომ ცოლი ჰყავს, ოჯახი აქვს, შენ კი მათი ურთიერთობის გაციებაში რაღაც წვლილი შეგაქვს. შეიძლება, ძალიან რადიკალური ვარ, მაგრამ ოჯახის დანგრევას კატეგორიულად ვეწინააღმდეგები, თუ რა თქმა უნდა, მათ ურთიერთობაში რაღაც პათოლოგიას და სისასტიკეს არ აქვს ადგილი. დაუშვებლად მიმაჩნია ოჯახის დანგრევა მესამე პირის არსებობის გამო. შეიძლება, იმ კაცს მართლა უყვარხარ, მაგრამ დამერწმუნე, მილიონში ერთია იმის შანსი, რომ შენ გამო ოჯახს დაანგრევს. კაცები ასეთ სიტუაციაში ძალიან სუსტები არიან და გადაწყვეტილების მიღება უჭირთ. ისე, როგორც ვიცი, „სპეცნაზელები“ თავიანთ სამსახურს ასაიდუმლოებენ... მე ნაკლებად მჯერა ცოლიანი კაცის სიყვარულის და შენს ადგილას, მასზე ფიქრში დროს უქმად არ დავკარგავდი. თვალი გაახილე და მიხვდები, თუ რაგორი მშვენიერია ცხოვრება. რაც მთავარია, სხვის უბედურებაზე აგებული ბედნიერება მყარი ვერასდროს იქნება“.

სვანის ასული:

„მან განაჩენი უკვე გამოგიტანა და ისღა დაგრჩენია, ყველაფერს შეეგუო. მისი სისასტიკე არ უნდა გიკვირდეს. რაც შეეხება 4 წლის შემდეგ დარეკვას, ეს უბრალოდ, სასაცილოა. მას შენი თავიდან მოშორების მშვენიერი საბაბი

უპოვია. ის იმედოვნებს, რომ ახირება გაგივლის. რაც არ გერგება, არ შეგერგებაო, — ზუსტად შენზეა ნათქვამი“.

პატარა ძალუკა 20:

„უცნობო, ნუთუ, ვერ ხვდები, რომ ამ ნაბიჯით მან ტექნიკურად და თანაც, იოლად მოგიშორა? გამოგიყენა, როგორც ქალი და მერე, მიგატოვა. მაგ უწყების ხალხი მართლაც, მექალთანეა“.

პანკუშკა:

„თავადაც ხვდები, რომ ადამიანი, რომელიც გიყვარს, უშენოდაც ბედნიერია. მან დრო მოგცა, რათა დაივიწყო და შენც ასე უნდა მოიქცე“.

მომთმენი დედა:

„შენი მესიჯიდან ჩანს, რომ მასთან სხვანაირი ურთიერთობა გქონდა. საინტერესოა, ის რას გრძნობდა შენდამი?.. თუ ცოლიანია, ჯობია, თავი დაანებო, თორემ თავადვე დაიტანჯები“.

თამო:

„ვეცდები, ისეთი რჩევა მოგცე, რომელიც გულს არ გატკენს. შენს „სპეცნაზელს“ შეეშვი. ცოლიან კაცთან რა გესაქმება? დაიმახსოვრე, მისთვის ოჯახი ყოველთვის პირველ ადგილზე იქნება. როცა გაიცანი, უკვე დაოჯახებული იყო? მართლა გჯერა, რომ 4 წლის შემდეგ შენს ნახვას მოინდომებს? აჯობებს, მომავალზე იფიქრო და არა იმ ადამიანზე, ვინც უშენოდაც ბედნიერია. გული არ გაიტეხო, მომავალი წინ გაქვს. აუცილებლად შეხვდები ადამიანს, რომელიც ღმერთმა შენთვის გააჩინა და დამიჯერე, იმ შენი „სპეცნაზელის“ გარეშეც ბედნიერი იქნები“.

ნიბუ:

„დაიკო, ეკლესიაში იარე, ილოცე და ეცადე, მასზე აღარ იფიქრო. მეგობარო, ცოლიან კაცზე ფიქრი დიდი ცოდვაა. უფალი გფარავდეს“.

ძალი ცდუნება:

„გირჩევნია, შენი გზა მონახო და მომავალზე იფიქრო, სხვისი ოჯახის დანგრევა კი მგონი, თავადაც არ უნდა გინდოდეს. თავს ნუ დაიმცირებ, ყველაფერი წარსულს მიაბარე. შენს ადამიანობაში დარწმუნებული ვარ“.

აბეზარა:

„ცოლიან ადამიანზე ფიქრს აზრი არ აქვს. სხვისი უბედურების ხარჯზე საკუთარ ბედნიერებას ვერ ააგებ. თან, შენი მესიჯიდან გამომდინარე, მას უშენოდ ყოფნა არ გაუჭირდება. უნდა შეეცადო და დაივიწყო. წარმატებები!“

სიკვდილა:

„როგორ ფიქრობ, შენ გამო ცოლს მიატოვებს? ან რა იცი, 4 წელიწადში რა მოხდება?“

ირმა 91:

„ვერ ვხვდები, ცოლიან კაცებს რატომ გადაეკიდეთ? ჩემო კარგო, მის გარეშე ცხოვრება ისწავლე და მომავალს იმედის თვალით შეხედე, თორემ ასე შორს ვერ გაფრინდები“.

ლუნა:

„ისე არ იქცევი, როგორც საჭიროა. თავს ცოლიანი კაცის შეყვარების უფლება როგორ მიეცი? ის ხომ შენი არასდროს იქნება! თანაც, გარკვევით უთქვამს, აღარ შემეხმიანოო. 4 წელი ცოტა ხომ არ გგონია? ამდენი ხნის შემდეგ, შესაძლოა, აღარც კი ახსოვდე. თუ ის უშენოდაც ბედნიერია, შენ რატომღა უნდა დაიტანჯო უიმედო სიყვარულის ლოდინით? ეცადე, მის გარეშეც ბედნიერი იყო. ცხოვრება გრძელდება და ბედნიერების უფლება ყველას გვაქვს“.

გრუზინკა:

„მოკლედ, ჭკუიდან შემშლით, რა (და მსგავსი რამ არა მარტო მე მემუქრება). ბოდიშს გიხდი, მაგრამ დაუნი ხომ არ ხარ? ის არარაობაა. სათქმელი პირდაპირ არ გითხრა და არაკაცურად დაგშორდა, მხოლოდ რაღაც გაურკვეველი იმედი დაგიტოვა. ჩემო კარგო, ნაგავი ურნაში უნდა მოისროლო“.

„დაქალმა მიღალატა და მას შემდეგ გავბოროტდი“

N.10.A:

„თქვენი რჩევა მეც მჭირდება. 18 წლის ვარ და საშინლად გავბოროტდი — დაქალმა მიღალატა და მას შემდეგ ნდობა ყველას მიმართ დავკარგე. არ ვიცი, რა ვქნა. შემიძლია, სამაგიერო გადავუხადო და გავამწარო, მაგრამ ზოგჯერ, ვფიქრობ, მაგის დონემდე როგორ უნდა დავეცე-მეთქი? ჩემში ორი პიროვნება ებრძვის ერთმანეთს — ერთს შურისძიება სწყურია, მეორეს კი უბრალოდ, ის ეცოდება და მიიჩნევს, რომ ყოფილი დაქალი ყურადღების ღირსიც არაა. არა და, შემიძლია, მაგრად გავამწარო. რას მირჩევთ, როგორ მოვიქცე?“

„ქმარი გამუდმებით მეჩხუბება და მცემს ხოლმე“

უცნობი ბ:

„თუ ამ მესიჯს არ გამომიქვეყნებთ და რჩევას არ მომცემთ, იცოდეთ, თავს მოვიკლავ. მე ადრე წერილი გამოგიგზავნეთ და თქვენგან რჩევა ვითხოვე. ალბათ, გახსოვთ ჩემი მესიჯი, რომელშიც გწერდით, — 3 დაქალი ვართ და 3 პატიმარი გავიცანით-მეთქი. ბოლოს კი კობასთან ურთიერთობის დასრულების გადაწყვეტილება მივიღე და პოლიციელზე გავთხოვდი... ახლა ისევ პრობლემა მაქვს — ქმარი გამუდმებით მეჩხუბება. ყოველთვის, როცა თვრება, ამბობს: ციხის კარზე სიარული არ გენატრებაო? და მცემს ხოლმე. ამის გამო 2-ჯერ მუცელიც კი მომეშალა. როცა სვამს, არ მინდობს და ესაა ჩემი პრობლემა. ალბათ, მკითხველი დაინტერესდება, თუ საიდან გაიგო მან კობას არსებობის შესახებ — ვიდრე გავთხოვდებოდი, ვუთხარი: ჩემი ყოფილი შეყვარებული ციხეშია-მეთქი... მოკლედ, ჯერ მხოლოდ 22 წლის ვარ და თქვენ არ იცით, უკვე რამდენი რამ გადავიტანე“.

P.S. მაშ ასე, თუ N.10.A-სა და უცნობი ბ-სა წერილების წაკითხვის შემდეგ რომელიმე მათგანთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ.

ქალი თუ მოინდომებს...

მარი ჯაფარიძე

დასაწყისი იხ. „გზა“ №№22-23



კატო: ეს პასუხი არ მაკმაყოფილებს, მაგრამ ერთი უარყოფითი თვისება შენც ხომ უნდა გქონდეს... ეგ არის შენი უარყოფითი — პირდაპირ პასუხებს არასოდეს მაძლევ... კარგი.

დათო: აუ, რამხელა მესიჯი მოგწერე და არ გამოიგზავნა. შევეცდები, თავიდან მოგწერო.

კატო: :)))))))

დათო: რაც შემეხება მე, ბაბნიკი არ ვარ. თუმცა, მიყვარს ლამაზი ქალები. „მოგულავე“ არ ვარ, თუმცა, მიყვარს მეგობრებთან ერთად ქეიფი და დროსტარება. საყვარელი არ მყავს და არც მყოლია. ვუფრთხილდები ოჯახს და საკუთარ სახელს. მაინტერესებს ისეთი ქალი, რომელმაც იცის საკუთარი თავის ფასი (ვინც მოეწონება, ყველას ლოგინში რომ არ ჩაუგორდება), არის მომხიბვლელი, ვნებიანი, ჭკვიანი, ერთგული, საქმიანი... მოკლედ, მგონი გიპოვე...

კატო: არ ვიცი, რა ვთქვა. გამიხარდა, რაც მითხარი. წლების განმავლობაში, როცა ჩემს ცხოვრებასა და მომავალზე დავფიქრდებოდი, ვხვდებოდი, რომ მჭირდებოდა მამაკაცი, რომელიც ორივე ფეხზე მყარად დგას... ღირსეული... საკუთარ ოჯახს პატივს სცემს და უყვარს, მაგრამ ჩემთვისაც რომ გამონახავს თავის გულსა და ცხოვრებაში პატარა ადგილს... მნიშვნელოვან ადგილს... საერთო საიდუმლო რომ გვექნება და საერთო მინიცხოვრება, დანარჩენი ცხოვრებიდან ამოგლეჯილი მომენტებით... ტკბილი მომენტებით. რომელთან ყოველი შეხვედრა ისეთივე ამაღელვებელი იქნება, როგორც პირველი... აუცილებლად ჭკვიანი... და თუ ასეთს ოდესმე ვიპოვიდი, ჩვენი ურთიერთობა წარმომედგინა ვნებითა და სიყვარულით სავსე... როცა ერთმანეთი მოგვენატრებოდა მაშინ... თუ ყოველდღე მოგვენატრებოდა, მერე რა... მაშინ ყოველდღე შევხვდებოდით... ეს იყო ჩემი ოცნება... არ ვიცი, ახდენა უწერია თუ არა, მაგრამ ამის გამო სანთელიც კი დამინთია ეკლესიაში (მაპატიე, ღმერთო).

კატო: ბევრს ნუ ფიქრობ, მსუბუქად შეხედე იმას, რაც მოგწერე... ეს უბრალოდ, ერთი ჩვეულებრივი ქალის ჩვეულებრივი ოცნების ხმამაღლა გამხელა იყო და მეტი არაფერი...

დათო: 3-ჯერ წავიკითხე შენი მესიჯი. ახლა ისეთი რამ მითხარი, რაც არავისთვის არასდროს გითქვამს, ალბათ.

კატო: კი, ასეა... მარტო მე და ღმერთმა ვიცოდით. იმიტომ, რომ ვთხოვდი ამ სურვილის ასრულებას და რომ არ მეთქვა მისთვის, არ შეიძლებოდა... :)))

დათო: უნდა შევხვდეთ!

კატო: რაშია საქმე?

დათო: ასე გაგრძელება აღარ შეიძლება და მგონი შენც ხვდები ამას.

კატო: როდის? და რას გეგმავ, შეხვედრისას?

დათო: არ ვიცი. კარტბლანში შენს ხელშია.

კატო: მოდი, მაშინ იღბალს მივანდოთ... მანქანა გყავს, ალბათ, ხომ? თუ გყავს, მისი ნომერი მითხარი... მხოლოდ ციფრები, სერია არ მაინტერესებს...

დათო: 888 და 777.

კატო: ყველაზე ახლოს 19 მაისი გამოვიდა... რას იტყვი ამაზე?

კატო: ალოოო... ბატონი დავითი მინდოდა...

კატო: უკაცრავად, თუ შეიძლება სთხოვეთ ბატონ დავითს... არ სცალია? კარგი, მაშინ ცოტა ხნის შემდეგ დავურეკავ...

დათო: გასული ვიყავი 5 წუთით. მოვედი. ეგ ძალიან შორია, თან — ცრურწმენები... მე 2 მაისს, შაბათს გთავაზობ.

კატო: ეგ ცრურწმენა არაა... უბრალოდ, რა გამოვიდოდა, ის იყო საინტერესო. იღბალი რას გადაწყვეტდა... შენი და ჩემი მანქანების ნომრები გადავამრავლე და ჩვენ მიერ გაგზავნილი მესიჯების რაოდენობაზე გავყავი... ერთგვარი საშუალო არითმეტიკული გამოვიანგარიშე. ჰოდა, ეგ მივიღე... თუ არ გაწყობს, მაშინ ჩვენ მოვილაპარაკოთ... ამ შაბათს კი ალბათ ვერ მოვახერხებ... დაახლოებით რამდენი ხანი გვეყოფა შეხვედრისთვის?

დათო: მე გითხარი, შენ გადაწყვიტე. მიყვარს ანალიტიკური აზროვნების ხალხი. ოღონდ, ჩვენი გაცნობის თარიღი — 22 აპრილიც უნდა ჩაგერთო როგორმე ანგარიშში. ისე, რა მაგარი კითხვა დამისვი?! რამდენი ხანი გვეყოფაო?

კატო: ეგეც ჩავრთე და რამდენიმე ვარიანტი გავაკეთე, მაგრამ ეგ ერთი დაემთხვა მაისს. დანარჩენი ზოგი აგვისტოში გამოვიდა, ზოგი — ივლისში და ზოგიც — ნოემბერში... :(((((((((((((((მოკლედ, სავარაუდოდ ავიღოთ 19 და მე მანამდე შევეგუები აზრს, რომ უნდა გნახო... გავმხნევდები და ასე შემდეგ... მაგრამ თუ გინდა, მომავალი კვირის ხუთშაბათს ან პარასკევს შევხვდეთ. რაც შეეხება შეხვედრის ხანგრძლივობას, იმიტომ გკითხე, რომ თუ 15 წუთით გინდა შეხვედრა, მარტო გარეგნულად გამიცნო და უბრალოდ მნახო, როგორი ვარ, მაშინ ეგ ყოველთვისაა შესაძლებელი... თუ უნდა დავსხდეთ და ვისაუბროთ, მაშინ ალბათ რამდენიმე საათი კი არა, დღეც არ გვეყოფა...

დათო: პრობლემა არაა, როცა შენ გაწყობს.

კატო: მეჩვენება თუ ნაჩქარევად მპასუხობ? დაკავებული ხარ თუ იმედი გაგიცრუე?

დათო: მე ვფიქრობ, ჩვენ დრო არ გვეყოფა.

კატო: ნეტავ, როგორი თვალები გაქვს? თბილი? ჩემი თვალები ყველაფერს ამბობს, რასაც ვფიქრობ...

დათო: სურვილი ხომ არ გაქვს, ელფოსტაზე სურათი გამომიგზავნო?

კატო: გამოგიგზავნი. შენ? შენ თუ ვერ გამოგზავნი, მაშინ ჯობია, თანაბარ პირობებში ვიყოთ...

დათო: პრობლემა არაა. ამ კომპიუტერში არ მაქვს ჩემი სურათი. ხვალ გადმოვწერ და გამოგიგზავნი.

კატო: კარგი, მჯერა...

დათო: მე უნდობლობას ვიწვევ?

კატო: არა. ახლა გამოვუშვებ ჩემს სურათს, მაცადე. ისე, წარმოშობით საიდან ხარ? რომელი კუთხიდან?

დათო: კონკრეტიკა დაღუპავს ჩვენს ურთიერთობას. გუშინ მითხარი, მარტო დღის პირველ ნახევარში მცალიაო...

კატო: ჰოოო, ასეა... შენ გამო ვერ გავდივარ. დიდი ხანია სამსახურში უნდა ვიყო... ახლა წავალ მალე... უკვე უნამუსოდ ვიქცევი...

დათო: ბედნიერებაა, ქალი შენ რომ გწირავს ძვირფას დროს.

კატო: მამაკაცის მიმართ მოკრძალების გრძნობა იშვიათად მიჩნდება... შენ მიმართ კი ეს მაქვს... რიდი, კრძალვა, პატივისცემა, ცოტა შიშიც...

დათო: შიში?!

კატო: ჰო, შენ წარმოიდგინე, შიში... ალბათ უფრო იმის შიში, რომ უცხო ხარ... იმის შიშიც, ჩვენი ურთიერთობა რომ არ გამოვიდეს... იმის შიშიც, რაღაც რომ დაიშალოს... იმისიც, იმედგაცრუება რომ ვიგრძნო... და კიდევ სხვა შიშები, რომელსაც ახლა ვერ გეტყვი... შენ რომ ჩემი წერილები წაგაკითხა, სხვებს აგდებით, უკმეხად, ირონიით რომ ველაპარაკებოდი... შენ კი პირველივე მესიჯიდან ვერ გაგიბედე, რატომღაც...

დათო: სასიამოვნო მოსასმენია.

კატო: სულში მოლოდინის ალი ანთია და...
გარეთ ატმებია, მთვრალი...
შენზე ოცნებებმა ღამე ათიეს და...
არც მე მომიხუჭავს თვალი.
განთიადიდანვე შენზე ფიქრს ვუნდები,
შენ თუ გახსენდები, ნეტავ?
არ მოხვალ?
წავალ და არც მე დავბრუნდები,
აღარც ლექსებს გეტყვი, მეტად...

მე უნდა წავიდე, სიხარულო... ძალიან მინდა შენთან, მაგრამ... ამაღამ შემოვიხედავ გვიან და თუ რამე დამხვდება შენგან, გამიხარდება... ხვალ კი ალბათ საღამოს შემოვალ, როცა დავბრუნდები... ზეგ სულ შენი ვარ... მთელი დღე ოფისში ვიქნები... მომწერე ერთი თბილი მესიჯი წასვლისას, 2 დღე რომ მეყოს და წავალ...

დათო: ისეთ ლექსებს მწერ, აღფრთოვანებული ვარ.

კატო: კარგი, წავედი... ვიმყოფინებ 2 დღე მაგას... რა გაეწყობა...

დათო: რაღაც სურათი ვნახე ჩემი, ვწვალობ და ვერ გამოგიგზავნე...

კატო: სურათი მივიღე... ძუნწი ხარ. თბილ სიტყვას ვერ იმეტებ... დროებით, გკოცნი და მომენატრები.

29 აპრილი, 16:31

დათო: როგორც იქნა, ჩაირთო ინტერნეტი, მაგრამ შენ არ ჩანხარ. ვიცი, ერთი სული გქონდა, როდის მოხვიდოდი და ნახავდი სასიყვარულო ნობათს, მაგრამ სად შეუძლიათ კაცებს ასეთი ელემენტარული სითბოს გამოხატვა.

1-ელი მაისი. 01:35

კატო: ძალიან ძნელად შესამჩნევი, ისიც, ხანდახან,
რას მივაწერო გულგრილობა ჩემდამი შენი?
მამაკაცობას დააბრალო, ალბათ ის გინდა?
დამსახურებას შენსას გინდა, გაუსვა ხაზი?
თუ ჩემზე უფრო უმტკიცესი გგონია თავი?
პირველის გამო, გულგრილობას შეგინდობს

შავი ზოლი ძალე ამოქ დამთავრდეს, სიკეთეზე ყი ვარ, სიკანეზე ოდდა გადაყვეთ.

ღმერთი...

მეორის გამო, რაც გეკუთვნის, მერმისი გეტყვის,

მესამის გამო, მე რა გითხრა, ღიმილის მეტი?

ეს ისე... სევდის გასაქარვებლად... ჩემი სევდის და შენს ბოლო მესიჯზე მართლაც, ღიმილის მეტი სათქმელი არაფერი მაქვს.

10:13

დათო: ვაა, მოხვედი ჩემო სიცოცხლევ?

კატო: კი, მოვედი... გამიხარდა შენი დანახვა.

დათო: სად დამეკარგე?

კატო: ვერ მოვიცალე აქ შემოსასვლელად...

დათო: რა ქოქოლა დამაყარე ჩემი მესიჯის გამო?!

კატო: სულაც არა... ქოქოლა არ იყო ეგ. :))) წუხელ საშინელ გუნებაზე ვიყავი და... სევდიანი გამოვიდა... უფრო სწორად, „ქოქოლიანი". :)))

დათო: როგორ გელოდი (საოცარია)... შენ კი გულგრილობაზე, დამსახურებასა და სიმტკიცეზე მელაპარაკები.

კატო: კარგი, ნუ მსაყვედურობ.. ერთხელ მეც ხომ უნდა გავაფუჭო რაღაც? მეც მენატრებოდი. დილით რომ შემოვედი, ძალიან მინდოდა, დამხვედროდი...

დათო: შენს არყოფნაში ლამის მთელი ჩვენი მესიჯები გადავიკითხე.

კატო: მერე??? მოგეწონა? მე უკვე მერამდენედ მაქვს წაკითხული, ვინ იცის... ძალიან მინდა ხოლმე, რაღაც უზომოდ თბილი და ტკბილი მოგწერო...

დათო: უზომო სითბოს ვგრძნობ შენს თითოეულ სიტყვაში. თავს ბედნიერად მივიჩნევ იმ დამოკიდებულებით, რასაც ჩემ მიმართ ამჟღავნებ.

კატო: საქმე ის კი არაა, რა სიტყვებს ვწერ... საქმე ისაა, სიტყვასა და სიტყვას შორის რას კითხულობ... გულის თვალისთვის დაწერილს თუ კითხულობ... იცოდი, რომ გულსაც აქვს თვალი?

დათო: კი არ ვკითხულობ მხოლოდ, ვგრძნობ და ეს მიწერია კიდეც. უნდა დაგტოვო ჩემო, მეგობრები ვაპირებთ ნაბახუსევიდან გამოსვლას. სავარაუდოდ, 2 საათში მოვალ.

დათო: როგორ ჩაგეხუტო? 19 მაისი ძალიან შორსაა...

კატო: და 19-ში აპირებ ჩახუტებას?! ეს უკვე საინტერესოდ მეჩვენებაა...

დათო: კი, კი და არა მარტო ჩახუტებას. მოფერებას, კოცნას...

კატო: ამას ცალკე ამოვიწერ და ხშირ-ხშირად ვნახავ ხოლმე... უყურე შენ... ახლა ბახუსმა შეგმატა ალბათ სითამამე... :))) ცეცხლს ნუ ეთამაშები, ბატონო დავით.

დათო: ცეცხლთან თამაში კარგია. ვინც ეს არ იცის, ის ვერც სითბოს, სინათლეს და ვნების სიმძაფრეს აღიქვამს, სრულად.

კატო: და რომ დაგწვას და დაგფერფლოს ჩემმა მოფერებამ, არ გეშინია?

დათო: ზუსტად მაგაშია ვნება.

კატო: შენ ეგ გინდა?

დათო: ხომ გთხოვე, ჩემს ნათქვამში ეჭვს ნურასოდეს შეიტანო-მეთქი.

კატო: იცი რა? ხანდახან ადამიანი ისეთ კითხვას სვამს, რომელზეც პასუხი წინასწარ იცის, მაგრამ მაინც კითხულობს, რომ მოსაუბრემ თავისი პასუხით მასში წარმოქმნილი გრძნობა, ლტოლვა გააძლიეროს და არა — ცივი წყალი გადაავლოს და ნაკვერჩხალი ჩააქროს ისე, როგორც შენ ბოლო მესიჯით გააკეთე.

დათო: ეტყობა ჩვენ დღეს ვერ ვუგებთ ერთმანეთს. ეს ყველაფერი გადასარევად ვიცი და რაც შენ მომწერე, იმის პასუხად გითხარი. რა თქმა უნდა, მინდა და ამისთვის ყველაფერს გავაკეთებ!

კატო: აი, ასე არ ჯობია? ნუ მეჯიუტები... დამნებ-დიიიიიიი!

დათო: თავს ვგრძნობ გილიოტინაზე და საოცრება ისაა, რომ მომწონს.

კატო: ნუ გეშინია, თავს არ მოგკვეთ... დიდი-დიდი, შემომეჭამო.

დათო: მაგას ვნახავთ, ვინ — ვის.

კატო: ნუ მემუქრები.

დათო: მინდა, შემოგეჭამო. კბილები კარგი გაქვს?

კატო: კი, ჩაწიკწიკებული... გავილესავ, 18-ში.

დათო: ხომ არ გაგიჟდი? 18-მდე რა მოიცდის?

დათო: უკაცრავად, 19-მდე.

კატო: ჰო, შენც მართალი ხარ... მართლაც რა მოიცდის... მე ხომ ასე მინდა შენთან?!

დათო: შაყირობ... ნიჭიერი ადამიანი ხარ და გაფასებ. იმერული კილო გაქვს.

კატო: არ ვარ იმერელი... და კილო სად დაინახე ნეტავ? ან შენ თუ ჩემ წინა მესიჯში მარტო კილო დაინახე, კარგად მქონია საქმე.

დათო: შენს მესიჯში ბევრ რამეს ვხედავ, მაგრამ ბრმა ვარ.

კატო: მითხარი რა დაინახე, გთხოვ... შენებურად არ აარიდო პირდაპირ პასუხს თავი და არ

მითხრა, ბრმა ვარ და ვერ ვხედავო...

დათო: მიყვარხარ!

კატო: შენთან მინდა...

დათო: რა გიშლის ხელს?

კატო: არ ვარ დარწმუნებული, რომ სწორად ვიქცევი... არ გეგონოს, ახლა რაღაცას მივედ-მოვედები... რასაც ვფიქრობ, იმას ვამბობ.. ჩვენ ხომ შევთანხმდით ამაზე...

დათო: ვინ იქცევა სწორად? ვის აქვს უფლება, მიუთითოს სხვას? ჩვენ ყველანი ცოდვილები ვართ!

კატო: გული და გონება ებრძვის ერთმანეთს... ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, მაინც გული აჯობებს... თუ გულს დავთანხმდი და სურვილი, რომელიც შენ გააღვივე, ჩაცხრა შენივე ალერსით, შესაძლოა, ამის მერე უკვე განელებულ გულს გონებამ უთხრას, რომ ცუდად მოიქცა და... განაჩენიც გამოუტანოს...

დათო: და განაჩენი რა იქნება, გულის მიერ სხეულისთვის გამოტანილი? კარგი რა, მე შენთან მინდა და შენ რაღაც სისულელეებზე მელაპარაკები?

კატო: მეც მინდა შენთან... მინდა, რომ დაგახრჩო ალერსით...

დათო: ე.ი. 19-მდე ვიცოცხლებ?

კატო: ჰო... და იმედია, 19-ის მერეც...

დათო: ვერ დაგეთანხმები. მაგიური ციფრების არ მჯერა. თუ ჩემთან გინდა, მე აქ ვარ და გელოდები.

კატო: დღეს არა...

დათო: დღეს არც მიგულისხმია, მაგრამ არც — 19. ნასვამმა რატომ უნდა გნახო პირველად?

კატო: ჰო, მართალი ხარ... ნასვამს თვალები თუ გიჟუჟუნებს?

დათო: ეგ ყველაფერი — პირადად, თუ შეხვედრისას შენც ჩემთან ერთად დალევ.

კატო: არა მგონია, კარგი აზრი იყოს...

დათო: ვნებები გძლევს და ჩამახრამუნებ?

კატო: ამჯერად მგონი ზუსტად მიხვდი...

დათო: ახლა იცი, როგორ ვარ? თავს მკერდზე დაგადებდი და ტკბილად დავიძინებდი... მოკლედ, არც დღე მაძინებ და ვატყობ, არც ღამე.....

კატო: ჩვენმა საუბარმა სხვა კალაპოტში გადაინაცვლა... სხვებს დაემსგავსე, თითქოს...

დათო: გაითვალისწინე ძვირფასო, რომ მეც მამაკაცი ვარ და თანაც — ნასვამი.

კატო: ვიცი და მომწონხარ ასეთი... იმედი მაქვს (თანაც დიდი), რომ მამაკაცი ხარ... ეჭვიც არ მეპარება...

დათო: ეეეეეეეე...

კატო: რა იყო?

დათო ???????? ...იმედი მაქვს (თანაც დიდი), რომ მამაკაცი ხარ...

კატო: ჰო... არ უნდა მქონდეს იმედი? იმედი რომ მაქვს, მაგიტომაა, რომ გელაპარაკები და „გაბამ", თორემ ამდენ დროს არ დავკარგავდი... მიწყრები?

დათო: დღეს არ მომწონხარ!

კატო: კარგი, ისევ ძველი კატო ვიქნები... შევრიგდეთ.

დათო: არა! შეგირიგდები, მხოლოდ ალერსით.

კატო: შენ მიერ მოწერილი თითოეული სიტყვა, სადაც შენი სურვილი ჩანს, მაგიჟებს.

დათო: ნუ დამტანჯე.

კატო: რატომ დაგტანჯე...

დათო: ვაჰ, რა დღეში ვარ?!

კატო: შეგიყვარდი და იტანჯები? :)))

დათო: იცინი?

კატო: არა, ვიღიმი... ვხუმრობ... ვიცი, რომ კი არ შეგიყვარდი, უბრალოდ, ჩემი სურვილით იწვი...

დათო: არასწორად მომწერე?

კატო: რა არის არასწორი? ახლა არც ჩემგან იქნება სწორი გითხრა, რომ მიყვარხარ და არც შენგან... ეს სურვილია... თუმცა, შეიძლება ერთგვარი სიყვარულიც... ოღონდ, სიყვარული რომ არ ჰქვია...

კატო: უნდა გავიდე, სამწუხაროდ... ნახევარი საათის წინ უნდა ვყოფილიყავი ერთ ადგილზე... მომწერე და გამიშვი... ჩემი გული კი დაიტოვე და მოუარე...

დათო: არ ვიცი, გამირთულე თუ გამილამაზე ცხოვრება. თავი დამანებე!

დათო: არ გეწყინოს, ცუდად გამომივიდა.

კატო: როგორც გინდა... თავს უფლებას არ მივცემ, შენი სურვილის წინააღმდეგ წავიდე... ერთი სიტყვაც არ დამცდება ამ თემაზე... მართლა გულით გიხდი ბოდიშს... არ მეწყინა, ჩემი ბრალია, ზედმეტი მომივიდა...

დათო: მითხარი, რაც ჩვენ შორის ხდება, ნორმალურია?

კატო: არ ვიცი, მაგაზე მეც ვფიქრობ... კიდევ ბევრ რამეზე... შენზე კი გამუდმებით... მაგალითად, იმაზე ვფიქრობ, ნეტავ შენც თუ იმავეს განიცდი, რასაც მე?

კატო: არ მიშვებ?

დათო: არა!

კატო: უნდა წავიდე... აუცილებელია... გამიშვი... რა ვქნა, მეც არ მინდა წასვლა... ხვალ შენი ვარ, მთელი დღე. მიპასუხე და გამიშვი, გთხოვ...

დათო: კარგი, წადი.

კატო: :))) კარგი, ამომწურავი პასუხი იყო და გულთბილი გამომშვიდობება, როგორც ყოველთვის... დროებით. გკოცნი ბევრს. ხვალამდე რომ გეყოს, იმდენს. ხვალ კიდევ გაკოცებ.

გაგრძელება იქნება



უშვილის მოქალაქე

დასაწყისი — „გზა“, №38-23

მარი ჯაფარიძე

ძალზე უმწეო მდგომარეობაში აღმოვჩნდი, მაგრამ დაყოვნება არ შეიძლებოდა. დავიხარე და გოგას მკერდზე ყური დავადე. გულისცემა სუსტად, მაგრამ მაინც ისმოდა. მხრებში ჩავეჭიდე და მანქანისკენ გავახოხე. არაადამიანურ ტკივილს განვიცდიდი, მაგრამ გოგას ვერ მივატოვებდი. არც ყვირილი და ვინმეს საშველად მოხმობა შეიძლებოდა. შესაძლოა, მოსახლეობას მილიცია გამოეძახა და მაშინვე დამიჭერდნენ. ისედაც ძებნაში ვიყავი და პრობლემები აღარ მინდოდა. როგორც იქნა, გოგა მანქანამდე მივათრიე. უკანა კარი გამოვაღე, გოგა წამოვსვი და სავარძლის გვერდს ზურგით მივაყუდე. მანქანას მეორე მხრიდან შემოვუარე. ცოტა შევყოვნდი და დავისვენე. ერთიანად სისხლით ვიყავი მოსვრილი და მისი საზიზღარი სუნი გულს მირევდა.

მანქანაში მეორე მხრიდან შევძვერი, გოგას მხრებში ჩავეჭიდე და როგორც იქნა, სავარძელზე ავათრიე. ორივე კარი მივხურე და საჭეს მივუჯექი. ვგრძნობდი, თვალთ მიბნელდებოდა. ყველაფერი ორად მეჩვენებოდა და გარშემო ყველაფერი ნისლში იძირებოდა.

მხოლოდ ის მახსოვს, რომ გასაღები გადავატრიალე და ძრავა ავამუშავე...

***

თვალები ფრთხილად გავახილე. ირგვლივ ყველაფერი თეთრი იყო. უცებ გამახსენდა წინა დღის ამბები. მეგონა, მოვკვდი და სამოთხეში ვიყავი. ამის გაფიქრებაზე გამეცინა.

„სამოთხეს ვინ მაღირსებს, ამდენი ცოდვის პატრონს?“ — გავიფიქრე და თითქმის დავრწმუნდი, რომ ცოცხალი ვიყავი და ეს თეთრი ოთახი სავარაუდოდ, საავადმყოფოს პალატა უნდა ყოფილიყო. თავი წამოვწიე. ჩემ წინ შემინული კარი იყო, რომელშიც ჩემ უკან არსებული ფანჯარა და აპარატურა მოჩანდა, წითელი და მწვანე ნათურები მონაცვლეობით ციმციმებდა.

თავი ისევ ბალიშზე დავდე და თვალები დავხუჭე. კარგა ხანს ვიყავი ასე და გოგაზე ვფიქრობდი — ნეტავ, როგორ არის, თუ გადარჩა-მეთქი. იმ საღამოს მომხდარი ყველა დეტალი აღვიდგინე გონებაში და გამიხარდა, რომ ამნეზია არ მქონდა და ყველაფერი ზედმიწევნით მახსოვდა.

კარის ხმა გავიგონე, მაგრამ თვალები არ გავახილე. ვიღაც ჩემს მაჯას შეეხო. მივხვდი, მედპერსონალი იქნებოდა. ახალგაზრდა, სიმპათიური, თეთრხალათიანი მამაკაცი დავინახე, რომელსაც ჩემი გახელილი თვალების დანახვაზე ისეთი რეაქცია ჰქონდა, თითქოს გაცოცხლებული მკვდარი დაინახაო.

— გესმით ჩემი? — მკითხა და დავინახე, როგორი დაძაბული ელოდა პასუხს.

— დიახ, — თავი დავუქნიე.

— აბა, თითები აამოძრავეთ...

ავამოძრავე.

— მადლობა ღმერთს, — თვალები ჭერისკენ აღაპყრო მამაკაცმა, — ახლა ექიმს მოვიყვან, — თქვა და ოთახიდან სწრაფი ნაბიჯით გავიდა.

ცოტა ხანში ერთი კი არა, რამდენიმე ექიმი დამადგა თავზე.

— გილოცავთ, თქვენ ისეთი მდგომარეობიდან გამოძვერით, რომელსაც ასიდან ასიც ვერ გადაიტანდა, — მითხრა ბოლოს ერთ-ერთმა, რომელიც, როგორც მივხვდი, იმ განყოფილების უფროსი უნდა ყოფილიყო, რომელშიც ვიწექი.

— ახლობლების ნახვა გსურთ? — მკითხა მეორემ.

— დიახ, — გამიხარდა,



ნაბახუსევი — ბოლო ეპიზოდი, ბიჭის ყბილის ჭასლეაში ვლოკავილეც შედის.

რადგან ყველა მენატრებოდა.

ოთახიდან ყველა გავიდა. მე კი თვალები კარს მივაპყარი. მაინტერესებდა, ვინ მოვიდოდა პირველი.

მინის მიღმა ჩრდილი დავინახე და გულმა სიხარულისგან ფართხალი დაიწყო. ნიცა ვიცანი. არ ვიცი, იმ დროს ყველაზე მეტად ნიცა მენატრებოდა თუ არა, მაგრამ მისი დანახვა ისე გამიხარდა, თითქოს მეორედ დავიბადე.

კარი ფრთხილად გაიღო და შემოიხედა. ჩემს დანახვაზე სახე გაუნათდა, გაიღიმა და ტყვიასავით წამოვიდა. ჩამეკრო და ატირდა. თმაზე ხელს ვუსვამდი, ვამშვიდებდი, მაგრამ ხმას ვერ ვიღებდი. ორიოდე წუთში ყურთამდე გაღებულ კარში გოგა გამოჩნდა. ცოცხალი და საღსალამათი. თითქოს, არც არაფერი მომხდარიყო.

ისიც გადამეხვია.

— ბიჭო, გუშინ ისეთ დღეში იყავი, მეგონა, მოკვდებოდი და დღეს „სინიაკებიც“ აღარ გეტყობა. ეს აქაური ექიმების პროფესიონალიზმის დამსახურებაა თუ სასწაულის?

— ეს შენი დამსახურებაა, — მითხრა გოგამ და გაიღიმა, — თანაც ეს გუშინ კი არა, 2 თვის წინ იყო და მოვასწარი იარების მოშუშება.

— 2 თვის წინ? — გაოცებისგან პირი დავაღე.

— ჰო, 2 თვის წინ. დღეს იმ ამბიდან 54-ე დღეა.

— ხუმრობ?

— არა, რას ვხუმრობ, სიმართლეს გეუბნები და შენ ის რომ იცოდე, ამ ხნის მანძილზე რამდენი რამ მოხდა, სულ გადაირევი.

— მოიცა, ამდენ რამეს ვერ გავუძლებ, ერთბაშად ნუ მომაყრით ყველაფერს, — ვიგრძენი, გული როგორ ამიჩქარდა. ტუჩები გამიშრა.

ნიცა მიხვდა და ჭიქით წყალი მომიტანა პირთან. ცოტაოდენი მოვსვი. მესიამოვნა გრილი სითხე.

წყალმა თითქოს გონება გადარეცხაო, უფრო საღად დავიწყე აზროვნება.

ცოტა ხანში ოთახი ჩემი მეგობრებითა და ახლობლებით გაივსო. ერთმანეთს ლაპარაკს არ აცდიდნენ, ყველას რაღაცის თქმა უნდოდა.

ვგრძნობდი, რომ გონება ისევ მებინდებოდა. მათი ლაპარაკი ხმაურად მეჩვენებოდა, სიტყვებს ველარ ვარჩევდი. ყურებში გუგუნის ხმა უფრო და უფრო შორიდან ჩამესმოდა და თვალები მეხუჭებოდა.

როგორც ჩანს, გადავიღალე და გავითიშე.

გონს რომ მოვედი, ოთახში მარტო ვიყავი. ფანჯარას გავხედე და მივხვდი, დაღამებულიყო.

„მელანო სადაა ნეტავ? თითქმის ყველა მოვიდა, მელანოს გარდა“, — ვფიქრობდი და შიში მიპყრობდა.

მაინტერესებდა, რა მოხდა ამ 54 დღის განმავლობაში. შესაძლოა, ეს სიახლე მელანოს უკავშირდებოდა და იმიტომ არ ჩანდა. თუმცა, ახლა რამდენიც უნდა მემტვრია თავი, ვერაფერს გავიგებდი, სანამ არ გათენდებოდა. დილით კი ვეცდებოდი, უკვე მხნედ ვყოფილიყავი და ახალი ამბების მოსასმენად — მომზადებული.

მალე იმ მამაკაცმა მომაკითხა, რომელიც, თვალების გახელის შემდეგ პირველი ვნახე.

— შენ ექიმი ხარ? — ვკითხე უბრალოდ იმიტომ, რომ ვიღაცასთან ლაპარაკი მინდოდა.

— ჯერ არა, სტუდენტი ვარ, აქ კი პრაქტიკაზე ვიმყოფები.

— რამდენი წლის ხარ? — გამიკვირდა, რადგან სტუდენტის კვალობაზე ცოტა უფროსად გამოიყურებოდა.

— 26-ის, მაგრამ ცოტა დამიგვიანდა სტუდენტობა, 6 წელი ციხეში ვიჯექი, — ისე მითხრა, მივხვდი, მისთვის ჩემი წარსული ცნობილი იყო.

— მართლა? — გამიკვირდა.

— ამას სხვა დროს მოგიყვებით, ახლა კი დაიძინეთ, შესაძლოა, დღეს ერთი მნახველი კიდევ მოვიდეს. მართალია, ასე გვიან აღარ ვუშვებთ ხოლმე ავადმყოფთან, მაგრამ ეს განსაკუთრებული შემთხვევაა, — ეშმაკურად უციმციმებდა თვალები, როცა ამას მეუბნებოდა.

— ვინაა ასეთი განსაკუთრებული?

— ამას თავად ნახავთ.

— ის მაინც მითხარით, ქალია თუ მამაკაცი?

— ამასაც თავად ნახავთ, — არაფრით უნდოდა საიდუმლოს გათქმა.

— ახლა სად ვარ? ეს რა კლინიკაა?

— ეს კერძო კლინიკაა.

— მართლა?

— დიახ, საკმაოდ ძვირად ღირებული, სოლიდური და მოზრდილი, 7-სართულიანი, კერძო კლინიკა.

— ვაა, რა საინტერესოა და ჩემი მკურნალობის ხარჯს ვინ იღებს?

— ამაზე ლაპარაკის უფლება არ მაქვს.

— მოკლედ, ყველაფერი იდუმალებითაა მოცული, არა? შენი მოსყიდვა არ შეიძლება?

— არა, ვერ მომისყიდით...

— სახელი მაინც მითხარი, რა გქვია?

— ლექსო, — მითხრა, გამიღიმა და ოთახი ისე სწრაფად დატოვა, იმის კითხვაც ვერ მოვასწარი, ეს ქართული სახელი რატომ ერქვა.

ამ სტუდენტი-პრაქტიკანტის ვიზიტმა მთლად ამირია თავგზა. ყველაფერზე ერთად ვფიქრობდი და თავში ნამდვილი „დომხალი“ მქონდა.

ცოტა ხანში ისევ გაიღო კარი და მაღალი, ახოვანი მამაკაცი შემოვიდა. მას უკან მისივე ასაკის ქალი მოჰყვა. ორივე შემოვიდა და კართან მოწიწებით გაჩერდა.

ვუყურებდი და ვფიქრობდი, რომ ეს კაცი სადღაც ნანახი მყავდა. ალბათ ეს მოწიწებაც იქიდან მოდიოდა, რომ მისთვის რაღაც მქონდა გაკეთებული და პატივი მქონდა ნაცემი. ახლა კი ჩემს სანახავად და ვალდებულების გამო მოვიდა. არავის თავი არ მქონდა, საშინლად დაღლილი ვიყავი.

კაცი თვალს არ მაშორებდა. ქალი კი მის ზურგს უკან იდგა და ვერ ვხედავდი.

თვალები დავხუჭე. კარგა ხანს ვიყავი ასე. რომ გავახილე, ისინი ისევ ისე, გაუნძრევლად იდგნენ.

— თქვენ ჩემთან ხართ? — რუსულად ვკითხე.

გაგრძელება
შემდეგ ნომერში.

ცოლს შეუძლია, ქმარს ოცნებებს, თუ ის ყარზე მეტია ოცნებებს და ძილს დაუთმობს.

გზა ყვირილები

მარი ჯაფარიძე

აბაკავი, რომელიც მინდა, მანმეორდეს

ქალის სეთეზიერი და ეროვნული „ის“ ანდა ლა-ეი-ლა-ქიით!

გამარჯობა, ჩემო კარგებო. როგორ ხართ? რა საკითხავია, ამ წვიმის ხელში როგორ იქნებით? ყოველდღე წვიმა არ გამიგონია. ისე, ზაფხულის სიცხეს კი ვლობია, მაგრამ მაინც მოსაბეზრებელია. თქვენ რას იტყვით? ჰოდა, ბატონო, ამ კვირაში ახალი აღმოჩენა გავაკეთე „ოდნოებში“ ვილაც მარიამული დამეკონტაქტა — სადაური მარიამული ხარო, საიდან მოსულხარ და „ვაფშე“ სად ბანაობ... არც ერთი მარიამული შენ არ გიცნობსო და გაგვარკვიე ერთი, ვინ ხარო. ვიფიქრე, ახლა ამ თვითმარქვიას, მეტიჩარას და ტარტაროზს ვაჩვენებ, როგორ უნდა ჩემი „საავტორო უფლებით დაცული“ სახელის მითვისება-მეთქი და... თურმე, მართლაც სად ბანაობ? ვჯერ ძებნაში მივეცი „მარიამული“ და იმდენი „სეხნიები“ ამოყარა, ლამის გადავირიე. თურმე მარიამული ქართული გვარი ყოფილა. წარმოგიდგენიათ? ჰოდა, ამ გოგოს მივწერე ჩემი სახელის წარმოშობის ამბავი, ავუხსენი რამდენჯერმე, მაგრამ ვერაფერი გავაგებინე. გაოცდა — შენ რა, გვარი გქვიაო? ეს იგივეა, ვილაცამ რომ მითხრას, ჯაფარიძე მქვიაო, მაგრამ რა ჩემი ბრალია, თუ ასეა? ზოგს კალისტრატე ჰქვია, აგერ, ჩემს მეზობელს — კარილი, მეორეს — დაფნა, ერთ ნაცნობს კიდევ — ტრიფონი, მაგრამ მე ხომ არ ვედავები, რატომ-მეთქი? ჰოდა, საბოლოოდ ამ გოგომ ვერაფერი გაიგო, მაგრამ მეგობრობა შემომთავაზა (იფიქრა ალბათ, თვალწინ მეყოლება, მარიამულების სახელით რომ არაფერი გააფუჭოსო). რა გამოვა, ვნახოთ... „გზავნილებში“ კი სიახლეა და თუ მას ბოლომდე ჩაიკითხავთ, იმასაც გაიგებთ, რას გთავაზობთ. რაც შეეხება თემას, ამაზე თქვენი მესიჯებით ვიმსჯელოთ.

ქიში, ქიში...

„დღე, რომელიც არასოდეს დამავიწყდება და რომელიც მინდა, რომ ისევ და ისევ განმეორდეს, 1-ელი ივნისი, — ნინოობაა. ამ დღეს სამცხე-ჯავახეთში, ფოკას მონასტერში შევხვდი, ფარავნის ტბის ნაპირზე. მრევლი ვიყავით მოსალოცად წასული. გზაში უამრავი კურიოზი გადაგვხდა თავს. ჯერ იყო და გზა აგვებნა და ბიძია პატრულმა თავისი ჭკუით, სწორი გზა მიგვასწავლა. სინამდვილეში,



საერთოდ დაგვკარგა. მერე 15 წუთით ჩამეძინა, სკამიდან გადმოვვარდი და საცოდავ მარის თავზე დავეცი, ძირს დავარდნილმა კი უშფოთველად გავაგრძელე ძილი და რომ არა მარის ყვირილი, ვაიმე, გადმოვარდაო, ვერც მე გავიგებდი რამეს და ვერც დანარჩენი ბავშვები. გზაში ვიღაც სომეხმა ქალმა ისე გულიანად მიგვაწყევლა, „ქიში, ქიშიო", არ გვეგონა, მონასტრამდე ვერ მივაღწევდით. იქ მისულებს (მივაღწიეთ) თოვლი და საშინელი სიცივე დაგვხვდა. საბედნიეროდ, თბილი ტანსაცმელიც წაღებული გვქონდა. რიგრიგობით გვეძინა „მარშრუტკის" სკამებზე და ერთმანეთს დავცინოდით. მერე წირვასაც დავესწარით, რომელიც ექვსმა მეუფემ ჩაატარა და ვეზიარეთ. სურათები გადავიღეთ და იქიდან წამოსულები, მთელი გზა მეხვეწებოდნენ, დაიძინე, იქნებ კიდე გადმოვარდეო. მაგარი იყო. ეშმაკუნა".

მიუწვდომელი ქალი

„გამარჯობა. ადრე მოგწერეთ თემაზე — „დამალული სიყვარული". გათხოვილი ვარ, შვილებიც მყავს, მაგრამ პირველ სიყვარულს ვერა და ვერ შეველიე და მიუხედავად იმისა, რომ ორივეს ოჯახები გვყავს, ერთმანეთს მაინც ვხვდებოდით. მალულად, ხანდახან შეიძლება 5 წუთითაც... ჩვენ შორის არასდროს არაფერი ყოფილა (ინტიმს ვგულისხმობ). ის არაფერს მაძალებდა, არ ცდილობდა, სიახლოვეზე დაყოლიებას. არ მაბამდა, ასე ვთქვათ (მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მაგარი მექალთანეა). ვხვდებოდი, რომ ადრე თუ გვიან, ამ საკითხზეც მომიწევდა მასთან სერიოზული საუბარი და... როცა მომიწია, უკან დავიხიე... დაგელოდებიო, მაგრამ ამაზეც უარი ვუთხარი. აზრი არ აქვს ლოდინს, ეს არასდროს მოხდება-მეთქი. — არ გინდივარ? ან არასდროს გდომებივარ? არ მჯერაო, რაღაცნაირად მითხრა. — არც მომინდები-მეთქი, ვუპასუხე და თვალებში შევხედე. ნეტავ არ შემეხედა. იმხელა სევდა დავინახე და ისეთი გაოცება... არ მინდოდა ყველაფრის გაფუჭება და გაუბრალოება და ამიტომაც დავშორდი. ახლა ერთი დიდი, მოსიარულე ტკივილი ვარ, დარდი და სევდა, მაგრამ ცხოვრება მაინც გრძელდება. ღმერთმა იცის, რის ფასად ვისწავლი მოგონებებით ცხოვრებას. მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი ასე დამთავრდა, ის ცხოვრების ბოლომდე მაინც მეყვარება და ვიტყვი, რომ დაუნანებლად გავიმეორებდი ამ ამბავს თავისი ცუდითა და კარგით და ბოლოს მაინც ისევ ისე დავამთავრებდი, როგორც პირველად. Woopi. P.S. მაინც ბედნიერი ვარ. მე ხომ მარადიულად სასურველი და მიუწვდომელი ქალი ვარ".

აქცია

„1-ელ ივნისს, სოხუმის უნივერსიტეტის სტუდენტებმა მიუსაფარ ბავშვთა დასახმარებლად საქველმოქმედო აქცია გავმართეთ. ჯიქიადან რუსთაველის გამზირამდე ფეხით წამოსულები გზა და გზა ვაგროვებდით შემოწირულობებს. გამვლელებს ვაჩერებდით და დახმარებას ვთხოვდით. თურმე რამდენი კეთილი და ამასთანავე „ულოტი" და უგულო გვყოლია საქართველოში. ჩვენდა სასირცხვილოდ, ჯიპებში „გამოკვართულებზე" მეტ თანხას, ავტობუსის მომლოდინე ხალხი გვჩუქნიდა. ამ კეთილი ადამიანების დახმარებით 300-ოდე ლარს მოვუყარეთ თავი, მერე კი მთაწმინდაზე ავედით, სადაც უკვე ჩვენი ხელნაკეთების აუქციონი გავმართეთ, ასევე გავყიდეთ შეყვარებულთათვის ექსპრომტად დაწერილი სამიჯნურო ლექსები, სულ რაღაც 2 ლარად. უსაშველოდ შეყვარებულთათვის „დავასეილეთ" და ნახევარ ფასად, ცალმხრივად შეყვარებულებს კი 100%-იანი ფასდაკლება ვაჯახეთ. 1-ლარიანი 5 ლარად გავყიდეთ და ა.შ. რაც უფრო და უფრო იზრდებოდა ჩვენი სალარო, მით უფრო გვევსებოდა სიხარულით გული. იცით, ეს დღე რა

ნა-მო-დე-ქიით!'

„ათენში ვარ. ჰოდა, ოჯახის პატრონებმა დაკისრებულ საქმესთან ერთად, ყოველ შაბათს მათი გარდაცვლილი შვილის საფლავის დასუფთავება დამავალეს. ჰოდა, შაბათია, ყვავილებით ხელში მივუყვები სასაფლაოს გზას. შევაღე ჭიშკარი და უკნიდან ქართული ყვირილი გავიგონე: — წა-მო-დე-ქიით! ვაა! — დავინახე ქალი, ვარდების თაიგულით ხელში. — ქართველი ხარ, გოგონი? — მკითხა და როდესაც თანხმობა მიილო, გააგრძელა, — ამ ჩემი ცოდვით სავსეებს ორი წელია ვეხვეწები, წამოდექით-მეთქი, ნამუსია ახლა ეს? საკაშვილმა შევარდნაძეს 1 ვარდით პრეზიდენტობა დაათმობინა, მე ამხელა თაიგულით ორი წელია ვეხვეწები, მაგრამ ჯერ ერთმაც არ გამიგონია. მაიკო, კიდევ შემხვდი რა, ატირებული ისევ გამაცინე. თალალო".

დღე იყო? მიუხედავად მისი სასიამოვნოდ გატარებისა, ისეთი დღე იყო, რომელიც აღარ მინდა, რომ განმეორდეს, აღარ მინდა, მომავალ 1-ელ ივნისს კიდევ გვყავდეს ობოლი და მიუსაფარი ბავშვები, აღარ მინდა, კიდევ ვინმე იყოს თვალცრემლიანი და გულნატკენი. ლიმონა".

მონატრება

„ეჰ, მარი, რა მტკივნეულ თემას შეეხე... ჩემი კამელია ძალიან მომენატრა. ის დროებით „გავიდა მომსახურეობის ზონიდან". მასთან გატარებული რეალური თუ ვირტუალური დრო, დღე, წუთი და წამი მხოლოდ ჩემს მოგონებებსღა შემორჩა. მინდა, დავაბრუნო ჩვენი 1 შეხვედრის დღე. შევხვდით ერთმანეთს, ჩავეკონეთ თუ არა, მივხვდით, რომ ეს სამუდამოა. ამ ზამთარს მხოლოდ 2 დღე ვიყავით ერთად, მაგრამ თითოეულ წუთს ისე ვატარებდით, თითქოს დროში არ ვეტეოდით. მის მიერ მოწერილი 1 მესიჯიც კი იმხელა სითბოს ასხივებდა, ყველაზე ბოროტი ადამიანიც კი გათბებოდა. ამ შემოდგომას გამეპარა 1 კვირით, სამკურნალოდ. ძლივს გადავიტანე ის კვირა. თურმე უარესი წინ მელოდა. სულ იმას მეუბნებოდა, ჩემი გული ხარო. ნეტავ, ახლა თავის გულის გარეშე როგორ ძლებს? არ ენატრება თავისი გიჟი გრუზინკა დაიკო, რომელსაც მის გარეშე სიცოცხლეც კი ეზარება? გრუზინკა".

პატარა

„ლევიკომ და ნინომ ერთმანეთი საერთო მეგობრის დაბადების დღეზე გაიცნეს. ასაკობრივი სხვაობის მიუხედავად (ბიჭი 25 წლისაა, გოგონა — 16-ის), ერთმანეთს კარგად გაუგეს. ნინო იუბილეზე დაგვიანებით მივიდა, ლევიკო უკვე კარგა გვარიანად იყო შეჟუჟუნებული და ანგელოზად მოეჩვენა (მართლა კარგი გოგოა, ცელულიტები რომ არ აწუხებდეს). იმწამსვე აუხსნა სიყვარული ბლუყუნ-ბლუყუნით, მაგრამ მაინც გააგებინა თავისი გულისწადილი. გოგომაც ანთებული მზერა გამომწვევად მიაპყრო. ამან სულ გააგიჟა და გადაიყვანა ჭკუიდან სასმლისგან გაბრუებული ბიჭი და გოგონა საცეკვაოდ გაიწვია. რამდენჯერმე მოითხოვა, ვალსის საცეკვაო მუსიკა ჩამირთეთო. მორიგ თხოვნაზე კი უკვე შეღონებულმა იუბილარმა ლევანს მრავლისმეტყველად გაუღიმა და პათეტიკურად მიმართა: — ლევან, მესმის, რომ მასთან ჩახუტება გინდა, მაგრამ ცოტა დინამიკური მუსიკა გვესაჭიროება, თორემ სადაცაა სტუმრებს ჩაეძინებათო. მერე სახლამდეც მიაცილა ლევიკომ. ნინო ისე ნაზად დაემშვიდობა ლოყაზე კოცნით, ლამის ცოცხლად დაადნო ბიჭი. კვლავაც გაგრძელდა მათი ურთიერთობა. ნინოს სახლის წინ ათენებდა და აღამებდა. გოგოც დაუფარავად ეპრანჭებოდა (სხვა რა საქმე ჰქონდა?!) და ამ პრანჭვა-მანჭვაში შეუყვარდა კიდეც ლევიკო. მასაც მეტი რა უნდოდა? იმწამში აჯახა, ცოლად გამომყევიო. ამ სიტყვების გამგონე, უცნაურად შეიშმუშნა, ჯერ პატარა ვარ, რა მეჩქარებაო? არადა, ლევიკოს უკვე კარგა ხანია, ოჯახის შექმნა ჰქონდა გეგმაში და როცა ნინოსგან უარი მიიღო, სხვა გოგოს ძებნა დაიწყო. ამავდროულად, არც მასთან გაუწყვეტია ურთიერთობა, ძველებურად აგრძელებდნენ სიამტკბილობას, დილიდან-საღამომდე ერთად იყვნენ და ერთმანეთს სასიყვარულო სიტყვებით ანებივრებდნენ. ერთ დღეს კი ლევიკომ ქალაქიდან ახლად ჩამოსულ გოგოს, მარის დაადგა თვალი. მას ისეთი

ცხოვრება მშვენიერია

„ამბავი, რომლის მოყოლასაც ვაპირებ, სულ რამდენიმე ადამიანმა იცის. ერთ-ერთი — მგზავნელი და საოცარი მესიჯების ავტორია, ერთ-ერთი კი, „გზის" პატარა მკითხველი, ბათუმიდან. მოკლედ, 2 თუ 3 წლის წინ, ერთ, სხვა დღეებისგან არაფრით განსხვავებულ დღეს, ჩემს „ფიზიკურად გაჭირვებულ" მეზობელ ქალს მაღაზიაში გავეგზავნე. ჰოდა, მომაქვს პროდუქტი, ავდივარ კიბეზე, შევდივარ მათთან და ჰოი, საოცრებავ! რას ვხედავ? რას ვხედავ და სარკესთან მდგარ, ჩემს 23 წლის მეზობელ გოგოს და მის დაქალს. რა თქმა უნდა, გაგიჩნდებათ ლოგიკური კითხვა, მერე რა მოხდაო? საქმე ისაა, რომ საცვლების ამარა იდგნენ და კაბებს იზომავდნენ. აუუჰ! ჩემი რეაქცია რა იყო? თვალები გამიფართოვდა. ვაა! ცხოვრება რა მშვენიერია-მეთქი (ოლონდ ეგ გულში ვთქვი). რომ დამინახეს, წამსვე ოთახში შეეარდნენ და იქიდან ღიმილით მეუბნებოდნენ, რამე ხომ არ დაინახეო. ჰოო, რა საინტერესო კითხვა იყო, არაა? არაფერი დამინახავს-მეთქი, მივუგებ, ხომ არ ვეტყოდი, საჯდომები დავინახე-მეთქი? სახლში ასვლა და სიცილისგან ძირს ფორთხიალი ერთი იყო. კიდევ ერთხელ მაგ სიამოვნებისა და ხალისის მომგვრელ წუთებზე უარს ნამდვილად არ ვიტყოდი.

P.S. კიდევ კარგი, ჩემი მეზობელი „გზას" არ კითხულობს. მე კი „გზით" ვცხოვრობ და ვსულდგმულობ. მაარ, ამ მესიჯს თუ ვიხილავ, დიდად მადლობელი დაგრჩები. კეთილ და სათნო ადამიანს მოვიკითხავ! მისტერ".

მოქნილი სხეული ჰქონდა, თითქოს სადაცაა წელში გადატყდებაო. ლევიკომ მარი გაიცნო და ცოტა ხანში ცოლადაც მოიყვანა. რა ექნა, მას ხომ ოჯახის შექმნა კარგა ხანია, უნდოდა. დაოჯახების შემდეგაც აყოლებდა თვალს მის სახლის წინ ჩავლილ ნინოს. ისიც, გულდაწყვეტილი, წყლიანი თვალებით შეხედავდა ხოლმე ბიჭს. რამდენიმე კვირა იყვნენ ასე, ერთმანეთს თვალებით ეუბნებოდნენ სათქმელს. მერე ორივეს გაუარა ამ გრძნობამ და მათი გზები სამუდამოდ გაიყარა. თუმცა, ნინო დღესაც ნატრობს იმ წუთების დაბრუნებას, როცა ერთად იყვნენ. მისი ცოლობაც ბევრჯერ უნატრია მიუხედავად იმისა, რომ ლევიკო სამუდამოდ დაკარგა და მასთან ყოფნაც შეუძლებელი იყო. ლუნა".

„ვალში ვარ"

„მთელი ჩემი 20-წლიანი ცხოვრება ერთი ლამაზი ზღაპარია, რომელსაც ყოველთვის საოცარი ადამიანები ამშვენებდნენ. მუდამ მადლიერი ვიყავი უზენაესი „მხატვრის", რომელიც უხილავი ფუნჯით აფერადებდა ჩემს ცხოვრებას და ამ პალიტრაზე არ ყოფილა მუქი ფერები. ნათელი და ღიმილიანი ბავშ-

საყვედური მზეს

„ბაკურციხელმა კაცმა ახლობლებს დაუძახა სათოხარში. იმდენი ამუშავა, გაწყვიტა წელში. მიხის მოშივდა და მასპინძელს გასძახა: — ჯიო, არა ვჭამოთ პური? მასპინძელმა: — მაიცა, ჯერ მზე გადავიდეს და მერეო. მიხომ ხელით მოიჩრდილა და მზეს გახედა. მერე უხალისოდ მოულერა თოხი მიწას. ცოტა ხანში კუჭმა „დედის გინება“ რომ დაუწყო ოფლში გაწუწულს, ისევ გასძახა მასპინძელს: — ჯიო, არა ვჭამოთ პური? მასპინძელმა ისევ: — ეაა, ხომ გითხარი, მზე გადავიდეს და ჩავხეთქოთ-მეთქიო. მიხომ თოხი მოისროლა, ორივე ხელით მოიჩრდილა და მზეს გახედა: — რა გჭირს, შე ჩემი მუცლის ცოდვით საკვეკ, რომ ალარ გელირსა გადასვლა, შენი ეგრე და იგრე, რამეს ხო არ გამეედე, ჯიო. მასპინძელმა მაშინლა ინამუსა და „ჩააცეცხლა“. საჩალელი“.

ვობა მაჩუქეს მშობლებმა. ბედნიერი ვიყავი მუდამ. ახლა... ახლა მოგონებებს ვესათუთები და თითოეული დღის დაბრუნებისთვის სიცოცხლეს დავთმობდი. მინდა, წამით მაინც დავბრუნდე წარსულში და უძვირფასეს ადამიანს მოვეფერო ისე, როგორც იმსახურებს. მინდა, მის წინაშე მუხლი მოვიყარო და ვუთხრა, რომ მის გარეშე არარაობა იქნება ჩემი სიცოცხლე და ამაზე ფიქრიც არ მსურს! ამბავი, რომელიც მინდა განმეორდეს, ჩემი ცხოვრებაა. მინდა, ტკივილმა მიმატოვოს და ის ადამიანი მყავდეს კარგად, ვისთანაც ვალში ვარ... სიცოცხლის ვალში. P.S. მარ, გულისტკივილით აღვნიშნავ, რომ რაც ჩემი პრობლემებიდან გამომდინარე ველარ ვწერ მგზავნელებს, თავადაც არ მოვუკითხივარ „მეგობრებს“. ილინი ერთადერთია, ვისაც სულ ვახსოვარ. დანარჩენები... :(პარიუანკა“.

„რა ვქნა?“

„იმედია, ჩემი უცნაური ამბავი მოხვდება თქვენს ლამაზ ფურცლებზე. იმდენად ვარ ჩაფლული ჩემს დიდ პრობლემაში, რომ ისიც კი არ ვიცი, განვაგრძო ცხოვრება თუ თვითმკვლელობით დავასრულო. უკვე ხუთი წელია, ვუმალავ ჩემს ოჯახს, რომ ვალი და დიდი პრობლემა მაქვს, რომელსაც უკვე ველარ ვუმკლავდები. ამიტომ ყველას ვურჩევ, არაფერი დაუმალონ ოჯახის წევრებს. მერე უფრო დიდი პრობლემა შეექმნებათ. ჩემი ამბავი ასე დაიწყო: 20 წლისამ მუშაობა დავიწყე და საკმაოდ წარმატებულად მიდიოდა ჩემი პატარა ბიზნესი. ვინახავდი 4-სულიან ოჯახს და არც მეგობრებს ვტოვებდი უყურადღებოდ. ბედნიერი ვიყავი იმით, რომ ჩემ გარშემო ყველა კარგად მყავდა, მაგრამ ეს ბედნიერება დღეს წარსულს ჩაბარდა და ვარ ყველასგან მიტოვებული. თავის დროზე რომ არ დამემალა, ასე არ დამემართებოდა და არც კი ვიფიქრებდი ამ დიდ ცოდვაზე, რომელსაც თვითმკვლელობა ჰქვია. ყოველდღიურად იმას ვევედრები ღმერთს, მომცეს ძალა და გამბედაობა, რომ ამ ყველაფერს გავუძლო, როგორც ქრისტიან ადამიანს შეეფერება. ბოდიში, თუ ჩემი პრობლემებით „დაგგრუზეთ“. უბრალოდ, მინდა, მირჩიოთ, 7000 ლარის გულისთვის დავასრულო ცხოვრება? ღამურა 115“.

დაგვიანებული

„ნათელა 65 წლის ქალბატონია. ამას წინათ, მასთან მისულს ტირილით შემომეგება. მიზეზის კითხვის შემდეგ, თავისი ამბავი მიამბო: „მე-3 კლასში ვიყავი, თამაზს რომ შევუყვარდი. ყველასთან ჩემზე ტიტინებდა და თავისი ბავშვური საქციელით სიყვარულსაც მაგრძნობინებდა. მე თავს ვიფასებდი და მასთან ურთიერთობას გავურბოდი. ეს სიყვარული დიდი ხანი გაგრძელდა. სტუდენტები ვიყავით, თამაზს კი ისევ ვუყვარდი. ყოველდღე ახალ-ახალ სიურპრიზს მიწყობდა. მე თითქოს გული მქონდა გაყინული და მის მიმართ ვერაფერს ვგრძნობდი. სასწავლებელს ვამთავრებდი, როცა გავთხოვდი. ჩემი მეუღლე ძალიან კარგი ადამიანია და მას დღესაც პატივს ვცემ. ჩემი გათხოვების შემდეგ კი ხალხი ალაპარაკდა. ყველა ამაყ და სულელ გოგოდ მიმიჩნევდა — ფულიანი მამიკოს გოგომ არ იკარდა ობოლი ბიჭის სიყვარულიო, — ამბობდნენ. ეს იყო ხალხის აზრი. გავიდა წლები. თამაზიც დაქორწინდა და მეგონა, ეს ამბავი დავიწყებას მიეცა, მაგრამ... რამდენიმე დღის წინ ქუჩაში შევხვდი. ჩემს დანახვაზე ცრემლი ჩამოუგორდა და მითხრა, რომ ისევ ვუყვარდი. შინ გაოგნებული დავბრუნდი. მალე, ძალიან მალე კი მივხვდი, რომ თამაზი მეც მიყვარდა. ახლა, სიბერეში მივხვდი ამას, მაგრამ უბედურება ისაა, რომ აღიარება არ შემიძლია. მეც და მასაც ხომ დიდი ოჯახი გვყავს. ჩემს დარჩენილ ცხოვრებას მოგონებებს ვუთმობ. ვნატრობ, განმეორდეს ის ლამაზი პერიოდი, რათა ახლა მაინც გავაკეთო სწორი არჩევანი. ჩემი სული თამაზისთან დაფრინავს და ცდილობს, მასთან ერთად მიეცეს სიყვარულით სავსე ცხოვრებას“. დამავოი“.

„ვერ დავივიწყებ“

„9-წლიანი ლოდინის შემდეგ, ჩემს ტელეფონზე, როგორც იქნა, ნანატრი ზარი შემოვიდა. ჩემთვის კარგად ნაცნობი და მონატრებული ხმა გავიგონე. ძალიან სევდიანი მომეჩვენა. როგორც იქნა, ამდენი წლის შემდეგ მითხრა, რომ ვუყვარდი, ვუყვარვარ და ვეყვარები, რომ ნანობს ამდენწლიან დუმილს და გამოუსწორებელ საქციელს, რომელმაც საბოლოოდ დაგვაშორა ერთმანეთს. არ მენანება ღამეები, რომლებიც მასზე ოცნებაში გამითენებია და ცრემლები, რომლებიც თავისით მდის, როცა ის ერთადერთი მახსენდება და მენატრება. სამწუხაროდ, ჩვენ ერთად ვერ ვიქნებით, მას ცოლი და შვილი ჰყავს. არადა, დამიჯერეთ, ჯერ არ მახსოვს ისეთი ღამე, მასზე რომ არ მეფიქროს. არ შემიძლია მისი დავიწყება. ძალიან მიყვარხარ, ჩემო პაწუა. ცრემლი“.

მგზავრული

„სოფლიდან სოფელში, რომელთა შორის არც თუ ისე დიდი მანძილია, ერთი „გაძვალტყავებული“, ნიკოლოზის დროინდელი, მაღალი, ოთხკუთხედი „მარშრუტკა“ დადიოდა, რომელიც ხან სად ჩაქრებოდა, ხან — სად. მძღოლიან-მგზავრიანად ყველა ჩამოიშლებოდა და მთელი მონდომებით აწვებოდნენ ხოლმე „მარშრუტკას“, რომ როგორმე აემუშავებინათ ძრავა. მიუხედავად ამისა, მუდამ ხალხით იყო გატენილი. ბოლო კაცს წიხლით რომ ტენიან

ხოლმე, ეგ ვარიანტი იყო, რა... ერთხელ, ზუსტად ასეთი დატვირთული, მორიგ რეისს ასრულებდა, რომ მოსახვევში ვეღარ გაუძლო „მარშრუტკის“ კარმა სიმძიმის მიწოლას და მოფრიალდა, სამარის კარივით. კარის მოფრიალებას კაცის „მოფრიალება“ მოჰყვა. საწყალი, თურმე მეორე სოფელში, ცოლოურში მიდიოდა, ცოლისძმის დაბადების დღეზე. ცოლ-შვილი წინა დღით გაუშვია და თვითონაც მიდიოდა საქეიფოდ, მაგრამ არ დასცალდა. საშარაფოდ მიმავალმა, საავადმყოფოში ამოყო თავი, დაუეჟილობებით. რა გასამეორებელი ეს ამბავია, მაგრამ მსგავსი თუ მოხდა რამე და შევესწარი, კი ვიხალისებ მაგრად. ფეშენა“.

სამაგიერო

„გამარჯობა, ჩემს ამბავს მოგიყვებით ახლა და იმედია, იხალისებთ. ამას წინათ, დილით რომ გავიღვიძე, მზიანი ამინდი იყო. რაღაც ხალისი ვიგრძენი და გადავწყვიტე, სახლი ძირფესვიანად დამელაგებინა. გამოვაღე ფანჯრები, ჩავრთე მუსიკა და მიდიიი... გიყვარდეეეს! სულ ბალერინასავით ვბზრიალებდი და ვტრიალებდი, ვგვიდი, მტვერს ვწმენდდი, მოციგურავესავით შევდექი იატაკის გასაპრიალებელ ჩვრებზე და აქეთ იქით რომ დავცურავდი, ხელებსაც მოცეკვავესავით ვშლიდი. ავეჯიც კი გადავაადგილე სახლში და ძალიან კმაყოფილიც დავრჩი. მერე მტვრიანმა და ჭუჭყიანმა ვიბანავე კიდეც და სალონში წასვლაც მოვასწარი. საღამოს, ჩემი ქმარი სამსახურიდან რომ დაბრუნდა, უკვე ვახშამს ვამზადებდი. ნაქეიფარი და ცოტა ნასვამიც იყო, მაგრამ მაინც ივახშმა. თან რაღაცნაირად იქცეოდა. მაცდურად მიღიმოდა და თვალს მიპაჭუნებდა. საჯდომზე ხელიც წამომარტყა, მესამე ბავშვი უნდა „გავაკეთოო“, — მითხრა. მოკლედ, საღამომაც მხიარულად ჩაიარა და დასაძინებლად დავწექით. დამიწყო ხელების ფათური და ერთი ამბავი. ისეთი დაღლილი ვიყავი, მისი მოფერების კი არა, ლამის ძილის თავიც აღარ მქონდა. მისი ხელი მოვიშორე და ვუთხარი: — საყვარელო, ახლა, ამ ეტაპზე სურვილი კი მაქვს, მაგრამ ძალიან დაღლილი ვარ და ძალა არ მყოფნის... მხოლოდ შეგიძლია მომეხვიო და შეიგრძნო, როგორი კარგი და სასურველი ვარ და დაიძინო-მეთქი.

— კარგი, სიხარულო, როგორც გინდა. მიუხედავად შენი ასეთი საქციელისა, ხვალ მაღაზიაში წაგიყვან და რასაც ხელს დაადებ, ყველაფერს გიყიდიო, — მითხრა, გადაბრუნდა და დაიძინა.

იმის თავიც არ მქონდა, გაკვირვება გამომეხატა. მეც დავიძინე.

დილით მხნედ ავდექი. ჩემს ქმარს პირობა არ დავიწყებია და მითხრა, გაემზადე, მივდივართო. ცოტა ხანში მაღაზიაში ვიყავი და აღფრთოვანებული ტანისამოსს ვარჩევდი. 3 კაბა შევარჩიე და ქმარს ვუთხარი, ახლა სათითაოდ ჩავიცვამ და რომელიც უფრო მომიხდება, იმას ვიყიდი-მეთქი. სამივე გიხდება და სამივე იყიდეო. მერე იმ კაბების შესაფერისი ფეხსაცმელები, ჩანთები და სხვა აქსესუარები შევარჩიე და ის იყო, სალაროსთან ვაპირებდით მისვლას, რომ გამაჩერა:

— შენ ეს ყველაფერი მოგწონს? — მკითხა.

— რა თქმა უნდა.

— გინდა?

— რა თქმა უნდა...

— საყვარელო, ახლა, ამ ეტაპზე სურვილი კი მაქვს, რომ ეს ყველაფერი გიყიდო, მაგრამ ძალიან გაბრაზებული ვარ და ძალა არ მყოფნის... მხოლოდ შეგიძლია ამ ყველაფერს მოეხვიო და შეიგრძნო, როგორი კარგი და სასურველია და მაღაზია დატოვოო, — მითხრა და უკანმოუხედავად გაბრუნდა.

აბა, ამის მეტი რა მოვყვე? ასე გადამიხადა სამაგიერო. მალე კი შევრიგდით. იმის მერე ჭკუაც ვისწავლე. გელას ცოლი“.

უცნაური

„უცნაური იყო ისიც და მასთან გატარებული წუთები და საათებიც. მხოლოდ მას შეეძლო, შუაღამისას მთვრალს დაერეკა, დილით ხაშზე მივდივართ, „პახმელიაზე“ გამოსასვლელად ან — ნაშებში მივდივარ და გაგიტყდება, შენს გარეშე თუ წავალო (დებილი)? მხოლოდ მას შეეძლო ეთქვა, „შუტკას“ გაგიხსნი ჩემთან, ოღონდ დედა არ მაგინოო, მარტო მას შეეძლო, ტელეფონით ზღაპრები წაეკითხა თან ისე, რომ აზრი ვერც მე გამომქონდა და ვერც მას. მერე გათიშავდა ტელეფონს, რამდენიმე საათში დარეკავდა და უკვე გამართულად კითხულობდა. მას შეეძლო, ჩემს გამო ყველაზე და ყველაფერზე უარის თქმა, ერთი მავნე ჩვევის გარდა... თუმცა, ეს უკვე წარსულია, ჩემთვის განუმეორებელი... ფეშენა“.

უდარდელი ბავშვობა

„ალბათ ძალიან ბანალურად მოგეჩვენებათ 30 წლის ადამიანი, რომელიც ბავშვობაში დაბრუნებას ინატრებს. ძნელია, არ ინატრო უდარდელი ბავშვობის წლები. ბავშვობა ხომ ყველაზე კარგი და უშფოთველია? თანაც, ჩემი — განსაკუთრებით. მიუხედავად იმისა, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, 7 წელი მშობლებისგან შორს ვცხოვრობდი და მათი სითბო მაკლდა, ხშირად ვონავრობდი. რაც მე მაშინ ამბები მაქვს დატრიალებული და ჩემი მეთვალყურე მედპერსონალი ჭკუიდან შეშლილი, მიკვირს, საწყლებს ინფარქტი რომ არ დავმართე. ყველაზე ძალიან შუადღის ძილი არ მიყვარდა, მაგრამ ვინ მკითხავდა 9 წლის ლაწირაკს? ძალაუნებურად ვწვებოდი, მაგრამ საბნის ქვეშ თავს ჩავყოფდი და წიგნს ვკითხულობდი. თან, ყოველი შემთხვევისთვის, ფანარიც მქონდა, „ზაპასად“. სული ძალიან რომ შემეხუთებოდა, საბანს ოდნავ გადავწევდი, რომ ჰაერი შემოსულიყო. ყველაზე ძალიან მანის ფაფა არ მიყვარდა. ჰოდა, იმდენი ჭკუა კი მქონდა, ჩემი ულუფა კი არ გამეჩუქებინა, არამედ მსუყე კარაქიან პურში გამეცვალა. ერთხელ 2 გოგონა, — თამუნა და ნანა ქობულეთის სანატორიუმიდან გაიპარნენ. მათი საიდუმლო მხოლოდ მე ვიცოდი. თავი მაგარი მეგონა და ორომტრიალი რომ ატყდა და გვკითხეს, ვინ იცით მათი ამბავიო, რა თქმა უნდა, არ გავამხილე, მაგრამ ვინ დაგიფასა? სამტრედიამდე გაქცეულები დაიჭირეს და უკან დააბრუნეს. 1 პატარა მუქარა საკმარისი აღმოჩნდა და ეგრევე დაფქვეს, სვეტამ იცოდა ჩვენი საიდუმლოო. რაც მე მაშინ ყურები ამიწიეს, დღესაც კი მახსოვს ეს სიმწარე. ახლა კი ჩემი ბავშვური საქციელისგან მხოლოდ ონავრობა დამრჩა და სისხლს ვუშრობ ლუნასა და ტირიფს. გრუზინკა“.

თემაზე და თემის გარეშე მოსული მოკლე მესიჯები

„ამბავი, რომელიც მინდა, კვლავ განმეორდეს, არის ის პერიოდი, როდესაც ტექნიკუმში ვსწავლობდი და ჩემს საუკეთესო მეგობრებთან ერთად

დაუვიწყარ დროს ვატარებდი, თუ კი სადმე ამის საშუალება იყო. ძალიან მენატრებიან ჩემი მეგობრები, რომლებიც შემოდგომის ფოთლებივით შემომეფანტნენ და მათი ასავალ-დასავალიც კი არ ვიცი. მე იმ დროის განმეორება მინდა... სევდიანი ქალი".

„პატარა ანა ჟურნალ „კარუსელში" კროსვორდს ავსებდა. კითხვაა ასეთი: შინაური ფრინველი. 4 ასოა. თან ვიცით, რომ „ბ"-ზე იწყება და „ი"-ზე მთავრდება. ანას სახე გაუნათდა და გახარებულმა წამოიძახა: — ბუზი? საჩალელი".

„დამალული მართლაც არაფერია, ქვეყნად. ჩვენთან, სოფელში ერთი წარმოსადეგი ვაჟკაცი ცხოვრობდა. რატომღაც ცოლს არ თხოულობდა. მაჭანკლები უშედეგოდ ცდილობდნენ ქალის გარიგებას. ამასობაში ბერბიჭა 50-ს გადაცდა. ერთ დილით კი საწოლში მკვდარი იპოვეს და მეორე დღეს ჭორიკნებმა საიდუმლო არ შეუნახეს: ბერბიჭას „ის" ისეთი პატარა ჰქონია, როგორიც 1 წლის ბავშვს აქვს და იმიტომ ვერ ითხოვა ქალიო. არადა, რა ვაჟკაცი იყო?! გერასიმე".

„ამას წინათ გაჩერებაზე ბერძენი დედა-შვილის საუბარს ყური მოვკარი. ალბათ გოგო იქნებოდა 12, ჰა-ჰა, 13 წლის და ეტყობა, ჩემსავით კიდევ სჯეროდა ზღაპრების. ელოდა თეთრ რაშზე ამხედრებულ პრინცს, მაგრამ... გითხრათ? თურმე რაში შვებულებაში გაუშვიათ... ეგ არაფერი, ამ მოლოდინში გოგო ვისგან იყო ფეხმძიმედ, არ ვიცი... ჰოდა, დედას ეუბნებოდა: — ვიცი, ბავშვები წეროებს მოჰყავთ და ჩემსას როდის მომიყვანსო? მე ვიცინეეე.... მმმმაგადი კი იყო და. უკარება".

„მაგარი პრიკოლია: ქუჩაში მივდივარ, მაგარ „ზმანში"... წინიდან „ფირმა მანქანა" მოდიის და თვალს ვაპარებ მძღოლისკენ (ნეტავ, შემამჩნევს?). ფუუ... ქალია მძღოლი. ეეგრე მინდა, ხომ? თალალო".

„ზღვისპირთან კაცი დავინახე და ერთი ნახვით შემიყვარდა. ვერ კი გავუბედე ვერაფერი. იმ საღამოსვე იმავე კაცმა ჩემი ფანჯრების წინ ღამე გაათია, თურმე. მე ეს ამბავი თვეების შემდეგ გავიგე. ეს რომ ოდესმე ერთხელ კიდევ განმეორდეს, სიხარულისგან ალბათ გულიც გამისკდება. დამიჯერე, ჩემო სულხაან!"

„და იქმნა კაცთათვის:

1. „გზა" — ასპარეზად პირუთვნელი სამსახურისა, სივრცედ მოგებისათვის სიყვარულისა, რომელი იყო ღმერთი.

2. პროვოკატორი — ნიჭად მხილებისა ხალხთა მანკიერებათა.

3. გზავნილეთი — ილაჯად ხალხისივე სულის ხარვეზთა დაძლევისათვის.

4. მარიამული — არსად და პირობად მგზავნელთა მოდგმის მარადისობისა.

5. მგზავნელები — საზომად სულგრძელობისა და სამაგალითო თავდადებისა, თვისისასა.

5. მობილიზაცია — ადგილად დაღვრისათვის სიმწრისა ოფლისა, არედ განგების ნების ასრულებისა.

6. მესიჯი და გზავნილები — საზრდელად თავისა და მისაძღვნელად სხვათათვის...

ლიმონა-მანიუ.

„გამარჯობა მარი. ხომ ხარ მაგრად? ვიცი, რომ კარგად ხარ და ასეც უნდა იყოს. მე „გზის" ერთგული მკითხველი ვარ. ერთგული მგზავნელიც ვიყავი, სანამ ასეთი რამ არ მოხდა: ერთ საღამოს „დაგრუზული" ვსეირნობდი „გზავნილიორკის" ქუჩებში. ირგვლივ ვერავის ვამჩნევდი. ჰოდა, ასე ვერშემჩნევაში სადღაც, ბნელ ადგილზე აღმოვჩნდი. ირგვლივ მხოლოდ ხეები იყო, რომელსაც ვამპირის შესახედაობა ჰქონდა. ბევრი ვიხეტიალე „ჯურღმულიორკში", მაგრამ თავი ვერ დავაღწიე. ჰოოდა, დამიჭირეს იქაურებმა, საზღვრის უკანონო გადაკვეთისთვის და ციხეში მიკრეს თავი. ირგვლივ უკუნეთი სიბნელე იყო. გარეთ გამოსვლა მხოლოდ 1 დღეს შემეძლო. ხუთშაბათი ავირჩიე და როდესაც გარეთ გამოვდიოდი, ცრემლიანი თვალებით შევყურებდი „გზავნილიორკის" განათებულ ქუჩებს. ერთ დღეს გაქცევის გეგმა შევიმუშავე და ერთ მშვენიერ, ხუთშაბათ დღეს გავიქეცი და „გზავნილიორკის" საზღვარს მივადექი. თუმცა, აღმოჩნდა, რომ ამდენი ხნის პატიმრობის შემდეგ, „გზავნილიორკის" მოქალაქეობის უფლება დამიკარგავს. მარი, დამაბრუნებ თუ ისევ „ჯურღმულიორკისთვის" გამიმეტებ? კლეოპატრა".

რაღა თქმა უნდა, კლეოპატრასთვის და ყველასთვის, ვისაც დაბრუნება უნდა, „გზავნილიორკის" კარი ღიაა. არც იმას დაგიმალავთ, რომ უკვე კარგა ხანია, „ოდნოკლასნიკებში" ბოხოს ვაბამ, დაბრუნდეს; კარგ „პრეზენტაციასაც" შევპირდი, მაგრამ ასეთი შეუბმელი ჯერ არავინ შემხვედრია. მპირდება, მპირდება, მაგრამ... კლეოპატრამ კი ერთი კარგი იდეა მომაწოდა და ახლა თქვენც გაგიმხელთ: დღეიდან „გზავნილიორკთან" მისი „შავი ფილიალი", „ჯურღმულიორკიც" იფუნქციონირებს და ჯიუტ, გაუგონარ, მოჩხუბარ მგზავნელებს, როგორც პატიმრებს, იქ „გადავასახლებ" ხოლმე და ყოველკვირა გაცნობებთ იმათ სიას, ვინც „პატიმრობაში" გვეყოლება. როგორც „გზავნილიორკის" „მმართველი", უფლებას ვიტოვებ, სასჯელის ზომა თავად განვსაზღვრო („დაპატიმრების" მიზეზს აუცილებლად ავხსნი) და იმ დროის განმავლობაში, როცა მგზავნელი „პატიმარი" იქნება, მისი მესიჯები არ გამოქვეყნდება, თხოვნითა და ვედრებით ყელიც რომ „გამოიბდღვნას". მაშ ასე, როგორც ყოველთვის, საბოლოო გადაწყვეტილებას მაინც თქვენ იღებთ და ამჯერადაც, თუ ამ წესს მოიწონებთ, მომავალი კვირიდან ამოქმედდება. ველოდები თქვენს გამოხმაურებებს ამ თემასთან დაკავშირებით.

„გზავნილების" მომდევნო თემად გთავაზობთ — „არამკითხე მოამბე". გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com რაც შეეხება „მოკლე ჩართვას", ამჯერად კითხვა ასეთია — „გვინდა თუ არა „ჯურღმულიორკი"

ბრაფი თარხანი

კარგა ხანია, მკითხველისთვის ჩემი მოგზაურობის ამბები არ მომიყოლია. ამ გაზაფხულზე უცნაური და მეტად საინტერესო ადგილი მოვინახულე და მინდა, შთაბეჭდილებები თქვენც გაგიზიაროთ. ამჯერად სამოგზაუროდ 2 მეგობართან ერთად ვიყავი.

დაკარგული სამყარო — რორაიმა

საოცარი პეიზაჟია... არამიწიერი... თითქოს სხვა პლანეტაზე აღმოვჩნდით. მთვარეზე ან მარსზე. თუმცა, ამჯერად ეს სინონიმები უსიცოცხლო და გაუდაბნოებული პეიზაჟის აღსაწერად გამოვიყენე. როდესაც რორაიმას პლატოზე დასეირნობ (ვენესუელას, გაიანასა და ბრაზილიის საზღვარზე მდებარეობს), დანამდვილებით შეგიძლია თქვა, რომ არამიწიერ ცივილიზაციას ეხები. მუდმივი ნისლი, შავი, ფანტასტიკური ფორმის კლდეები, უფოთლო მცენარეები, მიწისქვეშა, ცხელი წყლები და თითქმის მიკროსკოპული ზომის ბაყაყები გიმძაფრებენ იმის შეგრძნებას, რომ სხვა პლანეტაზე იმყოფები. ამ სამყაროსთვის ადამიანი უცხოა.

სპეციალურად მოწყობილ ბანაკში დავბინავდით. გიდმა გაგვაფრთხილა, რომ დილით ეციებოდა. ადრე ავდექით. თერმომეტრი მხოლოდ 7 გრადუს სითბოს უჩვენებდა.

ის იყო, მზის პირველმა სხივებმა ძლივს ამოანათა, რომ საიდანღაც ღრუბელი წამოვიდა და ყველაფერი დანისლა. ამინდი რამდენიმე წამში გაფუჭდა. წვიმის წვეთები აწკაპუნდნენ ჩვენს კარვებზე.

— დარწმუნებული ხართ, რომ ტრიპლ-პოინტზე გინდათ წასვლა? — გვკითხა გიდმა. როგორც ჩანს, ერთი სული ჰქონდა, უარი გვეთქვა, — აქედან შორსაა, იქამდე 4 საათი უნდა ვიაროთ...

სინამდვილეში მხოლოდ მე ვიყავი დარწმუნებული, რომ ნამდვილად მინდოდა იქ წასვლა. ჩემი მეგობრები უსიამოვნოდ შეიშმუშნენ, როცა წარმოიდგინეს, რომ 8 საათი ფეხით უნდა ევლოთ.

— ისე, საინტერესო ადგილები, ბანაკთანაც ბლომადაა, — ჩაილაპარაკა ილიამ.

მე მაინც ჩემი გავიტანე და ჯიუტად მოვითხოვდი, არჩეული მარშრუტით წავსულიყავით. საამისოდ 2 მიზეზი მქონდა:

ჯერ ერთი, ტრიპლ-პოინტი 3 სახელმწიფოს საზღვრის გადაკვეთაზეა, სადაც არც ერთი მესაზღვრე არ დგას (სად ნახავ ასეთ ადგილს სხვაგან?). მეორეც — ძალიან მინდოდა, რორაიმა მთლიანად მენახა და შემეგრძნო. მხოლოდ ის ადგილები კი არა, რომელსაც ტურისტებს უჩვენებენ, არამედ, მთლიანად... საამისოდ კი მისი შუაგულისკენ უნდა წავსულიყავი. იქ, სადაც თითო-ოროლა ადამიანი თუა ნამყოფი.

ეს ადგილები საშინელებათა ფილმების გადასაღებად გამოდგება.

ირგვლივ მხოლოდ მწერიჭამია, მტაცებელი მცენარეებია... არც ერთი ცხოველი, გარდა შავი ბაყაყისა.

შავი, ფანტასტიკური ფორმის კლდეები

წელან ვახსენე, ამ დაკარგულ სამყაროს ადამიანი არ უყვარს-მეთქი. ამას მაშინვე იგრძნობ, როგორც კი პლატოს შუაგულში აღმოჩნდები. ყოველი 100 მეტრის გავლა გარკვეულ სირთულესთანაა დაკავშირებული. პლატოს ნახევარზე მეტი წყლითა და ხავსითაა დაფარული, რის გამოც, ერთი ბორცვიდან მეორეზე ხტუნვა

გვიწევდა. ზოგიერთი ბორცვი ისეთი მოზრდილი იყო, მომცრო კლდეს უფრო ჰგავდა და ზედ აცოცება-ჩამოცოცება გვიხდებოდა. გასაკვირი არაა, რომ 8 საათში მხოლოდ 16 კილომეტრი გავიარეთ.

მოუმზადებელი ადამიანისთვის რორაიმას ზედაპირი საფრთხეს წარმოადგენს. გონება მუდამ დაძაბული უნდა გქონდეს. განსაკუთრებით — წვიმის დროს. სველ ქვებზე წონასწორობის დაცვა და ნახტომის სიდიდის განსაზღვრა ძნელია. ერთი დაუფიქრებელი ნაბიჯი და... საუკეთესო შემთხვევაში ფეხს იღრძობ, უარეს შემთხვევაში — მოიტეხ. ამ დროს კი სხვა საშველი არაა, ვერტმფრენი უნდა გამოიძახო, რომ პლატოდან კლინიკაში გადაგიყვანონ. ეს კი რამდენიმე ათასი დოლარი ღირს.

ჯერ მხოლოდ 2 საათი იყო გასული, ჩვენ მთლიანად დასველებულები და დაღლილები ძლივს მივიკვლევდით გზას.

თუმცა, არსებული პეიზაჟი ყველაფრის კომპენსაციას ახდენდა (ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის ასე იყო). ასეთ სილამაზეს მშიერმა და დაღლილმა უნდა უყურო. ამ ადგილზე ვერტმფრენით რომ დავესვით, რაღა თქმა უნდა, აღფრთოვანების გამოხატვის მეტი არაფერი დაგვრჩებოდა... ფოტოებს გადავიღებდით, უკან გავფრინდებოდით და რორაიმა უბრალოდ, ლამაზ პეიზაჟად დარჩებოდა. ასე, 2-საათიანი სიარულის შედეგად კი მართალია, პეიზაჟის შემადგენელ ნაწილად ვერ გადავიქეცით, სამაგიეროდ, მისი სისასტიკე და მშვენიერება შევიგრძენით.



მესამე საათის ბოლოს გიდმა უცნაურ, მოზრდილ ღრმულთან მიგვიყვანა, რომელიც ამავდროულად ჩანჩქერი აღმოჩნდა.

— შეიძლება ჩავხტე? — ვკითხე უფრო ხუმრობით, ვიდრე სერიოზულად.

— რა თქმა უნდა, — მიპასუხა გიდმა.

— ხუმრობ? — ვკითხე, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ ნამდვილად ხუმრობდა.

— სულაც არა, — მიპასუხა მან.

მცირეხნიანი თათბირის შემდეგ, მე და ილია თავით გადავეშვით. როდესაც ფეხზე დავდექით, მაშინღა შევნიშნე, რომ წყალი არც ისე დიდ სიმაღლეზე იყო. ღრმა ადგილი მხოლოდ ღრმულის ცენტრში გახლდათ და სულ იოლად შეიძლებოდა, ამ ადგილს ავცდენოდით და თავით ჩავრჭობილიყავით მიწაში.

მხოლოდ მეორე დღეს ვაღიარე, რომ ჩანჩქერში პირველად გადავეშვი.

როგორც იქნა, ტრიპლ-პოინტამდეც მივედით. წვიმამ დაუშვა. ამან კი კლდეების საოცარი კონტურები შიშისმომგვრელად გამოაჩინა.

რაც შეეხება თავად ობელისკს, რომელიც საზღვარზე დგას, გაიანას მხარე მთლიანად განადგურებულია, რადგან ვენესუელას მის მიმართ ტერიტორიული პრეტენზიები აქვს და ვენესუელელებმა პროტესტი ასეთი ფორმით გამოხატეს. ტრაფარეტი, რომელზეც ქვეყნის სახელი იყო ამოტვიფრული, მოხსნილია და მასზე ამოჩხაპნილია: Reclamation.

ბრაზილიური მხარე კი ხელუხლებელია.

„მოვიარეთ“ 2 სხვა სახელმწიფო, ვენესუელას ტერიტორიაზე დავბრუნდით და უკან, ბანაკისკენ ავიღეთ გეზი, ოღონდ — სხვა მარშრუტით.

გზა კვარცის მინდორზე გადიოდა, რომელიც კვარცის ულამაზესი კრისტალებით იყო მოფენილი. მათი თან წამოღება მკაცრადაა აკრძალული. შესაძლოა, სპეციალურმა პატრულმა გაგაჩეროს და გაგჩხრიკოს. თუ კონტ-


ბანაკი

რაბანდა აღმოგაჩნდა, ჯარიმის სახით რამდენიმე ათასი დოლარის გადახდა მოგიწევს.

ისე დავიღალე, მზად ვიყავი, ჭაობის წყალში ჩავწოლილიყავი და დამესვენა. თუმცა, დაღლილობასთან ერთად, უდიდეს სიამოვნებას ვგრძნობდი. ხანდახან, ძალზე იშვიათად, მზე გამოანათებდა ხოლმე. იქაური მზე სულ სხვანაირია. უბრალო, ლამაზი და ცოტა უცხო. მზის გამოჩენისთანავე, იქაურობა იდუმალებას კარგავდა. ყველაფერი ლამაზად და კარგად გეჩვენებოდა, თითქოს ძალაც გვემატებოდა.


მზის გამოჩენისთანავე, იქაურობა იდუმალებას კარგავდა

როგორც იქნა, ბანაკამდე მივაღწიეთ. ის კი არა და, კლდის პირამდეც კი გავედით, რომ პეიზაჟი დაგვეთვალიერებინა და მზის ჩასვლისთვის გვეყურებინა.

უკან დაბრუნებულებმა ვივახშმეთ.

აღმოჩნდა, რომ რორაიმაზეც ყოფილა ადამიანისთვის სახიფათო ფაუნა. ჩვენს ბანაკთან ახლოს წითელი მორიელი აღმოვაჩინეთ, რომლის შხამიც ადამიანისთვის მომაკვდინებელია. შავი მორიელი კი — სრულიად უვნებელი.

წინ კიდევ ერთი ცივი ღამე და უკან წამოსასვლელად — 1 დღე გვქონდა.

დილით დავიძარით და მდინარე ტეკზე, მეორე ბანაკში დავბინავდით. არ დავღლილვარ და მზად ვიყავი, გზა სოფელ პარატეპუიმდე გამეგრძელებინა, მაგრამ ამას არავითარი აზრი არ ჰქონდა. ტრანსპორტი მხოლოდ მეორე დღეს მოვიდოდა. ღამის გათენება კი მდინარეზე ჯობდა, ვიდრე სოფელში.

ასე რომ, მოგზაურობის მეხუთე დღეს ადრე ავდექით, იმ ტერიტორიაზე უკანასკნელად ვისაუზმეთ, მორჩენილი პროდუქტი ადგილობრივ ოჯახს დავუტოვეთ, ზურგჩანთები ნაგვით გავავსეთ (ნაგვის დაყრა არ შეიძლება. სანტა-ელენაში უნდა ჩამოიტანო) და დარჩენილი გზა ლამის სირბილით გავიარეთ, რადგან იქ ის ტრანსპორტი გველოდა, რომელიც უკან, ცივილიზაციაში დაგვაბრუნებდა.

რორაიმადან, ამ პარალელური სამყაროდან მიღებული შთაბეჭდილება ისეთი ძლიერია, რომ კარგა ხანს გამყვება.

ობელისკი საზღვარზე



იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილიზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

ეგოისტები

1. მინდა გავიცნო სერიოზული მამაკაცი, 35 წლამდე. ვარ 23 წლის, ძალიან რთული ხასიათის გოგო.

2. ვარ რუსი, სიმპათიური გოგონა. ვეძებ სერიოზულ, სამსახურით უზრუნველყოფილ მამაკაცს, 27-დან 35 წლამდე. სოფლელები და უსაქმურები არ გამომეხმაუროთ.

3. მინდა, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნო 35 წლამდე ასაკის მამაკაცი. ირმა24.

4. ვარ 19 წლის გოგო. გავიცნობ 20-21 წლის ბიჭს. გამომეხმაურეთ. ლორიტა.

5. ვარ 19 წლის. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ბიჭს. ლორიტა. გამომეხმაურეთ.

6. ვარ 36 წლის, სასიამოვნო გარეგნობის, განქორწინებული. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ სიმპათიურ, ყურადღებიან, ყველაფრით უზრუნველყოფილ მამაკაცს.

7. თუ გსურთ გაიცნოთ წესიერი, პატიოსანი, 36 წლის გოგო, მხოლოდ ოჯახის შექმნის მსურველი დაუკავშირდით. ჩემი მეგობარია და ამიტომ ვაცხადებ.

ვეხმაურები „გზა“ №22, მე-13 მესიჯის ავტორს, 47 წლის მამაკაცს. მყავს მეგობარი, იყო ქორწინებაში და ჰყავს 2 შვილი. აქვს საკუთარი სახლი, ეკლესიურია და მუშაობს სკოლაში, პედაგოგად. ძალიან მინდა, ბედნიერი იყოს, რადგან იმსახურებს. თუ სურვილი გაქვთ, შეგიძლიათ, შემეხმიანოთ და უფრო ვრცელ ინფორმაციას მოგაწვდით (მარისთან დაამესიჯეთ).

ამაცანები

8. გავიცნობ თბილისელ მანდილოსანს, ვისაც სითბო და სიყვარული სჭირდება. ვარ 35 წლის, 186 სმ. სიმაღლის, ქერა თმით, მწვანე თვალებით. შემეხმიანეთ, მანდილოსნებო. ზურა.

9. ვარ 33 წლის მამაკაცი. გავიცნობ 35 წლამდე ასაკის მანდილოსანს. ვმუშაობ, მაქვს ბინა და მყავს მანქანა. ზურა.

10. ვარ 1 წლის და 7 თვის, სიმპათიური მამაკაცი. მყავს ველოსიპედი, მანქანა და მაქვს დიდი საწოლი. გამომეხმაუროს 1 წლამდე ასაკის, პატიოსანი ქალიშვილი. ნიკუშა ვარ ბუჩუჩაა.

11. ვარ 28 წლის. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ მანდილოსანს, 33 წლამდე. მთავარია, იყოს ჭეშმარიტი მართმადიდებელი. სასურველია, ჰქონდეს თავისი ბინა.

12. გავიცნობ თბილისელ, მოსიყვარულე, ბინით უზრუნველყოფილ მანდილოსანს. ვარ თბილი, მოსიყვარულე, ხევსური ჯარისკაცი.

13. ვარ ხევსურეთიდან და ვმუშაობ ჯარში, კონტრაქტით. გავიცნობ თბილისელ მანდილოსანს, რომელსაც შეუძლია სიყვარული და არის ბინით უზრუნველყოფილი. ბექა.

14. მარი, გთხოვ, თუ შეგიძლია, ისეთი მანდილოსნის ნომერი მომეცი, რომელსაც თავისი ბინა აქვს. გავიცნობ ოჯახის შექმნის მიზნით. ჟურნალში არც ერთი არ იყო ასეთი. მე 29 წლის ვარ. მარი, ბოდიშს გიხდი. შენ ხომ უცნაურობები არ გიკვირს. მთავარია, მანდილოსანი იყოს მართმადიდებელი. მარი, ბოდიშს გიხდი შენუხებისთვის. გიორგი, ბათუმი.

სალამი



● კეთილი სალამი მგზავნელებს. მე პირველად გწერთ და იმედია, მიმიღებთ? ყველანი



ოჯახში ცოლისა და ქმრის თანაბარი ფეხლებები აქვთ. განსხვავებაა — ცოლს.

კარგები ხართ და მოდი, ერთმანეთს სითბოთი შევხედოთ.

● მოვიკითხავ ჩემს მეგობრებს. სად დაიკარგე გრიშა, კვიტო, ჩუბინო, აღარ გახსოვარ? კამიკაძე, ჩემი ძმა ხარ. დაჩიკა, ალიოშა, ჩიპო, მაგრები ხართ. არევაძე ბესარიონი.

● რისი მადლობა, გეკადრება, შავო პანტერავ? მე ახალგორის რაიონიდან ვარ, მაგრამ იქ არ ვცხოვრობ. ასე ჯობიაააა. :-) ნიკოლ, ცოცხალი ხაარ? დუჩ, ღალატის სუნია, მგონი. სიკვდილა.

● ლომისობას გილოცაააავთ! ჰა, ფისო, არ დავთვრეთ? აქოს, პავლიკას, 9717-ს, ოლეს, უკარებას, რიცას, ჩუპის, ჭრიჭინას და ლი ჰარვი ოსვალდს (შე მოგზავნილო) მოკითხვები. სიკვდილა.

● ქალ ცდუნებას: რა გიჭირს დაი, რამე სერიოზული? ჩემი გული გელის. ენიგმას: მე არ დამიწერია შენთვის. დავუწერე მის რეალს და პასუხი შენგან აუცილებელი არ იყო. გრუზინკა.

● ენიგმას: არც მე ვარ ჭორიკანა, მაგრამ ფაქტია: „გზის“ საწყისი ანუ შენ და დასასრული — მე კარგად არ გამოვიყურებით. თუ შენ არ მეთანხმები, ეს შენი პირადი აზრია. გრუზინკა.

● თუ ჩამოვვარდი, იმის იმედი ნუ გექნება, რომ შენ დაგეცემი, რადგან ქიმიის, ლექსის აღქმისა და საგანთა ურთიერთკავშირის უცოდინრებზე არ ვეცემი. ეტყობა, შენი ტვინის ორივე ნახევარსფეროს ურთიერთჯახი აქვს და კორექცია სჭირდება. ეს „ჰი-ჰი-ჰიი“-ზეც გეტყობა. გაიარე რაა, ბიძიკო და ზამეკანიები სხვაგან მოახდინე. მოკითხვა სევდიან ქალს. ბერბიჭა.

● ქალო ცდუნებავ, გაიხარე, კარგი ხარ. შენი ნომერი თუ შეიძლება? ირმა91.

● მოკითხვა ყველა საყვარელ და თბილ მგზავნელს. მეგობრებო, ნუ ვიჩხუბებთ, რა. ნურც ვიჭორავებთ. ერთმანეთს სიყვარულით და სითბოთი გავუთბოთ გულები. ყველას გეფერებით. ნიბუ.

● ნიკოლს და ლიმონას მილიონი მპუა. სიხარულებო, გმადლობთ მოგვიანებით მოკითხვისთვის. იკუშკები, კარგი ხარ. მარიამულო, გმადლობთ, ჩემი თხოვნა რომ გაითვალისწინე. ნიბუ.

● ორნიკიანებს — ენიგმას (ბერბიჭა, ელექტრა), ლუნას (შინაბერა-2), სტიქიას (აპოლონი), შინაბერას (მის რეალი), კაჭკაჭს (მე), კამელიას (ერენიტა), ჩიხტიკოპიან დილეტანტს (ილინი): ერთი ნიკით წერეთ, სხვასაც მიეცით წერის შანსი, ნუ ხართ მონოპოლისტები. ლეო91-ს, ჯეჯეს, ბოხოს, ოლეგარიოს, ათენ23-ს: მიყვარხართ. გასაღები.

● ხათაბალამ დაიწყო დამესიჯება „გზაში“, თინეიჯერობს, კეკლუცობს, უნდა გამოჩნდეს ხალხში, ლექსების წერას ცოდვილობს და ტვინს იჭყლიტავს სახლში, ერთი სული აქვს ეს ლექსი იხილოს ჟურნალ „გზაში“.

● ხათაბალას: ყავაზე რომ მკითხაობ, კარტს შლი დიდი გულითა, რა გგონია, მანქანას იყიდი მაგ ფულითა? მკითხაობას შეეშვი, გეთვლება ეგ ცოდვაში, სიგარეტის მოწევა აღარ არის მოდაში.

● მთელი გულით მოვიკითხავ ბერბიჭას, სიკვდილას, ლუნას, იასამანს, ქალ ცდუნებას. ტეხასისშტატელო გია, ჩორნა, სად დაიკარგე? ხალხო, როგორ დაგიკავშირდეთ? სევდიანი ქალი. კობრა, გამიხარდა შენი გამოჩენა. იქნებ სხვებიც დაბრუნდნენ? ირმა91.

● მეზობელო, ფრთხილად! „მობილი-ზაციაში“ ნუ დაძვრები ჩემი საქებ-სალანძღავი მესიჯებით, თორემ მექნება პატივი, რომ აგყარო პატივი და გაგშიფრო აქაც და უბანშიც. გასაგებია? ჰა? ენიგმა.

● კობრაა, როგორ გამახარე შენი დაბრუნებით. რამე ხომ არ გიჭირს? ხომ ხარ მაგრად, ძმა? ვინ არიო ჩემი საქმიანი ცდუნება ქალიო, ვინაო? ე, შენ ჩამო და არ ჩაგიხუტებ? ლიმონა.

● გენაააცვალლლე! ვგიჟდები იასამნებზე და საერთოდ, ყველაზეე. დუუჩ, შენ რა სიხარულო ქალი ხარ, ტო? :-) ლორეე, მიოორქ! აუ, ყველა როგორ მიყვარხართ, აზრზე არ ხართ, ტო! ლიმონა.

● ეგ „ჰი-ჰი-ჰიი“ ვერ მალავს შენი ნიკების პალიტრას, ვიაგრადალეულივით ხმარობ წვეტიან კალმისტარს, ეგება სხვასთან გაგრილდე, „წერაობა“ რომ აგიტანს? P.S. ნუ დამღალეე! ბერბიჭა.

● კამ-კამა, გულიც ისეთი გქონია, როგორიც ნიკი გაქვს. ჩუპი, ძალიან თბილი ხარ და საყვარელი. კახელო, მანაველი, ეგოისტკა,



ბუნებრივი ვადასრული
— ჭეშმის ჯიბიდან
ხელოვნების ამოღება.

Green Girl, იასამანი, ლუნა, მიყვარხართ. ოლეგარიო.

● რატომღაც ქალი ცდუნება ანარქია მგონია. იქნებ ვცდები? უკარებავ, როგორ ხარ? და-ძმა, ნინო და დათო მომიკითხე. იასამანს გავიცნობდი, თბილი და კეთილი ჩანს. ოლეგარიო.

● მომენატრა ძველი „გზა“, თბილი და სიყვარულით სავსე მესიჯები. ამათი შემხედვარე მრცხვენია, მეც რომ მგზავნელი ვიყავი. ახლა მინდა გამოვასწორო. დაბრუნდით, ძველო მგზავნელებო, რა... მეგობრებო და კაი ხალხო, ნუ დავკარგავთ ძველსა გზასა... შეწირული.

● „გზაელებს“ სიცოცხლე! როგორ ხართ, ხალხო? მეც არა მიშავს, ვაარ, რაა, დასეტყვილი ვენახივით. თუ ვინმეს აინტერესებს სად დავიკარგე ამდენ ხანს, გეტყვით, რომ ხელისუფლების დაკვეთას ვასრულებდი. კერძოდ კი მისი დაკვეთით კუს ტბაზე ვიყავი წასული, ბაყაყების დასახოცად. 120.000 გომბეშო გავტრუპე, 60.000 ვასაკა დავჭერი, ხოლო 2 აგა ხელიდან დამისხლდა და თავს უშველა. ახლახან კი, ასევე ხელისუფლების დაკვეთით, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ვიყავი. ალბათ ყველამ ნახეთ, თუ როგორ დარისხეს ჩვენებმა მოლდოველები. ჰოდა, ჩვენების უძლიერესი დარტყმებისგან დაჭეჭყილ შტანგებს ვასწორებდი. იასამანო, გაიხარე, როგორ ხარ? ჯეჯე.

● აუუ, კამი, მოენატრე ჩემს გულს, თვალებს. მაგრად მიყვარხარ! დათო, შენ არ მიგულისხმიხარ, მეც მყავს მეგობარი, სახელად დათო. გკოცნით მეგობრებს! ლუნა.

● გასაღებო, მაგარი ხარ, ძმა... აგეწვათ ერთი ადგილი? ბერბიჭავ, არ გინდა, ერთად ვიგიჟოთ? (:(:(: მე მაგრად. შენ? მე.

● ბერბიჭას პაჩი მეამა. გაიხარე, კარგო ადამიანო და მიიღე ჩემგანაც ვირტუალური ამბორი. იასამანო, ლიმონ, მადლობა ყურადღებისთვის. კუსკუსელა.

● მე მაინც მგონია, რომ გასაღები გრუზინკაა, ენიგმა — ბერბიჭა და არა მგონია, კარგი საქციელი იყოს, ასე რომ ჩხუბობენ მგზავნელები. ლიმონა შხამიანია, იკუშკები მოზომილი, დანარჩენები კი ნეიტრალურები. ენიგმა, ძალიან ამბიციური ხარ და ასე მგონია სექსუალურად „აზაბოჩენიც“. გრუზინკას გათხოვება უნდა, ძალიან. თუმცა, რა გასაკვირია, არ აქვს ასაკი თუ? დიდი ხანია, თვალყურს გადევნებთ და ახლა მოვედიიი! მაამებელი.

● პრივეტ მარი, როგორ ხარ? ერთი პატარა სამყაროს დედოფალი ხარ. მიმილებთ? არა? ჰე, რავა ყველგან პატრონი უნდა?! არც ამ მესიჯს დამიბეჭდავთ? ჰე, მე ხო ბედი არ მაქვს... „მობილი-ზაციაში“ ყველას გაუმარჯოს! გაიხარეთ, ხალხოოო! ახლა კი წავედი. კარგად... უშნო ბიჭი.

● მენატრებით და მიყვარხართ უზომოდ. კამ-კამა.

● არეულები ხართ. აქ რა, ძველების ადგილი აღარაა? ფუუ, გააბანძეს ახლებმა „გზა“. ოლე, კამი, ენიგმა, ბერბიჭა, ყველას გთხოვთ, ვუშველოთ „გზას“. მენატრება ძველი „გზა“. კამ-კამა.

● მარიამულო, სიტყვები არ მყოფნის ჩემო კეთილო ადამიანო. მადლობა! ზღვა მადლობა, ამდენი ლამაზი და თბილი დღეების ჩუქებისთვის. მიყვარხარ და მუდამ ასე იქნება. მარიამულო, მენატრები. ნეტავ, ხომ კარგად ხარ? ეჰ, კამიც მენატრება. დამპირდა, რომ არ დამტოვებდა და ვიცი, მოვა. მიყვარხარ და თავს გაუფრთხილდი, მარ. გკოცნი



ამაღ ოფერი განიერი თაქი
აქვს ცოლს, ამი ვერძელი
სამუშაო დღე აქვს ქმარს.

შენი ლუნა.

● ეჰ, ჩემო კარგო ბერბიჭავ, რა ტკბილი ენა გქონია, შენი მესიჯის კითხვისას ცამ ამიტანა, მგონია. გულთბილი დახვედრისთვის, დიდი მადლობა, თოლია.

● წამყე გზავნილეთისკენ, იქ, სადაც ახლომახლო იყო პარიჟანკას და ილინის სამოსახლო, იქ, სადაც იასამნებია და ტირიფები უმეტესი. არსად ქვეყნად არ მინახავს გზავნილეთი, უკეთესი. გზავნილეთი ასე მშვენი დუჩისგან, ლორესგან, ოსვალდის და დამავოის, წამყე გზავნილეთისკენ. მოდი, სადმე მშვენიერი ვპოვოთ კუთხე ქედმომაღლო, გადმოვხედოთ სხვა ჟურნალებს — მე აქ უნდა დავესახლო. წამყე გზავნილეთისკენ, იქ, სადაც ახლომახლო, იყო პარიჟანკასი და ილინის სამოსახლო. აეეჰ, ჯულიეტაა, მომენატრეე... ლიმონა.

● დიდი ვერაფერი საქმეა სასწაულების ქმნა, არც ანგელოზთა ხილვა ნიშნავს ბევრს არაფერს. უდიდესი საქმეა საკუთარი ცოდვების დანახვა. საკუთარი ცოდვის შემგრძნობი აღემატება იმას, ვინც თავისი ლოცვით მკვდრებს აღადგენს.

● ზარების გუგუნი ისმოდა ზეციდან, ტაძარში იწვოდა ათასი სანთელი, შენთვის ლოცულობდა პატარა სანთელი, გფარავდეს მუდამ იესოს სახელი!!! შმაგის. მარი.

● სევდიანო ქალო, სადაური ხარო, მეც მევასა შენი ლექსი, ძლიერ მიყვარხარო. თუ გსურს დაო ჩემი ნახვა, მარის ჰკითხე ეს ნომერი, მოდი, ჩემსას, აქ მესტუმრე, გულწრფელი ვარ და მოგელი. ქალი ცდუნება.

● გაცოცხლებულო თოჯინავ, ვინ დაგიწუნა რითმები, ნიჭიერი ხარ იცოდე, სხვისი რად გჯერა სიტყვების? ქალი ცდუნება.

● ბერბიჭ, ერთი მაქვს მე მხოლოდ ბრალი, რომ შემაყვარე მე ასე თავი, უკვე ვეღარ ვგრძნობ, რას ვბოდავ თვითონ, გადავირიე საბრალო ქალი. რა ვქნა, თუ გული ასე შეგნატრის, რად შემაყვარე მაშინ მე თავი, წუხელ დილამდე შენზე ვიფიქრე, არ მომიხუჭავს ერთ წამსაც თვალი. გული გულს რომ გრძნობს, ეს ხომ ცხადია, სულით მე შენთან ყოფნა მწადია, სიზმარში გხედავ, როცა ვიძინებ, რომ შემიყვარდი, ეს ხომ ცხადია? ქალი ცდუნება.

● ლუნა, არ ვიცი რა მემართება, რა გითხრა, გრძნობა არ იმალება. არ გამიბრაზდე, ჩემი დაიკო ხარ. ლიმონას, გრუზინკას და იდუმალ ქალს პაჩები. ქალი ცდუნება.

● მარ, არ ვიცი, ჩემი თხოვნა გაითვალისწინე თუ არა, მაგრამ ფაქტია, მძიმე და ძალიან სევდიანი მინირომანი აღარ დაწერე. უღრმესი მადლობა სიხარულო. მარ, პატრული ელისო რატომ აღარ გვწერს?

● წინა კვირაში „ეშმაკის მოციქული" რომ არ დაიბეჭდა, მეწყინა. ამ კვირაში ისევ გაგრძელდა და გამიხარდა. ისე, დათოს და კატოს ურთიერთობაც ძალზე საინტერესოა. ყოველთვის იცი, რით დააინტერესო მკითხველი და ამიტომ გვიყვარხარ. ჩუპი.

● მამაკაცების განცხადებიდან: ვეძებ ქალს, რომლის გვერდითაც შემიძლია თავს ვგრძნობდე როგორც მარტოსული. და ერთიც: როცა გძინავთ ქალის გვერდით, იყავით ფხიზლად! უკარება.

● კახელო, გეძებ და ვერ გპოულობ, სად ხარ? მის რეალ, შენ რაღა დაგემართა? ჰო, კაი რა, სიკვდილავ, გელოდები და არ ჩანხარ, ჰორიზონტზე. 9717, ჰმმმ, ჩვენ ვიცით, რა... ბოა და ოლე, მაგრად მიყვარხართ. მაესტრო, შენ მარტო დღესასწაულებზე უნდა გამიხსენო? ენიგმა, გამიხარდა შენი დაბრუნება. გაკოცეთ ყველას. უკარება.

● სალამი მარ, დღეს ვუყურე სიუჟეტს სუფსელ როკერ გოგონებზე, ბელა შანავაზე და ლია კვარაცხელიაზე. მათ მიმართ სიმპათიები გამიჩნდა. თუ კითხულობენ „გზას", იქნებ თავიანთი ნომრები მოგაწოდონ და ვეცდები, დავუკავშირდე და უფრო კარგად გავიცნო. ყოჩაღ გოგონებო, ძაან მაგრები ხართ! მანდრაგორა.

● პრივეტები, ჩემო კარგო მარი. როგორ ხარ? მართლა კარგი ადამიანი ხარ, რომ ასეთ კარგ საქმეს აკეთებ. გვიყვარხარ ყველას. ქართველი ემიგრანტები, ათენიდან. მაიკო და თაკო.

მიყვარხარ

● ბესო პატაშურო, მიყვარხარ უსაზღვროდ!!!

● მინდა, თქვენი ჟურნალის საშუალებით ჩემს სიხარულს ვუთხრა, რომ მიყვარს, ჩემი სიცოცხლეა. იურა გორდელაძე, დამიჯერე, მიყვარხარ. პუსკა.

მილოცავ



● ჩვენს ძამიკოს, თორნიკე ჩადუნაშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს. ყოფილიყავი საამაყო და სასახელო ბიჭი. თეონა და ქეთი.

● ჩვენს შვილს, თორნიკე ჩადუნაშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს, 12 ივნისს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, კარგად სწავლას და ბედნიერ მომავალს. გოჩა და მაია.

● მამა-შვილს, მარის და მამუკას გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ბედნიერებას და ულევ სიყვარულს. ბაჩანა ტოტოლაშვილი.



ადამიანი სიკეთეში
ცოცხლობს თავის ცხოვრებად
გადაქცევაში დაგეხმარება.

● ქუთაისში მცხოვრებ ია ფანცულაიასა და მის პატარა დისშვილს, ლანა ხაჭაპურიძეს ვულოცავ დაბადების დღეს. ჯანმრთელობა, სიხარული, სიყვარული და ბედნიერი დღეები არ მოგაკლოთ ღმერთმა. უფალი გფარავდეთ მუდამ. ძალიან მიყვარხართ ორივე და უზომოდ მენატრებით. ასევე მოვიკითხავ დიდი სიყვარულით მთელ ოჯახს. ნანიკო.

● ჩემს საყვარელ ბაბუას, გოდერძი გაბრაშვილს დაბადების დღეს ვულოცავთ. მრავალს დაგასწროს ღმერთმა, ჯანმრთელად და ბედნიერად. ნინო, ედო.

● დიდი სიყვარულითა და მონატრებით ვულოცავ ჩემს საყვარელ მამას, გოდერძი გაბრაშვილს დაბადების დღეს. ჯანმრთელი, ბედნიერი და გახარებული ყოფილიყავი, შენს მონაგართან ერთად. ლალი.

● ალეკო ახალაძეს ვულოცავ დაბადების დღეს. აკო, გისურვებ ყოველივე საუკეთესოს. ჯანმრთელობას გისურვებ პირველ რიგში და მალე დაბრუნებულიყავი ჩვენს პატარა და ლამაზ სამშობლოში. მეც მინდა საქართველოში. უკარება.

● მაგდანა ბაჯელიძე, გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ლამაზ, ბედნიერ ბავშვობას და შემდეგ — კარგ მომავალს. გქონოდეს იმის უნარი, რომ დაგეფასებინოს ყველას ამაგი. ნესტანი.

● ჩემს ერთადერთ, მონატრებულ შვილს, მაგდას ვულოცავ დაბადების დღეს და ვუსურვებ ყველაფერს, რაც ქვეყანაზე კარგი არსებობს. მაგდა, ძალიან მენატრები. გფარავდეს ღმერთი. დედიკო.

● სვანეთში, ვერიკო ტვილდიანს ვულოცავ 13 ივნისს, ლამაზ დაბადების დღეს და ვუსურვებ საუკეთესო წლებს ნინოსთან და საყვარელ დედიკოსთან ერთად. მიყვარხართ და მენატრებით. ნესტანი.

● მინდა, დაბადების დღე, 10 ივნისი მივულოცო ჩემს მულს, ხათუნა დოლიძეს. ხათო, მრავალს დაესწარი. გფარავდეს ღმერთი შენ და შენს ოჯახს. მზია.

● შვილებო, მარეხ და მარინა, დაბადების დღეს გილოცავთ. გისურვებთ ცხრათვალა მზეს, სიყვარულს, სიხარულს ბევრს და მაინც, გისურვებთ ერთს — უზომოდ უყვარდეთ ღმერთს.

● მარეხ მონასელიძეს: შვილო, გილოცავ დაბადების დღეს, 13 ივნისს. იცოცხლე და ჯანმრთელად იყავი, შენი ქმარ-შვილით. გკოცნის შენი მონატრებული დედა.

● ჩემს პატარებს, ჩემს სიხარულებს და სიცოცხლე შვილებს, გიორგი და სულიკო ნანაძეებს ვულოცავ დაბადების დღეს. გაიზარდეთ, ჩემო პატარებო სასახელო ვაჟკაცები. გისურვებთ ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს, თქვენს საყვარელ დაიკოსთან და მშობლებთან ერთად. მიყვარხართ სიცოცხლეზე მეტად. თქვენი დედა, ლელა.

● სოფიკო ნანაძეს ვულოცავ დაბადების დღეს. ღმერთმა ბედნიერი და ჯანმრთელი გამყოფოს. გისურვებ წინსვლას, ცხოვრებაში. ლელა.

● ჩემს შვილს, ნანა მოდებაძეს დაბადების დღეს, 7 ივნისს ვულოცავ. გისურვებ სიხარულსა და ბედნიერებას, შენს ოჯახთან ერთად. ძალიან მიყვარხარ და მენატრები. შენი დედიკო, ია.

● ქეთი კოჩარიანს მსურს მონატრებული სიყვარულით დაბადების დღე მივულოცო, 12 ივნისს. გაიზარდე, ბებოს სიხარულო, სითბოთი და სიხარულით სავსე ცხოვრება გქონდეს. მინდა იყო ბედნიერი და გახარებული, შენს დაიკოსთან და მშობლებთან ერთად. მინდა, მუდამ გფარავდეთ ღმერთი. მიყვარხართ, გეფერებით და გკოცნით, ნათელა ბაბო.



შოცა შაძღენიძე ძაძაყალი
ყაძათოშს, ძაშოსლი ისაა,
ჭინკ ანშოშს, შოძ ახლოვე
ოენდა დანწყონ ნძა.

ყურადღება!

„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში აკრიბეთ: guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

ფოტო, რომელიც ნაოლოლა ღაკელმა



ამ ფოტოსთვის შესაბამისი წარწერა უნდა გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე:

8.77.45.68.61

ჩემეული ვერსია ეი ასეთია:

„ეთიკასთან ბრძოლის საერთაშორისო ფონდი“

ᲤᲣᲓᲤᲘᲭᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ 7 ᲬᲔᲡᲘ

დიდ ქალაქებში მცხოვრებთათვის, სადაც ჰაერი დაბინძურებულია, ახალგაზრდობისა და ნორჩი კანის შენარჩუნება ძნელია. ქვემოთ მოყვანილი 7 წესი გაუარესებული ეკოლოგიური პირობების დროს ახალგაზრდობის შენარჩუნებაში დაგეხმარებათ.

1. მაკიაჟის მოშორება

კოსმეტიკური რძით მაკიაჟის მოშორებას სინამდვილეში თქვენთვის მხოლოდ ზიანის მოტანა შეუძლია. საქმე ის გახლავთ, რომ ასეთი პროცედურის შემდეგ, სახეზე კოსმეტიკური რძე რჩება, რომელიც ფორებს ამოქოლავს და კანის სუნთქვას აძნელებს. შედეგად კი შესაძლოა, ანთებითი პროცესები და შეშუპება დაიწყოს. უმჯობესი იქნება, თუ მაკიაჟის მოსაშორებლად ნეიტრალურ (კოლოფზე სწორედ ასე აწერია) გელს, ქაფს ან კოსმეტიკურ საპონს გამოიყენებთ. ამასთან, წყალი, რომლითაც სახეს ჩამოიბანთ, ოთახის ტემპერატურის უნდა იყოს. ზომაზე მეტად ცხელ ან ცივ წყალთან შეხებისას, სახის კანი სტრესს განიცდის და სიმშრალესა და კაპილარული „ვარსკვლავების“ წარმოქმნას იწვევს. სხვათა შორის, სწორედ იმავე მიზეზის გამო არ შეიძლება სახეზე ყინულის კუბიკების წასმა.

2. უნდა დაიცვა რეჟიმი

ეს კი იმას ნიშნავს, რომ საღამოს 8 საათის შემდეგ კანის სერიოზულ პროცედურებზე უარი უნდა თქვა. დაშვებულია მხოლოდ სახის დაბანა და მსუბუქი მკვებავი კრემის წასმა. რაც შეეხება ინტენსიურ მანიპულაციებს (სახის გაწმენდა, ქიმიური ნიღბის წასმა), სხვა დროისთვის გადადეთ. საღამოს 8 საათის შემდეგ, ბიოლოგიური საათის მიხედვით, ორგანიზმი დასვენების ფაზაში გადადის. ინტენსიური მანიპულაციები კანის სტრესს გამოიწვევს და მისთვის ზედმეტი დატვირთვა იქნება. დილით კი „დაღლილი“ კანი შეშუპებით, გაფართოებული ფორებითა და დასივებული ქუთუთოებით „გაგახარებთ“. იმავე შედეგს მიიღებთ, თუ ღამის ნელსაცხებელს დაძინებამდე 2 საათით ადრე არ წაისვამთ.

3. ზედმეტი არ მოგივიდეთ

სახლის პირობებში სახეზე ნიღაბი 5-7 წუთზე მეტხანს არ უნდა გაიჩეროთ. მაქსიმუმ — 10 წუთი. წინააღმდეგ შემთხვევაში, კანი სუნთქვას შეწყვეტს და შეშუპებას დაიწყებს. ნიღაბი თბილი წყლით უნდა ჩამოიბანოთ და არა — მინერალურით, რადგან მასში შემავალმა მინერალურმა მარილებმა შესაძლოა, კანის გაღიზიანება, ალერგია ან კანის სიმშრალე გამოიწვიოს.

4. ნუ აჩქარდებით

თუ 30 წელს გადააბიჯეთ, ნუ დაიწყებთ ლიფტინგ-კრემების გამოყენებას. ჯერ ადრეა! აქტიური ნიღბები და სახის კრემები ასაკისა და კანის მდგომარეობის მიხედვით უნდა გამოიყენოთ. თუ სერიოზული დერმატოლოგიური პრობლემები არ გაქვთ, მაშინ კანის მიხედვა 25 წლიდან დაიწყეთ. მანამდე უბრალოდ, ყოველ საღამოს სახე გაიწმინდეთ და ცუდი ამინდის ზემოქმედებისგან დამცავი კრემი წაისვით.

5. ჭამა-სმა

ამასთან დაკავშირებით, კვლავ მიჰყევით წესს — „საღამოს 8 საათი“. ამ დროს უნდა შეწყვიტოთ ჭამა ან, უკიდურეს შემთხვევაში, შეამციროთ მიღებული საკვების რაოდენობა. განსაკუთრებით მაშინ, თუ 35 წელს გადააბიჯეთ. სწორედ ამ ასაკიდან იწყებს შენელებას ნივთიერებათა ცვლის პროცესი. თუ მთელი დღის უჭმელი ხართ და საღამოს მოგშივდათ, სჯობს რძის პროდუქტები და ხილი მიირთვათ (ოღონდ, მუავე ხილს მოერიდეთ, რადგან მადას აძლიერებს). შეამცირეთ ყავისა და ჩაის რაოდენობაც.

6. ღაბაბი

ქალის ასაკს პირველ რიგში კისერი გასცემს. ამიტომ, აუცილებელია, ახალგაზრდობიდანვე ავარჯიშოთ კისრის კუნთები. სპეციალური ვარჯიშების კომპლექსი სულაც არაა აუცილებელი. უბრალოდ, რამდენიმე წესის დაცვა მოგიწევთ: სიარულის ან ჯდომის დროს ღაბაბი მაგიდის ან იატაკის ზედაპირის პარალელურად უნდა დაიჭიროთ. თავი დაბალ ბალიშზე დადეთ ან სულაც უბალიშოდ დაიძინეთ. ნუ დაწვებით მუცელზე.

7. სწორი ძილი

გაცრეცილი სახის ფერი ან დასივებული ქუთუთოები შესაძლოა ჟანგბადის უკმარისობით იყოს გამოწვეული. გარდა ამისა, ბევრი უძილობით იტანჯება, ზოგს კი ზომაზე მეტიც სძინავს. საკუთარ ორგანიზმს ყური უნდა დაუგდოთ. რა დრო სჭირდება მას დასვენებისთვის? გაითვალისწინეთ, რომ დღეღამეში 12 საათი ძილი გამოძინებას სულაც არ ნიშნავს.

არსებობს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი: ჰაერის ტემპერატურა თქვენს ოთახში. ნორმალურად მიიჩნევა 20-25 გრადუსი.

მოხუცებულთა თავშესაფრისთვის გამეტებული ადამიანები და წყალში დათესილი სიკეთე

რამდენიმე ათეული წლის წინ ისინი სიცოცხლით ტკბებოდნენ და ცხოვრებაში საკუთარი ადგილის დასამკვიდრებლად იბრძოდნენ. მათ წლების მატება არ აფიქრებდათ და ვერასდროს წარმოიდგენდნენ, რომ

„იმისთვის ვშრომობდი, რომ სიბერეში მშვიდად მეცხოვრა“

გავიდოდა დრო და ისინი, ვინც ყველაზე მეტად უყვარდათ, ვისთვისაც შრომობდნენ, მათზე ვერ ან არ იზრუნებდნენ და მოხუცებულთა თავშესაფრისთვის „გაიმეტებდნენ“. ქალბატონი ცისანა ცხვედაძე 4 წელიწადია, რაც თავშესაფარ „ბექელში“ ცხოვრობს. პროფესიით პედაგოგი სინანულით აღნიშნავს, — ცხოვრებას სხვას ვასწავლიდი, მე კი თურმე, მის შესახებ თავადაც არაფერი მცოდნია!

თიკო კალანდაძე

— მოხუცებულთა თავშესაფარში როგორ მოხვდით?

— ახლა აქ რომ ვარ, ეს ჩემი ძმისშვილის დამსახურებაა. მეუღლე 16 წლის წინ გარდამეცვალა. ჩვენ შვილი არ გვყავდა და ალბათ, სწორედ ამის ბრალია, მოხუცებულთა თავშესაფარში რომ მოვხვდი... ბავშვის აყვანას ვაპირებდი, მაგრამ ვიფიქრე, — რაღა სხვისი შვილი გავზარდო, საკუთარი ძმის შვილიშვილებს აღვზრდი-მეთქი. ეჰ, არ დამიფასდა ამაგი. თურმე, სიკეთე წყალში დამითესავს. როდესაც ჩემს ძმისშვილს ტყუპი შეეძინა, სამსახური მივატოვე და ბავშვების აღზრდა დავიწყე. შემეცოდა ძმისშვილი — სკოლაში მუშაობდა და არ მინდოდა, სამსახურში პრობლემა შეჰქმნოდა. ამასთანავე, რაც მებადა, ყველაფერი ვაჩუქე, მან კი საკუთარი სახლიდან გამომაგდო და აქ მომიყვანა... ისე, „ბექელში“ ცხოვრებით ძალიან კმაყოფილი ვარ. ახლა მივხვდი, რომ ადამიანი ყოველთვის გაგწირავს, რომ არავის არ უნდა ენდო. თურმე, განსაცდელისას მხოლოდ ღმერთი არ მიგატოვებს.

— თქვენ ძმისშვილი არ განახულობთ ხოლმე?

— 2 წელიწადია, რაც ქმარი გარდამეცვალა და მას შემდეგ არ ჩამოსულა. ეჰ, ჩემი სიძე კი ხშირად მნახულობდა... ისე, ძმისშვილიც მირეკავს და ვხვდები, საკუთარ საქციელს ძალიან ნანობს. იცის, რომ გული მატკინა. მიუხედავად ამისა, ყველაფერი ვაპატიე, ან კი სხვა რა გზა მქონდა — ჩემი გაზრდილია და ძალიან მიყვარს.

— ცხოვრებაში ადგილის დამკვიდრება რთულია?

— სხვას შეიძლება, ეს იოლად მოეჩვენოს, მაგრამ ჩემთვის, წარმოუდგენლად რთული აღმოჩნდა. მიუხედავად თავდაუზოგავი შრომისა, ამ ცხოვრებაში ადგილი ვერ დავიმკვიდრე. იცით, საერთოდ არ ვფიქრობდი სიბერეზე და მეგონა, მუდამ ახალგაზრდა ვიქნებოდი. პროფესიით პედაგოგი ვარ. ჰოდა, ბავშვებს ვასწავლიდი: არ შეუშინდეთ ცხოვრებას, ბოლომდე იბრძოლეთ-მეთქი, მაგრამ სამწუხაროდ, მათ კარგი მაგალითი ვერ ვუჩვენე.

— როგორ ფიქრობთ, სად დაუშვით შეცდომა?

— ეს კითხვა საკუთარი თავისთვის არაერთხელ დამისვამს, მაგრამ მას პასუხი ვერ გავეცი. არ ვნანობ იმ ფაქტს, შვილი რომ არ ავიყვანე. მე ის ბავშვებიც არ თუ ვერ მაკითხავენ, რომლებიც ჩემი სისხლი და ხორცია, რომლებიც მართლა შვილებივით მიყვარდა. მიუხედავად იმისა, რომ დღეს მოხუცებულთა თავშესაფარში ვცხოვრობ, მაინც მინდა, მომავალ თაობას ვუთხრა, — თუ მოინდომებენ, ყველაფერს შეძლებენ! თითოეულ ახალგაზრდას ვუსურვებ, რომ ცხოვრებაში ნაკლები შეცდომა დაუშვას. თუმცა, ცხოვრება ძალიან უცნაურია და ზოგჯერ ვერც კი ვხვდებით, როდის მოვიქეცით სწორად ან სად დავუშვით საბედისწერო შეცდომა. შვილი რომ მყოლოდა და ჩემი მეუღლეც ცოცხალი ყოფილიყო, დღეს საკუთარ სახლში გაგიმასპინძლდებოდით...

ბატონ გურამს და ქალბატონ ეფემია ჯამათაშვილებს შვილებიც ჰყავთ და საკუთარი კერაც აქვთ, მაგრამ როგორც თავად ამბობენ, ცხოვრებაში ყველაფერი ხდება და დღეს ისინი მოხუცებულთა თავშესაფარში ცხოვრობენ.

ბატონი გურამი:

— ახალგაზრდობაში მე მღებავად, ჩემი მეუღლე კი საავადმყოფოში, ექთანად მუშაობდა. ვცდილობდით, შვილებისათვის სითბო, სიყვარული არ მოგვეკლო და თან, თავდაუზოგავად ვშრომობდით, მშვიდ სიბერეზე ვოცნებობდით.

— „ბექელში“ როგორ მოხვდით?

ქალბატონი ეფემია:

— აფხაზეთის ომში ორივე სიძე დაგვეღუპა. ამის გამო ჩემმა მეუღლემ ბევრი ინერვიულა და გულის შეტევა დაემართა. თემქაზე, მე-8 სართულზე ვცხოვრობდით, სადაც ლიფტი არ მუშაობდა, გურამს კი კიბეზე ასვლა ძალიან უჭირდა. ამ ყველაფერს მატერიალური პრობლემაც დაერთო და გადავწყვიტეთ, მოხუცებულთა თავშესაფარში გვეცხოვრა. გურამს ამ გადაწყვეტილების მიღება ძალიან გაუჭირდა, ჩემი შვილი კი დღესაც ტირის და მთხოვს, სახლში დავბრუნდეთ.

— დღეს როგორ ატარებთ?

— აქ სულ ერთფეროვნებაა. ხანდახან, მოხუცები ვიკრიბებით და მუსიკას ვუსმენთ. მე წიგნის კითხვა მიყვარს, ბიბლიას ვკითხულობ (მორწმუნე ვარ). ჩვენს სანახავად ხშირად მოდიან შვილები და შვილიშვილები, ზოგჯერ კი უცხოელებიც (ძირითადად, გერმანელები და ამერიკელები) გვსტუმრობენ. თბილად გვექცევა ადმინისტრაციის ყველა თანამშრომელი და აქ თავს კარგად ვგრძნობთ, მაგრამ ზოგჯერ, რაღაც წინააღმდეგობებს ვაწყდებით. ომის შემდეგ სიტუაცია ცოტა არ იყოს, ცუდისკენ შეიცვალა, მაგრამ რას ვიზამთ, ქვეყანაში კრიზისია...

— ბატონო გურამ, როგორ ფიქრობთ, თქვენ აქ მოსვლა შეცდომა იყო?

— მე იმისთვის ვშრომობდი, რომ ცხოვრებაში რაიმე შემექმნა, ჩემი ადგილი დამემკვიდრებინა და სიბერეში მშვიდად მეცხოვრა, მაგრამ ცხოვრება სასტიკი, დაუნდობელი აღმოჩნდა. ვერასდროს ვიფიქრებდი, რომ მე და ჩემი მეუღლე, რომლებიც დღე და ღამე ვშრომობდით, ცხოვრების ბოლო წლებს აქ გავატარებდით, შვილებისა და ოჯახისაგან მოშორებით. თურმე, მხოლოდ იმიტომ გვიწვალია, რომ ბოლოს, მოხუცებულთა თავშესაფარში გვეცხოვრა.

რუსი ჯარისკაცის ჩანაწერები

სქელტანიან საარქივო საქმეებს შორის, გაცრეცილი, სიძველისგან გაყვითლებული, პირადი დღიურის ფურცლები ინახება. ხელნაწერი 1920 წლით თარიღდება და ბოლშევიკური რუსეთის ჯარისკაცს ეკუთვნის. ჩვენამდე მოღწეული ჩანაწერები წითელი არმიის მიერ ჩრდილოეთ კავკასიაში განხორციელებულ სამხედრო ოპერაციაზე მოგვითხრობს. იქიდან ნათლად ჩანს, თუ როგორი განწყობილება სუფევდა იმ დროს რუსეთის მიმართ მთელ კავკასიაში და როგორ მოუწიათ რუს ჯარისკაცებს გაქცევამ კავკასიიდან, საქართველოს გავლით. აშკარაა, რომ რუს ჯარისკაცს მანამდე სმენოდა განთქმული კავკასიური სტუმარმასპინძლობის შესახებ და უკვირდა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა სულაც არ ეგებებოდა ცხელი საჭმლითა და თბილი მოსასვენებლით...

„დაპირებული თბილი ყაზარმის ნაცვლად, ბინაურ „საარაიაში“ ამოვყავით თავი“...

ემა ტუხიაშვილი

პირველი ჩანაწერი 1919 წლის 1-ელი თებერვლითაა დათარიღებული, ბოლო კი — 1920 წლის 5 ივლისით.

„1-ელი თებერვალი მშვიდად გადის. ცოტაა მოსეირნე ადამიანიც, მაგრამ ყველას შეიძლება, მხიარული განწყობილება შეეტყო. ღამის 12 საათისთვის კი მოდის ტელეფონოგრამა, რომელიც კაზაკების მოახლოებას იტყობინება. ტელეფონოგრამის პარალელურად მივიღეთ ბრძანება ფრონტზე სასწრაფოდ გასვლის შესახებ. ჩვენი ნაწილები იმ დროისათვის ძალიან მცირე იყო, ხოლო კაზაკების — ბევრად უფრო მეტი. წითელარმიელების პოზიციები ვლადიკავკაზის გარშემო გახლდათ გამაგრებული. ქვეითმა ჯარმა სანგრები დაიკავა, სამხედრო „ბატარეები“ ყველგან იდგნენ. ასე ველოდით „ყუბანის არწივებს“...

2 თებერვალს დილის 4 საათისთვის კაზაკებმა პირველად შემოგვიტიეს, რაც მათი დიდი დანაკარგით დასრულდა, მაგრამ უკან ნამდვილად არ დაუხევიათ, პირიქით, 9 დღე-ღამის განმავლობაში მთელი შემართებით გვიტევდნენ. კაზაკების სადამსჯელო რაზმები განუკითხავად და შეუბრალებლად ხოცავდნენ მშრომელ მასებს. მათ რიგებში ასევე შეიმჩნეოდნენ პატარა ცხენებზე ამხედრებული, ოსური ჯგუფებიც. მტრის მრავალრიცხოვნობის მიუხედავად, ჩვენ მედგრად ვიდექით და საკადრის წინააღმდეგობასაც ვუწევდით. თუმცა ამ წინააღმდეგობით გაღიზიანებულები ახალი ძალებით გვიტევდნენ. მეათე დღე-ღამის შემდეგ უკვე იძულებული გავხდით, უკან დაგვეხია. მიზეზი ტყვია-წამლის გათავება და აუტანელი სიცივე იყო, ჩვენ მთლიანად მოწყვეტილები ვიყავით გარე სამყაროს. ამიტომაც, დარიალისაკენ დავიხიეთ და სოფელ ბალთაში გავჩერდით. ყაზბეგში გავგზავნეთ დელეგაცია თხოვნით, საზღვარზე გადავეშვით, თან ნელ-ნელა საქართველო-რუსეთის საზღვრისკენ მივიწევდით.

ახალი და ძველი ლარსის გადასასვლელთან გაგვაჩერეს. ნახევარ გზაზე ვიყავით ლარსიდან დარიალის ხიდამდე დაშორებული და ოთხი დღე-ღამის განმავლობაში მშივრები და გაყინულები, ტრიალ მინდორში მოუთმენლად ველოდით საზღვარზე გადასვლის ნებას. როგორც იქნა, მეხუთე დღე-ღამის შემდეგ მოგვცეს საზღვარზე გადასვლის ნება და განვაგრძეთ გზა, იმედით, რომ ყაზბეგში თბილი საჭმლით გაგვიმასპინძლდებოდნენ. ყაზბეგამდე მივაღწიეთ, მაგრამ გაურკვეველი პირების მიერ ჩვენი ქონება ელვის სისწრაფით იქნა დატაცებული. ცხელი საჭმლისა და თბილი მოსასვენებლის მაგიერ, ჭუჭყიან საჯინიბოში შეგვიშვეს. სიცივისა და შიმშილის გამო მთელი ღამე არ მოგვიხუჭავს თვალი. ეს ღამე ბევრს მწარედ დაამახსოვრდა...

დილით ერთ მწკრივად დაგვაყენეს და ყოველ ჩვენგანს 150 რუბლი გამოგვართვეს, იმ გზის საფასურად, სადაც ღამის ტყავი გაგვაძვრეს. ხოლო საჭმელსა და პირველადი მოხმარების ნივთებს ცეცხლის ფასი დაადეს. ამის შემდეგ კი გაურკვეველი „ბნელი ძალები“ გამოჩნდნენ, რომლებმაც ჩვენგან იარაღი მოითხოვეს და, იარაღის ნაცვლად, ყველაფერი წაგვართვეს, რაც კი მოეწონათ და ჯიბეში გროშიც არ დაგვიტოვეს. ტანჯვაწამებაგამოვლილი წითელარმიელები გზას განვაგრძობდით. ვფიქრობდით, თბილისს რომ მივუახლოვდებოდით, იქ უფრო თბილად მიგვიღებდნენ. მივედით კობის სადგურთან, იმ იმედით, რომ იქ მაინც მოგვცემდნენ თბილ მოსასვენებელსა და გვაჭმევდნენ რამეს. მაგრამ ამაოდ. ისევ მწარე იმედგაცრუება გველოდა. კობის სადგურის კომენდანტის ცივსისხლიანობის გამო კვლავ ღია ცის ქვეშ აღმოვჩნდით. თბილი მოსასვენებლის ძიებაში ველური მგლებივით დავეხეტებოდით, მაგრამ სამწუხაროდ, ყველგან ერთსა და იმავე პასუხს ვიღებდით: „არ შეიძლება!“ ეს ველური მხეცები — ოსები დაგვცინოდნენ.

შუაღამემდე ხეტიალით დაღლილმა, 12

საათისთვის გადავწყვიტე, კიდევ ერთხელ მეცადა ბედი და თავშესაფარი მეთხოვა. ერთი სახლის კარზე დავაკაკუნე. 60 წლის ოსმა მოხუცმა კაცმა გამიღო. ვთხოვე, სახლში შევეშვი. მოხუცმა მიპასუხა: მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თბილ წამოსასხამს მომცემო. ასეთ მდგომარეობაში მყოფს, უარის თქმის თავიც არ მქონდა და დავთანხმდი. წამოსასხამის გარდა, მასპინძელმა დამატებით, 25 რუბლიც გამომართვა.

დილით ადრე ჩვენი ჯარი ისევ გაუდგა გზას, ჯვრის უღელტეხილით. ამინდი გვწყალობდა. სოფელ მლეთასთან მისულებს, არცთუ ისე მეგობრულად შეგვხვდნენ. უკმაყოფილებას ხალხს გამოხედვაშიც კი შეამჩნევდი, მაგრამ ამისთვის ნამდვილად არ გვეცალა. როგორც იქნა, მოვძებნეთ თბილი მასპინძელი და კარგადაც მოვეწყვეთ, მაგრამ ბედნიერებამ დიდხანს არ გასტანა. 9 საათისთვის მილიციელები გამოჩნდნენ, რომლებსაც თან ორი ოფიცერი ახლდა. ნაბრძანები იქნა, ყველანი ეზოში გავსულიყავით და დავმდგარიყავით ორ მწკრივად. დაგვპირდნენ, რომ მოსას-

ვენებლად, ყაზარმებში გაგვანაწილებდნენ. ბედნიერი იყო ის, ვინც პირველ რიგში მოხვდა, ხოლო ბოლო რიგში მყოფთ მძიმე ხვედრი გვერგო წილად, რადგან ორი საათის განმავლობაში გაუნძრევლად, ერთ ადგილზე ყოფნამ მოგვიწია. ორი საათის შემდეგ ჩვენც წაგვიყვანეს. შევდივართ ყაზარმაში, რომელსაც არც ფანჯარა აქვს და არც კარი და სადაც ხალხის მთელი ჯგროა. მთელი ღამე ვისხედით და თვალი არ მოგვიხუჭავს, დილით კი ისევ გზას გავუდექით.

ანანურის სადგურთან პირველად ვნახეთ ინგლისელები, რომლებიც ძვირფას მუნდირებში იყვნენ გამოწყობილი. უკვე ღამე იყო, მაგრამ ინგლისელებმა არ მოგვცეს უფლება, ღამე ანანურში გაგვეთია, რამაც ძალიან გაგვაკვირვა. ქართველების მიწაზე, განკარგულებას ინგლისელები იძლეოდნენ! მკაცრად იქნა ნაბრძანები, სასწრაფოდ დაგვეტოვებინა ეს ტერიტორია. გამოჩნდნენ ბადრაგები და გაგვყარეს სიტყვებით: სამი ვერსის მოშორებით არის თბილი ყაზარმა, სადაც მშვენივრად მოეწყობითო! დაპირებული თბილი ყაზარმის ნაცვლად, ბინძურ „სარაიაში“ ამოვყავით თავი, ცხვრებივით. ამის შემდეგ კი გაცხოველებული ძარცვა წავიდა: გვართმევდნენ „შინელებს“, ჩექმებს, ფულსა თუ ბეჭდებს, ყველაფერს, რაც მოეწონებოდათ. ხოლო სანამ ადგილობრივ ხელმძღვანელობას მივმართეთ, ეს უცნობი პირები სადღაც გაუჩინარდნენ. არ ვიცი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარისკაცები იყვნენ თუ ჯარისკაცის ნიღაბს ამოფარებული ყაჩაღები. რთული გამოსაცნობია, რადგან მძარცველებს ჯარისკაცის ნაცრისფერი „შინელები“ ემოსათ.

კომენდანტის მიერ დაპირებული თბილი საჭმელი ვერც დუშეთში მივიღეთ. ასე, მშიერი კუჭით მოგვიწია მცხეთამდე მისვლამ. მცხეთაში კი, როგორც იქნა, გვიწყალობეს პური. თბილისამდეც ჩავაღწიეთ, სადაც თავშესაფარი მოგვცეს.

ამით ვასრულებ ჩემს ნარკვევს, რადგან ტიფი შემეყარა და საავადმყოფოში გადამიყვანეს. 1920 წლის 5 ივლისი“

მომზადებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს ჟურნალ „საარქივო მოამბის“ მასალების მიხედვით.

ეუტკრეების „ბაბვრისთვის“ სიკვდილმისჯილნი და მკურნალობა დახვრეტამდე

შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში, საბჭოთა მმართველობის ამსახველი ბევრი საინტერესო და ამავე დროს, პარადოქსული დოკუმენტია დაცული. იმ პარადოქსული შინაარსის მქონე დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ გასული საუკუნის საქართველოში ადამიანებს უმნიშვნელო საბაბით აპატიმრებდნენ და შემდეგ ხვრეტდნენ; ან გამოსცემდნენ სპეციალურ დადგენილებებს ქორწილებსა და ქელეხებთან დაკავშირებით.

მეფუტკრეების საქმე

1937 წლის 26 სექტემბერს, ე.წ. „ტროიკამ“ გამოსცა დადგენილება, რომლის თანახმადაც, მეფუტკრეებს, ვლადიმერ რუდს, ანდრეი პედანს და ალექსი ნაუმოვს, ფუტკრების განზრახ გაწყვეტის ბრალდებით, სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა მიესაჯათ. ვლადიმერ რუდი მხოლოდ იმიტომ დახვრიტეს, რომ მან ფუტკრებს გამოსაზამთრებლად 4,5 კილოგრამი თაფლი დაუტოვა. საბჭოთა საქართველოს სახალხო კომისარიატმა, გამოსაზამთრებელი თაფლის მოცულობა არასაკმარისად მიიჩნია და „ძუნწი“ მეფუტკრე სიკვდილით დასაჯა.

ანდრეი პედანს კი დახვრეტა 40 ფუტკრიდან 28 დედაფუტკრის დაღუპვის გამო მიესაჯა. არადა, ცნობილია, რომ დედაფუტკრების შეცვლა და განაყოფიერების პროცესი საკმაოდ რთული და არაპროგნოზირებადია. ის დიდწილად გარემო პირობებსა და ამინდზეა დამოკიდებული. ამიტომაც 40 ფუტკრიდან 28 ფუტკრის დაღუპვა კანონზომიერია. რაც შეეხება ალექსი ნაუმოვს, მანაც დანარჩენი მეფუტკრეების ბედი მხოლოდ იმიტომ გაიზიარა, რომ მის ფუტკრებს დაავადება ნოზემატოზი შეეყარათ. „ნოზემა“ ფუტკრის ნაწლავებში ცხოვრობს და ამ დაავადებასთან გამკლავება დღესაც კი ფაქტობრივად შეუძლებელია, მით უფრო, 1937 წელს იმ საშუალებებით, რითაც ფუტკრებს იმ დროს მკურნალობდნენ. აბსურდული ბრალდებების მიუხედავად, „ტროიკამ“ მეფუტკრეებს განაჩენი გამოუტანა და სამივე დახვრიტეს.

პროექტი — „ურვადისა და ხსოვნის დღის შესახებ“

რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, უბრალო ადამიანების ყოველდღიური ყოფა-ცხოვრების დეტალები, წეს-ჩვეულებები, მაღალი პოლიტიკური ეშელონების განხილვის და მსჯელობის საგანი ყოფილა. საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1923 წლის 16 აპრილის სხდომის ოქმში ვკითხულობთ, რომ ცეკამ დაამტკიცა პროექტი — „ურვადის და ხსოვნის დღის შესახებ“. დადგენილების თანახმად, ყველა ფორმით და სახით გაუქმდა გამოსასყიდი საპატარძლოსთვის. პატარძლის კაბის საყიდლად საჭირო ხარჯები სანახევროდ სიძეს დაეკისრა. ქორწილის ხარჯებს კი, პროექტის თანახმად, საპატარძლოს ოჯახში, პატარძლის ოჯახი გასწევდა, ხოლო სიძის ოჯახში — სიძის ოჯახი. სასიძოს ოჯახის მიერ საპატარძლოს ოჯახისადმი გაღებული ურვადი მთლიანად დაექვემდებარებოდა კონფისკაციას, საზოგადოებრივი საჭიროებისთვის. ასეთივე საზომით დაჯარიმდებოდნენ ურვადის მიმღებნი.

ამავე დადგენილების თანახმად, ქელეხი, როგორც მავნე გადმონაშთი, უქმდებოდა ყველა სახით და ფორმით. დაკრძალვის დღეს მიცვალებულის ოჯახის წევრებს უფლება ეძლეოდათ, გაეწიათ მხოლოდ შემდეგი ხარჯები: დაეკლათ არა უმეტეს ორი სული წვრილფეხა საქონლისა, დაელიათ არა უმეტეს ხუთი თუნგი სპირტიანი სასმლისა. ამ შემთხვევისთვის სრულიად ეკრძალებოდათ ლუდის მოხარშვა და ყურძნის ღვინის ყიდვა. ამ დღის გარდა, მიცვალებულის მოსახსენიებელი სხვა დღეების აღნიშვნაც იკრძალებოდა. აქვე აღნიშნულია, რომ წინამდებარე დადგენილების დამრღვევნი, მიცემულნი იქნებოდნენ პასუხისგებაში, როგორც საბჭოების ყრილობის დებულებების დამრღვევნი.

ჯერ უმკურნალეს, შემდეგ დახვრიტეს

მსჯავრდადებული ლუკა ბოლქვაძე, რომელიც საბჭოთა მთავრობას სხვა სიკვდილმისჯილებთან ერთად, 1925 წლის 19 დეკემბერს უნდა დაეხვრიტათ, სიკვდილს დროებით, ჯანმრთელობის გაუარესების გამო გადაურჩა. ბოლქვაძეს სასწრაფო ოპერაცია გაუკეთეს, უმკურნალეს და ჭრილობების მოშუშების შემდეგ დაახლოებით ორ კვირაში მაინც დახვრიტეს.

ვაჟა გიგაშვილი

დასაწყისი იხ.
„გზა“ №18-23

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება
შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

— ლეო გქვია, ხომ? რა გვარი ხარ? — ჰკითხა გივიმ. კაფანდარამ თავი დააქნია და თქვა:

— უკლება.

— გურული ხარ?

— ჰო, ვიყავი...

— რა? აღარ ხარ? — ჰკითხა ნოდარმა.

— რა ვიცი. გურიაში არავინ მყოლია და არც ვყოფილვარ, — გაჩუმდა და ისევ ისე, დადარაჯებული ქორივით მიაჩერდა ნოდარს და გივის, ორივეს ერთად. მერე უცებ თქვა, — რატომ პოლიციაში არ ჩამაბარეთ?

— რა იყო, გინდოდა? თუ პოლიციაში გინდა, გამოეცხადე ჟორიეს და ის ჩაგაბარებს! — თქვა ნოდარმა. პაუზის მერე ჰკითხა, — ნაომარი ხარ?

— კი.

— „მხედრიონში“?

— არა. ყარყარაშვილთან ვიყავი ბოლოს.

— კაცი მოგიკლავს?

ლეო დაიძაბა, ქვეშიდან გამოხედა ნოდარს. მერე თქვა;

— ქალიც.

— ქალი რატო?

— ბაევიკებში იყო. ერთად მოიცელენ.

— უმუშევარი ხარ?.

— კი...

— ტარება იცი?

— კი.

— პრავა გაქვს?

— მაქვს.

— ჩვენთან იმუშავებ, დაცვაში. ჯოტოს ჩაგაბარებ. გეტყვის, რაც საჭიროა, აგიხსნის. რაღაცებში შეგამოწმებს. საწყენი არაა. მერე მიიღებ იარაღს და ტელეფონს. შენს იარაღსაც მიიღებ. გაწყობს?

ლეო შეიშმუშნა. ვერ გაიგებდი, გაუხარდა თუ არა. ბოლოს ამოღერღა:

— კი.

ნოდარი წამოდგა მოუთმენლად.

— წავედით, წავედით!

ჯოტომ გამოაცილა ნოდარი და გივი. ნოდარმა დაუბარა:

— მიხედე მაგ ბიჭს. დალიეთ, ილაპარაკეთ. იცი შენ. მე მომწონს, მაგრამ შემოწმება უნდა. გაიგებ, ხომ არ იჩხირავს ან რამე. თეაზე ეტყვი, რო შენი ქალია, ჩხუბი მოგვივიდა და შემომელახა-თქო. ახლა მე თვითონ ვუვლი, აბა, ფანარებით ქუჩაში ხო არ გავუშვებთქო. გყავდეს აქ ჯერჯერობით და გაანათლე, რაც საჭიროა. ჰო, იცოდე, ძაღლებს არ მიაჩვიო!

ჯოტოს გაეცინა:

— ვინა? წუნკლები?! ჩემს მტერს, მაგენი რომ აწი ვინმეს მიეჩვევიან. დრესიროვშჩიკიც რო იყოს, ლომების! აპაჰ!

ნოდარი და გივი ლუდის რესტორანში, ხის მაღალზურგიანი ტახტებით შემორაგულ ნიშაში ისხდნენ. წინ დიდი, საფირმო კათხები ედგათ, „ბავარიულის“ ემბლემებით. ოფიციანტიც გამოჩნდა ცხელ-ცხელი ქაბაბებით სავსე ლანგრით. ნოდარმა მონადირე ძაღლივით ცხვირით მოქაჩა ჰაერი იმ მიმართულებით:

— უჰ, უჰ! რა სუნია! იქიდანვე ურტყამს!

ოფიციანტმა ლანგარი მაგიდაზე დადო, გვერდში ჯამიც მოუდგა დაფქული, წითელი სუმახით სავსე. ნოდარმა ქაბაბი აიღო, ლავაში გახსნა, შიგ მუჭით თუთუბო ჩაყარა, ისევ შეახვია და ჩაკბიჩა.

— იფ, იფ, რა არი! მიდი, მიაწექი!

გივიმ აიღო, მოკბიჩა, უხალისოდ გაღეჭა და დადო. ისევ ლუდი მოიყუდა.

— ჰაა, რა მოგივიდა? — შეუტია ნოდარმა.

— მართალი გითხრა, აღარ მინდა. გადამიარა. იმდენი ლუდი დავლიე, რომ ჭამა აღარ მინდა.

ნოდარი გამალებით ამუშავებდა ყბებს, თან ლუდს აყოლებდა. პირგამოტენილმა უთხრა:

— შენ არ მომიყვანე, კაცო, იშტაზე? ახლა მიტეხავ?!

გივიმ გაიცინა:

— შენც უცებ არ გაგიტყდეს! მადა არ დაკარგო! მიდი, კაცო, ჭამე გემრიელად. მე რას მიყურებ!

— მაშ! აბა, როგორ! მე ამის გამშვები ვარ?!

გივიმ ლუდი მოსვა და ტყავის საქაღალდე მოიჩოჩა. თქვა:

— თან საქმე! — და ქაღალდები ამოალაგა, ნოდარს დაუდო. — ნაშინდარის ამბავი, ზურია გამგებლის ჩამოტანილ შუამდგომლობაზე შენი ვიზა დავადე. სმეტაც გავაკეთებინე. ექვსი კილომეტრია.

ნოდარმა ცალი თითი ხელსახოცით გაიწმინდა, შუამდგომლობაზე ხელმოწერებით სავსე ქაღალდები მისწია, ქაღალდებს დაუწყო თვალიერება. მეორე ხელით კიდევ ქაბაბი აიღო, ჩაკბიჩა. სავსე პირით თქვა:

— ჰო, კარგია!

— მაგასაც დაადე შენი თანხმობა. დღეს ფინანსურ საბჭოსაც გავაკეთებინებ.

— სასამართლოსთვის საბუთების საქმე როგორაა?

— საკუთრების დამადასტურებელი პირდაპირი საბუთი ჯერ არა მაქვს. ერთიორი ირიბი საბუთია, ძველი გუჯარი ამირეჯიბებთან დავის შესახებ. იქნებ იქ აღმოჩნდეს, ნაშინდარში რომ არქივი ყოფილა. ამოღებული მაქვს ექსპროპრიაციის აქტის ასლი, ნოტარიუსის დამოწმებული. ის გაზეთიც, ჩამორთმეული მამულების სია რომაა გამოქვეყნებული.

— უყურე მაგათ! სიებსაც აქვეყნებდნენ, ბოლშევიკები?

— მაშ, აბა, როგორ! — გამოაჯავრა გივიმ ნოდარს. — პროლეტარიატის გულის მოსაფხანად! ეგ სიები, რომ იცოდე, ძალიან საჭირო დოკუმენტია დღევანდელი სასამართლოსათვის. ვისი ხელით მოხდა ექსპროპრიაცია? ვინ იყო ბოლო მფლობელი? ვთქვათ, დაკარგულია გაყიდვა-შესყიდვის აქტები. ეგ სიები უტყუარი საბუთია. შენი საგვარეულო კია, მაგრამ იქნება შენმა წინაპრებმა სარქისიანცს ანდა კაზარიანცს მიჰყიდეს? ჰოდა, ბოლშევიკებმაც თქვენ კი არა, კაზარიანცს უქნეს ექსპროპრიაცია.

— ჰა-ჰა-ჰა! — გაიცინა ნოდარმა. — მომწონს ეგ შუტკა ხო იცი! მე რო ვყოფილიყავი, უეჭველად მივყიდდი ვინმე სარქისიანცს წითლების მოსვლის წინ ყველაფერს! — შეყოვნებით დაამატა: — თუ მეცოდინებოდა, რო მოდიან.

გივიმაც გაიცინა:

— მაგაზე ბოდიში და, სარქისიანცებს უკეთესი ყნოსვა ჰქონდათ, ვიდრე ჩვენს კნიაზებსა და გენერლებს. ოღონდ, კაცო, ეგეთი ამბებიცა გვხვდება: კნიაზ ფალავანდიშვილს დიდი ვალი აქვს აღებული ვინმე სუნდუკიანცისაგან, თამასუქით, უსინდისო, მხეცური პროცენტით. გირაოში მამულია ჩადებული.

დრო გადის, ფალავანდიშვილი გრიალებს, პროცენტები გროვდება. სუნდუკიანცი ხელებს იფშვნეტს, მამული მისი ხდება. მერვედ ფასში! მოგებას ანგარიშობს და ამ დროს — პუპლუზ! შემოვიდნენ წითლები, ატყდა დავიდარაბა! ფალავანდიშვილს დაშხუილებული აქვს და შაგრიალებული მთელი ეგ ფული. მამული აღარა აქვს. ვიღა რაღას წაართმევს? ვის შერჩა? ფალავანდიშვილს! რა შერჩა? გრიალი! ეგეთი მაგალითიც ბევრია.

ნოდარმა გადაიხარხარა:

— ვა-ჰა-ჰა-ჰა! ვენაცვალე ფალავანდიშვილს! ღმერთმა შეარგოს!

— იმ მომენტში კი შეარგო, მაგრამ მერე დახვრიტეს, 24-ში.

— ეჰ, ბოლშევიკები რამეს შეგარჩენენ?! — ისე ნაღვლიანად თქვა ნოდარმა, თითქოს ეს წუთია, ახლობლის უბედურება შეატყობინესო. — კარგი! შენობაზე რაო?

— რა და, შიგ მაშინვე რევკომი მოუწყვიათ. მერე თემსაბჭო. მერე სკოლად როდის გადააკეთეს, აღარ ვიცი. გამგეობა ახლა სოფლის ცენტრშია, ცალკე — პატარა შენობაში.

— რატომ?

— მაგ კი იცი, შენ! ზურიამაც გითხრა, გამგებელმა. სკოლის ოთახების გარდა, ყველა შიდაგადახურვა ჩაქცეულია ანდა ავარიული.

მთელი ამ ლაპარაკის დროს ნოდარი ბეჯითად ანადგურებდა ქაბაბებს და ლუდიც ორჯერ მოატანინა.

— მაგ ყველაფერი დასაანგარიშებელია. გაგზავნე მშენებლები წინასწარ მოსათვლელად, — თქვა ნოდარმა.

— მაგას მოვასწრებთ. ჯერ არაა საჭირო! ჯერ გზის ამბავი.

— არა! უკან დამხევი მე არა ვარ! ისე, მაინტერესებს.

— გააჩნია, სასამართლოს ხარჯი რას დაიკავებს. თუ იმდენი დაჯდა, რაც პირდაპირ შესყიდვა?

— არ არსებობს! გინდაც მეტი დაჯდეს, სასამართლოთი დაბრუნებული მინდა მე! სხვა ეშხია: ოფიციალურად დაბრუნებული საგვარეულო საკუთრება.

— სასამართლოსთვის სოფლიდან წამოსულ მხარდაჭერის საბუთებს უნდა დაველოდოთ. ეგ გზის დაგების მერე გვექნება.

— ჰოდა, დავაჩქაროთ! იქნებ დღესვე გააკეთო კონტრაქტი გზის ხალხთან?

— ვნახოთ.

— რამდენ დღეში მორჩებიან, ჰა?

— დიდი არაფერი! ერთ-ორ კვირაში მორჩებიან, თუ მივაყრით.

— ჰოდა, მივაყაროთ! მაშ როგორ!

— შენ ახლა რას აპირებ?

— მაქ ორი-სამი მისახედი საქმე. მაგიტო წამოვედი ჩემი მანქანით. ისე, თუ შენ გინდა, სადმე გადავბარგდეთ და გავაგრიალოთ ეს დღე. ერთი კაი ადგილი მაქ უზურში.

— აჰ, რას ამბობ! — გივი წამოდგა, ხელი აიქნია. — გადაუდებელი საქმეები მაქვს, შენიც და სხვაც! შენ თვითონ არ თქვი, დავაჩქაროთო?

— აუჰ, მართლა, კაცო! შენ რო არ მყავდე, რა მეშველებოდა, შე ბემურაზო!

— კაი, კაი! ზედმეტად ნუ გაიაბდლეებ თავს! ვიცი, რა ბულდოგიც ხარ. თუ რამეს ყბა ჩაავლე, ველარ გაგაგდებიებს მამალი ეშმაკი.

ნოდარი ფხიზლად, დადარაჯებულად მიაჩერდა:

— მერე?

— მერე ის! ფერი ფერსა, მადლი ღმერთსაო! მეც მაგიტომ ვარ შენთან, — და ისევ გამოაჯავრა ნოდარს, — მაშ, აბა როგორ!

— მაშ, აბა როგორ! — წამსვე უპასუხა ეშმაკურად თვალებწამონთებულმა ნოდარმა და ისიც წამოდგა. — წავედით!

გივიმ ოფიციანტს ფული გადაუხადა და გასასვლელისაკენ წავიდნენ. გივიმ გზაზე ტუალეტისაკენ გადაუხვია და ნოდარს უთხრა:

— ნუღა დამიცდი! აქეთ გავისეირნებ.

— ვიცი, რასაც გაისეირნებ! — მიაძახა ნოდარმა. — ვიდი უნდა შეიმოწმო სარკეში! ბეწვი რომ არ გქონდეს უადგილოდ! რესპექტ!

მაგრამ გივის აღარ მოუხედავს და ნოდარმა თავისთვის დაამატა:

— ისე, სწორია! საქმისთვის მასეა საჭირო, — და გარეთ გავიდა.

პისუართან მიმდგარ გივის ზურგიდან მოესმა:

— ბატონ გივის ვახლავართ!

გივიმ მიიხედა და კაზინოს პატრონი ჟორა დაინახა. პიჯაკმოღეღილი, გაშუშებული თვალებით იდგა და ოდნავ შესამჩნევად ქანაობდა.

— ბატონ ჟორას გაუმარჯოს! კარგად მოგისწრია დილიდან! ღმერთმა შეგარგოს!

ჟორა გვერდით პისუარს მოერგო და განაგრძო:

— კიი, აბაა! სულ კაი ბიჭები ვართ. „ალგამბრადან“, „ზიპრიდან“, „რომბიდან“, „იაგანიდან“, „რანდევუდან“ და...

— ბიჭოს! აბა კაზინო-სხადნიაკი მოგიწყვიათ და ეგ არი!

— კიი! სულ კაი ხალხი! და უკმაყოფილოა ხალხი და... სუყველა.

გივიმ გააწყვეტინა:

— ახლა ფსმის დროს ნუ მომიწყობ დისკუსიას, ჟორიე ჩემო! — და მკაცრად დაამატა: — მაგაზე ლაპარაკი დამთავრებულია! ნე პოდლეჟიტ ობსუუდენიუ!

— რავა?

— ასე! ისე შენი ძმობის გულობიზა, კიდევ დაგიჯდები და აგიხსნი, თუ ვერ გაიგე. ოღონდ ფსმას რომ მოვრჩებით და პახმელიაზე რომ გამოხვალ, მერე.

— პახმელიაზე ქე გამევედით! გუშინ შევუბერეთ უბედურად! დღეს პახმელიაზე გამევედით, აბა რა ვქენით, ჩემო გივო ბატონო?! ჰოდა, გამევედით პახმელიაზე და ისევ შევუბერეთ, აბაა! სუ კაი ბიჭები არიან. „ალგამბრა“, „ზიპრი“...

— ჰოდა, აგაშენოთ ღმერთმა! — გააწყვეტინა გივიმ. პირსაბანებთან იდგნენ, გივიმ ხელები დაიბანა, სარკეში შეიმოწმა წარბები, თმა,

ულვაში, ჰალსტუხი და ტანსაცმელი. ჟორას საპონი ეკავა და ლაპარაკისას აქეთ-იქით აქნევდა.

— ჰოდა, შენთან ლაპარაკი მიჯობს მე, ჩემო გივო ბატონო! ასე ვფიქრობ მეე... და ბიჭებმაც მასე...

— აჰ, არ გიფიქრიათ მაგ სწორად! — ისევ გააწყვეტინა გივიმ. — მე ბოლომდე გამთვლელი კაცი ვარ. სანამ ბოლომდე არ გავთვლი, არაფერს ვამტკიცებ. თუ დავამტკიცე, მერე ნაბიჯს ვერ წამადგმევინებს უკან კაციშვილი. ჰოდა, ეეე, ნოდარი სხვანაირია! ხომაა ფინთიხივით? აფეთქდება უცებ, დალეწავს იქაურობას, ხომ? მეორე წუთში შეიძლება ისე შეეცვალოს გუნება, ვეღარ იცნო. განწყობის კაცია. თუ წამოუარა, შეიძლება ქონება გადააყოლოს განწყობას. მაგიტომაც არ ვუშვებ მარტოკას საქმიან ლაპარაკზე.

ჟორამ საპონი გაიქნია და გაიღმიჭა:

— არ მჯერავს მე მაგი! არაა მაგ მაგის კაცი!

— რისი კაცი?

— არაა მაგ მაგისი კაცი. ნამდვილად ვიცი მე! არაა მაგ მოთამაშე და მომკალი, თუ გინდა.

— როგორ?

— ასე, ა! არ უთამაშია არასოდეს! არ მინახავს არასდროს, ერთი სტავკა გეეკეთებიოს რამეზე ნა დილიხორ! არაა მაგ ფულის გამრისკავი კაცი! არაა აზარტნიკი კაცი და მომკალი, თუ გინდა!

— შენ, ჟორიე, რისკი და აზარტნიკობა ლოტოს კოჭის, ფუ, ბოდიში, რულეტის შარიკის და კამათლის მეტი არ იცი? სხვანაირი რისკი და აზარტი არაფერი გაგიგონია ქვეყანაზე?

— აპა, ახლა...

— აპა, ახლა დევიშალოთ ჯერჯერობით, ჩემო ჟორიე! მაგვიანდება მე.

— ჰოდა, აპა, სადაა ახლა ის?

— ვინ? ყაფლანიშვილი?

— ჰო, ნოდარი. სადაა ბატონი ნოდარი? — და უეცარი გაბრაზებით დაამატა: — ჰოდა, კიდო, ის ქალი სადაა? თეა, კაცო!

— წავიდნენ! წავიდნენ ჩაქვში! თუ მახინჯაურში თუ ბათუმში! იქნება ხოფამდეც ქე გაუტიონ, რა ვიცი?! წეიკანიკულებენ ერთ კვირას. შენ რა გაწუხებს, მაგალითად?

— რავა?! სამსახური?! ჩემი დიასახლისია მაგ კაზინოში! მერე მამა ყავს მაგას ინვალიდი, ქუთაისში.

— მოუვლიან ყველაფერს, შე კაცო! არაა მაგ აწი შენი სადარდებელი, ძამიკო!

ხელი აუქნია და აღარ დალოდებია პასუხს, სწრაფად გავიდა. ნიკაპჩამოვარდნილმა, გაშტერებულმა ჟორამ მზერა გააყოლა, ვერ მოასწრო სათქმელის მოფიქრება.

— ბიჯოო! — დაიხედა ხელზე. საპონი დაინახა და გაცეცხლებულმა სთხლიშა კედელს.

სვიტერსა და სპორტულ რბილ შარვალში ჩაცმული, თავშეხვეული იორამი დიდ ტახტზე მიწოლილიყო. თვალის უპეები ჩაშავებული ჰქონდა, ლოყები — ჩაცვენილი. დაბალი მაგიდის გადმოღმა, სავარძლებში ისხდნენ მნახველები — ძველი მეგობრები — დიდი, ზონზროხა გოგიტა (ზეინაბს რომ თეფშები გამოუგზავნა), თავისი ხაზგასმულად ელეგანტური ცოლით — სალომეთი და კიდევ ორი ქალი. იყო ხმამაღალი ლაპარაკი და სიცილი. ტელევიზორიც გრიალებდა. ზეინაბმა დერეფნიდან დაიძახა:

— იორამ, შენი ექიმი მოვიდა, გაიოზია! — და შემოუძღვა მათივე ასაკის წვრილულვაშიან, თხელ მამაკაცს, ეტყობა, ამავე წრის ახლობელს, რადგან შემობიჯებისთანავე ყველას დაუტატანა:

— რა ხდება აქ, რა ამბავია?! რა დროს სვეტსკი რაუტებია?! რა გაყაყანებთ?! ამ კაცს სრული სიწყნარე სჭირდება! — და შეუჩერებლად გადაიტანა იერიში იორამზე. — შენ, ძმაო, მივქარე, საავადმყოფოდან რომ გამოგიშვი? დავუჯერე მეც ამ ზეინაბს! გითხარი თუ არა, ოთხი დღე კიდევ გაუნძრევლად უნდა იწვე-მეთქი?! უტკაზე პრანჭიაობა არ დაიწყო, ტუალეტში გაბოდიალება არ გაბედო-მეთქი?!

— დღეს პირველად გადმოვიყვანე ამ ტახტზე. ტელევიზორის ყურება მინდაო და რა მექნა? — თქვა შეშინებულმა ზეინაბმა.

— ტუალეტშიც დაბოდიალებს ხომ?

— პატარაზე არა, ოღონდ დიდზე არაფრით არ გაჩერდა, კინაღამ გადაირია. რა მექნა? მაგრამ სულ ორჯერ დასჭირდა ამ სამ დღეში, — თითქმის ტიროდა ზეინაბი.

— თქვენ გენაცვალეთ, სულელები ხომ არა ხართ ორივე ცოლ-ქმარი?! რა ბავშვებივით იქცევით?! თამაშობა ხომ არ გგონიათ? რა შედეგების დატოვება იცის კომოციომ, არ იცით? ჩუბიკას რა დაემართა, არ გაგიგონიათ?

— ჩუბიკას?! — აღელდა ერთ-ერთი ქალი. — ჩუბიკასაც თავს დაესხნენ?!

— არა, არა! ეგ ადრე იყო. ჩუბიკა დაეცა! — დაიძახა გოგიტამ.

— სად დაეცა?

— ყინულზე! ფეხი მოუცურდა, იტანცავა. ორივე ხელი ქურთუკის ჯიბეებში ჰქონდა გათხრილი. ამოღება ვერ მოასწრო და კეფით დაასკდა ეს ლეოპარდივით კაცი, სპორტსმენი.

— ჰოდა, ეგ ლეოპარდი და სპორტსმენი, — სიტყვა ჩამოართვა გაიოზმა, — ორ დღეზე მეტი ვერ გააკავეს ლოგინში. არაფერი მტკივაო! გართულება მიიღო თვალებზე! ორ წელიწადს მკურნალობდა, გადაჰყვა. თუ დრო და თუ ფული! ძლივს გადარჩა დაბრმავებას.

ამ დროს დერეფანში ტელეფონმა დარეკა და ზეინაბი გაიქცა, ყურმილის ასაღებად.

გაიოზი იორამს მიუბრუნდა და დაუფარავი ბრაზით აჯახა:

— შენ, ძმაო, აქ მე და კომოციოს რას გვევაჟკაცები?! საცა საჭიროა, იქ ივაჟკაცე!

დაინახა, რომ იორამს თვალები გაუფართოვდა, არაფერი უთქვამს, მაგრამ კიდევ უფრო გაფითრდა და ლოყებიც კიდევ უფრო ჩაუცვივდა. გაიოზი შეცბა და გამოსწორება სცადა:

— არა, იმ ამბავზე კი არ გეუბნები! რას იზამ? უკნიდან მოგეპარნენ, რა უნდა გექნა? საერთოდ ვამბობ! აგერ, თუ გინდაც, ამაზე ვამბობ! აქ გამოიჩინე ვაჟკაცობა! მოითმინე! რას კაპრიზობ ყვინჩილასავით?!

ამ დროს ზეინაბი ტელეფონზე ლაპარაკობდა. რეკავდა ნოდარ ყაფლანიშვილი.

— რა? არ გაგიგია?

— არა, კაცო, საიდან? სოფელში წასვლაზე ვაპირებდი შეთანხმებას. კაი, კაი! მოვალ და ისე მომიყევით.

ზეინაბი ოთახში დაბრუნდა. გაიოზი განაგრძობდა სტუმრების დაწიოკებას:

— თქვენ, ძვირფასებო! მეტისმეტად ნუ გავახურებთ სტუმრობას. თან სიგარეტსაც აფუილებთ ქალიან-კაციანად, — და უცებ შეშფოთებით მიუბრუნდა იორამს, — შენ ხომ არ მოგიწევია?!

— არა, — თქვა მოკლედ იორამმა.

ზეინაბმა თქვა:

— ნოდარ ყაფლანიშვილი მოვა ახლა.

— ამდენი სტუმრობაც არ შეიძლება! ყველაფერზე როგორ ვიყაყანო? შენ, იორამ, დარჩები მაგ ტახტზე! ორი დღე მაინც იწექი ისე, რომ არ ადგე! აბა ჩვენ კი დავიძარით ერთად! — სტუმრებს მიუბრუნდა გაიოზი.

წამოიშალნენ, დამშვიდობებით, ლაპარაკ-ლაპარაკით გაიკრიბნენ დერეფანში. დარეკა კარზე ზარმა, ზეინაბმა გააღო და ყაფლანიშვილმა კარშივე მიაჩერა დიდი თაიგული, შემოვიდა და იქვე მიაწყო რომელიღაც მარკეტის ორი მოზრდილი საფირმო ბოხჩა.

— ასეც ვიცოდი! ჩემი მოსვლა გეწყინათ! — თქვა ნოდარმა.

— ჩვენ უკვე დიდხანს ვიყაყანეთ, მეტი მოუვა! — უთხრა გაიოზმა.

— რა მოხდა ბოლო-ბოლო?

გაიოზმა იორამზე აჩვენა:

— მაგას ნუღა მოაყოლებ! ზეინაბმა გიამბოს ცალკე. სერიოზულად ვამბობ!

— სად მოხდა? — იკითხა იორამთან მარტოდ დარჩენილმა ნოდარმა.

— ისევ იმ ბაზრობაზე ვიყავი.

ნოდარმა ხელი დაირტყა მუხლზე:

— აუჰ, ბიჭო! რა გინდოდა იმ ტილიან ბაზრობაზე?!

იორამმა ისეთი გაბეზრებით გამოხედა, რომ ნოდარმა იგრძნო, არ სიამოვნებდა ლაპარაკი. ხელით ანიშნა, გაჩერდიო.

— კაი, აღარაფერი თქვა! შენი წაყვანა მინდოდა ნაშინდარში, მაგრამ არა უშავს. მოესწრება, გადავდებთ! შენი თვალით მინდა შეხედო. მაინტერესებს, რას იტყვი ისტორიკოსი კაცი.

ზეინაბმა კარი დაკეტა. ნოდარი წამოდგა, იორამს უთხრა:

— შენ დაისვენე ცოტა ხანს. ზეინაბს დაველაპარაკები. მერე ერთად ვუყუროთ უეფას.

სამზარეულოში მიუსხდნენ მრგვალ მაგიდას. ზეინაბმა მოუთხრო მომხდარი და ასე დაამთავრა:

— და თითქმის, რა ვიცი, ორი თუ სამი საათი ეგდო ეს საცოდავი უგონოდ, ნაცემი, უპატრონოდ, იმ სიბინძურეში, იმ შუა ბაზრობაზე, რია-რია ხალხში. ორი-სამი საათი ისე გდია კაცი, რომ ვერავინ ამჩნევს! წარმოგიდგენია?! — ცრემლები წასკდა, ხმა აუკანკალდა. — ესაა ქვეყანა? ესაა ხალხი? ასე დაუცველი უნდა იყოს ადამიანი? ასე უმწეო?.

ნოდარს ირიბად გაეცინა. მსხვილი, გრძელი თითები მაგიდაზე აათამაშა. მერე, თითქოს დააგვიანდა და ახლაღა გაახსენდაო, გამალებით ებღღვნა სიგარეტს, მოუკიდა და გააბოლა. ირიბად და მწარედ გაღრეჭილმა უთხრა ზეინაბს:

— ეჰ, ჩემო ზეინაბ, რას იზამ?! მაგაზე უარესები ხდება ყოველდღე შიგ შუა ნიუიორკში, დემოკრატიისა და წესრიგ-სამართლის ციტადელში, ხო? შენ ამ გაღლეტილ, დამშეულ, გამოტვინებულ პოლიციას რა უნდა მოსთხოვო? ვერ მოსთხოვ! არ შეუძლია და აჰა! კაცს თვითონ უნდა ჰქონდეს თავის დაცვის შნო და უნარი და დანარჩენი მერე მოიკითხოს. ჩემი მტერი იქნა სხვის იმედზე! მაშ, აბა როგორ!

ზეინაბს ზედა ტუჩი აებრიცა, თვალებში უნებურმა ბრაზის ნაპერწკალმა გაიელვა. რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ დამუხრუჭდა, მხოლოდ იკითხა:

— როგორ?

ნოდარმა იგრძნო, რომ რაღაცა საწყენი გამოუვიდა და შეაშველა:

— კაცო, ახლა მე ის კი არ მითქვამს, მაინცდამაინც ყველა კარატეს ჩემპიონი უნდა იყოს-მეთქი, მაგრამ... — შეყოყმანდა, კიდევ რამე არ ვაწყენინოო. მაინც თქვა: — მაგრამ, როგორ წაჰყვა, კაცო, ვიღაცა ბანძ ნაბიჭვარს რაღაცა მოსახვევებში?!

ზეინაბმა გამჭოლად გახედა ნოდარს და მისთვის ჩვეული შთამაგონებელი და დამარწმუნებელი ტონით უთხრა:

— ასეთი ბუნების ადამიანია, ნოდარ! სჯერა ადამიანების, ენდობა! ხომ არ შეიძლება, ყველგან მხეცობასა და ბოროტებას ხედავდე მხოლოდ? ბოლოს და ბოლოს, მეოცე საუკუნე დამთავრდა და ხომ იცვლება რაღაც ადამიანებში?

ნოდარმა მწარედ და სარკასტულად გაიცინა:

— რა იცვლება, ჩემო ზეინაბ, რა შეიცვალა?! მთავარი და ძირითადი არაფერი შეცვლილა! მამაკაცის მთავარი მოვალეობა! რა იყო მამაკაცის მთავარი მოვალეობა ოცდაათი საუკუნის წინ? ოჯახის გამოკვება, სახსრის შემოტანა, დაცვა მტრებისაგან, ხო? რაც ცუდად დევს და ცუდადაა დაცული, ყოველთვის გამოუჩნდება წამგლეჯი და გამტაცებელი, ხო? ჰოდა, რა არი მამაკაცის მთავარი მოვალეობა დღეს? იგივეა, იგივე! რა შეიცვალა, ვითომ? განსხვავება ისაა, რო მაშინ თუ სისხლიან ჯიხვს მიათრევდა სახლში, ახლა კომპიუტერს აჭერს თითს და მრგვალ-მრგვალ თანხებს რიცხავს თავისი ოჯახის ანგარიშზე. ხო ხედავ? შინაარსი არ შეცვლილა. მთავარი იგივეა! მაშ, აბა როგორ!

ზეინაბი, ცოტა არ იყოს, შემცბარი და გაკვირვებული მისჩერებოდა ნოდარს. ჯერ ვერაფერი მოენახა საპასუხო. მოხდენილი შთაბეჭდილებით კმაყოფილმა ნოდარმა ღიმილით გააგრძელა:

— ნადირობა გრძელდება, ზეინაბ! ნამდვილი მამაკაცი მონადირე უნდა იყოს, მომპოვებელი, მომტანი! იყო და ასე იქნება კიდევ, რა ვიცი, რამდენ ხანს! ნადირობა გრძელდება! მაშინ თუ ჯიხვსა და დათვზე ნადირობდნენ, ახლა მწვანე დოლარებზე ნადირობენ! მაშ, აბა როგორ! — შეჩერდა, სიცილით გადაადგო უკან კისერი და გააგრძელა. — მართლა, კაცო! მელია რო მელიაა, ისიც მაგას აკეთებს! ამას წინათ ტელევიზორში ვნახე. გავგიჟდი, ისე მომეწონა. რას შვრებოდა, იცი, მამალი მელია? სანამ დედალი სოროში იწვა და ბრმა ლეკვებს ძუძუს აწოვებდა, უზიდავდა და უზიდავდა ქათამს, ჩიტს, თაგვს, ბაჭიას. მოუტანდა, დაუდებდა წინ და ისევ სანადიროდ მიდიოდა. ხო არი, ახლა ეს მელია ნამდვილი მამაკაცი? არი, აბა რა! ვენაცვალე ჯიგარში! ეგაა ბუნების, ცხოვრების კანონი, ძმაო! გინდა სამასი საუკუნე გავიდეს! მოგწონს, არ მოგწონს, ეგრეა და რას იზამ? ვისიაფანდოთ? მოიგონე, რამდენიც გინდა, სხვადასხვა კამუფლიაჟი! ვერ დამალავ! ცხოვრება თავისას გაიტანს!

ზეინაბი იჯდა დაბნეული. გრძნობდა, რომ შეირყა მისი შინაგანი სამყარო ამ მოულოდნელი, ბრუტალური კონცეფციის შემოტევისაგან. შეირყა იმიტომ, რომ იგრძნო ამისი სასტიკი რეალობა, მაგრამ მთელი მისი არსება აიქოჩრა წინააღმდეგ, არ შეეძლო და არ უნდოდა ამისი ახლოს მიშვებაც კი და გამწარებული ეძებდა ურყევ კონტრარგუმენტებს, მაგრამ ჯერჯერობით ვერ პოულობდა. ამიტომ შინაგანად გაკაპასდა, არეულად ალაპარაკდა:

— არაა ასე! ასე რომ იყოს... მაგაშია ატავისტური ლოგიკა, მაგრამ ადამიანმა მხეცობიდან გზა გამოიარა. არაა ასე! ათასი ვარიანტი და ნიუანსია, ცვლილება... ისეთი, რომ... — გრძნობდა, რომ ვერ პოულობდა სწორ არგუმენტებს და ენა დაება.

ნოდარმა ხელად გააგრძელა:

— ცვლილებებზე ხო ვთქვით. ნიუანსი და ვარიანტი, აბა რა! მაგრამ მთავარს ვერაფერი ცვლის! — გახსნილ პიჯაკში, ათლეტურ ტორსზე, ქამრის ზემოთ დაირტყა ხელი. — აქ რო მოგქაჩავს, ეგ ვარიანტები და ნიუანსები ისე ქრება, აღარც გახსენდება. რა დროს ეგაა, როცა გლეჯაზეა მიმდგარი საქმე!

— რატომაა მაინცდამაინც გლეჯაზე მისული საქმე? — კაპასად იკითხა ზეინაბმა.

— ეგრეა და იმიტომ! თუ საქმეა, საქმე ყოველთვის გლეჯაზეა! საქმე ნახევარი ალერსით, ცუცუნ-კუკუნაობით არ კეთდება. მაშინ კუკუდამალობანაა. ვინ დაგაცდის კუკუდამალობანას?!

ზეინაბმა დააპირა კიდევ შეპასუხება, მაგრამ ისევ ვერაფრით მონახა ძლიერი და გამანადგურებელი კონტრარგუმენტი, გრძნობდა უმწეო გაბოროტებას და მიხვდა, თუ ლაპარაკს დაიწყებდა, უაზრო ლანძღვა-გინება წასკდებოდა და უცებ მოსხიპა ბრაზიანად:

— რა დროს ეგაა! გავიდეთ იორამთან!

ნოდარი უსიტყვოდ წამოვარდა და გაჰყვა დიდ ოთახში. იორამს ჩასძინებოდა. ზეინაბმა გაიხარა:

— დაუძინია! უი, რა კარგია! თვითონ, ძილის წამლის გარეშე! — დაუწყო ბალიშის გასწორება, პლედის შემოკეცვა. ისე დაჰფოფინებდა, სახეზე ისეთი სიხარული, ისეთი ბედნიერი მზრუნველობა ესახებოდა, რომ ამან, ცოტა არ იყოს, გააღიზიანა ნოდარი.

— კაი ჰო! არ გააღვიძო! — წაიბურტყუნა და დაამატა: — ერთი, ყავა დამალევინე და წავედი!

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ჟურნალის საუბარი

„გზის" ერთგული მკითხველისათვის (კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში" სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების" სვეტისკენ არ გაგეჭცეთ თვალი

1. „მე არ ვარ ძალაუფლებისათვის მებრძოლი კაცი. მე რომ ძალაუფლება მნდომოდა, ქვეყანაში არაფერს შევცვლიდი. უფრო დიდი ძალაუფლება, ვიდრე ჩემი თანამდებობის ადამიანს ჰქონდა, მსოფლიოში არავის ღირსებია", — ამბობდა ჟურნალ „პარი მატჩისადმი" 1990 წელს მიცემულ ინტერვიუში ეს ადამიანი. დაასახელეთ იგი.

2. „სელიოდკა", მოხარშული კარტოფილი, ხახვი, არაყი და ლუდი. რას ეძახიან რუსები დილის სუფრაზე თავმოყრილ ამ დიდებულ ჩამონათვალს?

3. დაასრულეთ ამერიკელი მწერლის, ჰენრი ლუის ბენკენის სიტყვები: „მამაკაცებს უფრო დალხინებული ცხოვრება აქვთ, ვიდრე ქალებს. ჯერ ერთი, ისინი უფრო გვიან ქორწინდებიან და მეორეც, ქალებზე ადრე..."

4. მოლიერი რამდენიმე დღის განმავლობაში ავად იყო. ერთ-ერთმა მეგობარმა ექიმიც კი გაუგზავნა, მაგრამ მოლიერმა იგი უკან გაისტუმრა. რა მიზეზით?

5. რა არის თუთქი?

6. ვის ეძახდნენ ძველ რომში სეკუტორს?

7. დაასრულეთ რუსი ქალბატონების ფრაზა: „ვსე მუშჩინი სვინიი, ზა ისკლიუჩენიემ ტეხ, კატორიე..."

8. რა არის ლურთი?

9. რა არის ნაფთევი?

10. დაასრულეთ რუსი მსახიობის, ოლეგ ტაბაკოვის სიტყვები: „პროფესია „მსახიობი" არ არსებობს, ეს..."

11. „როდესაც კაცობრიობას ცოდვები მოეკითხება, მას შეუძლია, ეს წიგნი წარადგინოს თავის გასამართლებლად". რომელი წიგნის შესახებ ამბობდა ამას თეოდორ დოსტოევსკი?

12. ამ ფრანგ მსახიობს (იგი ახლო წარსულში საქართველოს სტუმრობდა), ხალხი ჩე გევარას სულის მქონე კლოუნს ეძახის. დაასახელეთ იგი.

ანეკდოტები

* * *

— მიხო, აბა გამოიცანი: შავია, ბანჯგვლიანი და რვა ფეხი აქვს. რა არის?

— არ ვიცი?

— არც მე ვიცი, მაგრამ კისერზე გაზის და ფრთხილად იყავი.

* * *

მთვრალი კაცი ტრამვაიში ავიდა, გული აერია და გვერდით მჯდომი ქალბატონი სულ დასვარა.

— ღორო! — უყვირა გამწარებულმა ქალმა.

— საკუთარ თავს შეხედე.

* * *

ზუგდიდელი მეგრელი თბილისელ მეგრელს გადაეკიდა:

— მეგრული თუ იცი?

— არა!

— ხოხ, — გადაირია ზუგდიდელი, — სად გაიზარდე, ტყეში?

* * *

— ჩემს სიდედრს არასდროს ვეჩხუბები!

— რატომ, გერევა, შე ჩემა?

* * *

— ალო, ალო! „სასწრაფოა"?!.

— სხვაგან მოხვდით, ბატონო.

— მაპატიე, გენაცვალე, დიდი ბოდიში!

— არა უშავს, ხდება ხოლმე.

— არა, გთხოვთ, სწორად გამიგოთ, უნებურად მომივიდა... იცით, სიდედრი მიკვდება, დათვლილი აქვს წუთები, მე კი სიჩქარეში არასწორი ნომერი ავკრიბე. ხომ არაფერი გეწყინათ? ალალად მითხარით, არ მოგერიდოთ... არა, ალბათ, სადღაც გულის სიღრმეში მაინც გეწყინათ... რაც უნდა იყოს, ტყუილუბრალოდ შეგაწუხეთ... ხმა გაქვთ რაღაცნაირი... გაბუტული... რა ბრძანეთ? ყოველთვის ასეთი ხმა გაქვთ? ნამდვილად? ნუ, კარგი, გენაცვალე, რას ვიზამთ. კარგად ბრძანდებოდეთ. პაკااااა... კიდევ ერთხელ გიხდით ბოდიშს... კარგااااد...

* * *

— შენს მულს ასეთი მოკლე კაბა რატომ აცვია?

— უხ, არ მაცალეს, თორემ სულ შემოვახევდი!!!

* * *

ცნობილი მსახიობი რეჟისორს უყვირის:

— ვიცი, ჩემს სიკვდილზე ოცნებობთ, რათა მერე მოხვიდეთ და ჩემს საფლავზე დააფურთხოთ.

— ტყუილია!.. მე მაგას არასოდეს ვიზამ!.. ჭირის დღესავით მძულს რიგში დგომა!..

* * *

ცოლი ქმარს ეფერება:

— ჩემი პაااატარა... ჩემი პაწაწკინტელااა...

— ნუ აზვიადებ!

* * *

მარო თეკლეს სასტუმროში მომხდარი ხანძრის შესახებ უყვება:

— ჰოდა, ქალო, ალი რომ ავარდა ამ მეოთხე სართულსა, მიხა როა, კოლაანთ ბიჭი, არ გამოვარდა შუა ქუჩაში, პრეზერვატივის ამარა!..

* * *

მიხო პანაშვიდზე მივიდა. ხედავს, მიცვალებულს ჰალსტუხი არ უკეთია.

— ჰალსტუხი რატომ არ გაუკეთეთ? — ეკითხება ჭირისუფალს.

— არ უყვარდა, ცხონებულს.

— ჰმ!.. ბალზამზე ხო გიუდებოდა, დედითქვენისამ!..

* * *

თებრო ექიმთან მივიდა:
— რა ვქნა, ექიმო, კაცი მინდა.
— ქმარი ხომ გყავს?
— მყავს, მაგრამ კიდევ მინდა.
— მაშინ საყვარელი გაიჩინე.
— საყვარელიც მყავს, მაგრამ არ მყოფნის.
— შენ ავადმყოფი ყოფილხარ.
— ჰოდა, ცნობა მომეცი, რომ ავადმყოფი ვარ, თორემ მეზობლები ბოზს მეძახიან.

* * *

— ქეთო, შენი ქმარი კიდევ უსაფუძვლოდ ეჭვიანობს?
— არა!.. ახლა უკვე საფუძვლიანად!..

* * *

კახელს სიდედრი მოუკვდა. დასაფლავების დღეს, როდესაც სახლიდან კუბო გამოჰქონდათ, კარის ჩარჩოს მიაჯახეს და მიცვალებულმა თავი წამოყო!..
ათი წლის შემდეგ, ქალი ისევ გარდაიცვალა. კუბოს სახლიდან გამოტანისას, სიძე აყვირდა:
— ფრთხილად, თუ ძმა ხარ, არაფერს დაეჯახოთ.

* * *

— არა, ძმაო, პატიოსან ცხოვრებას არაფერი სჯობია!
— საიდან დაასკვენი?
— ამ დღეებში ძაღლი მოვიპარე. ბევრი ვიწვალე და 10 დოლარადაც ვერ გავყიდე. მერე ავდექი, პატრონს მივუყვანე და იმან 20 დოლარი მაჩუქა.

* * *

— ძვირფასო, ჩაირბინე, რა, სურსათის მაღაზიაში.
— რას ამბობ, ისეთი წვიმაა, პატრონი ძაღლს არ გააგდებს გარეთ.
— შენც, ძაღლს ნუ წაიყვან.

* * *

მივლინებიდან დაბრუნებულ ბუხუტიას ცოლის ხმა შემოესმა:
— ძვირფასო, ახლა რო ჩემი შტერი ქმარი შემოვიდეს, რას უზამ?
— ნეკნებს დავამტვრევ და თავ-ყბას დავულეწავ!
— არ შემოვალ და რა ფეხებს მომჭამ?! — ჩაიბურტყუნა თავისთვის ბუხუტიამ.

* * *

— იმედია, აღარ მოხვდებით გამოსაფხიზლებელში! — ეუბნება გამოუსწორებელ ლოთს მორიგე პოლიციელი.
— რატომ, უფროსო, რემონტს იწყებთ?

* * *

მასწავლებელმა ბავშვს ჟურნალი „ფლეიბოი“ წაჰგლიჯა ხელიდან:
— ხვალვე უნდა ვნახო შენი მშობელი.
— რაღა ხვალ, ახლავე შეგიძლიათ ნახოთ — 42-ე გვერდზე გადაშალეთ.

* * *

— საშინელი კარტი ამოგივიდა, პლატონიჩ, ხვალ შენი სიდედრი მოკვდება!
— ეგ უშენოდაც ვიცი. შენ ის მითხარი, დამიჭერენ თუ ვერა?!

* * *

ქალი დაქალს შესჩივის:
— ჩემი ქმარი წესრიგს ფრაფრით მივაჩვიე.
— რაზე ამბობ?
— ხან სად ინახავს ამ ოხერ საფულეს, ხან — სად!..

ჯაბანის საუბარი

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. მიხაილ გორბაჩოვი.
2. რუსულ „მეფურ“ საუზმეს.
3. „...კვდებიან“.
4. ავად ვარ და ვერ მიგიღებო.
5. წყალში არეულ ნაცარს, რომელსაც თონის ნაკვერჩხალს გასანელებლად აყრიან, თუთქი ჰქვია.
6. ფარითა და მახვილით შეიარაღებულ გლადიატორს.
7. „...კაზლი“.
8. ძალზე მსუქანი ხორცი.
9. ცელის ერთი მოსმით მოთიბული ბალახი.
10. „...დიაგნოზია!“
11. მიგელ სერვანტესის „დონ კიხოტის“ შესახებ.
12. პიერ რიშარი.

* * *

— დედიკო, ანგელოზებს ფრთები აქვთ?
— აქვთ.
— ფრენა შეუძლიათ?
— შეუძლიათ.
— მაშინ, ჩვენი მოსამსახურეც გაფრინდება, არა?
— ამას რატომ ამბობ?
— გუშინ მამა ეუბნებოდა, — ანგელოზი ხარო.
— კი, შვილო, ხვალ დილითვე გაფრინდება.

ჩვენი ფოტო მაღლია

შეგახსენებთ, რომ ნამუშევრები შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ ელფოსტით: gza.fantazia@gmail.com, „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების (კონვერტზე მიაწერეთ „გზისთვის“) მეშვეობით ან მოგვაწოდოთ რედაქციაში მის.: თბილისი, იოსებიძის ქ. №49.

როგორ მოვიყვანოთ თავი წესრიგში

პირველ რიგში გეტყვით, რომ საღამოს დაღლილობა არ უნდა აგერიოთ ქრონიკულ დაღლილობაში. მკვეთრად გამიჯნეთ ორი რამ: დაღლილობა, რომელიც გამოწვეულია მძიმე დღის გამო, და მუდმივი დაღლილობა და შეუძლოდ ყოფნა: დილიდანვე მძიმე თვითშეგრძნება და უსიამოვნო განწყობილება, როცა ყოველი დილა ცხოვრებაში უკანასკნელი გეჩვენებათ.



როგორ უნდა დაეხმაროთ საკუთარ თავს, რომ დასძლიოთ დღის განმავლობაში დაგროვილი დაღლილობა, გადალახოთ აპათია და მოიხსნათ მძიმე ტვირთი? რაც უნდა იყოს დაღლილობის მიზეზი, არ ღირს შინ მისვლისთანავე მიუჯდეთ სუფრას. საღამოს ტრაპეზის წინ რეკომენდებულია მოდუნება, დასვენება და დამშვიდება, რადგან საკვების მიღებისა და მისი გადამუშავების პროცესს არანაკლები ენერგია სჭირდება. თუ საკვებს მიეძალებით, თავს უარესად იგრძნობთ, მოდუნდებით, ძილი მოგერევათ, ხოლო საშინაო საქმეები, რომელიც საღამოს უნდა გაგეკეთებინათ, მოუგვარებელი დაგრჩებათ.

გთავაზობთ რამდენიმე რჩევას, რომლის შესრულება 20-25 წუთზე მეტს არ მოითხოვს და ამასთანავე, შესამჩნევად შეგიმსუბუქებთ მდგომარეობას.

შინ დაბრუნებისას, პირველ რიგში მიხედეთ ფეხებს. ფეხების ტკივილი ძალიან ცუდად მოქმედებს განწყობილებაზე. მაშინვე გაიხადეთ ფეხსაცმელი და ჩაიცვით რბილი ჩუსტები. ამის შემდეგ კარგი იქნება, სააბაზანოში შეხვიდეთ, მაგრამ თუ ამისათვის ძალა არ გყოფნით, შეგიძლიათ მიიღოთ ჰორიზონტალური მდგომარეობა, ასწიოთ ფეხები მაღლა და კედელს მიაყრდნოთ. ასეთი ხუთწუთიანი დასვენების შედეგად ფეხებში მიწოლილი სისხლი უკან გადაიქაჩება და ცოტაოდენ შვებას ნამდვილად იგრძნობთ.

ფეხების კონტრასტული აბაზანებიც არ წაგართმევთ 5 წუთზე მეტს. აბაზანა აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას. აიღეთ ორი ტაშტი, ერთში ჩაასხით 40 გრადუსამდე გამთბარი წყალი, ხოლო მეორეში — არა უმეტეს 30 გრადუსისა. ჩაუშვით ფეხები ცხელ წყალში რამდენიმე წამით, შემდეგ — ცივში. ეს პროცედურა გაიმეორეთ 3-4-ჯერ.

ფეხების დაღლილობას ეფექტიანად ხსნის წიწვოვანი აბაზანა: 15 მგ წიწვის ექსტრაქტი და ორი ს/კ ზღვის მარილი ჩაყარეთ 40-გრადუსიან წყლით სავსე ღრმა ტაშტში.

თუ ზომაზე მეტად დაიღალეთ, მიიღეთ საერთო აბაზანა. წყალში ჩაამატეთ ზღვის მარილი და თქვენთვის სასიამოვნო არომატიზატორების მცენარეული ნაყენი.

კუნთების დაღლილობას მოგიხსნით ცხელი შხაპი. თუ შემდეგ დაძინება გაქვთ გადაწყვეტილი, ნუ მიიღებთ კონტრასტულ შხაპს. ხოლო თუ ისევ მუშაობას აპირებთ, შხაპის უკანასკნელი ნაკადი გრილი უნდა იყოს. წყლის პროცედურების შემდეგ, სხეული, განსაკუთრებით კი ფეხები პირსახოცით დაიზილეთ. ფეხებზე, ქვემოდან ზემოთ მოძრაობით შეიზილეთ ზეთი (ან სპეციალური საცხი).

დაღლილობასთან ბრძოლას კომპლექსური ხასიათი უნდა ჰქონდეს. არ დაივიწყოთ ხელებიც — დასვენება მათაც სჭირდება. ჩაყავით ხელები იმავე ჭურჭელში, რომელშიც ფეხების აბაზანებს იკეთებთ და გაიკეთეთ მსუბუქი მასაჟი. წყლის პროცედურების შემდეგ ხელებზე წაისვით რბილი მკვებავი კრემი.

ახლა კი დროა სახის კუნთების მოდუნებაზე იზრუნოთ. დაიდეთ სახისა და ყელის მიდამოში ვიტამინიზებული ნიღაბი. ამისათვის გამოდგება გახეხილი კიტრი ან კარტოფილი. ამ დროს აუცილებლად ჰორიზონტალური მდგომარეობა უნდა მიიღოთ. ფეხები შეგიძლიათ ისევ კედელს მიაყრდნოთ. ამ ყველაფრისთვის რამდენიმე წუთი საკმარისია. შემდეგ დაივარცხნეთ თმა, უმჯობესია სამასაჟო ჯაგრისით. ჯაგრისი ბუნებრივი მასალისგან უნდა იყოს დამზადებული.

ფიზიკური ვარჯიში ნელისათვის

ჩამოჯექით სკამის ნაპირზე, ფეხები წინ წამოსწიეთ. ხელები მაღლა ასწიეთ, ხელისგულები დაიჭირეთ ჭერის პარალელურად. შემდეგ ხელები გადასწიეთ უკან. ჩასუნთქვისას დაჭიმეთ სხეული, ამოსუნთქვისას მოიხარეთ და ეცადეთ, თავით მუხლებს შეეხოთ. გაიმეორეთ სამჯერ.



ვარჯიში კისრის კუნთებისათვის

მხრები გადახარეთ უკან, თავი მაღლა ასწიეთ, ნიკაპი კი წინ წამოსწიეთ — თითქოს მკერდზე იდებთო. თავი რიგრიგობით გადახარეთ, ხან მარჯვენა, ხან მარცხენა მხრისკენ. ამ დროს მხრები დაბლა უნდა ჩამოუშვათ.

ბოლოს კი აუცილებელია დალიოთ რაიმე ვიტამინიზებული წვენი ან მიირთვათ ხილი. ასევე კარგი იქნება ერთი ჭიქა ჩაი ლიმონითა და 1 ჩ/კ კონიაკით.

ენერგიულ საღამოს გისურვებთ!

ᲐᲘᲠᲩᲘᲔ ᲓᲐ ᲨᲔᲘᲫᲘᲜᲔ ᲡᲐᲮᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲣᲡᲕᲚᲔᲚᲐᲓ

წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

www.elva.ge

პრესის და წიგნების გავრცელების სააგენტო „ᲔᲚᲕᲐ.ᲯᲘ“

გამოცემის დასახელება	1ვგზ. ფასი	3 თვე
1. ИТОГИ	3.00	39.00
2. НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА	2.00	117.00
3. ЛИЧНОСТЬ. КУЛЬТУРА.	32.00	32.00
4. КАРАВАН ИСТОРИЙ	8.00	24.00
5. НОВАЯ ГАЗЕТА	1.50	39.00
6. ВОКРУГ СВЕТА	9.00	27.00

ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲜᲐᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ

E-mail:elva@kvirispalitra.com

ბევრი მიიჩნევს, რომ სხვა ადამიანის გრძნობებით მანიპულირება არ შეიძლება, ხოლო ქორწინება ზეცაში წყდება. იდეალურ სამყაროში ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ სამწუხაროდ, რეალური ცხოვრება შორსაა იდეალურისაგან. ხშირად ჩვენთვის ძვირფას ადამიანს წლობით უშედეგოდ ველოდებით, რადგან გვიყვარს და გვწამს მისი... სამაგიეროდ კი ვერაფერს ვიღებთ.

გთავაზობთ რამდენიმე რჩევას, თუ როგორ „უბიძგოთ" წარმატებას, თქვენს მხარეს გადმოვიდეს:

„აიძულეთ" მამაკაცი, რომ შეგიყვაროთ...

იყავით გამუდმებით მის გვერდით... შემდეგ კი დაიკარგეთ

გავრცელებული მოსაზრების თანახმად, რაც უფრო დიდხანს იმყოფებით ამა თუ იმ ადამიანის გვერდით, მით მეტია ალბათობა, რომ მას თქვენ მიმართ სიმპათია გაუჩნდეს (იმ შემთხვევების გარდა, როცა თქვენი განწყობილება ამ ადამიანის მიმართ ნეგატიურია). ამიტომ არ უნდა იყოთ ქედმაღალი და უკარება. პირიქით, ეცადეთ, რაც შეიძლება მეტი დრო გაატაროთ თქვენი ინტერესის ობიექტთან და რაც შეიძლება ხშირად მოხვდეთ თვალში. შემდეგ კი, როცა მიხვდებით, რომ მას მოსწონხართ (უბრალოდ — მოსწონხართ), გახდით ოდნავ მიუწვდომელი. მნიშვნელოვანია, რომ არ გამოგეპაროთ ეს მომენტი. შემდგომში ეცადეთ, რაც შეიძლება ნაკლებად მოხვდეთ მისი თვალთახედვის არეში. მთელი არსი ის არის, რომ დაიკარგოთ იმ დროს, როცა იგი უკვე მიეჩვია თქვენს არსებობას. იგი შეიძლება მაშინვე ვერც კი მიხვდეს, თუ კონკრეტულად რა აკლია, მაგრამ აუცილებლად მოაკლდებით თქვენ! სურვილისამებრ, ამ ტაქტიკის გამოყენება რამდენჯერმე შეიძლება.

ნუ ეჯდებით, ასიამოვნოთ მას, დაე, თვითონ მოგანიჭოთ სიამოვნება

როცა ვინმეს სიკეთეს უკეთებთ, თავად ორმაგ სიამოვნებას იღებთ: ჯერ ერთი, კმაყოფილი ხართ საკუთარი თავის; მეორეც, კიდევ უფრო გესიმპათიურებათ ადამიანი, რომელსაც ასიამოვნეთ. ასევეა შეყვარებული ადამიანი — სურს, რაღაც სასიამოვნო გაუკეთოს გულის სწორს — იგი ხომ ძალიან კარგია და იმსახურებს ამას! თანდათანობით კი ის უფრო მეტად უყვარდება. ამიტომ, იმის მაგივრად, რომ მისი სურვილები შეასრულოთ, უმჯობესია, დროდადრო მან შეასრულოს თქვენი პატარ-პატარა მოთხოვნები. დაეხმარეთ, თავი რაინდად იგრძნოს.

აიძულეთ, თვალებში გიყუროთ

ერთმა ჰარვარდელმა ფსიქოლოგმა სცადა, „გაეზომა" სიყვარული მეცნიერული თვალსაზრისით. რაღაც დონეზე მას ეს გამოუვიდა, როცა დააზუსტა, თუ რამდენ ხანს უყურებენ შეყვარებული ადამიანები ერთმანეთს თვალებში. მან გაარკვია, რომ ღრმად შეყვარებული ადამიანები საუბრის დროს ერთმანეთს თვალებში, მთელი დროის 75%-ის განმავლობაში უყურებენ და უხალისოდ გადააქვთ მზერა, თუ საუბარში მესამე ადამიანი ჩაერთვება — მაშინ, როცა ჩვეულებრივ, თანამოსაუბრეები ერთმანეთს თვალებში მთელი დროის მხოლოდ 30-50%-ის განმავლობაში უყურებენ. ზოგიერთი ფსიქოლოგი ამ აღმოჩენას თავის პრაქტიკაში წარმატებით იყენებს — იმის დასადგენად, თუ რამდენად ღრმად არიან მიჯაჭვულნი ერთმანეთს პარტნიორები. ამის ცოდნა მასაც გამოადგება, ვისაც სურს, მამაკაცს თავი შეაყვაროს. რაც უფრო დიდხანს გიყურებთ ადამიანი, მით მალე აღნიშნავს მისი ტვინი: „შეყვარებული ვარ!" — და იწყებს ფენილეტილამინის გამოყოფას (ჰორმონი — რომელიც სინთეზირდება თავის ტვინში სასიყვარულო გრძნობების დროს). სცადეთ ამ ხერხის გამოყენება პრაქტიკაში. შედეგით გაოგნებული დარჩებით.

ნუ მოარიდებთ მზერას

როგორც უკვე აღვნიშნეთ, შეყვარებულებს უხალისოდ გადააქვთ მზერა ერთმანეთისაგან, თუ საუბარში მესამე ადამიანი ჩაერთვება, ამიტომ ნუ იჩქარებთ, მოარიდოთ მზერა მამაკაცს, რომელიც მოგწონთ — მაშინაც კი, თუ თხრობა დაასრულა ან საუბარში მესამე პირი ჩაერთო. რა თქმა უნდა, მზერის გადატანა მაინც მოგიწევთ, მაგრამ არა მაშინვე. შეაჩერეთ მასზე მზერა თუნდაც 3-4 წამით, შემდეგ კი გაიხედეთ, მაგრამ ნელა და უხალისოდ. ხოლო როგორც კი მესამე პირი დაასრულებს საუბარს, კვლავ შეხედეთ თქვენთვის საინტერესო ობიექტს.

ყურადღება მიაქციეთ თვალების გუგებს

ისევ და ისევ გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ თვალები ატარებს და გადასცემს უამრავ ინფორმაციას ადამიანის შესახებ. მეცნიერებმა ასეთი გამოკვლევა ჩაატარეს: მამაკაცებს აჩვენეს ორი ფოტოალბომი, რომელიც პრაქტიკულად ერთმანეთის იდენტური იყო, მაგრამ მეორე კრებულში ქალებს თვალის გუგები ხელოვნურად ჰქონდათ გადიდებული. მამაკაცებს ბევრად მიმზიდველად მოეჩვენათ ქალები მეორე ალბომიდან.

ცხადია, შეუძებელია, სპეციალურად აკონტროლოთ თვალის გუგების ზომა. მაგრამ შეგიძლიათ შექმნათ შესაბამისი ატმოსფერო საჭირო ეფექტის წარმოსაქმნელად. უკეთესია, თუ შუქი არ იქნება მკვეთრი. დაბალ სინათლეზე გუგები ფართოვდება. სწორედ ამიტომ მიიჩნევა ვახშამი სანთლების შუქზე ასე რომანტიკულად. გარდა ამისა, დაბალი განათება სახეს მეტ მიმზიდველობას ანიჭებს. გუგები მაშინაც გვიფართოვდება, როცა რაიმე ჩვენთვის მოსაწონს ვუყურებთ ან რაიმე სასიამოვნოზე ვფიქრობთ — ანუ მაშინაც, როცა ჩვენთვის საინტერესო ადამიანს ვხედავთ. ეფექტის კიდევ უფრო გასაძლიერებლად, ეცადეთ, ამავე დროს რაიმე სასიამოვნოზე იფიქროთ.

გაიღიმეთ

ღიმილი — სიმპათიის გამოხატვის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი და ამავე დროს, უბრალო ხერხია.

დაუქნიეთ თავი თანხმობის ნიშნად

გირჩევთ, საუბრის დროს, თანხმობის ნიშნად, ხშირად გამოიყენოთ არავერბალური ჟესტები. წინააღმდეგ შემთხვევაში, თანამოსაუბრემ შეიძლება იფიქროს, რომ თქვენ განსხვავებული აზრის ხართ ან სულაც არ გაინტერესებთ ის, რაზეც იგი გესაუბრებათ.

დაიხარეთ მისკენ

ასეთი ჟესტი არაორაზროვნად მიანიშნებს თქვენს სიმპათიაზე. შეიძლება, ოდნავ დაეყრდნოთ კიდეც მას, მაგრამ ზედმეტი არ მოგივიდეთ, შეიძლება უკურეაქცია გამოიწვიოთ.

შეეხეთ თანამოსაუბრეს

გახსოვდეთ, რომ საქციელი უფრო მეტყველია, ვიდრე სიტყვები. ფიზიკური კონტაქტი ასევე მიუთითებს, რომ გახსნილი ხართ ემოციური ურთიერთობებისთვისაც.

„დახურული" პოზა კი (გულზე დაკრეფილი ხელები, ფეხზე გადადებული ფეხი) იმის სიგნალია, რომ თავს იცავთ, ფრთხილობთ ან საერთოდ არ გსურთ მასთან ურთიერთობა. ■

ხითელი ფეხსაცმელი

სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი
იხ. „გზა“ №23

ნიას მაღალქუსლიანმა ფეხსაცმელმა ისე მოუჭირა, ღამის კანი გადაეყვლიფა. იძულებული გახდა, გაეხადა და ფეხშიშველს ევლო. თვალცრემლიანი ფრთხილად მიაბიჯებდა ნაწვიმარზე, რომ კენჭები ტერფში არ შესობოდა. ტირილისგან დახატული თვალები მთლად ჩაუშავდა, იაფფასიანი ტუში ზოლებად დაეფინა ღაწვებზე. კიდევ კარგი, გრძელი კაბა წინიდან ჩახსნილი იყო, ეს შედარებით უადვილებდა სიარულს. ფარებანთებული მანქანები შიგადაშიგ სვლას ანელებდნენ და გაკვირვებით აყოლებდნენ თვალს შუაღამით ტრასაზე ნაგიჟარივით მიმავალ ქალს, მაგრამ გაჩერება თავში აზრად არავის მოსვლია. „ყველას ქუჩის ქალი ვგონივარ, ამიტომაც არავინ მიჩერებს. ჩემი ცოდვა დაედოს მაკას, ამ დღეში რომ ჩამაგდო“, — თანდათან უფრო იპყრობდა სიბრაზე. არა, არც კახაზე იყო აღრენილი და არც მის ძმაკაცებზე. საკუთარ თავზე მოსდიოდა ბრაზი. როგორი იდიოტი უნდა იყოს ადამიანი, მათთან ერთად საქეიფოდ წავიდეს! მოუნდომეს ორგიის გამართვა! ვინ ჰგონიათ მათ ნია! ან მაკა რას ფიქრობდა, როცა დახმარება სთხოვა? არ იცოდა, რა მოჰყვებოდა ამ წვეულებას? დარწმუნებულია, რომ ეს პირველი შემთხვევა არ არის. მაკას ხშირად მოუყოლია მისთვის სასტუმროში გატარებული ღამეების შესახებ. მართალია, ორგიები არასდროს უხსენებია, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, გოდერძიმ პირდაპირ შესთავაზა, საუნაში ვინებივროთო. რა ძნელი მისახვედრია, რითაც დამთავრდებოდა საუნაში „დაორთქლება?“ მართალია, დავალებულია დაქალისგან, მაგრამ არც იმდენად, რომ მისი გულისთვის ასეთი მსხვერპლი გაიღოს. ერთი წამით წარმოიდგინა კიდეც, რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა გოდერძის წინადადებას, მის მანქანაში რომ ჩამჯდარიყო. ამის გაფიქრებაზე ღამის გული აერია. მამაკაცი არ აღფრთოვანებულა, როცა ქალმა კატეგორიული უარი განუცხადა სასტუმროში წასვლაზე, მაგრამ ვერც დაეძალა, რადგან ნია ჯიუტად იდგა თავისაზე. მანაც ხელი ჩაიქნია და სულაც არ გასჭირვებია, მანქანაში სხვა ღამაზმანი ჩაესვა მის მაგივრად. როცა ყველანი გაემგზავრნენ, ნია მარტოდმარტო დარჩა ქუჩაში. ისღა დარჩენოდა, ფეხით წასულიყო. იფიქრა, გზად ვინმე გამიჩერებს და წამიყვანსო. ტაქსის გამოძახებას ვერ შეძლებდა, რადგან მობილური არ წამოუღია და რომც ჰქონოდა, ვერ დარეკავდა, რადგან ნომერი არ იცოდა. ყველა სიკეთესთან ერთად, ერთი თეთრიც არ ეგდო ჩანთაში — საფულეც და მობილურიც სიჩქარეში სამზარეულოში, მაგიდაზე დარჩა. აი, კიდევ ჩაუქროლა ერთმა მანქანამ, მაგრამ სხვებისგან განსხვავებით, სვლა არ შეუნელებია. „ალბათ ამას ქალები საერთოდ არ აინტერესებს“, — სიმწრით ჩაიცინა ნიამ. ფეხსაცმელები მთელი ძალით ჰქონდა ჩაბღუჯული და მკერდზე მიხუტებული, თითქოს ეშინოდა, ვინმეს არ წაერთმია. უცებ კვლავ ჩაუქროლა მანქანამ, რომელიც მოულოდნელად გუბეში ჩახტა და თავიდან ფეხებამდე გაწუწა. ო-ო-ჰ! რას უზამს ახლა ამ თავხედს, ნეტავ იცოდეს! ამ ფრანგულ ქუსლებს რა სიამოვნებით უთავაზებს თავში! როგორ ატარებს მანქანას, წინ არ უნდა გაიხედოს? მანქანამ ცოტა გაიარა და მოწყვეტით გაჩერდა ტრასაზე. ნიაც შედგა. ლაპლაპა „აუდიდან“ მაღალი მამაკაცი გადმოვიდა. ძვირფასი ავტომობილები თბილისში უცხო არ იყო, მაგრამ ეს უკანასკნელი ძალიან მდიდრულად გამოიყურებოდა. აშკარად ეტყობოდა, რომ ერთ-ერთი ბოლო მოდელი იყო. ზვიგენს ჰგავდა. გოგონა უცნობის სახეს ვერ ხედავდა, მაგრამ მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, როგორი იქნებოდა ავტომობილის პატრონი — ახალგაზრდა, ბებერი, ღამაზი თუ მახინჯი... რაც უფრო უახლოვდებოდა მამაკაცი, მით უფრო ერეოდა ბრაზი ნიას.

— ძალიან ვწუხვარ... თქვენ გიყურებდით, ამიტომ ტბორი ვერ შევამჩნიე... — მამაკაცს ხავერდოვანი ბარიტონი ჰქონდა, თანაც ძალიან ნაცნობი. ნია დააკვირდა მოახლოებულს და კინაღამ გული წაუვიდა. ეს სწორედ ის კაცი იყო კაზინოდან, კახა და მისი მეგობრები რომ გამოაპანღურა. სწორედ ის სიმპათიური შავგვრემანი, მთელი საღამოს განმავლობაში თვალს რომ არ აშორებდა ნიას და მისმა აღნაგობამ ასე რომ აღაფრთოვანა. ჰო, ამანაც მეძავად ჩათვალა, იმიტომაც გაწუწა... მაგრამ რატომღა გააჩერა მანქანა? ასე ძალიან რატომ „შეწუხდა“? ახლა ამას მოუნდა ნიასთან საუნაში ნებივრობა, თუ როგორაა საქმე? გოგონამ შუბლი შეჭმუხნა და თავდასხმისთვის მოემზადა. — მართლა? მერედა, არ იცით, რომ ნაწვიმარზე ნელა უნდა იაროთ? მეც მეჩქარება, მაგრამ ამის გამო სხვებს არ ვუქმნი პრობლემებს!

— მესმის, მაგრამ სიმართლე გითხრათ, თქვენი ბრალია, რაც მოხდა, — გაიღიმა მამაკაცმა. მისმა პასუხმა საბოლოოდ გამოიყვანა ნია წყობილებიდან.

— როგორ არ გრცხვენიათ! ტალახიანი წყალი შემომასხით და კიდევ მე მაბრალებთ? ისედაც ჩემი გამჭირვებია, ფეხშიშველა მოვაბიჯებ ამხელა გზაზე!

— რატომ მეჩხუბებით? რა ჩემი ბრალია, თუ თქვენ მოუხერხებელი ფეხსაცმელი გაცვიათ? ისე, მაინცდამაინც გემოვნებით შერჩეული არ არის, თქვენს ადგილას ასეთს არ შევიძენდი, — ისევ გაიღიმა უცნობმა.

— იმისთვის გააჩერეთ მანქანა, რომ დამცინოთ? — ნია ცოფებს ყრიდა. — როგორ მიბედავთ! თქვენი საქმე არ არის, რას ჩავიცვამ და რას ვიყიდი! თავხედობასაც აქვს საზღვარი.

— კიდევ ერთხელ გიხდით ბოდიშს, — დაზავების ნიშნად ხელები ასწია გიგიმ, — თქვენი ბრალი იმიტომ არის, რომ ძალიან ლამაზი ხართ და გულგრილად ვერ აგიარეთ გვერდი, ამიტომაც ვერ შევამჩნიე გუბე.

ამის გაგონებაზე გოგონას ენა დაება, ხმა ვერ ამოიღო.

— დამემგზავრებით? სადაც მიბრძანებთ, იქ წაგიყვანთ. მამაკაცის ხმაში ირონია იგრძნობოდა, რაც ყველაზე მეტად აღიზიანებდა ნიას. ნუთუ ამხელა კაცი იმას ვერ ხვდება, რომ ქალი საღამოს კაბაში, გზაზე ფეხშიშველა მიმავალი, საკუთარი სიამოვნებისთვის არ იქცევა ასე? მიუხედავად ამისა, მას მხოლოდ ერთი პასუხი ჰქონდა მომზადებული.

— არა, გმადლობთ, ყელამდე ვარ თქვენი პატივისცემით, — ცივად თქვა და გზა გააგრძელა. გიგის ერთი ნაბიჯის გადადგმა დასჭირდა, რომ მის გვერდით აღმოჩენილიყო.

— დაფიქრდით, თბილისამდე საკმაოდ შორია, გაგიჭირდებათ ასეთ ყოფაში გზის ფეხით გაგრძელება, — უთხრა და ქალს იდაყვზე წაავლო ხელი.

— არ მომეკაროთ, თორემ ამ ქუსლს ჩაგარტყამთ თავში! — კბილებში გამოცრა

ნიამ და ცალი ფეხსაცმელი მარჯვენა ხელში მოიმარჯვა. გიგი დაემორჩილა გოგონას და ხელი შეუშვა.

— ნუ ნერვიულობთ, არაფერს დაგიშავებთ. ამ შუაღამისას ვინმე არ დაგესხათ თავს, ათასი შარიანი დადის. არ გეშინიათ ასეთ უკაცრიელ ადგილას? ვინ გიშველით? უსაფრთხოდ მიგიყვანთ ადგილზე, — მამაკაცი მშვიდად განაგრძობდა ლაპარაკს.

— არ ხართ ვალდებული, — ნიამ თავი მოაბრუნა, ოდნავ შეარბილა ტონი და თვალებში შეაცქერდა უცნობს. ასე ახლოდან რომ შეხედა, ურჟოლამ აიტანა. ღმერთო, რა არაჩვეულებრივი ვინმეა! ნუთუ შეიძლება, მამაკაცი ასეთი მომხიბვლელი იყოს? არა, მომხიბვლელი ის სიტყვა არ არის... მომნუსხველი..! ასეთი შთაბეჭდილება მასზე არც ერთ მამაკაცს არასდროს მოუხდენია! გიგის მგრძნობიარე ტუჩები ღიმილმა შეარხია. რასაც უნდა ფიქრობდეს ამ გოგოზე, შუა გზაზე მაინც ვერ დატოვებს, ძალიან საყვარელი ვინმე ჩანს, ამასთან — უმწეო.

— სწორედაც რომ ვალდებული ვარ, — დაიქოქა გიგი, — აბა, წარმოიდგინეთ, რა დღეში აღმოჩნდება კაზინოს რეპუტაცია, ხვალ დილით ყველა გაზეთი და ტელევიზია რომ ალაპარაკდეს ქალზე, რომელიც კაზინოს შორიახლოს იპოვეს გაუპატიურებული და მოკლული. მაშინვე მოგვადგებიან და დაკითხვას მოგვიწყობენ. მსგავსი უსიამოვნებები არ გვჭირდება! — ეშმაკურად იღიმოდა მამაკაცი.

— საიდან იცით, რომ კაზინოში ვიყავი? — ჩამჭრელი კითხვა დასვა ნიამ. უცნობმა დაუდევრად აიჩეჩა ფართო მხრები.

— აბა, საიდან უნდა მოდიოდეთ? აქ ახლომახლო სხვა ისეთი ადგილი არ არის, სადაც ადამიანი გართობას შეძლებს, თანაც თქვენნაირი მანდილოსანი, — ოდნავ ხმა ჩაეხრინწა მამაკაცს, — გარდა ამისა, გიცანით, სამორინეში შეგამჩნიეთ. რატომ არ გაჰყევით იმ ტიპებს? ერთად არ ატარებდით დროს? არ მითხრათ, მანქანაში ადგილი არ ჰქონდათო... თუ აღარ მოისურვეს თქვენთან ყოფნა?

ნია შეცბა, როცა მამაკაცის სიტყვების შინაარსს ჩასწვდა, მაგრამ იხტიბარი არ გაიტეხა და თამამად წარმოთქვა:

— ეს მე არ მოვისურვე მათთან ყოფნა!

გიგიმ წარბები ირონიულად აზიდა და საჩვენებელი თითი ფრთხილად ჩამოაყოლა ნიას შიშველ მხარს. გოგონას წამით სიამოვნების ტალღამ დაუარა, მაგრამ თავდაცვის ინსტინქტმა მსწრაფლ გამოაფხიზლა.

— გასწიეთ ხელები! — მთელი ხმით იყვირა, რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია და მრისხანე მზერა ესროლა უდიერ უცნობს. ამასთან, ცალი ფეხსაცმელი უფრო მოხერხებულად დაიჭირა ხელში, რომ საჭირო მომენტში „წარმატებით“ გამოეყენებინა. — მომისმინეთ, ბატონო კაზინოს დაცვავ, თუ ვინც ხართ! თავი დამანებეთ! ძალიან დავიღალე და ტვინს ნუ მიბურღავთ. ისედაც გრძელი გზა მაქვს გასავლელი, შემეშვით და თქვენს მანქანას მიხედეთ, ვინმემ არ აგწაპნოთ! — ცივად თქვა და ის იყო, ნაბიჯი გადადგა, რომ კაბის კიდეს დაადგა ფეხი და მიწაზე პირქვე გაიშოტა. ტკივილმა სახე დაუმანჭა, რადგან მუხლი ქვას დაარტყა და სისხლი წამოუვიდა. მამაკაცმა ხელი მკლავზე წაავლო და წამოაყენა.

— შეხედეთ, რა დამართეთ საკუთარ თავს! სისხლი მოგდით, კაბაც დაგესვარათ. რატომ იტანჯავთ თავს? თუ ოდნავ მაინც საღად აზროვნებთ, მიიღეთ ჩემი წინადადება და დამრთეთ ნება, წაგიყვანოთ, — გაბრაზდა გიგი, — დამიჯერეთ, უვნებლად მიგიყვანთ სახლამდე. ნუ გეშინიათ, მგელი არ ვარ, არ შეგჭამთ. მე თუ არა, სხვა მაინც გაგიჩერებთ მანქანას და ვინ აღმოჩნდება შემდეგი, არავინ იცის. მე ნანახი მაინც გყავართ და ის მაინც იცით, სად ვმუშაობ. ამიტომ, თუ ცუდად მოვიქცევი, ადვილად მომაგნებთ პოლიციასთან ერთად, — მამაკაცს მომნუსხველი ღიმილი აუთამაშდა სახეზე, — თანაც... ყველას კი არ აქვს ჩემნაირი მანქანა, წინ დიდი სიამოვნება გელით.

ნიამ ირიბად გახედა ტრასაზე მდგარ „აუდის“.

— აჰა, ესე იგი, თქვენ ბოსისგან მანქანა ითხოვეთ და გინდათ, მე მომემსახურო, არა? კარგი, თანახმა ვარ! „მგონი, მართალია ეს კაცი. ასეთი პრესტიჟული კაზინოს თანამშრომელი არ იკადრებს ჩემნაირი საწყალი გოგონას გაუპატიურებას და მოკვლას. რატომ უნდა გარისკოს ასე, როცა კარგი სამსახური აქვს და სოლიდურ ხელფასს უხდიან? ამისთანა „კრასავჩიკს“ ქალის მეტი რა ეყოლება? ვინ ეტყვის უარს“, — გაიფიქრა ნიამ და ამაყად თავაწეული გაეშურა მანქანისკენ, წინა კარი გამოაღო და ტყავის რბილ სავარძელზე თამამად მოკალათდა.

— მეტრო „მარჯანიშვილთან“ ჩამომსვით! — მედიდურად განაცხადა და ხელები მკერდზე გადაიჯვარედინა. გიგი საჭეს მიუჯდა. ნიამ ფარულად გახედა უცნობს, რომელსაც უკმაყოფილება აღბეჭდვოდა სახეზე. როგორც ჩანს, გოგონას ტონი არ ესიამოვნა. მერე რა, ნიასთვის სულერთია, რას განიცდის მისი „მძღოლი“, ვინ სთხოვა, გამიჩერეო? გარდა ამისა, საშინელ ხასიათზე იყო დღევანდელი საღამოს გამო. როცა მამაკაცმა მანქანა დაქოქა და გზას გაუდგა, ნიას შეაკანკალა. წარმოიდგინა, ახლა მის გვერდით გოდერძი რომ მჯდარიყო...

— რამე ისე ვერ არის? — გიგიმ შეამჩნია მისი რეაქცია.

— არა, არაფერი, — ამოიოხრა ქალმა, ოდნავ მოეშვა და საზურგეს მოხერხებულად მიეყუდა. ნია გზას გაჰყურებდა, მაგრამ უხილავი მზერით გრძნობდა, თავისი გრძელი თითებით როგორ ჩასჭიდებოდა უცნობი საჭეს. უნდოდა, უკეთ შეეთვალიერებინა მამაკაცი, მაგრამ თავი შეიკავა, იმის შიშით, რომ მის მზერას ვერ გაუძლებდა. მან მხოლოდ ადგილზე მიყვანა შესთავაზა, ეგ არის და ეგ. იგი კაზინოს დაცვის თანამშრომელია და ამიტომაც მიიჩნევს თავს ვალდებულად, სამორინედან გამოსული კლიენტები ფათერაკს არ გადაეყარონ. ვის რაში სჭირდება სკანდალი.

— თუ არ გაბრაზდებით, ერთ რჩევას მოგცემთ, ქალბატონო, — დაიწყო გიგიმ, — ისეთი მამაკაცები, როგორიც დევიძეა, საშიშნი არიან. შესაძლებელია, თქვენ ფიქრობთ, რომ მას, როგორც გაგიხარდებათ, ისე აცეკვებთ, მაგრამ ასე არ არის. ფრთხილად იყავით. თქვენი სიცოცხლე მისთვის არაფერს წარმოადგენს. ამიტომაც, თუკი შემთხვევით მისი რომელიმე საიდუმლო გარიგების თანამონაწილე გახდებით, თვალსაც არ დაახამხამებს, ისე გაგასაღებთ.

გაოგნებული ნია ყურებს არ უჯერებდა.

— რა-ა?

— რაც გაიგონეთ! მისნაირი ბანდიტისთვის თქვენ არაფერს წარმოადგენთ. მხოლოდ გასართობი თოჯინის

როლი გაკისრიათ და მეტი არაფერი.

— ბანდიტი?!

გიგიმ უნდობლად გახედა გოგონას და სვლა შეანელა.

— არ მოგეწონათ ეს სიტყვა? თქვენი აზრით, ზედმეტად უხეში ეპითეტი გამოვიყენე?

— კახა დევიძე ბანდიტი არ არის! ის ბიზნესმენია, მოსკოვში მუშაობს, კარგი ადამიანია!

ახლედიანმა თავი გადააქნია.

— ნარკოტიკებით ვაჭრობა და რეკეტით გამდიდრება, თქვენი აზრით, კარგ ადამიანობაზე მეტყველებს?

ნია ისეთი თვალებით შეაცქერდა მამაკაცს, თითქოს ეს უკანასკნელი ჭკუიდან შეიშალაო.

— ნუთუ ასეთი გულუბრყვილო ხარ, გოგონი? — შინაურულად მიმართა გიგიმ.

— არ ვიცოდი, ბანდიტი თუ იყო... — თვალებგაფართოებულმა თავი ჩაღუნა.

ნუთუ გულწრფელია მისი გაოცება? — გიგი უნდობლად შესცქეროდა გოგონას. ახლოდან იგი გაცილებით ლამაზი იყო, ვიდრე კაზინოში, მიუხედავად იმისა, რომ ქუჩის ქალივით ეცვა.

— საიდან გაიგეთ, რომ ბანდიტია? — დაინტერესდა ნია.

— მე ყველაფერი ვიცი მათ შესახებ, ვინც კაზინოს ზღურბლს გადმოაბიჯებენ.

— ჰო, რა თქმა უნდა, — დაეთანხმა ნია, — ეს ხომ თქვენი სამუშაოა. დაცვაში მუშაობთ, არა? სწორად მივხვდი?

გიგიმ ხელი გულის ჯიბეში ჩაიყო, სავიზიტო ბარათი ამოიღო და ნიას უსიტყვოდ მიაწოდა.

— გიგი ახვლედიანი, — ხმამაღლა წაიკითხა გოგონამ.

— ჩემთვის პრინციპის საქმეა, ვიცნობდე ყველას, ვინც კაზინოში შემოდის, — მსუბუქად თქვა მამაკაცმა, — ჩვენი ცხოვრება სავსეა ცუდი ადამიანებით, ამიტომაც აუცილებელია, კლიენტების მონაცემთა საიმედო ბაზა გვქონდეს. სამწუხაროდ, არსებობენ ისეთი ადამიანებიც, რომელთათვისაც თამაში აზარტია, მაგრამ წაგებულის გადახდა არ ძალუძთ. ეს ყველაფერი უნდა ვიცოდე. ისეთები კი, როგორიც ჩვენი საერთო ნაცნობი დევიძეა, ფულს უმისამართოდ ფლანგავენ. მათი შემოსავლებით კი დიდად არის პოლიცია დაინტერესებული. ბუნებრივია, რომ ჩემი კაზინო ოვაციებით არ შეხვდება ასეთ კლიენტებს.

ნია მოიქუფრა.

— თქვენი კაზინო? — ურწმუნოდ წარმოთქვა.

— ჰო, ჩემი, — მშვიდად დაუდასტურა გიგიმ.

გოგონამ გაოცებით შეხედა მამაკაცს, მერე მზერა მანქანის მდიდრულ სალონზე გადაიტანა.

— და არა მხოლოდ კაზინო, სასტუმროსაც ვფლობ და ბევრ სხვა რამესაც, — ღიმილი ვერ შეიკავა მამაკაცმა, როცა ნიას ბავშვურად გაოცებულ თვალებს შეხედა. გიგის ეგონა, გოგონას თვალები გაუბრწინდებოდა, როცა გაიგებდა, რომ მდიდარი მამაკაცის გვერდით იჯდა, მაგრამ მან მხოლოდ ღრმად ამოიოხრა.

— მე, რატომღაც, დაცვის თანამშრომელი მეგონეთ. მანქანაზე კი ვიფიქრე, ალბათ ბოსისგან ითხოვა-მეთქი.

— არა, ახლახან შევიძინე, — რამდენიმე წამით პაუზა გაწელა, — მოგწონთ?

— ძალიან საყვარელია, — თავაზიანად უპასუხა გოგონამ, რადგან იცოდა, რამხელა მნიშვნელობასაც ანიჭებდნენ მამაკაცები საკუთარ ავტომობილებს. გიგიმ თავი ვერ შეიკავა და ახარხარდა. გასაოცარი იყო, რომ გოგონას დიდი მნიშვნელობა არ მიუნიჭებია მისი მანქანისთვის, არადა, იგი რამდენიმე ათასი ევრო ღირდა. საინტერესოა! ხელოვნურად იქცევა ასე, თუ მართლა ასეთი მიამიტია? მაშინ რატომ მიატოვა ვიპ-პერსონები? რატომ არ გააგრძელა მათთან ერთად გართობა?

— რატომ არ წაჰყევით კახას? — ვეღარ მოითმინა და მაინც ჰკითხა გოგონას.

ნია დაიძაბა.

— იმიტომ, რომ ჯერ მთლად არ დავშტერებულვარ. მართალია, მისი მილიონების ისტორია არ ვიცოდი, მაგრამ არც ისეთი სულელი ვარ, მათთან ერთად სასტუმროს მყუდრო ნომერში გამოვმწყვდეულიყავი სექსუალური ორგიების გასამართავად!

გიგიმ წარბები აზიდა.

— უკაცრავად, მე მეგონა, სულ პირიქით იყო.

„ხომ ვამბობდი, ქუჩის ქალი ვგონივარ-მეთქი!“ — შეძრწუნებული ნია განზე გაიწია და თავისთვის ჩაიბურტყუნა.

— არა, ისე არ იყო, როგორც თქვენ ფიქრობთ... ძალაუნებურად მომიწია მათთან წასვლამ, იმიტომ, რომ... იმიტომ, რომ ჩემს დაქალს დახმარება სჭირდებოდა. იგი კახას საყვარელია, მაგრამ მოულოდნელად ავად გახდა და მთხოვა, მისი მაგივრობა გამეწია. არ უნდოდა, იგი მარტო დაეტოვებინა სხვა ქალების გარემოცვაში. ამიტომ დამავალა, თვალყური მედევნებინა მისთვის.

— ანუ, დარაჯად გაგამწესა?

— გიგი სიცილს ვერ იკავებდა.

— ჰო, დაახლოებით ასე იყო, თუმცა დავალება ხუთიანზე მაინც ვერ შევასრულე. მერე, როცა გავიგე, რომ სასტუმროში აპირებდნენ წასვლას და იქ... იქ საუნაში გართობას, სასტიკი უარი განვუცხადე, რის გამოც ფეხით მომიწია სიარულმა.

— შეგეძლოთ, ტაქსის გამოძახება გეთხოვათ.

— ტაქსი ფული ღირს, სამწუხაროდ.

— ჰო, მაგაში მართალი ხარ... სულ დამავიწყდა, რომ შენ სხვისი ფულის ხარჯვას ამჯობინებ... ასე ხარ მიჩვეული... — გიგის ხმაში აშკარა ირონია იგრძნობოდა.

— არ გაქვთ უფლება, ასე მელაპარაკოთ! — გააპროტესტა ნიამ.

მამაკაცმა მხრები აიჩეჩა.

— მერე რა, თქვენ არც პირველი ხართ და არც უკანასკნელი, ვინც ფულიანი მამაკაცების ხარჯზე ცხოვრობს.

— მაგრამ მე არ ვეკუთვნი მათ რიცხვს! — თავს იცავდა გოგონა.

გიგის ღიმილმა გადაურბინა ტუჩებზე.

— თუკი არ გსურთ, ხალხმა თქვენზე ასე ილაპარაკოს, მაშინ არ უნდა გამოჩნდეთ კახას მსგავსი მამაკაცების გვერდით, თუნდაც იგი წესიერი ბიზნესმენი იყოს.

— ხომ გითხარით, დაქალს ვეხმარებოდი-მეთქი! როგორღა აგიხსნათ! — ხმა წაერთვა ნიას, ნიკაპი აუკანკალდა, ცოტაც და ტირილი წასკდებოდა. გიგიმ ზემოდან დახედა გოგონას. დამცინავი ღიმილი არ შორდებოდა სახიდან.

— ჰო, რა თქმა უნდა! — ირონიულად თქვა და თავი მარცხნივ მიაბრუნა. მისი უნდობლობა და ცინიკური გამოხედვა გულს უკლავდა გოგონას. ნუთუ არასდროს შეიცვლის გამომეტყველებას? ჯანდაბას! ჯანდაბას! რატომ ჩაუჯდა მანქანაში, ვერ წაეთრია ფეხით?

— მომისმინეთ, პატივცემულო, — დაიწყო ბოლოს, — შეიძლება მე მართლა გულუბრყვილო და სულელი ვარ, მაგრამ ნამდვილად არ ვეკუთვნი იმ ქალთა რიგს, კახას რომ ახლდა დღეს საღამოს. არ მაინტერესებს, რა წარმოდგენა შეგექმნათ ჩემზე, სიმართლე გითხრათ, ჩემთვის სულერთია, ვინ გგონივართ!

— მაშინ, ვიმედოვნებ, რომ სხვა დროს არ აღმოჩნდებით მისნაირი ადამიანების გვერდით, თუნდაც დახმარება თქვენს საუკეთესო მეგობარს სჭირდებოდეს, — გაღიზიანებული ტონით უპასუხა გიგიმ.

— დღეს რომ მომიწია ამის გაკეთებამ, არ ნიშნავს იმას, რომ ბოზი ვარ. ამიტომ, გთხოვთ, შეწყვიტოთ ჩემი დაცინვა და ისე ნუ მიყურებთ, თითქოს არარაობა ვიყო! მე არ თქვენთვის არც მანქანის გაჩერება მითხოვია და არც მორალის წაკითხვა. ზუსტად ვიცი — ცხოვრებაში არ შემოვდგამ ფეხს თქვენს ძვირფას კაზინოში, არც კახასთან ერთად და არც მის გარეშე! ამიტომ ზედმეტ სიტყვებს ნუ დახარჯავთ ნოტაციების კითხვაში!

— ძალიან სამწუხაროა, რომ ასე გადაწყვიტეთ, — ტუჩი აიბზუა მამაკაცმა.

— როგორ, ასე?

— მე არ მითქვამს, კაზინოში არ მოხვიდეთ-მეთქი. იქ წესიერი ქალებიც დადიან...

გიგი შეფიქრიანდა. იმდენად გულწრფელად განაწყენდა გოგონა, როცა იგი ქუჩის ქალად აღიქვეს, რომ იძულებული გახდა, ერწმუნა მისი ნათქვამი. თუკი მართლა არ იცოდა კახას შავბნელი საქმეების შესახებ და არც მის საწოლში აპირებდა ჩაწოლას, ეს რადიკალურად ცვლიდა საქმის ვითარებას. ესე იგი, არც არავინ შეუშლის ხელს,

ეს სილამაზე თავისთვის დაიტოვოს... ამის გაფიქრებაზე ვნებიანად აენთო თვალები. ამასობაში ქალაქში შევიდნენ. ლამპიონების შუქმა მანქანაშიც შემოაღწია. ნია ახლა კარგად ხედავდა მის სახეს. მამაკაცმა მოხედა. ტუჩებზე უცნაური ღიმილი დასთამაშებდა. ნიამ იგრძნო, როგორ აეწვა გულ-მუცელი. მის ღიმილში იყო რაღაც განსაკუთრებული, მის თვალებშიც იყო რაღაც განსაკუთრებული... მის გარუჯულ სახეზეც... სადღაც გაქრა ირონიაც და ცინიზმიც. გოგონა სუნთქვაშეკრული, ფართოდ გაღებული

თვალებით მისჩერებოდა გიგის და ეჩვენებოდა, რომ გული სადაცაა, ამოუხტებოდა საგულედან. მამაკაცმა თითქოს იგრძნო ეს, ამიტომ უფრო თბილი გაუხდა ღიმილი.

— სურვილი გამიჩნდა, კიდევ ერთხელ მოხვიდეთ ჩემს კაზინოში, მაგრამ ამჯერად — ჩემი სტუმრის სტატუსით, თანახმა ხართ? — რბილად ჰკითხა გიგიმ და პასუხს მოუთმენლად დაელოდა. ნია ორჭოფობდა, ვერ გადაეწყვიტა, რა ეთქვა.

— ჰო, მართლა, რა გქვიათ?

— ნია... ნია ურუშაძე..

— ნია... პატარა ქალბატონი ნია... — დაიჩურჩულა ახვლედიანმა. მისი სასიამოვნო და რბილი ხმის გაგონებაზე ქალს თითქოს ჭიანჭველებმა დაურბინეს ტანში. ისეთი გრძნობა გაუჩნდა, თითქოს რამდენიმე ბოკალი შამპანური ჰქონოდა დალეული და ეს ყველაფერი იმ მამაკაცის გამო დაემართა, რომელიც გვერდით ეჯდა. ეჭვგარეშეა, რომ ეს ახვლედიანი ყველაზე თავბრუდამხვევი კაცია მთელ თბილისში, ქალები მასზე ალბათ ჭკუას კარგავენ. და სწორედ ამ მამაკაცმა თქვა ახლახან, კვლავ მინდა შენი ნახვაო... ხომ თქვა? ხომ არ მოესმა? არა, გამორიცხულია. იგი ერთ-ერთი მის ქალთაგანი ვერასდროს გახდება, მიუხედავად იმისა, რომ მდიდარია. მართლა ქუჩის ქალი კი არ არის. ნიამ ჩაახველა, თავს ძალა დაატანა და გაუბედავად წარმოთქვა:

— ვშიშობ, რომ ეს შეუძლებელია. მის ხმაში მერყეობა იგრძნობოდა. გიგის სახე შეეცვალა, გაოცებულმა თვალები მოჭუტა და გამჭოლი მზერა ესროლა გოგონას. სუსტი სქესისგან წინააღმდეგობას არ იყო მიჩვეული. რიტუალური ფლირტის დროსაც კი ცუდად გამოსდიოდათ ქალებს უარის თქმა, რადგან მის მომნუსხველ ღიმილს ვერავინ უმკლავდებოდა... ლამაზმანები პირველსავე შეთავაზებაზე ნებდებოდნენ. არც ეს გოგონა იქნება გამონაკლისი. მას არა აქვს უარის თქმის მიზეზი. მის ზურმუხტისფერ თვალებში ნათლად იკითხება, რომ იგი უკვე დაინტერესებულია გიგითი. ეს ქალური რეაქცია მისთვის ძალიან ნაცნობია, თუმცა რატომღაც ჰგონია, რომ მისმა მატერიალურმა მდგომარეობამ მაინცდამაინც ვერ აღაფრთოვანა გოგონა. ამასთან, ვერც იმას გაექცევა, რომ თავადაც განსხვავებული გრძნობა აქვს მის მიმართ. ეს არ არის ჩვეულებრივი სექსუალური აღტყინება, მორიგი ლამაზმანის დანახვისას რომ წამოუვლის ხოლმე. ამიტომაც სურს, უფრო ახლოს გაიცნოს. გიგიმ კარგად უწყოდა, რომ მამაკაცების უმრავლესობას დიდი დრო არ ეკარგებოდა ქალის ლოგინში შესატყუებლად. იგივე შეიძლება ითქვას ქალების უმრავლესობაზეც. ზოგიერთისთვის რამდენიმე ჭიქა სასმელიც საკმარისია, მორჩილად დაჰყვეს მამაკაცის ნებას. მაგრამ გიგი თავად არ აჩქარებდა ხოლმე ამ პროცესს. მას მოსწონდა, როცა ქალში ნელ-ნელა აღვივებდა მისადმი ლტოლვას. სწორედ ცდუნების პროცესი ანიჭებდა სიამოვნებას. კარგად იცოდა, რითაც დამთავრდებოდა შეხვედრა, მაგრამ დაახლოების შენელებული პროცესი უფრო მეტ სიამოვნებას ჰგვრიდა, ვიდრე ხუთ წუთში დანებებული მანდილოსანი. ეს ლამაზმანი კი ნამდვილი მაცდუნებელი არსება იყო. ასეთი კარგი „ნაჭერი“ ჯერ არ შეხვედრია! კიდევ კარგი, დროზე მიუსწრო და ისიც არ აღმოჩნდა „გაფუჭებული საქონლის“ სიაში. ოღონდ ეს საშინელი კაბა უნდა გადააგდებინოს!.. ეს ფეხსაცმელიც, რომელიც დისკომფორტს უქმნის. და რაც უფრო ჩქარა იზამს ამას, მით უკეთესი... მანქანა მარჯანიშვილის მოედანზე გავიდა. ხომ არ სჯობია, თავისთან წასვლა შესთავაზოს? საინტერესოა, თუ დათანხმდება ნია მის წინადადებას? ეჭვიც არ ეპარება გიგის, რომ ადვილად დაიყოლიებს. ოცდათოთხმეტი წლის ასაკში საკმაო გამოცდილება დაუგროვდა საიმისოდ, რომ ზუსტად განსაზღვროს, რა დროს ებმება ქალი მის მახეში. ახლა სწორედაც რომ ეს მომენტია. ნიას შეცბუნებულ მზერაში კარგად იკითხება, რომ მის მიმართ სიმპათია გაუჩნდა. მის თვალებში გაჩენილი ნაპერწკლების მხოლოდ ოდნავი გაღვივებაა საჭირო, რომ ალი ავარდეს. მაგრამ ღირს კი ხანძრის ამაღამ გაჩენა? იქნებ უფრო შესაფერის მომენტამდე დაიცადოს? ორივე ვარიანტს თავისი უპირატესობა ჰქონდა. რომელი აერჩია?

— დიდი მადლობა, თუ შეიძლება, აქ გამიჩერეთ! — ვნებათაღელვის სამყაროდან გოგონას ხმამ გამოარკვია. უნებურად გაეღიმა. გურული გოგონები ხშირ შემთხვევაში ასეთები არიან. სიამოვნებთ, როცა უკარებას იარლიყს მიიწებებენ ხოლმე... მაგრამ თუ მამაკაცი მოსწონთ, საკმარისია, ოდნავ შეახო ხელი, რომ მათი მედიდურობა და დისტანციურობა მაშინვე უკვალოდ ქრება. სინამდვილეში, სწორედ ამას ელიან ძლიერი სქესისგან. ხოლო თუ ამ პატარა მზეთუნახავს სურდა, გამონაკლისი ყოფილიყო, არ უნდა ეგრძნობინებინა გიგისთვის, რომ მოხიბლულია მისით. არადა, თავადაც რომ იმავეს განიცდის? მისმა მწვანე თვალების ელვარებამ ლამის დაშანთა ამ საღამოს, კაზინოში. იგი კარგად ხვდება, რომ დაშანთვის ეს ტალღა ორმხრივია და საბედნიეროდ, ამწუთას არ არსებობს არც ერთი მიზეზი, რომელსაც შეუძლია ხელი შეუშალოს მათ ერთმანეთისთვის სიამოვნების მინიჭებაში. ეს ფაქტია, როგორი თავდაჭერილი ტონითაც უნდა ისაუბროს პატარამ. გიგიმ სატერფულს ფეხი დააჭირა, მანქანა გააჩერა და სახით ნიასკენ შებრუნდა. ჯანდაბას! ის მართლაც რომ განსაკუთრებულია! რომანტიკული უწესრიგობა, პირველ რიგში, მის თმას დასტყობოდა, სასიამოვნოდ რომ უბზინავდა ღამის შუქზე. თვალები? მიუხედავად იმისა, რომ ტუშს ვერაგულად მოესწრო მათი გადღაბნა, ქალის გუგების ზურმუხტისფერ ელვარებას მაინც ვერაფერს აკლებდა. მათი მზერა ერთმანეთს შეხვდა. გოგონამ ვერ გაუძლო მამაკაცის გამოხედვას და ჟრჟოლაატანილმა წამწამები დახარა. გიგიმ ისევ გაიღიმა.

— დარწმუნებული ხარ, რომ წასვლა გინდა? — ორაზროვნად ჰკითხა გოგონას.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ჯონ დევიდონ როკფელერი — „კლივლენდელი მეფისტოფელი“

ჯონ როკფელერი 1839 წლის 8 ივლისს ნიუ-იორკის შტატის ქალაქ რიჩფორდში, ეკონომის ოჯახში დაიბადა. მამამისი ეგრეთ წოდებულ „ჯანმრთელობის ელექსირს“ ამზადებდა, რომელსაც „სასწაულთმოქმედ“ ძალას მიაწერდა და ერთ ბოთლს 25 დოლარად ყიდდა. დედა ღვთისმოშიში, ღრმად მორწმუნე ქალი გახლდათ.

თემურ ივანიძე

ჯონი პატარაობიდანვე გამოირჩეოდა საზრიანობითა და სხარტი გონებით. ჯერ კიდევ 7 წლის იყო, როცა მეზობელს საკუთარი დანაზოგი — 50 დოლარი ასესხა 7-პროცენტიანი წლიური სარგებლით. იგი ხალისით ასრულებდა სახლის პირობებში წვრილმან სამუშაოს და მშობლებისგან ფულად გასამრჯელოსაც იღებდა. ამ გზით ნაშოვნ ფულს ბიჭი საგულდაგულოდ ინახავდა და იმდენის დაგროვება შეძლო, რომ რამდენჯერმე საკუთარ მამასაც „გაუმართა ხელი“ — სარფიანი საპროცენტო სარგებლით გამოუყო მცირე კრედიტი.



„სტანდარტ ოილის“ პირველი საწარმო კლივლენდში

16 წლის ასაკში ჯონმა კოლეჯს თავი დაანება, საბუღალტრო კურსები დაამთავრა და კლივლენდში გაემგზავრა, სადაც 1855 წლის 26 სექტემბერს ბუღალტრის თანაშემწის თანამდებობა მიიღო. ამ დღეს შემდგომში იგი თავის მეორედ დაბადების დღედ მოიხსენიებდა.

როკფელერი სამსახურში დილის შვიდის ნახევარზე მიდიოდა და შინ საღამოს ათი საათის შემდეგ ბრუნდებოდა. იგი არ სვამდა ყავას, არ ეწეოდა სიგარეტს, არ ეკარებოდა ალკოჰოლს, არ დადიოდა დისკოთეკებსა და თეატრშიც კი. სამი წლის დაუღალავი შრომის შედეგად მან 4 ათასი დოლარი დააგროვა და მთელი თანხა საბროკერო ფირმაში ჩადო. იმ პერიოდში სამოქალაქო ომი დაიწყო და სპეკულაციისათვის ოქროს ხანა დადგა. ასიათასობით ამერიკელი ბრძოლის ველზე იღუპებოდა, როკფელერის საქმე კი სულ უფრო და უფრო წინ მიიწევდა.

100 წლამდე მას მხოლოდ 2 წელი დაკლდა

როკფელერმა ცოლად შეირთო ლორა სელესტინა სპელმანი, რომელიც ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში გაიცნო. ლორა მასწავლებელი გახლდათ და ღვთისმოსაობასთან ერთად, პრაქტიკული ადამიანის გონიერებით იყო დაჯილდოებული. როკფელერი შემდგომში ამბობდა, — მეუღლის ჭკვიანური რჩევები რომ არა, ცხოვრებას სიღატაკეში გავატარებდიო.

იმხანად ამერიკელები ჯერ კიდევ არ იყვნენ განებივრებულნი ელექტროენერგიით და საღამოობით ამერიკულ ოჯახებში ნავთის ლამპები ინთებოდა. ამ, ერთი შეხედვით ჩვეულებრივმა ყოფითმა ფაქტმა ჯონის ყურადღება მიიპყრო. მან 1863 წელს თავის კომპანიონთან, სემუელ ენდრიუსთან ერთად თავისი პირველი ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა დააარსა, ოთხი წლის შემდეგ კი — კომპანია „სტანდარტ ოილი“ ჩამოაყალიბა. ნავთობის გადაზიდვისათვის შეღავათიანი ტარიფების მისაღებად 1872 წელს როკფელერი და ფლეგლერი საიდუმლოდ გაურიგდნენ რკინიგზის უფროსს. ეს გარიგება მომაკვდინებელი აღმოჩნდა მათი კონკურენტებისათვის, რომლებიც იძულებული გახდნენ, ან დაეხურათ საკუთარი ბიზნესი, ან საკუთარი ფირმები როკფელერისთვის მიეყიდათ. მოგვიანებით ამ ოპერაციას „კლივლენდური დახვრეტა“ უწოდეს. იგივე მაქინაცია მათ ამერიკის სხვა ქალაქებშიც ჩაატარეს.

1877 წლისათვის როკფელერი ამერიკის შეერთებული შტატების ნავთობგადამამუშავებელი წარმოების 90%-ს აკონტროლებდა. ბიზნესის წარმოების თავისებური მანერის, ეშმაკობისა და უპრინციპობის გამო ჟურნალისტებმა მას „კლივლენდელი მეფისტოფელი“ შეარქვეს.

1911 წელს „სტანდარტ ოილის“ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ გამოიტანა განაჩენი, რომლის თანახმადაც კომპანია 34 ცალკეულ კომპანიად უნდა დაშლილიყო. განაჩენი სისრულეში მოიყვანეს, მაგრამ ახალი კომპანიების აქციების ფასი მკვეთრად გაიზარდა. ასე რომ, როკფელერმა საქმე ფორმალურად კი წააგო, მაგრამ საკუთარი ქონება გაორმაგა.

როკფელერის არაკეთილმოსურნენი იმედოვნებდნენ, რომ ელექტრობის გამოგონება გამანადგურებელ დარტყმას მიაყენებდა ნავთობის მაგნატს, მაგრამ როკფელერს მტკიცედ სწამდა, რომ ღმერთი არ გაწირავდა. მართლაც, დაიწყო პირველი მსოფლიო ომი, და ნავთი, რომელსაც ადრე პრიმუსებში ასხამდნენ, ახლა სამხედრო გემებისთვის გახდა საჭირო. პირველმა მსოფლიო ომმა როკფელერი კიდევ უფრო მდიდარ და გავლენიან ადამიანად აქცია.

ჯონ როკფელერი მშვიდი ადამიანი გახლდათ. იგი არასოდეს უწევდა ხმას და არ ნერვიულობდა, მაღალი ხელფასებითა და პენსიებით ანებივრებდა ერთგულ თანამშრომლებს, ზრუნავდა ავადმყოფ დედაზე და არასოდეს წასჩხუბებია ცოლს. საკუთარ ოჯახში მას საბაზრო ეკონომიკის ნამდვილი მოდელი ჰქონდა შექმნილი. შვილები საბუღალტრო აღრიცხვას აწარმოებდნენ. ისინი ფულს ისე შოულობდნენ, როგორც შეეძლოთ: მოკლული ბუზისთვის როკფელერი ბავშვებს 2 ცენტს უხდიდა, ფანქრებისათვის წვერის წათლაში — 10 ცენტს, შეშის დაპობაში — 15-ს. ყოფითი ხარჯი მინიმუმამდე იყო დაყვანილი. ბავშვები მკაცრ ეკონომიურ გარემოში ცხოვრობდნენ. უმცროსი შვილები უფროსების გამონაცვალ ნივთებსა და ტანსაცმელს ატარებდ-

ნენ, რის გამოც ოჯახში ერთადერთი ვაჟი, უფროსი დების გამონაცვალ კაბებში იზრდებოდა.

XIX-XX საუკუნეების გასაყარზე ჯონ დევისონ როკფელერი მსოფლიოს უმდიდრეს ადამიანად, ხოლო მისი მონოპოლია — უდიდეს, მაგრამ მანამდე არსებულთა შორის ყველაზე უსამართლო მონოპოლიად დაასახელეს. მარტო „სტანდარტ ოილი“ წელიწადში 3 მილიონი დოლარის მოგებას იძლეოდა. გარდა ამისა, როკფელერს 16 სარკინიგზო და 6 ფოლადსადნობი კომპანია, უძრავი ქონებით მოვაჭრე 9 ფირმა, 6 თბომავალი, 9 ბანკი და ფორთოხლის სამი თვალუწვდენელი პლანტაცია ეკუთვნოდა.

ჯონმა ჯანმრთელობა და სიმხნევე ღრმა სიბერემდე შეინარჩუნა. ხანში შესული მაგნატი სპორტს მისდევდა, ისწავლა გოლფის თამაში, აითვისა სპორტული ველოსიპედი და შეიყვარა ქალთა საზოგადოება.

როკფელერი ამაყობდა საკუთარი ხელგაშლილობით. იგი თავს ქრისტიან ბიზნესმენს უწოდებდა და ახალგაზრდული წლებიდან მოყოლებული, საკუთარი შემოსავლების 10%-ს ბაპტისტურ ეკლესიას სწირავდა. 1905 წელს ეს 10% უკვე 100 მილიონ დოლარს შეადგენდა.

მიუხედავად ყველაფრისა, მას კონკურენტები და არაკეთილმოსურნენი სატანას ეძახდნენ და ჰგავდა კიდევაც: დანაოჭებული კანი, აბსოლუტურად უთმო თავი — არც თმა, არც ულვაში, არც წარბები და არც წამწამები; თხელი, ძაფივით წვრილი ტუჩები, ჭკვიანი, მკვირცხლი და მკაცრი თვალები — ასეთი გახლდათ სიცოცხლის ბოლოს როკფელერი. 100 წლამდე მას სულ ორი წელიწადი დააკლდა. იგი გულის შეტევით 1937 წლის 23 მაისს გარდაიცვალა.

მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრების ბოლო წლებში როკფელერმა ნახევარ მილიარდ დოლარზე მეტი ქველმოქმედების სახით გაიღო, მის ვაჟიშვილს, მემკვიდრეობად უზარმაზარი თანხა — 469 მილიონი დოლარი ერგო წილად. თავის მხრივ, ჯონ როკფელერ-უმცროსმაც უზარმაზარი თანხა გაიღო ქველმოქმედებისათვის. გამოყო ფული ქალაქ ნიუ-იორკის კავშირგაბმულობის ინდუსტრიის განვითარებისათვის და „როკფელერის ცენტრის“ ასაშენებლად. 9 მილიონი დოლარი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შენობის მშენებლობას შესწირა. სწორედ მისი დამსახურება გახლდათ, რომ გაეროს შტაბბინა ნიუ-იორკში აშენდა და არა ამერიკის რომელიმე სხვა ქალაქში. სახელგანთქმული „ემპაიერ-სტეიტ-ბილდინგიც“ ჯონ როკფელერ-უმცროსის აშენებული გახლავთ.

ჯონ დევისონ როკფელერს მრავალრიცხოვანი შთამომავლობა დარჩა. მისი საგვარეულო ამჟამად 200-ზე მეტ წევრს ითვლის და საერთო კაპიტალის მიხედვით, დღესაც ყველაზე მდიდარ ოჯახად მიიჩნევა შეერთებულ შტატებში. ■

როკფელერცენტრი ნიუ-იორკში

სპეციალური კროსვორდი



ეკვესების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავთ.

გ. მდინარე ინდოეთში; **ა.** სიყვარულის ღმერთი რომაულ მითოლოგიაში; **ე.** რა ერქვა „ნატვრის ხის“ პერსონაჟს, ღარიბ გლეხს, რომელიც მთელი სიცოცხლე ოქროს თევზს, ნატვრისთვალსა და ნატვრის ხეს ეძებდა; **რ.** ორთვლიანი ეტლი, რომლის ხელნებშიც ადამიანია შებმული. იყენებენ მგზავრების გადასაყვანად; **თ.** მართლმსაჯულების ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში, რომელსაც ბემეს თქმით, ხელში მახვილი რომ არ ეჭიროს, სასწორს თავზე გადაამტვრევდნენ; **ე.** საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეული, რომელსაც განაგებს ეპისკოპოსი; **თ.** აკაკი წერეთლის წოდება; **ჩ.** ინგლისელი პოეტი, ინგლისური პოეზიის ფუძემდებელი; **ვ.** რუსული ანსამბლი, რომელსაც ერთ-ერთი სიმღერა ვალერი მელაძესთან ერთად აქვს ჩაწერილი; **ე.** გადამდები დაავადების მუდმივად არსებობა რომელიმე მხარეში; **ნ.** ქართული, სატირულ-იუმორისტული ჟურნალი, რომელიც საბჭოთა პერიოდში გამოდიოდა; **ს.** საქართველოს ერთ-ერთი კუთხე; **უ.** ფრინველთა გაბმული ხმიანობა; **უ.** ძალიან იშვიათი რამ; **რ.** იტალიელი კომპოზიტორი, „სევილიელი დალაქის“ ავტორი; **ნ.** ჩანჩქერი ჩრდილოეთ ამერიკაში; **ა.** ცელქი, მოუსვენარი; **ლ.** პოტომაკი — ვაშინგტონი, ვლტავა — პრაღა, შპრეე — ბერლინი, ტემზა — ?; **თ.** პატარა ცხოველი, რომელსაც თქმულების მიხედვით უთხრეს, ქვეყნის აღსასრული მოვიდაო, და მან კი თვალები დაითხარა, მაინც აღარ გათენდებაო; **ა.** თვითმფრინავის სადგომი; **ნ.** ბიბლიური პერსონაჟი; **ე.** რუსი მწერალი, ცნობილი ზღაპრის „კუზიანი კვიცის“ ავტორი; **რ.** მანძილი, რომელსაც ასრულებს ტრანსპორტი საწყისი პუნქტიდან საბოლოო პუნქტამდე; **თ.** სპილენძის ვიწროყელიანი ჭურჭელი წყლისათვის; **ა.** შუაზიელი ფილოსოფოსის და მეცნიერის აბუ ალი იბნ სინას ლათინიზებული სახელი; **დ.** ნადირობის ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში.

„გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

პასუხები: შ. შეგირდი; **ე.** ეგზემა; **ნ.** ნიაგარა; **ა.** აორტა; **რ.** რეა; **შ.** შამფური; **ე.** ერმაკი; **ბ.** მაორები; **ც.** ცუღლუტი; **დ.** დრაკონი; **ა.** აკლდამა; **რ.** რვალი; **ხ.** ხედი; **ა.** ატაშე; **რ.** რიბოკი; **ა.** ამერიკა; **რ.** რურუა; **ჩ.** ჩხიკვი; **ე.** ესკიმო; **ვ.** ვუალი; **ა.** ანცი; **ნ.** ნამაზი; **შ.** შვაბრა; **ი.** ირონია.

გამუქებულ უჯრედებში იკითხება:
გზა რამ მოლალა და ბერიკაცმაო

შარლიზ ტერონი:

„გარეგნული ელვარება – სისულელეა"

შარლიზ ტერონი ამბობს, რომ მგრძნობიარე ადამიანთა რიგს არ მიეკუთვნება და თან ცხოველთა უფლებების დასაცავად იბრძვის. ჰოლივუდის სექსსიმბოლოდ ქცეულ მსახიობს სძაგს ქალის, როგორც ობიექტის აღქმა და ამბობს, რომ მნიშვნელოვანია რეალობა და არა სიმბოლოები...

ჟურნალისტი შარლიზ ტერონს ინტერვიუს ჩამოსართმევად, ბევერლი-ჰილზზე მდებარე სახლში ესტუმრა. სუპერმარკეტიდან ახალდაბრუნებული მსახიობი მაგიდაზე გაშლილ პროდუქტებს — ნიორს, კაპარს, სატაცურსა და პომიდორს ათვალიერებდა, ვახშმის მოსამზადებლად ემზადებოდა და ირწმუნებოდა, რომ ყველაზე საინტერესო, რის შესახებაც ჟურნალისტს შეუძლია მოუთხროს — ვახშმის მისეული რეცეპტია...

— იმის შესახებ მინდა გკითხოთ, რაც მართლაც მნიშვნელოვნად მიმაჩნია. ალბათ ეს თქვენს ცხოვრებაში ყველაზე მტკივნეული მოვლენა იყო...

— მამას გულისხმობთ? გაინტერესებთ, მისი გარდაცვალება როგორ გადავიტანე?

— გადაიტანეთ კი?..

— მაშინ 15 წლის ვიყავი. იოჰანესბურგთან ახლოს ფერმა გვქონდა და ჩემი მშობლები საქონელსა და სირაქლემებს უვლიდნენ. საღამოს მამა სახლში უგონოდ მთვრალი დაბრუნდა. ჩვეულებისამებრ აგრესიული შეტევა დაეწყო და იარაღი დაგვიმიზნა. დედამ თოფს ხელი დაავლო, რომლითაც ველურ ძაღლებსა და ტურებს ვიგერიებდით ხოლმე და მამას ესროლა... ეს ნამდვილად თავდაცვა იყო. დედა არ გაუსამართლებიათ.

— თქვენც არ დაგიდანაშაულებიათ?

— ამ კითხვაზე პასუხი ჩემი ცხოვრებით გავეცი. როდესაც ლოს-ანჯელესში დავმკვიდრდი და სახლი ვიყიდე, პირველი, რაც გავაკეთე, ის იყო, რომ დედასა და მამინაცვალს ჩემთან გადმოსვლა ვთხოვე. ახლა ისინი ჩემგან 10 წუთის სავალზე ცხოვრობენ. მამის გარდაცვალება ჩემთვის მართლაც დიდი ტრავმა იყო, მაგრამ მისი დაღუპვის შემდეგ, რაღაც მომენტში, გავაცნობიერე, რომ ეს მოხდა და ვერაფერს შევცვლიდი. მამა ალკოჰოლიკი იყო. სწორედ ამ დაავადებისა და ოჯახში დატრიალებული საშინელი სცენების გამო იყო, რომ 13 წლის ასაკში დედამ იოჰანესბურგის ინტერნატში მიმაბარა... მეორე მხრივ, მამა ძალზე გულუხვი ადამიანი გახლდათ. ვინმეს დასახმარებლად, პირიდან ლუკმას გამოიღებდა. ერთი დაბადების დღეც კი არ მახსოვს, მისგან საჩუქარი რომ არ მიმეღო. 14 წლისა უკვე საკუთარი ავტომობილით დავდიოდი, რადგან მანქანის მართვა 9 წლის ასაკში ვისწავლე და ტრაქტორსაც კი ვატარებდი. დიახ, მამა მართლაც გულუხვი ადამიანი იყო, მაგრამ მის გულუხვობას მხოლოდ მატერიალური გამოხატულება ჰქონდა. ერთ მომენტსაც კი ვერ გავიხსენებ, რომ ერთად დავმსხდარიყავით და რამეზე გვესაუბრა... დედასთან სულ სხვა დამოკიდებულება მქონდა — ყველაფრით მისგან ვარ დავალებული. განსაკუთებით კი მისი მუჯლუგუნების მადლიერი ვარ!

— ეს როგორ?

— დედას მუდამ აინტერესებდა ჩემი ცხოვრება და ყოველთვის აკონტროლებდა მას. ამასთან ჩემს საუკეთესო მეგობრად რჩებოდა. დედა ჩემი „ნდობით აღჭურვილი პირი" იყო. არასდროს გვიკამათია ისეთ საკითხებზე, რომლებიც ჩემს განვითარებას შეეხებოდა. მე მინდოდა — ესე იგი შესრულდებოდა! ამასთანავე, დედა ძალზე მკაცრიც იყო და ჩემი ცემა მართლა შეეძლო. ერთხელ მაღაზიაში მოხუცებულს უხეშად შევეპასუხე და ამის გამო მწარედ მომხვდა. მეორედ, სასკოლო ფორმა არ გამოვიცვალე, ტომატის წვნიანი მივირთვი და ფორმა დავსვარე. მსგავსი მესამე და მეოთხე შემთხვევაც მახსოვს. გაბრაზებულ დედას ყველაფერი შეეძლო ესროლა, რაც ხელში მოხვდებოდა. ერთხ-

ელ სავარცხელი გამომიქანა, მეორედ კი ტანსაცმლის საკიდარი მომცხო, რომელზეც დისნეის მულტფილმების პერსონაჟები იყო გამოსახული და მთელი კვირა უკანალზე მულტფილმები მეხატა... მაგრამ რომ იცოდეთ, ამისთვის როგორი მადლობელი ვარ!

— მიგაჩნიათ, რომ ბავშვის ცემა დისციპლინის გამომუშავებას ხელს უწყობს?

— მიმაჩნია, რომ დისციპლინის გამომუშავება და თვითდისციპლინა ძალზე მნიშვნელოვანი თვისებებია. ადამიანს სწორედ ეს თვისებები „უმზადებს ბედს“. 12 წლის განმავლობაში, როდესაც ბალეტზე დავდიოდი, მუდმივმა ვარჯიშმა და დაუსრულებელმა რეპეტიციებმა ფიზიკურ დატვირთვას მიმაჩვია. 16 წლის ვიყავი, როდესაც სამოდელო კონკურსში გავიმარჯვე და მას შემდეგ ჩემს ცხოვრებაში საკვების შეზღუდვის ხანა დაიწყო. ჩემი წარმატების უპირველესი საფუძველი

სწორედ ის სილაქებია, რომელიც ბავშვობაში მრავლად მივიღე.

— ბევრს კი ჰგონია, რომ სერიოზულ მსახიობად პირადმა დრამებმა და გადატანილმა ტრავმებმა ჩამოგაყალიბათ...

— ეს ქათინაური იყოს... მიმაჩნია, რომ უბრალოდ ნიჭიერი ვარ! სერიოზულად თუ ვილაპარაკებთ, მაშინ ვიტყოდი: ამ როლების თამაში იმიტომ შევძელი, რომ ძალიან მინდოდა; ვიცოდი, ეს ძალზე მნიშვნელოვანი იყო. ეს როლები და ფილმები ქალებისა და მათი ბედის შესახებ რაღაც ისეთს ამბობდა, რის შესახებაც საზოგადოებას აუცილებლად უნდა სცოდნოდა!

— სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ქალებზე სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ კამპანია თქვენ იმ დროს წამოიწყეთ, როდესაც იქ ამის შესახებ ხმამაღლა ლაპარაკი მიღებული არ იყო; თქვენ ცხოველთა უფლებების დასაცავად იბრძვით; თქვენ ატირდით, როდესაც თქვენს გმირს, ნელსონ მანდელას შეხვდით... წლებთან ერთად თქვენი გრძნობები და ალმაფრენა არ ჩაცხრა? არსებობისთვის ბრძოლამ, ჰოლივუდში შემდგარმა კარიერამ, ვარსკვლავურმა ცხოვრებამ და ბოლოს „ოსკარმა“, ამ მხრივ თქვენზე არ იმოქმედა?

— განსაკუთრებულად რომანტიკული არასდროს ვყოფილვარ, უბრალოდ წარმოსახვის უნარი მაქვს. როდესაც ოჯახში ერთადერთი ბავშვი ხარ და ფერმაში ცხოვრობ, საკუთარი თავის გართობა თავადვე გიწევს და დასახმარებლად წარმოსახვას უხმობ... ცხოვრებამ მასწავლა, რომ ბოროტების ჩადენის გარეშე ცხოვრებაში თავს ვერ გაიტან. უნებლიე ღალატი მეც ჩამიდენია. ეს ძალზე მწარე, მაგრამ ამავე დროს გარდაუვალი მომენტია. ჩემი ყოფილი აგენტი მისტერ კროსბი ჩემზე ნაწყენია, რადგან სხვა სააგენტოში გადავედი, რადგან იქ უფრო დიდი პერსპექტივა მესახებოდა. ძალიან ვწუხვარ, რომ ჯონის გრძნობები შევლახე, მაგრამ მისთვის ვერაფრის ახსნა ვერ შევძელი.

— ცხოვრების გზაზე უამრავი იმედგაცრუება შეგხვდათ... ეს ყველაფერი საწინააღმდეგო სქესთან ურთიერთობაზე როგორ აისახა?

— ხომ გეუბნებით: ბუნებით რომანტიკოსი არ ვარ. მამაკაცთან ურთიერთობისგან ძალზე ბევრს არასდროს ველოდი, თუმცა ზოგიერთი რამის მიმართ საკმაოდ შეურიგებელიც ვარ. მაგალითად, არასდროს გავაგრძელებ ურთიერთობას მასთან, ვინც მომატყუებს. ჩემთვის ასეთი ურთიერთობის გაგრძელებას აზრი არ აქვს.

— ძნელი იყო, როდესაც ფილმში „მონსტრი“ ნათამაშები როლისთვის თქვენი სილამაზე დათმეთ და სახე დაიმახინჯეთ?

— მნიშვნელოვანი რამის გამო უმნიშვნელოზე უარის თქმა უნდა შეგვეძლოს. გარეგნული ელვარება

— სისულელეა! ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო იმის გადმოცემა, თუ რა გადაიტანა ამ ქალმა, რამ მიიყვანა მკვლელობამდე. მასში სიყვარულის უდიდესი წყურვილი იმალება...

— საკუთარ საქციელს თუ ნანობთ ხოლმე?

— ზოგჯერ... ამას წინათ, კაფეში ერთი მამაკაცი გვერდით მომიჯდა და მასთან ერთად დალევას დაჟინებით მთხოვდა. მე და დედა საუბარს ვაგრძელებდით. უხეშად გამოგვივიდა, ახლა ძალიან ვნანობ.

— ფილმებში — „მონსტრი“ და „ცნობილი ადამიანი“, ლესბოსელი და ბისექსუალი გმირები განასახიერეთ. არ შიშობთ, რომ თავადაც ლესბოსელად მიგიჩნევენ?

— ჰომო და ჰეტეროსექსუალებს შორის დიდ განსხვავებას ხედავთ?

— თავისუფალ დროს თქვენი საყვარელი საქმიანობა რა არის?

— ნებისმიერი რამ, ოღონდ დედასთან ერთად.

■

მოამზადა **ნატო მანჯავიძემ**

ერედველმა გოგონამ მშობლიური კუთხის ოკუპაციის ამბავი ფრანკფურტში შეიტყო

რამდენიმე წლის წინ, ერედველმა გოგონამ გერმანიაში გამგზავრება გადაწყვიტა. გავიდა ორიოდე წელი და აგვისტოს ომის დროს მისი სახლი გადაწვეს, სოფელი მიწასთან გაასწორეს და სხვა სოფლებთან ერთად, ერედვიც საოკუპაციო ზონაში მოაქციეს. როცა სოფო მაისურაძე გერმანიიდან დაბრუნდება, მას არც სოფელი დახვდება და არც თავისი სახლ-კარი. დახვდება ერთადერთი ოჯახის წევრი — დედა, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში შვილს მოუთმენლად ელოდა. სოფოს, მისი თავგადასავლის შესახებ ვრცლად სასაუბროდ, გერმანიაში ტელეფონით დავუკავშირდით.

„...შეშინებულმა მკითხა, ხომ არ ჩამოხვედიო?“

ნათია ქივიძე

— **თავიდან, ორიოდე სიტყვით, შენი წარმოშობის შესახებ მოგვიყევი.**

— 1989-1990 წლებში ცხინვალის მე-4 საშუალო სკოლაში ვსწავლობდი, მაგრამ შემდეგ დაწყებული კონფლიქტის გამო, იძულებული გავხდით, იქაურობა დაგვეტოვებინა და საცხოვრებლად გორის რაიონში, სოფელ ბერულაში გადავედით. ბერულის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, ილია ჭავჭავაძის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში, გერმანული ენის მთარგმნელობით ფაკულტეტზე ჩავირიცხე. სულ ეს არის ჩემი მოკლე ბიოგრაფია. მეტს ვერაფერს გეტყვით. ისევე, როგორც ჩემი თანატოლების უმეტესობა, მეც სწავლა-განათლებით ვიყავი დაკავებული.

— **გერმანიაში წასვლა როდის და რატომ გადაწყვიტე?**

— გერმანიაში ჩამოსვლა ძალზე დიდი ხნის წინ გადავწყვიტე, შეიძლება ითქვას, მაშინ, როდესაც პროფესია ავირჩიე. თუმცა გერმანიაში ჩამოსვლა მხოლოდ უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მოვახერხე. აქ სრულიად ლეგალურად ჩამოვედი, თან, ეს სხვების დაუხმარებლად მოვახერხე. თავდაპირველად ვცდილობდი, გერმანიაში სტუდენტის სტატუსით ჩამოვსულიყავი და აქ მაგისტრატურაში გამეგრძელებინა სწავლა, მაგრამ საამისოდ სოლიდური ფინანსები იყო საჭირო, ჩემს ოჯახს კი ამის შესაძლებლობა არ ჰქონდა. სწორედ ამიტომ, ერთ-ერთ სააგენტოს დავუკავშირდი და გერმანიაში „ოუ-პერის“ (Au-pair) პროგრამით ჩამოვედი. თავიდან ქალაქ კიოლნში, გერმანულ ოჯახში ვცხოვრობდი. შემდეგ, მიუნხენში, მოგვიანებით კი — ფრანკფურტში გადავედი.

ომის დროს ყველა ქართველი ერთად ვიყავით. ჩემი უცხოელი მეგობრებიც კი მხარში ამომიდგნენ

— **როგორ ფიქრობ — რით განსხვავდებიან გერმანია და გერმანელები ჩვენ ქვეყნისა და ქართველებისგან? ამის გამო, გაგიჭირდა თუ არა იქ ცხოვრება?**

— როცა აქ ჩამოვედი, უცხოდ და გასაოცრად არაფერი მომჩვენებია. ზუსტად ის დამხვდა, რასაც ველოდი. ე.ი. ამ ყველაფერზე სავსებით რეალური წარმოდგენა მქონდა, ამდენად, არც შეგუება გამჭირვებია. ქართველებსა და გერმანელებს შორის განსხვავება მართლაც, ძალიან დიდია. თავიდან ყველაფერი უსულო მეჩვენებოდა. აქ რომ ჩამოვედი, ჩემი პირველი ფრაზა ასეთი იყო: „ყველაფერი ძალიან ლამაზია, სუფთა და მოვლილი, მაგრამ — უტყვი და უგულო“. მაგრამ ეს წარმოდგენა დროის გასვლასთან ერთად გაქრა. ახლა ჩემთვის გერმანია უკვე მშობლიური გახდა. გერმანელებისა და ქართველების მენტალიტეტს რაც შეეხება, — ერთმანეთისგან სრულიად განსხვავდებიან. ქართველებს ყველაფერი გადაჭარბებული გვჩვევია, რაც გერმანელებისთვის სრულიად მიუღებელია. მათთვის ყველასა და ყველაფერს თავისი, მოზომილი ადგილი აქვს. საკმაოდ კრიტიკულები არიან. ყველანაირ კრიტიკას პირში მოგახლიან, რაც ქართველებს არ გვახასიათებს. ამასთანავე, უნდა აღვნიშნო, რომ ძალზე თავაზიანები და დახმარების მოყვარულნი არიან.

— **თავიდან რა საქმეს მოჰკიდე ხელი, აქამდე სად მუშაობდი და ახლა რას საქმიანობ?**

— როგორც გითხარით, აქ „ოუ-პერის“ პროგრამით ჩამოვედი, რომელიც ერთწლიანი იყო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ერთი წლის განმავლობაში გერმანელების ოჯახში ვცხოვრობდი და მათ შვილს ვუვლიდი. დღეში 5-6 საათს იმ ბავშვთან ვატარებდი. „ოუ-პერის“ პერიოდში, ენის შემსწავლელ სკოლაში ვსწავლობდი. ერთი წლის შემდეგ კი გოეთეს სახ. ფრანკფურტის უნივერსიტეტში მოვიპოვე ადგილი და ჩემი მასპინძელი ოჯახი დავტოვე. უნდა აღვნიშნო, რომ ის ოჯახი ვიზის გაგრძელებაში ძალიან დამეხმარა. ამჟამად გოეთეს უნივერსიტეტში ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე ვსწავლობ. პარალელურად, ბოლო დრომდე, ერთ-ერთ მაღაზიაში მოლარედ ვმუშაობდი. ახლა კი სასტუმრო „მერიოტში“ ტრენინგი გავიარე, რის შედეგადაც დიდ კომპანიაში დავიწყე მუშაობა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ხუთვარსკვლავიანი სასტუმროების სისტემაში მოვხვდი და ხშირად, ცნობილ პიროვნებებსაც ვმასპინძლობთ. მაგალითად, ანგელა მერკელი ფრანკფურტში რომ ჩამობრძანდება, დიდი შანსია, მას პირადად შევხვდე და მოვემსახურო...

— **გერმანიაში უცხოელისთვის, რამდენად ადვილია ფეხის მოკიდება?**

— როდესაც ადამიანს რაღაც მიზანი აქვს, მისთვის შეუძლებელი არაფერია. ვერ ვიტყვი, დახმარების გარეშე გერმანიაში ფეხის მოკიდება ადვილია-მეთქი, ეს ძალზე დიდ შრომას მოითხოვს, მაგრამ მაინც შესაძლებელია.

— **გერმანია და საქართველო მე-**

გობარი ქვეყნები არიან. რას ფიქრობს იქაური ხალხი ქართველებზე? როგორი წარმოდგენა აქვთ ჩვენზე?

— მართალია, გერმანია და საქართველო მეგობარი ქვეყნები არიან, მაგრამ გერმანელთა ნაწილი მაინც არ იცნობს საქართველოს. ისინი, ვინც გვიცნობენ, საქართველოსა და ქართველებზე ყოველთვის განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით საუბრობენ და ქართული კულტურით დაინტერესებულები არიან. თუმცაღა, დიდი გულისტკივილით მინდა აღვნიშნო, რომ გერმანიაში მცხოვრები ზოგიერთი ქართველი, საკუთარი უღირსი საქციელით, აქ მცხოვრებ ხალხს ჩვენზე ცუდ წარმოდგენას უქმნის და ამის გამო, გერმანელები ჩვენ მიმართ ხშირად უნდობლობას გამოხატავენ.

— როგორი გამოხმაურება ჰქონდა იქ აგვისტოს ომს? შენ ალბათ განსაკუთრებით მტკივნეულად განიცდიდი ამას, რადგან შენს სოფელში ოკუპანტები დათარეშობდნენ...

— ომის დაწყების შესახებ ჩემი მეგობრისგან შევიტყვე. შარშან ზაფხულში გადაწყვეტილი მქონდა, საქართველოში დავბრუნებულიყავი. მან ეს იცოდა, დამიკავშირდა და შეშინებულმა მკითხა, ხომ არ ჩამოხვედიო? მერე, სანამ ომი მიმდინარეობდა, ყველა მეგობარი და ნაცნობი მირეკავდა და ჩემი ოჯახის წევრებისა და ნათესავების ამბავს მეკითხებოდა. იმ დროს რა მდგომარეობაში ვიმყოფებოდი, ამაზე არაფერს ვიტყვი, რადგან ამ ტკივილის სიტყვებით გადმოცემა უაზრობა იქნება. ის უფრო საშინელებაა, როცა იცი, რომ შენები სადღაც, ომის შუაგულში არიან და არც კი იცი, სინამდვილეში იქ რა ხდება. თან, ომის დროს ტელეფონზე დაკავშირება ძალიან რთული იყო... ყველაზე მეტად მაშინ გავნერვიულდი, როდესაც გავიგე, რომ ჩემი პატარა ბიძაშვილი რეზერვისტად წაიყვანეს. მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, რომ აუცილებლად, ჩემების გვერდით უნდა ვყოფილიყავი და სასწრაფოდ ჩამოსვლა მინდოდა, მაგრამ ეს ვერ მოვახერხე... ახლაც ძალიან მინდა საქართველოში ჩამოსვლა, ხშირად ვგრძნობ, რომ ფესვები მაწუხებს, მაგრამ ომის შემდეგ ჩემში ყველაფერი აირია, უამრავი შეკითხვა გამიჩნდა: სად უნდა ჩამოვიდე? საქართველო ჩემი პატარა კუთხის გარეშე როგორია?.. ეს შეკითხვები შიშის ზარს მცემს და ჩამოსვლისაც კი მეშინია. საბედნიეროდ, ომის დროს ყველა ქართველი ერთად ვიყავით. ჩემი უცხოელი მეგობრებიც კი მხარში ამომიდგნენ. ისინი რომ არ მყოლოდნენ, ამ ამბავს ვერც გადავიტანდი. გამოსვლებიც გვქონდა და ჩვენს აქციას გერმანელებიც უერთდებოდნენ. ბევრმა მათგანმა გარკვეული დახმარებაც გამოგზავნა საქართველოში. ისინი ძალიან თანაგვიგრძნობდნენ. არავის მოსწონდა, ჩვენს ქვეყანაში სისხლი რომ იღვრებოდა.

— იქ მცხოვრებ ქართველებს რუსებთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?

— აქ ბევრი რუსი ცხოვრობს და მათ შორის, ბევრი კარგი ადამიანია, ბევრი კი — ცუდი. ისე, გერმანიაში მცხოვრებ ქართველებსა და რუსებს კარგი, მეგობრული ურთიერთობა გვაქვს. ქართველები რუსულ ტაძარში დავდივართ და მათთან ერთად ვლოცულობთ. სამწუხაროდ, ფრანკფურტში ქართული ტაძარი არ არის. თვეში ერთხელ, მოძღვარი მიუხეინიდან მობრძანდება და მხოლოდ მაშინ გვაქვს ქართულენოვან წირვაზე დასწრების ბედნიერება.

— ახლა მთელ მსოფლიოში ფინანსური კრიზისია. როგორ აისახება ეს კრიზისი გერმანიაზე?

— ეკონომიკური კრიზისი აქაურ ცხოვრებაზეც აისახა. პროდუქტებზე ფასებმა საგრძნობლად მოიმატა და უმუშევართა რიცხვმაც იმატა.

— საქართველოში ამჟამად მიმდინარე პროცესები თუ შუქდება გერმანულ ტელეარხებზე და რას ფიქრობს ხალხი ამ ყველაფერზე?

— მნიშვნელოვანი მოვლენები შუქდება. ის, რაც საქართველოში ხდება, რა თქმა უნდა, გერმანელებს არ მოსწონთ და ამ ყველაფრის მიმართ საკმაოდ კრიტიკულები არიან.

— ორიოდე სიტყვით, შენი ოჯახის შესახებაც გვიამბე.

— ძალიან პატარა ოჯახი ვართ — მხოლოდ დედა მყავს. მამა ძალიან ადრე გარდამეცვალა და შესაბამისად, დედმამიშვილები არ მყავს. დედიკო, დალი, როცა მე აქეთ წამოვედი, ბერლინში დავტოვე. იქ ცხოვრობდით და დედაც იქაურ სკოლაში მათემატიკას ასწავლიდა. ახლა კი მართლა არ ვიცი, სად ან როგორ ცხოვრობს. ვიცი მხოლოდ ის, რომ ომის შემდეგ, თბილისში, რომელიღაც ჰოსპიტლის შენობაში გადასულა საცხოვრებლად. ჩემთვის ამის წარმოდგენაც კი საშინელებაა... გერმანიაში ახლობელი და ნათესავი არ მყავს. თუმცა ახლა უკვე, სხვადასხვა ეროვნების უამრავი მეგობარი შევიძინე.

— ალბათ ბევრ ქართველთანაც მეგობრობ. რითი ერთობით ხოლმე, რას აკეთებენ ქართველი იმიგრანტები თავისუფალ დროს?

ერთი წლის განმავლობაში გერმანელების ოჯახში ვცხოვრობდი და მათ შვილს ვუვლიდი

სასტუმრო „მერიოტში“ გრენინგი გავიარე, რის შედეგადაც დიდ კომპანიაში დავიწყე მუშაობა

— რა თქმა უნდა, ბევრ ქართველთან ვმეგობრობ. აქ ერთმანეთის მეტი არავინ გვყავს და ჭირსაც და ლხინსაც ერთმანეთს ვუზიარებთ. სამწუხაროდ, თავისუფალი დრო ძალიან ცოტა გვაქვს. ძნელია, სწავლისა და მუშაობის ერთმანეთთან შეთავსება, მაგრამ ხანდახან „ქართულად გართობას“ მაინც ვახერხებთ. გართობის პროგრამაც ყოველთვის განსხვავებული გვაქვს. აქ ძალზე ხშირად იმართება ქართული წვეულება და საშუალება გვაქვს, ცოტა ხნით მაინც სამშობლოში წარმოვიდგინოთ თავი. ექსკურსიაზეც საკმაოდ ხშირად დავდივართ...

— საქართველოში დაბრუნებას თუ აპირებ?

— დაბრუნებას, რა თქმა უნდა, ვაპირებ. სწავლის დამთავრების შემდეგ, აუცილებლად დავბრუნდები. ჩემთვის, საქართველოზე უფრო საყვარელი და საოცნებო ადგილი არ არსებობს. თუმცაღა, იმასაც აღვნიშნავ, რომ ამაზე ფიქრი ხშირად შიშსაც კი მგვრის... ■

სოფლის გადამწვარი სახლი ომის დროს იქ მყოფმა მეგობრებმა გადაიღეს და ფოტო გერმანიაში გაუგზავნეს...

ქოგაჯდევი და ქოდა

მოზარდების ჩაცმულობა ადრე უფროსების გაღიზიანებას თუ იწვევდა, ახლა ზრდასრული ადამიანები ამაზე იშვიათად ლაპარაკობენ. მოდის ტენდენციები შეიცვალა და მისი გათვალისწინებით, თინეიჯერების უმრავლესობამ მაისური დააგრძელა, დახეული შარვალი ქინძისთავებით „ამოკერა“ და კაბაც დააგრძელა. თუმცა, გამონაკლისები ისევ არიან — მოზარდების რაღაც კატეგორიამ ვერ უღალატა მოკლე მაისურს, საიდანაც მუცელი მოუჩანს. ზოგიერთი ასეთი თინეიჯერი „ერთგულებას“ იმიზეზებს და ამის წყალობით თავის მშვენიერ მუცლის პრესს, ზოგი კი „ქართულ ქონს“ კვლავაც ამარიაჟებს. მოკლე მაისურებზე არც ბიჭები ამბობენ უარს და ზოგიერთ მათგანს ისევ ჩაჩაჩული შარვალი აცვია, რათა საცვალზე გაკეთებული წარწერა, ვთქვათ — „დოლჩე და გაბანა“ გაამარიაჟოს.

ანუ ჯინსებისა და კედების თაობის გამორჩევა

ლიკა ქაჯაია

სანდრიკა, *16 წლის:*

— მოდას ნამდვილად არ მივდევ. იმას ვიცვამ, რაც მომწონს და მიხდება.

— შენ როგორი სამოსი მოგწონს?

— რა თქმა უნდა, უპირატესობას სპორტულ სტილს ვანიჭებ. ძალიან მიყვარს ბოტასი და ჯინსის შარვალი.

— რომელიც აუცილებლად დახეული უნდა იყოს, არა?

— არა, დახეულ შარვალს ვერაფრით ჩავიცვამ... ალბათ, გახსოვთ, ერთი პერიოდი ჭუჭყისფერი ჯინსის შარვალი იყო მოდაში. დედაჩემმა ასეთი მოდური შარვალი საბერძნეთიდან გამომიგზავნა და მეც, გავამარიაჟე, მაგრამ ჩემი შეყვარებული ვერ მიხვდა, თუ რატომ მეცვა ასეთი „ზურტლიანი“ სამოსი და იმდენად შევეცოდე, რომ მისი გარეცხვა შემომთავაზა (*იცინის*)... ახლა ამაზე მეცინება, მაგრამ მაშინ, ნამდვილად არ ვიყავი სიცილის გუნებაზე. მას შემდეგ, ის შარვალი აღარ ჩამიცვამს, დაახლოებით ერთ თვეში კი მსგავსი ჯინსი ჩემი მეგობრების უმეტესობას ეცვა.

— შენს შეყვარებულს არ აუხსენი, რომ ის შარვალი ჭუჭყიანი არ იყო?

— როგორ არ ავუხსენი, მაგრამ შემდეგ ურნაში მოვისროლე, საოცრად შემძულდა.

— როცა საქეიფოდ მიდიხარ, ჩაცმის სტილს ოდნავადაც არ იცვლი?

— არა. შემიძლია, ქორწილშიც ჯინსის შარვლით და ბოტასით წავიდე. რაც შეეხება მაისურებს, მათ ხშირად ვიცვლი და უპირატესობას ჭრელ ზედატანებს ვანიჭებ.

— ყველაზე მეტად, რომელი ფერები მოგწონს?

— თითქმის ყველანაირი ფერი მომწონს, განსაკუთრებით — სტაფილოსფერი და წითელი.

— წლების წინ, ასეთი ფერის მაისურის ჩაცმა ბიჭებს „უტყდებოდათ“ და უპირატესობას მხოლოდ შავ ფერს ანიჭებდნენ...

— ეს მაშინ, როცა ჩვენი გონებაც ბნელი იყო.

— რას გულისხმობ?

— მაშინ წითელი ფერი „პედიკობასთან“ ასოცირდებოდა და „კაი ბიჭებს“ ასეთი ფერის მაისურის ჩაცმა ამიტომაც „უტყდებოდათ“. ახლა მიხვდნენ, რომ ზედატანის ფერით ადამიანის შეფასება არ შეიძლება, რომ ეს არაფერზე მიგვანიშნებს და მთელმა თბილისმა გაიხადა შავი. მოკლედ, ცოტათი გადავხალისდით.

— როცა ასაკი მოგემატება, ალბათ, სტილის შეცვლა მოგიწევს...

— ჰო, ალბათ, ასეც მოხდება. ძალიან მომწონს შარვალ-პიჯაკი, მაგრამ ასაკიდან გამომდინარე, მას ვერაფრით მოვიხდენ. როცა მუშაობას დავიწყებ, ალბათ, კლასიკურად ჩაცმაც მომიწევს. თუმცა, თავისუფალ სტილს ბოლოდე მაინც ვერ შეველევი!

— ახლა გოგონების ჩაცმულობაზეც ვილაპარაკოთ.

— მე გოგონების მოდაში ცუდად ვერკვევი.

— გასაგებია, მაგრამ ის მაინც ხომ იცი, როგორ უნდა ეცვას გოგოს, რომ მან შენი ყურადღება მიიქციოს?

— არ მომწონს, როცა გოგონებს ძალიან გამომწვევად აცვიათ. ჩემმა შეყვარებულმა, პირველ რიგში, თავისი გარეგნობით მიიქცია ჩემი ყურადღება, მაგრამ მისი ჩაცმულობა რომ არ მომწონებოდა, გულგრილად ავუვლიდი გვერდს.

— ანუ როცა გაიცანი, მას გამომწვევად არ ეცვა?

— მისი მეგობრები ძალიან მოკლე მაისურებსა და ისეთ შარვალში იყვნენ გამოწრანჭულები, გავიფიქრე, — მალე ყველაფერი ზედ შემოეხევათ-მეთქი, მარიამს კი მუხლებამდე ქვედაბოლო და ოდნავ გამომწვევი მაისური ეცვა. მიუხედავად იმისა, რომ შესანიშნავი აღნაგობა აქვს, ყველაფრის გამომზეურებისგან თავს იკავებს.

— რას ნიშნავს ოდნავ გამომწვევი მაისური?

— მკერდი ოდნავ უჩანდა, რა (*იცინის*)...

ლიკა, *15 წლის:*

— ჩემთვის მოდის ტენდენციებს დიდი მნიშვნელობა აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ სკოლაში დავდივარ, მაღალქუსლიან ფეხსაცმელს ხშირად ვიცვამ, აქსესუარებსაც ვატარებ. მოკლედ, მოდას შეძლებისდაგვარად მივდევ.

— ასე ჩაცმას სკოლაში არ გიკრძალავენ?

— კი, მაგრამ შეაყარე კედელს ცერცვი, — ისეა ჩემი საქმე. მასწავლებლები ჩემს ჩაცმულობას უკვე შეეჩვივნენ და შენიშვნას აღარ მაძლევენ, მხოლოდ მათემატიკის მასწავლებელი მყავს გადაკიდებული.

— ანუ შენი იმიჯის გამო ხშირად გტუქსავს?

— მტუქსავს? იმას, რასაც ის აკეთებს, მირჩევნია, კლასიდან გამაგდოს — როცა მინიკაბა მაცვია, ცარცს დაადგდებს და მერე მის ასაღებად დაფასთან გავყავარ, როცა აზღუდი მიჩანს, ზორტში წამავლებს ხოლმე ხელს, ვითომდა შემთხვევით და მიტყლაშუნებს. ფუჰ, იმ კაცს ვერ ვიტან.

— ამის შესახებ სკოლის დირექტორმა თუ იცის?

— იცის და ამბობს, — ასე რომ არ მოხდეს, მოსწავლეებმა ისე უნდა ჩაიცვათ, რომ მოსწავლეებს ჰგავდეთ და არა გასათხოვარ გოგონებსო.

— შენი მშობლებიც ასე ფიქრობენ?

— მშობლებმა ამის შესახებ არაფერი იციან.

— მათ ამას რატომ უმალავ?

— ეს რომ გაიგონ, იმის ჩაცმას ამიკრძალავენ, რაც მომწონს.

— გამომწვევად ჩაცმას ახლა არ გიკრძალავენ?

— ზოგჯერ ცდილობენ, რაღაცები ამიკრძალონ, მაგრამ არაფერი გამოსდით. მოკლედ, ჩემს ახირებებს უკვე შეგუებულები არიან. როცა მოზარდები იყვნენ, თავადაც ხომ ის ეცვათ, რაც მოდაში იყო და რაც მოსწონდათ?..

— მეეჭვება, რომ ისინი სკოლაში მოდურად იცვამდნენ. შენს მშობლებს ალბათ, სკოლის ფორმა ეცვათ.

— ნეტავ, იმ საზიზღარ სამოსს როგორ იცვამდნენ? ფუ... დედაჩემს ფორმის კაბა დღემდე შენახული აქვს. ახლა მისი ჩაცმა რომ მაიძულონ, შეიძლება, თავი მოვიკლა. როცა უფროსების ძველ, სკოლის დროინდელ ფოტოებს ვათვალიერებ, სიცილით ვიგუდები...

— ალბათ, შენი ფოტოსურათების თვალიერებისას, შენი შვილები და შვილიშვილებიც ბევრს იცინებენ.

— მე ეს არ მეწყინება...

— თინეიჯერებისთვის ყველაზე მოდურ სამოსად რა მიიჩნევა?

— როგორც გითხარი, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი, გრძელი მაისური, მოტმასნილი შარვალი ან ფაშფაშა, სუპერგრძელი ქვედაბოლო.

— შენს თაობას კედების თაობას ეძახიან...

— ვერ ვიტან კედს. ჩემს სადაქალოში

MK

ასე არავინ დადის. კედს მხოლოდ სპორტულ დარბაზში თუ ჩავიცვამ (*იცინის*). არ მომწონს, გოგოები სპორტული ფეხსაცმლითა და დახეული შარვლით რომ დაჩლაჩუნობენ, საკუთარ თავს არ უვლიან, არ იპრანჭებიან. ასეთებზე ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს, პირსაც არ იბანენ.

— **შენ თქვი, აქსესუარებს ვატარებო...**

— ჰო, სამაჯური, საყურე და ბეჭედი ჩემი სუსტი წერტილია. მართალია, ფართო ქამარი არ მიყვარს, მაგრამ მაინც ვიკეთებ, რადგან მოდაშია. ძალიან მიყვარს გამჭვირვალე ჩანთაც... სხვათა შორის, უკვე თმაც შევიღებე. ახლა ხომ წითელი ფერი მოდაშია? ჰოდა, მეც „რიჟა“ გავხდი (*იცინის*). სხვათა შორის, ძალიან მიხდება.

— **ბიჭების ჩაცმულობაზე რას იტყვი?**

— ოოო... ალბათ, რაც უხდებათ, ის უნდა ჩაიცვან, მაგრამ ძალიან მომწონს, როცა დაკუნთული სხეულის მქონე, ძლიერი სქესის წარმომადგენელს მოტმასნილი მაისური აცვია. ასევე, ძალიან მომწონს, როცა დახეული შარვლიდან სვირინგი ან ტრუსი მოუჩანთ, მაგრამ ვერ ვიტან გრძელთმიან ტიპებს. ჩემი აზრით, ნებისმიერ მამაკაცს მოკლე ვარცხნილობა უხდება.

პაპკო, *20 წლის:*

— ვერ ვიტან, ბიჭებს დახეული ჯინსის შარვალი რომ აცვიათ. ისე, დახეული სამოსი არც გოგოებს უხდება. ადრე დახეულის ჩაცმა სირცხვილად მიიჩნეოდა, ახლა კი ყველაფერს სპეციალურად ხევენ.

— **შენ როგორ იცვამ?**

— სპორტულად და ნორმალურად. არ მომწონს, მოტმასნილი მაისური. ჩემი აზრით, ტანსაცმელი არ უნდა გიჭერდეს.

— **აქსესუარებზე რას იტყვი?**

— ვატარებ მუქი ფერის სათვალეს და ბეჭედს, რომელიც ბაბუამ მისახსოვრა. არ მიყვარს მსხვილი „ჯაჭვის“ დაკიდება. ზოგს კისერზე იმხელა ოქროს ნაკეთობა ჰკიდია, რომ მისი სიმძიმისგან წელში წყდება, მაგრამ იმისთვის, რომ ძვირად ღირებული ნივთი გაამარიაჟოს, ვიღაცას მიანიშოს, რომ მდიდარია, თავს არ იზოგავს... ასევე, ჩემი სუსტი წერტილია ქამარი და შეიძლება ითქვას, რომ ქამრების კოლექცია მაქვს.

— **გოგონების ჩაცმულობაში რა გაღიზიანებს და რა მოგწონს?**

— ლამაზ ქალს ყველაფერი უხდება, მაგრამ როცა მახინჯი ფეხების მქონე გოგო მოკლე ქვედაბოლოთი „იჩითება“, ნერვები მეშლება. აბა, რა სასიამოვნოა, როცა ქალის ნაკლი სააშკარაოზეა გამოტანილი? ქალმა ის უნდა ჩაიცვას, რაც უხდება, ნაკლი კი აუცილებლად უნდა დაფაროს. ასევე, მათ ძალიან უხდებათ აქსესუარები — საყურე, ბეჭედი, ყელსაბამი და ა.შ., მაგრამ ყველაფერი გემოვნებიანად უნდა შეარჩიონ. ზოგს მოკლე კისერი აქვს და გრძელი საყურე უკეთია ან მსუქანია და ყელზე ისეთ მძივს იბნევს, რომელიც მის სიმრგვალეს კიდევ უფრო უსვამს ხაზს.

— **შეყვარებული გყავს?**

— არა!

— **მგონი, იდეალური გოგონას პოვნა გაგიჭირდება...**

— (*იცინის*) ვიცი, ამას ახლობლებიც ხშირად მეუბნებიან. რა ვქნა, ასეთი ჭირვეული ვარ და... მაგრამ მითხარით, ტყუილი რა ვთქვი?..

სალი, *18 წლის:*

— მე კედისა და ჯინსის შარვლის მოყვარული ვარ და თუ წვეულებაზე არ მივდივარ, ყოველთვის სპორტულად ვიცვამ.

— **მუდამ სპორტულ ფორმაში ყოფნა არ გბეზრდება?**

— პირიქით, ასე ჩაცმული თავს კომფორტულად ვგრძნობ და ჩიტივით დავფრინავ. აბა, კარგია, როცა ტანსაცმელი გბოჭავს? როცა კლასიკურად ვიცვამ, კოჭლი ქალივით დავდივარ — მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ფეხს მტკენს, ტანსაცმელი კი მგონია, მახრჩობს.

— **ბიჭების უმეტესობა მიიჩნევს, რომ გოგოს მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი და კაბა უხდება...**

— მოიცა, რა, ეგ ადრე მოსწონდათ, ახლა კი ყველა ჯინსით, კედით დადის და ე.ი. დავრჩენილვართ გაუთხოვრები.

— **კედი და ჯინსი ისევ მოდაშია...**

— რა თქმა უნდა და ის მოდიდან არც არასდროს გადავა! დაქალება მერეც მეყოფა.

— **აქსესუარებს არ ატარებ?**

— კი, გრძელ ყელსაბამებსა და საყურეს, მაგრამ ბეჭედი არ მიყვარს.

— **რატომ?**

— რა ვიცი, ჩემი თითები აქსესუარის გარეშეც მომწონს. ფრჩხილზე უფერულ ლაქს ვისვამ და ეს საკმარისია იმისთვის, რომ ჩემი ხელი „ფორმაში“ იყოს“ (*იცინის*).

— **ბიჭების ჩაცმულობაზე რას იტყვი? მათთვისაც კედი და ჯინსის შარვალია მოდაში?**

— (*იცინის*) ჩემთვის ასეა და მოდის ტენდენცია სინამდვილეში რას გვკარნახობს, სულაც არ მაინტერესებს. ჩემი ძმაკაცებიც ჩაცმის თავისუფალ სტილს ანიჭებენ უპირატესობას.

— **შენი შეყვარებული?**

— (*იცინის*) ის ისეთ ადგილას მუშაობს, რომ ჰალსტუხის გაკეთებაც კი უწევს, მაგრამ სამსახურიდან გამოდის თუ არა, ტანსაცმელს იცვლის და სპორტულად იმოსება. მოკლედ, კლასიკურად იძულებით იცვამს.

— **სად მუშაობს?**

— ბანკში, მენეჯერია.

მაიკო, *15 წლის:*

— მიხარია, წელს მოდაში გრძელი მაისური რომ შემოვიდა.

— **რატომ?**

— ამის წყალობით, ჩემი ღიპის „შეფუთვასაც“ მშვენივრად ვახერხებ, ადრე კი თან მოდას მივდევდი და თან — იმის ჩაცმისაც მრცხვენოდა, რასაც მოდური ტენდენციების გამო ვყიდულობდი, რადგან „ქონები“ მიჩანდა.

— **ეი. შენთვის მოდის ტენდენციებს დიდი მნიშვნელობა აქვს, არა?**

— კი, ასეა და ამის გამო ბევრ მსხვერპლსაც გავიღებ.

— **ტანისამოსს სად ყიდულობ ხოლმე?**

— ხან ბაზრობაზე, ხანაც — მაღაზიაში. ზოგჯერ, ტანსაცმელს ესპანეთიდან, დაქალი მიგზავნის, მაგრამ მას ვინახავ, რადგანაც ჩვენთან, მსგავსი ტანსაცმელი მოდაში მხოლოდ ერთი წლის შემდეგ შემოდის.

— **ანუ მსოფლიო მოდის ტენდენციებს 1 წლით ჩამოვრჩებით?**

— ასე გამოდის.

— **კედი, ჯინსის შარვალი ისევ მოდაშია.**

— პრაქტიკულად, დიდი ხანია, რაც კედი და ჯინსი მოდიდან გავიდა, მაგრამ ზოგიერთი ჯიუტობს და მათ ვერ ელევა. ასეთი ჯიუტი კი ჩემს სამეგობროშიც ბლომადაა... ახლა მოდაშია: ფართო, ფაშფაშა ქვედაბოლო, მოტმასნილი, მიდი სიგრძის კაბა, გრძელი მაისური, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი და სხვადასხვა ფერის, სიგრძისა თუ სიგანის შარფები.

— **შენ ალბათ, მამაკაცების მოდაშიც ერკვევი...**

— მათაც გრძელი მაისური უნდა ჩაიცვან. ჩაჩაჩული და დაბალწელიანი შარვალი მოდიდან გადავიდა და ეს აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ. მათაც შეუძლიათ, შარფები გაიკეთონ და მრგვალცხვირიანი ფეხსაცმელი ჩაიცვან... ძალიან მომწონს, როცა ბიჭს ბეჭედი და საყურე უკეთია.

— **პროფესიონალი დიზაინერივით ლაპარაკობ...**

— შესაძლოა, ახლა ამ საქმეში პროფესიონალი არ ვიყო, მაგრამ გარწმუნებთ, მომავალში დიზაინერის პროფესიას სერიოზულად დავეუფლები. ეს სფერო ძალიან მომწონს. ■

სასკოლო ფორმა და უფროსების უკმაყოფილება

ანუ „მოსწავლე სკოლაში რომ მიდის, სტუდენტს უნდა ჰგავდეს“

იმის გასარკვევად, თუ როგორ იცვამდნენ ჩვენი მშობლები თინეიჯერულ ასაკში, რამდენად მისდევდნენ მოდას და ა.შ. სატელეფონო გამოკითხვა ჩავატარე. მშობლების ნახევარმა აღიარა, რომ სკოლის ფორმა ძალიან არ მოსწონდა და მის ჩაცმას ხშირად აპროტესტებდა, ზოგმა კი თქვა, რომ ის ფორმა და თეთრი წინსაფარი დღემდე მოსწონს და დიდი სურვილი აქვს, მსგავსი ტანსაცმელი მისმა შვილმაც ჩაიცვას. ამ გამოკითხვის დროს გავიცანი ბატონი ვახო (41 წლის), რომელმაც აღნიშნა, რომ არასწორ, გამომწვევ ჩაცმულობას ადამიანის „გაფუჭებაც“ შეუძლია.

— მოწაფეს ფორმა უნდა ეცვას! აბა, მასწავლებელი მოწაფისგან არ უნდა გამოირჩეოდეს? ზოგჯერ, მასწავლებელს ისე აცვია, უკნიდან რომ შეხედო, მოსწავლე გეგონება; მაღალქუსლიან ფეხსაცმელზე შემდგარ, შენი შვილის მეგობარს კი შესაძლოა, სხვანაირად შეხედო... ამას წინათ, ჩემი ქალიშვილის კლასელი თავის მასწავლებელს გაჰყვა ცოლად და რა თქმა უნდა, ის კაცი ყველამ გალანძღა — მოსწავლეს სხვანაირი თვალით როგორ შეხედავ? მოდი და, თუ კაცი ხარ, ნუ შეხედავ სხვა თვალით შენ წინ მჯდომ, მოკლეკაბიან, თვალებჩახატულ და ღრმად დეკოლტირებულ მაისურში გამოწყობილ, მიმზიდველი გარეგნობის გოგონას. ცხადია, მსგავს შემთხვევაში, ნებისმიერ კაცს აემღვრევა ტვინი. იმ გოგოზე თავად მშობლებს რომ ეზრუნათ, მსგავსი რამ არ მოხდებოდა.

— თუ გოგო გარეგნულად მოგეწონა, მაგრამ მას სკოლის ფორმა აცვია, ეს მისთვის სხვანაირად შეხედვის უფლებას არ მოგცემს?

— შეიძლება, რაღაც მომენტში, პატარა გოგონას ჩემი ასაკის კაცმაც კი შეხედოს და მასზე რაღაცაც გაიფიქროს, მაგრამ თუ ზრდასრული, უკვე ჩამოყალიბებული ადამიანი ხარ და გონება დაჩლუნგებული არ გაქვს, მისი ტანსაცმელი აუცილებლად გაიძულებს, უკან დაიხიო... თან, ახლანდელი ბავშვები ზედმეტად აქტიურები არიან და გამიჩნდა ეჭვი, რომ შესაძლებელი იყო, იმ გოგონას მასწავლებლისთვის თავადვე აებნია თავგზა. ჰოდა, სწორედ ამ ეჭვის გამო, ჩემს ქალიშვილს ვეჩხუბე.

— ის რაღა შუაში იყო?

— ისიც სხვებივით იცვამს და შემეშინდა, — მარიამი, თანაკლასელის მსგავსად, ცოლად მამისტოლას არ გაჰყვეს, ვინმემ ტვინი მასაც არ აურიოს-მეთქი. მერე გამოვკითხე, თუ როგორი ურთიერთობა ჰქონდა მოსწავლე-მასწავლებელს და მათი სიყვარულის შესახებ მოსწავლეებმა წინასწარ იცოდნენ თუ არა.

— რა გიპასუხათ?

— მათი სიყვარულის შესახებ ყველაფერი სცოდნიათ არა მარტო მოსწავლეებს, არამედ — პედაგოგებსაც. შვილი გამომიტყდა, რომ მისმა კლასელმა მასწავლებელს პირველივე დღეს დაადგა თვალი და მას შემდეგ, მის „შებმას“ ცდილობდა. კაცმა ითმინა, ითმინა და ვეღარ მოითმინა. ბოლოს და ბოლოს, „ჩუჩელა“ ხომ არ იყო?!.

— თქვენ ამ ყველაფერს მოსწავლეების გამომწვევ ჩაცმულობას აბრალებთ?

— აბა, რა!

— თქვენი მოწაფეობის პერიოდში, როცა სკოლის ფორმა არსებობდა, მსგავსი რაღაცები არ ხდებოდა?

— ძალიან იშვიათად! თუ მსგავსი რამ მოხდებოდა, მასწავლებელს სკოლიდან ათავისუფლებდნენ, ხოლო მოსწავლეს სწავლის უფლება აღარ ჰქონდა ანუ გარკვეულწილად, შეუფერებელ წყვილს ცხოვრება ერეოდა.

— მერე ეს მათი დასჯის სწორი მეთოდი იყო?

— ვფიქრობ, რომ კი. თუ მასწავლებელს ნებისყოფა არ აქვს, ის საშიში პიროვნებაა და შესაძლოა, სხვა მოსწავლესაც აურიოს ტვინი, ხოლო ის მოწაფე, რომელიც კაცებზე „ნადირობს“ და დაუსჯელი რჩება, გავლენას სხვებზეც მოახდენს, მათ „გააფუჭებს“...

თათული, *43 წლის:*

— უკვე 17 წლის გოგონა მყავს და არ მომწონს, სკოლაში რაღაცების ჩაცმა რომ არ ეკრძალება. როცა მისი ტოლი ვიყავი, არც კი ვიცოდი, შარვალი როგორ უნდა ჩამეცვა. მოსწავლე სკოლაში რომ მიდის, სტუდენტს არ უნდა ჰგავდეს.

— შესაძლოა, სკოლაში მართლაც, არაფერს უკრძალავენ, მაგრამ ხომ შეგიძლიათ, შვილის ჩაცმულობა თავადვე აკონტროლოთ?

— აბა, მე ვინ დამიჯერებს?

— ფიქრობთ, თქვენი შვილი, რომელიც მშობლებს გეურჩებათ, მასწავლებლებს დაუჯერებს?

— როცა მოსწავლე ვიყავი, ყველაფრის ჩაცმის უფლება ჩემთვისაც რომ მოეცათ, გარწმუნებთ, სასკოლო ფორმას არ ჩავიცვამდი.

— რატომ? ის არ მოგწონდათ?

— როცა ასაკი გემატება და პრანჭიაობას იწყებ, შენს გარეგნობაში, რაგინდ კარგად გამოიყურებოდე, რაღაც მაინც არ მოგწონს. ჩვენ კი ერთფეროვნები ვიყავით, გოგონები ურთიერთისგან მხოლოდ სიმაღლით, წონითა და სახის ნაკვთებით გამოვირჩეოდით და ფაქტია, სხვა რაღაცების ჩაცმის სურვილიც გვიჩნდებოდა. მიუხედავად ამისა, საკუთარ სურვილებს ვთოკავდით და იმას ვიცვამდით, რაც საჭირო იყო.

— და თქვენ გინდათ, რომ საკუთარ სურვილები დღევანდელმა თინეიჯერებმაც მოთოკონ?

— რა თქმა უნდა, ეს კარგი იქნება. მართალია, მოსწავლეობის პერიოდში გული ბევრ რამეზე დასწყდებათ, მაგრამ როცა სკოლას დაამთავრებენ და სხვა რაღაცების ჩაცმის უფლება ექნებათ, თავს უფრო ბედნიერ ადამიანად იგრძნობენ. ახლა კი მათთვის სულერთია, სკოლაში ივლიან თუ თეატრში, ყველგან გამომწვევად იცვამენ...

მარი, *34 წლის:*

— საშინელი სასკოლო ფორმა გვქონდა, მისი დანახვაც მაღიზიანებდა, მაგრამ იძულებული ვიყავი, ჩამეცვა. როცა წამოვიზარდე, დედას მოვთხოვე, ჩემთვის ის ყავისფერი საშინელება აღარ ეყიდა და მიზანს მივაღწიე კიდეც — ყავისფერი კაბა და თეთრი წინსაფარი შავმა ქვედაბოლომ და თეთრმა კოფთამ შეცვალა (*იცინის*). მახსოვს, ამ ცვლილებით ძალიან ამაყი ვიყავი და ჩემი ბევრს შურდა კიდეც.

— დღევანდელი გადასახედიდან, ყველას ერთნაირად რომ გეცვათ, ეს კარგი იყო თუ ცუდი?

— ალბათ, კარგი იმ მხრივ იყო, რომ რაღაცებზე გული არ გვწყდებოდა, მოსწავლეები ერთმანეთს ტანისამოსის მიხედვით ვერ შეაფასებდნენ, ახლა კი ყველაფერი შეიცვალა... მაგრამ ცუდიც იყო, იმ მხრივ, რომ სკოლის ფორმა მაკომპლექსებდა. მეგონა, საშინლად არ მიხდებოდა და ერთი სული მქონდა, გაკვეთილები როდის მორჩებოდა, რათა სკოლიდან სახლში წავსულიყავი, ტანსაცმელი გამომეცვალა და ხალხს (განსაკუთრებით — შეყვარებულს) სხვა ფორმაშიც ვენახე (*იცინის*).

■

ᲜᲝᲡᲢᲠᲐᲓᲐᲛᲣᲡᲘᲡ ᲙᲐᲢᲠᲔᲜᲔᲑᲘ ᲒᲐᲨᲘᲤᲠᲣᲚᲘᲐ

XVI საუკუნეში მოღვაწე მიშელ დე ნოტრდამმა, რომელიც დღეს ნოსტრადამუსის ფსევდონიმითაა ცნობილი, კაცობრიობას ერთ-ერთი ყველაზე დიდი თავსატეხი დაუტოვა — ამ ადამიანმა თავის 10 ცენტურიაში გაერთიანებულ, 942 პოეტურ კატრენში უახლოესი ათასწლეულების ყველა ეპოქალური მოვლენა იწინასწარმეტყველა, მაგრამ იმის გამო, რომ ეკლესიის მხრიდან დევნის ეშინოდა, იძულებული გახდა, თარიღები და მოვლენები საგანგებოდ დაეშიფრა.

ნოსტრადამუსის კატრენების გასაშიფრად დღემდე ათობით მკვლევარი იმტვრევს თავს და თან, ყოველი მათგანი ჯიუტად ირწმუნება, რომ სწორედ მისი ვერსიაა ჭეშმარიტი. ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, არანაირი შიფრი და წინასწარმეტყველება არ არსებობს. ამ ვერსიის მომხრეების აზრით, ნოსტრადამუსის ცენტურიები უბრალოდ, პოეზიაა, მიშელ დე ნოტრდამი კი მხოლოდ და მხოლოდ პოეტი იყო, რომელმაც სახელი, ძირითადად, იმის წყალობით გაითქვა, რომ XVI საუკუნეში არნახულად აყვავებულ თეატრს, ფერწერასა და ლიტერატურას მხოლოდ ორაკულების (წინასწარმეტყველთა) ინსტიტუტი აკლდა...

მიუხედავად ამისა, ნოსტრადამუსის კატრენების გასაღების ძებნა დღემდე გულმოდგინედ გრძელდება. XX საუკუნეში, მისი შემოქმედების ყველაზე ცნობილ მკვლევართა შორის იყვნენ: მანფრედ დიმდე, მამა-შვილი ფორბრიუნები, ჯონ ჰოუგი და რუსი ასტროლოგი ცოლ-ქმარი — ზიმა. ახლა კი ასპარეზზე კიდევ ერთი რუსი მკვლევარი, პროფესიით ეკონომისტი ვიქტორ გროზოვი გამოვიდა და განაცხადა, რომ ბოლოს და ბოლოს, მიხვდა, თუ რა არის დიდი წინასწარმეტყველის გზავნილის არსი. მეტიც, თავისი წინამორბედებისგან განსხვავებით, გროზოვი იმაშიც მტკიცედაა დარწმუნებული, რომ მან არა მარტო ნოსტრადამუსის მიერ აღწერილი, 242 მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენის სიის შედგენა, არამედ იმ ბედუკუღმართი კოდის გახსნაც შეძლო, რომლითაც წინასწარმეტყველი საკუთარ ნაშრომებს შიფრავდა.

როგორც ვიქტორ გროზოვი ირწმუნება, „წინასწარმეტყველის ცენტურიებში, რომელიმე მოვლენის აღწერისას, 20 კატრენზე მეტი მაინცაა ჩართული და, ერთი შეხედვით, ისინი სრულიად უწესრიგოდაა მიმოფანტული. მეტიც, 4-ტაეპიან ლექსში შეიძლება, 20-მდე მსოფლიო მოვლენაც იყოს მოხსენიებული". აღმოჩენის ავტორი ირწმუნება, — ნოსტრადამუსის შემოქმედების ადრინდელ მკვლევრებს ხელი იმიტომ მოეცარათ, რომ კატრენებს თანამიმდევრობით — ერთიმეორის მიყოლებით სწავლობდნენო.

ვიქტორ გროზოვი ნოსტრადამუსის ნაშრომებს მხოლოდ და მხოლოდ მათემატიკური პოზიციიდან მიუდგა. და იმაშიც მალევე დარწმუნდა, რომ 4-ტაეპიან ლექსებში რაღაც სისტემა იმალებოდა, რომელიც ასევე მალე აღმოაჩინა. შემოწმებისას ყველაფერი იმაზე ბევრად გამჭვირვალე აღმოჩნდა, ვიდრე ეს ადრე მიიჩნეოდა. თანაც, შიფრის გასაღები ნოსტრადამუსის ბიბლიოთეკაში დაცულ უამრავ უძველეს წიგნში ან მრავალრიცხოვანი ადეპტისადმი მიწერილ წერილებში კი არა, თავად კატრენებში იმალებოდა.

გროზოვს არც ის გარემოება გამორჩენია მხედველობიდან, რომ ნოსტრადამუსი ასტროლოგიაში ღრმად ჩახედული იყო. „მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენების დროის გასაშიფრად ზოდიაქოს 12-ვე ნიშანი იყო გამოყენებული და თითოეულ მათგანს საკუთარი მუდმივი ნომერიც ჰქონდა მინიჭებული, — ამბობს მკვლევარი, — გარდა

ამისა, ნოსტრადამუსმა მზის სისტემის ყველა პლანეტა (თავად მზის ჩათვლით) და ტრიგონები (თანამიმდევრობით — ცეცხლი, მიწა, ჰაერი და წყალი) დანომრა". ყველა ეს მუდმივი ნომერი გროზოვმა განსაკუთრებულ ცხრილში — თავისებურ მაგიურ კვადრატში მოათავსა და შემდეგ, მისი დახმარებით, ცენტურიების ახლებურად წაკითხვა სცადა.

როგორც მკვლევარი ირწმუნება, „ამის შემდეგ შეგვიძლია, ნებისმიერი კატრენი ავიღოთ და ცხრილის ჰორიზონტალური სტრიქონის მიხედვით გავიგოთ, შემდეგი რომელი იქნება". ყველა ცენტურიაში გაბნეული, ერთი მოვლენისადმი მიძღვნილი 4-ტაეპიანი ლექსების გამოყოფის შემდეგ, ამ მოვლენის დასაწყისისა და დასასრულის გაგებაც საკმაოდ ადვილია, ანუ „შედეგად, მთელი ისტორია სიმღერასავით მოედინება!"

გამოდის, რომ ვიქტორ გროზოვმა 1501 წლიდან 7021 წლის ჩათვლით მომხდარი თუ მოსალოდნელი, ჭეშმარიტად მსოფლიო მნიშვნელობის 242 მოვლენის შემცველი ცხრილის შედგენა შეძლო. თანაც, თუ მკვლევარს დავუჯერებთ, მან ექსპერიმენტის აბსოლუტური სიწმინდისა და უზადობისთვის, ყველა ენციკლოპედია თუ უბრალო ისტორიის სახელმძღვანელოც კი შორს გადამალა, ხოლო როდესაც მოვლენების ქრონოლოგია მხოლოდ და მხოლოდ ნოსტრადამუსის ნაშრომებსა და საკუთარ ცხრილზე დაყრდნობით შეადგინა, შემდეგ კი ის ოფიციალურ დოკუმენტებს შეადარა, აღმოჩნდა, რომ წინასწარმეტყველის მიერ ჩვენს დრომდე აღწერილი ყველა მოვლენა ისტორიის სახელმძღვანელოში დაფიქსირებული ფაქტების ანალოგია.

გროზოვის მიერ შედგენილ ქრონოლოგიურ ცხრილში მითითებულ ყველაზე მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენებს შორის ნახსენებია: რუსეთის 1917 წლის რევოლუცია, პოლიტიკურ არენაზე ჰიტლერის გამოჩენა, ნიუ-იორკში მსოფლიო სავაჭრო ცენტრის შენობაზე შეტევა და 1918 წელს, რუსეთის მეფის ოჯახის დახვრეტაც...

რა თქმა უნდა, წარსულის მოვლენების ამოცნობა საინტერესოა, მაგრამ კიდევ უფრო საინტერესოა მომავლის განჭვრეტა. გროზოვმა აქაც არაერთი გასაოცარი რამ აღმოაჩინა. ამ მხრივ, თუნდაც, მხოლოდ უახლოესი „პროგნოზები" — სამოქალაქო ომები იტალიასა (2012 წ.) და საფრანგეთში (2023 წ.) — რად ღირს. თუ ვიქტორ გროზოვის ცხრილს დავუჯერებთ, 2016 წელს რუსეთში გადატრიალება მოხდება, რომლის შედეგადაც, ხელისუფლებაში 3 თვით კომუნისტები მოვლენ. მკვლევრის მტკიცებით, ნოსტრადამუსმა 2070 წლისთვის მუსლიმანურ და ქრისტიანულ სამყაროებს შორის მსოფლიო ომის დაწყება იწინასწარმეტყველა, ხოლო 2085 წელს — ერთგვარი „ჰიპნოზის გამაძლიერებლის" გაჩენა, რომლის წყალობითაც, რუსეთი მტრებს მუსრს გაავლებს. მორიგი წარღვნა, ანუ პრაქტიკულად, სამყაროს დასასრული 4158 წლისთვისაა „დაგეგმილი", მაგრამ როგორც ვიქტორ გროზოვი ირწმუნება, ეს ადამიანური ცივილიზაციის დასასრული როდი იქნება. ჩვენი ცივილიზაცია 7021 წელს, ანუ მაშინ აღორძინდება, როცა ჩვენი შთამომავლები ახალ სიცოცხლეს დაიწყებენ.

ვიქტორ გროზოვის მტკიცებით, მის მიერ ნოსტრადამუსის წინასწარმეტყველებების სრული გაშიფვრის შემდეგ, მსოფლიო ისტორიაში არანაირი საიდუმლო აღარ დარჩება, რაც, ცოტა არ იყოს, შემაშფოთებლადაც კი ჟღერს. ახალმოვლენილი მკვლევრის დასკვნების სისწორეში მალე დავრწმუნდებით — ნოსტრადამუსმა ხომ 2012 წლისთვის, იტალიაში სერიოზული უწესრიგობა „დაგეგმა". ვნახოთ, რა მოხდება...

მიმდინარე წელს, მალხაზ ასათიანისთვის საკლუბო და სანაკრებო დონეზე წარმატებული ნამდვილად არ დაერქმევა. ზამთარში მოსკოვის „ლოკომოტივიდან" კიევის „დინამოში" ხელმეორედ განათხოვრებულმა მცველმა უკრაინის ჩემპიონატში რამდენიმე მატჩი ჩაატარა, ხოლო ექტორ კუპერს ეროვნულ გუნდში იგი საერთოდ არ მიუწვევია და ისეთი პირი უჩანს, რომ ამის გაკეთებას არც უახლოეს ხანში აპირებს. ყოველივეს ისიც დაემთხვა, რომ შარშან, პირველი საიჯარო ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ, ასათიანი „დინამომ" უეფას თასისთვის გუნდის განაცხადში აღარ შეიყვანა და ფეხბურთელსაც ევროთასებზე თამაშშა არ მოუწია. არადა, 2008 წლის შუმოდგომაზე მან კიეველთა რიგებში ჩემპიონთა ლიგაზეც ითამაშა.



ლაშა თაბაგარი

— უკრაინაში საფეხბურთო სეზონი დასრულდა. კიევის „დინამოს" პრეზიდენტის, იგორ სურკისის განცხადებით, კლუბი არც თქვენი სატრანსფერო უფლებების გამოსყიდვას აპირებს და არც ოჯარის გაგრძელებს. გამოდის, ისევ „ლოკომოტივში" ბრუნდებით, რომელთანაც კონტრაქტი გაკავშირებთ.

— დიახ, „ლოკომოტივში" ვბრუნდები, მით უმეტეს, რომ გუნდის მთავარ მწვრთნელად კვლავ იური სიომინი დაინიშნა. „ლოკომოტივის" ყოფილი მთავარი მწვრთნელისგან, რაშიდ რახიმოვისგან განსხვავებით, რომელთანაც გარკვეული უთანხმოება მქონდა, სიომინთან არავითარი პრობლემა არ მაქვს. ბუნებრივია, მას უკვე ვესაუბრე და მირჩია, — ვიდრე საბოლოო გადაწყვეტილებას

ასათიანმა ყოფილი მწვრთნელის ვერაფერი გაიგო

რახიმოვი ქართველთან კონფლიქტს უარყოფს

მიიღებ, კლუბის პრეზიდენტს, ნიკოლაი ნაუმოვს დაელაპარაკეო.

— რახიმოვი რას გერჩოდათ?

— არ ვიცი. მართალია, ყველა მწვრთნელს ფეხბურთზე საკუთარი შეხედულება აქვს, მაგრამ დღემდე ვერ ვხვდები, რახიმოვი ჩემ მიმართ ასე ცუდად რატომ იყო განწყობილი.

— თუ იცით, რატომ წავიდა ის „ლოკომოტივიდან“?

— რახიმოვს სუპერშანსი მისცეს, რათა საკუთარი შესაძლებლობები გამოემჟღავნებინა, მაგრამ ეს ვერ მოახერხა. როდესაც „ლოკომოტივში“ ვთამაშობდი, გუნდმა რუსეთის ჩემპიონატში ბრინჯაოს მედალი 2-ჯერ მოიგო და ორივე შემთხვევაში, შედეგი არადამაკმაყოფილებლად ჩაითვალა, რის გამოც, მთავარი მწვრთნელი შეცვალეს. რახიმოვმა პირველ სეზონში „ლოკომოტივი“ მე-7 ადგილზე გაიყვანა და მიუხედავად ამისა, მისი შეცვლა არავის უფიქრია. გუნდმა წელსაც წარუმატებლად ითამაშა. არ ვამბობ, რომ რახიმოვი ცუდი მწვრთნელია, მაგრამ იმ დონის სპეციალისტი ნამდვილად არაა, რომ „ლოკომოტივი“ განწვრთნას.

— რუსეთის ჩემპიონატში მოსკოვურ კლუბს ასეთი ცუდი სტარტი ჯერ არ ჰქონია...

— რახიმოვის გაწვრთნილი „ლოკომოტივი“ სათანადოდ ვერ თამაშობდა და კლუბის ხელმძღვანელობა მიხვდა, რომ მწვრთნელის შეცვლა იყო აუცილებელი.

— სიომინზე რას ფიქრობთ? ის ნამდვილად გენდობათ?

— მას რომ არ ვჭირდებოდე, არც კიევის „დინამოში“ წამიყვანდა და არც „ლოკომოტივში“ დამტოვებდა. იგი არ არის პიროვნება, რომელიც პირში ერთს გეუბნება და ზურგს უკან სხვა რაღაცას აკეთებს. ვიცი, მასთან არავითარი პრობლემა არ მექნება. უბრალოდ, პრეზიდენტთან საუბარი აუცილებელია.

— ალბათ, „ლოკომოტივში“ დაბრუნება გახარებთ, არა?

— რა თქმა უნდა, მახარებს, რადგანაც იქაურ ატმოსფეროს მიჩვეული ვარ და ამასთანავე, „ლოკომოტივში“ თამაშისას საკუთარ ძალებშიც ბევრად დარწმუნებული გახლავართ.

— განვლილ სეზონში, კიევის „დინამოში“ საკუთარ გამოსვლას როგორ შეაფასებთ?

— ბევრი არ მითამაშია, მაგრამ „დინამოში“ გადასვლა მაინც გამართლებული იყო, რადგანაც „ლოკომოტივში“ დარჩენის შემთხვევაში, მხოლოდ დუბლშემადგენლობაში მომიწევდა ვარჯიში. საერთო ჯამში, უკრაინის ჩემპიონატში 12 მატჩი ჩავატარე და ჩემპიონთა ლიგაშიც ვითამაშე.

— უკრაინულ გუნდში თამაშმა, როგორც ფეხბურთელს, რა შეგძინათ?

— კიევის „დინამო“ ერთ-ერთი უძლიერესი კლუბია და ცხადია, მის რიგებში თამაში ნებისმიერ ფეხბურთელს წაადგება. მით უმეტეს, რომ უკრაინის ჩემპიონი გავხდი და ბოლო 5 მატჩი ძირითად შემადგენლობაში ჩავატარე. ასევე, დონეცკის „შახტარის“ წინააღმდეგ სრულად ვითამაშე, რაც პრაქტიკის მიღების მხრივ, ძალიან სასარგებლოა.

— უკრაინისა და რუსეთის საფეხბურთო ჩემპიონატებს შორის რა პარალელს გაავლებდით?

— რუსეთის ჩემპიონატი უკრაინისაზე ძლიერია, მაგრამ კიევის „დინამომ“ და დონეცკის „შახტარმა“ გასულ სეზონში დაამტკიცეს, რომ ევროპაში ერთ-ერთი უძლიერესი კლუბები არიან. ამას თუნდაც, უეფას თასის ნახევარფინალში მათი გასვლა მოწმობს. ალბათ, მომავალში უკრაინის პირველობის დონე კიდევ აიწევს.

— ბოლო პერიოდში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან ან ეროვნული ნაკრების სამწვრთნელო შტაბიდან ხომ არ დაგკავშირებიან?

— არა, ნაკრებში არავის მივუწვევივარ და არც ფეხბურთის ფედერაციიდან დამკავშირებია ვინმე.

მართალია, ასათიანი მისდამი რახიმოვის დამოკიდებულების მიზეზს ვერ ხსნის, მაგრამ თავად მოსკოველთა ექსმწვრთნელმა აღნიშნა, რომ ქართველთან არავითარი კონფლიქტი არ ჰქონია:

— როცა „ლოკომოტივში“ მივედი, ასათიანი ძირითად შემადგენლობაში იყო. ის ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელი და კარგი ადამიანია. თუმცა, სეზონისწინა შეკრებაზე ისეთ სათამაშო ფორმაში არ იყო, როგორსაც მისგან ველოდი და ამიტომაც, მივიღე გადაწყვეტილება, მისთვის დრო მიმეცა. მერწმუნეთ, ასათიანის შესაძლებლობებში ეჭვი ერთი წამითაც არ შემპარვია. მოგვიანებით, მალხაზმა ტრავმა მიიღო, რის გამოც, თვე-ნახევარი გამოტოვა. იგი ფეხბურთელთა იმ რიგს მიეკუთვნება, რომელმაც სათამაშო ფორმის შესანარჩუნებლად მუდმივად, თანაც — ბევრი უნდა იშრომოს. სხვათა შორის, თავადაც ასეთი ვიყავი და ვიცი, მისთვის წარმატების მიღწევა რამდენად რთულია. ტრავმის შემდეგ, ძალებს ძალიან ნელა იღდგენდა და კონკურენციას ვერ უძლებდა. ასათიანი განსაკუთრებული შემთხვევა იყო — ლიდერი, რომელმაც გუნდისთვის ბევრი გააკეთა, მაგრამ მაშინ მისთვის შესვენება იყო საჭირო, რაც თავად მალხაზს არ აძლევდა ხელს და მისი მესმის კიდეც. ჩვენ ერთად გადავწყვიტეთ, რომ თუ სათამაშო პრაქტიკის მიღების საშუალება იქნებოდა, აუცილებლად უნდა გამოგვეყენებინა.

პირადი კონფლიქტი? — არა, მსგავსი რამ არ ყოფილა. უბრალოდ, ზოგჯერ არ მომწონდა ის, რასაც მოედანზე აკეთებდა და ამის შესახებ ვეუბნებოდი. ჩვენ შორის სკანდალი და ურთიერთშეურაცხყოფის ფაქტი არ ყოფილა. შესაძლოა, ბევრმა თქვას, რომ ეს არასწორი მიდგომაა, მაგრამ მერწმუნეთ, ჩემთვის ადამიანური ურთიერთობები პირველ ადგილზეა...

პიროვნებები და პოლიტ ქარიზმა

პოლიტიკაში ლიდერთა თვისებებს დიდი მნიშვნელობა აქვს. წლების მანძილზე ქართველი საზოგადოება ემოციურ და ქარიზმატულ პიროვნებას ირჩევდა, რაც ალბათ იმას მოწმობს, რომ სასურველი პოლიტიკური ლიდერის ფსიქოტიპს ერის ხასიათი განსაზღვრავს. ფსიქოლოგი გოჩა გოშაძე მიიჩნევს, რომ ჩვენი ხალხი მზად არ არის, გაწონასწორებული პოლიტიკოსი მიიღოს, რადგან ჯერ კიდევ სჭირდება გმირი, რომელიც ყველას მაგივრად გააკეთებს საქმეს... სამწუხაროდ, არც გმირებად აღქმული ლიდერები ამართლებენ ხალხის იმედებს. ფსიქოლოგის თქმით, ასეთი დამოკიდებულება — ერის დაავადებაა, „მკურნალი" კი ჯერ-ჯერობით არ ჩანს.

„მერაბიშვილი საკმაოდ გონიერია, მაგრამ არა ისეთი ქარიზმატული, რომ სააკაშვილის მართვა მოინდომოს"

ლალი პაპასკირი

— ბატონო გოჩა, დღევანდელი რეალობა ისეთია, რომ გაწონასწორებული პიროვნების ადგილი ქართულ პოლიტიკაში არ არის. რატომ ხდება ასე?

— სამწუხაროდ, ქართულ პოლიტიკას და ხალხს გაუწონასწორებელი პოლიტიკოსები ერგებიან და ეს ჩვენი პრობლემაა. გაწონასწორებული ადამიანი გადაწყვეტილებას ფიქრის შედეგად იღებს, ნაკლებად ემოციურია, შეუძლია დალაგებულად ლაპარაკი და აზრების გადმოცემა. ქართულ პოლიტიკურ რეალობაში ასეთი ადამიანის ადგილი ჯერ-ჯერობით არ არის. თუ პოლიტიკოსი ემოციას არ გამოხატავს, საზოგადოებას ის არ მოსწონს. ამომრჩეველი, ფიქრისა და ანალიზის უნარის გამოყენების მაგივრად, გადაწყვეტილებას ემოციაზე დაყრდნობით იღებს.

— ეს საზოგადოების დაბალი განვითარების ბრალია?

— დიახ, ეს პრობლემაა. ერს ჯერ კიდევ სჭირდება ქარიზმატული ლიდერი, რომელიც ხალხს წინ გაუძღვება, პრობლემებს ისე მოაგვარებს, რომ თითოეულ ადამიანს საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღება არ მოუწევს... ერი კვლავაც არ არის მზად, მიიღოს გაწონასწორებული პოლიტიკოსი.

— თუნდაც ირაკლი ალასანია, რომლის რეიტინგმა ბოლო დროს საგრძნობლად დაიწია...

— ალასანიას საკმაო ქარიზმა აქვს და მის გამოსვლებში ღრმა, ფარული ემოცია იგრძნობა. ეს ადამიანი თავის ემოციას კარგად მართავს... ის, რომ ალასანიას მიმართ სიმპათია შენელდა, არ ნიშნავს, რომ მან თავისი რესურსი ამოწურა. ირაკლი ალასანია ქართულ პოლიტიკაში ისეთი ფიგურაა, რომელიც თავის სიტყვას აუცილებლად იტყვის. უკანა პლანზე დროებით მისი გადაწევა იმის ბრალია, რომ ოპოზიციის იმედები არ გამართლდა: მათ ეგონათ, რომ ხალხის ქუჩაში გამოყვანითა და ფართომასშტაბიანი აქციებით მიზანს მიაღწევდნენ, მაგრამ ეს არ გამოვიდა. მიზეზი კი ის არის, რომ ოპოზიციამ არ იცის, რა უნდა აკეთოს, მის ლიდერებს არ აქვთ ერთიანი ხედვა, არ იციან, რა უნდა გააკეთებინონ ქუჩაში გამოსულ ხალხს. ისეთ უკიდურეს ზომამდე მივიდნენ, რომ რკინიგზის ცენტრალური მაგისტრალიც კი გადაკეტეს და ამას აკეთებს დავით გამყრელიძე, რომელიც საკმაოდ გაწონასწორებული ადამიანია, იმ დღეს კი იმდენად დაბნეული იყო, რომ არ იცოდა, რისკენ მოეწოდებინა ადამიანებისთვის, რომლებიც ოპოზიციისგან რეალურ მოქმედებასა და რაიმეს შეცვლას მოითხოვდნენ. ასეთ შემთხვევაში ხალხი ძნელად სამართავია, მასში აკუმულირდება ენერგია, რომელსაც განმუხტვა ესაჭიროება.

— ეს გაუთვლელი პოლიტიკის შედეგია თუ სხვა მიზეზებიც არსებობს?

— ალბათ ოპოზიციას საკუთარი გათვლები აქვს, მაგრამ როგორც ჩანს, ის ჯერ-ჯერობით ხანგრძლივ პერიოდს არ მოიცავს. ვფიქრობ, ცალკე განხილვას იმსახურებს უცნობის ფენომენი. საინტერესოა, დააკვირდე პროცესს, თუ როგორ ყალიბდება ისტორიული გმირის პერსონაჟი: გიორგი უკვე გმირია (თბილისში მაინც), თუმცა მისი ქმედებები პოლიტიკისგან შორს დგას. მის მიმართ დიდი სიმპათია მაქვს — როგორც პიროვნების, ქართველისა და საერთოდ, ადამიანის მიმართ, მაგრამ ერის მკურნალობა ასეთი ქმედებებით არ მოხდება. გიორგის იქ ყოფნა ერს აიძულებს, ისევ ერთ ადამიანზე იყოს დამოკიდებული. თბილისში მისნაირი რეიტინგი არავის აქვს, რადგან მუდმივად ჩანს მისი ემოციურობა და თავდადება. მისი ქცევა მხოლოდ „ანტიმიშისტურ" განწყობილებას აღვივებს, მაგრამ ეს არ არის მთავარი. ხალხის აზროვნებისთვის უფრო უპრიანი იქნებოდა, თუ საკაში ხანგრძლივად სხვადასხვა პოლიტიკოსი იქნებოდა წარმოჩენილი და ხალხი მხოლოდ უცნობის გმირობას არ ნახავდა... ეჭვი არ მეპარება, რომ ის ამას აცნობიერებს და ასეთი ადამიანების მოწვევასაც ცდილობს, მაგრამ მისი რეიტინგი იმდენად მაღლა ადის, რომ სხვისი ადგილი აღარ რჩება. ხალხი მას აღფრთოვანებული შეჰყურებს ანუ გამოდის, რომ ქართველი ერის არსებობის აზრი — გმირის ძიებაა. ამ შემთხვევაში, ქართველს, როგორც პიროვნებასა და საზოგადოების წევრს, საკეთებელი არაფერი რჩება. ქართველ ადამიანს გონებაში აქვს ჩამჯდარი, რომ პასუხისმგებლობა საკუთარ საქციელზე არ უნდა აიღოს და ნებისმიერი საქმის ცუდი შედეგი ვიღაცას გადააბრალოს... მიხეილ სააკაშვილის ნაირ-ნაირ დაპირებას ხალხი ბედნიერი სახით იღებდა, მოსწონდა მისი რეალური თუ არარეალური ინიციატივები... რადგან სააკაშვილი უკიდურესად ემოციური ადამიანია, მისი ქარიზმა კვლავ „მუშაობს" და ბევრი ქართველი ჯერ კიდევ „მიშისტია". ზოგი მართლა, რეალურად უჭერს მხარს, მაგრამ „იძულებით „მიშისტებიც" არსებობენ.

— რას ნიშნავს „იძულებით „მიშისტები"?

— დაშინებულ და დასჯილ ადამიანებს,

მათ, ვინც იძულებული არიან, მიშას მხარეზე იდგნენ... თავის დროზე, სააკაშვილის ემოციურობით აღფრთოვანება — ერის დაავადების უკიდურესი გამოვლინებაა, რომელიც ახლა კი არ გაგვჩენია, წლებია გვჭირს. ჯერ იყო შეძახილები: „ზვი-ა-დი!“, მერე — „მი-შა, მი-შა!..“ გიორგი არ არის პრეზიდენტი, მაგრამ მის გამოჩენას უკვე მოჰყვა — „გი-ორგი!“ და თუ მან კენჭი იყარა, შესაძლებელია, ხმათა იმავე რაოდენობით ავირჩიოთ პრეზიდენტად, როგორითაც თავის დროზე — გამსახურდია და სააკაშვილი...

— თუმცა ფაქტია, რომ ამ გაღმერთებულ პიროვნებებს ქვეყნისთვის სიკეთე არ მოუტანიათ...

— თუ ადამიანს გააღმერთებ და ის ხალხის იმედს ვერ გაამართლებს, ხალხი მას ისევე სწრაფად შეიძულებს, როგორც შეიყვარა. ეს მიშას მაგალითზე კარგად ვნახეთ: ხალხი კვლავ რევოლუციისთვის არის მზად. ეს ავადმყოფობაა. პრეზიდენტისთვის და საზოგადოების თვითშეგნების ასამაღლებლად, საჭიროა, პრეზიდენტმა თავისი ვადა ბოლომდე ამოწუროს, მაგრამ ჩემი აზრით, ამასთანავე აუცილებელია, გარკვეული კონსტიტუციური ცვლილებების განხორციელება.

— ახლა ხელისუფლებისა და ოპოზიციის ლიდერთა ურთიერთობასაც შევეხოთ. ალბათ დამეთანხმებით, რომ რეიტინგის დაცემის მიუხედავად, სააკაშვილი მაინც ახერხებს ოპოზიციის ლიდერებზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას.

— ეს მისი „პიარშჩიკების“ შრომის შედეგია. ისინი მის ავადმყოფურ ხასიათს, ასე თუ ისე, აბალანსებენ.

— რაში გამოიხატება ეს დაბალანსება?

— იმაში, რომ კულმინაციურ მომენტებში გაჰყავთ იმ რეგიონებში, სადაც მან არჩევნები მოიგო და კვლავაც ინარჩუნებს მაღალ რეიტინგს. პრეზიდენტი იქაურების მიმართ დადებითად არის განწყობილი, ერთი-ორ ტკბილ სიტყვას ეუბნება, რაც მათ უდავოდ, სიამოვნებთ, მათი სახეების დანახვა კი პრეზიდენტის გუნებაზე-განწყობილებზე აისახება დადებითად... მის ხასიათს ასევე კარგად აბალანსებს იმის შეგრძნება, რომ ძალაუფლება ჯერ კიდევ მის ხელშია, ხოლო როცა ძალაუფლების დაკარგვის საფრთხეს გრძნობს, ამ დროს რადიკალურად განსხვავებული სახის გამომეტყველება აქვს...

— ოპოზიციისა და სპეციალისტებისგან ხშირად გვესმის, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები უდიდესი ძალისხმევის ფასად ინარჩუნებენ სიმშვიდეს...

— დიახ, თუმცა მათი სიმშვიდე ცოტა რეალობისთვის შეუსაბამოა და მცირეა იმ ადამიანთა რიცხვი, ვისაც ამ ხელოვნური სიმშვიდის სჯერა. მათი ნება რომ იყოს, საპროტესტო აქციები უკვე დარბეული იქნებოდა და არც 7 ნოემბრის გამეორებას მოერიდებოდნენ. უბრალოდ, ხელისუფლებას ეშინია და ამიტომ ვერ ბედავს ამის გაკეთებას... თავის მხრივ, არც ოპოზიციას ეტყობა, რომ რადიკალური განცხადებების გაკეთებას გარისკავს და ხალხის პროტესტს ისეთ მიმართულებას მისცემს, რომელიც ძალოვან სტრუქტურებს იარაღის გამოყენებას აიძულებს. ოპოზიციას ძალიან უნდა, რომ ხელისუფლებამ ძალა გამოიყენოს, მაგრამ ხელისუფლებას არ აძლევს ხელს სისხლის დაღვრა. სამწუხაროდ, პოლიციური მმართველობის სახელმწიფოში ვცხოვრობთ, რომელსაც არ აინტერესებს პიროვნებები, მათი მოსაზრებები.

— ბოლო დროს ბევრს ლაპარაკობენ შს მინისტრის განუსაზღვრელ უფლებებსა და ძალაუფლებაზე...

— ვერ დაგეთანხმებით და ვერც იმ აზრს გავიზიარებ, რომ პრეზიდენტს პოსტიდან წასვლა უნდა და გარემოცვა არ უშვებს. არ მჯერა ამის და ვერც იმას დავიჯერებ, რომ მერაბიშვილი დამოუკიდებლად წყვეტს ბევრ რამეს. ხელისუფლებაში არიან ადამიანები, რომლებიც გადაწყვეტილებებს იღებენ და მერაბიშვილი მათ შორის ერთ-ერთია. თანაც, სააკაშვილი არ არის ის პიროვნება, რომელიც ვიღაცის მარიონეტი იქნება. მერაბიშვილთან მისაუბრია და შემიძლია გითხრათ, რომ ის საკმაოდ გონიერი ადამიანია, თუმცა არა ისეთი ქარიზმატული, რომ ერთპიროვნული ლიდერის პრეტენზია ჰქონდეს და სააკაშვილის მართვა მოინდომოს. ამასთანავე, სააკაშვილს საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდები აქვს, როცა ვინმეს გავლენის ქვეშ მისი მოქცევა რთულია. არადა, მას შეეძლო, ისე გასძღოლოდა საქმეს, რომ დღეს ქვეყანაში ყველაფერი უკეთესად ყოფილიყო. სააკაშვილს ამის რესურსი ჰქონდა.

— რატომ ვერ შეძლო?

— იმიტომ, რომ მეტისმეტად დიდი იმედი დაამყარა ძალოვან სტრუქტურებზე. ეგონა, რომ მათი დახმარებით, ყველაფერს შეძლებდა და პიროვნებებისთვის ანგარიშის გაწევა არც კი მოსვლია აზრად. საქართველო არ არის ისეთი მრავალრიცხოვანი ქვეყანა, სადაც პიროვნების აზრის უგულებელყოფა შეიძლება. როცა ასეთ პატარა სახელმწიფოში ამდენი ადამიანი უკმაყოფილოა და ამ დროს ხელისუფალი აცხადებს, — სისტემას ვაყალიბებ და კონკრეტული პიროვნებების აზრი არ მაინტერესებსო, — ეს შეცდომაა.

— ანუ სააკაშვილი საზოგადოების აზრს არ ითვალისწინებს?

— არა, აქ თითოეულ ადამიანზეა ლაპარაკი: ჩვენ დასაკარგი ადამიანები არ გვყავს, მნიშვნელოვანია თითოეულის, თუნდაც იმ „მძევლის“ აზრიც კი, ვისაც არაფრის გაკეთება არ შეუძლია, — სხვანაირად ერი ვერ განვითარდება... ის შეცდა, როცა ამდენ ხალხს „ხაზი გადაუსვა“ და პრობლემის მიზეზით კი არ დაინტერესდა, არამედ ამ პროტესტის წაყრუება არჩია, მაშინ, როცა ეს ადამიანები შეურაცხყოფილები არიან. მან რომც შეძლოს პროტესტის ჩახშობა, რაღაც მომენტში, მაინც ამოხეთქავს. შეიძლება, ხელისუფლების გარკვეული ქმედებები საზოგადოებისთვის მიუღებელი იყოს, მაგრამ იმ ქვეყანაში, სადაც თითქმის ყოველ ნაბიჯზე ირღვევა ადამიანის უფლებები და ხელისუფლება სახალხო დამცველს არც კი უსმენს, „დემოკრატიის აყვავებაზე“ ლაპარაკი უბრალოდ, სასაცილოა.

— როცა ქვეყანაში პოლიტიკური ვითარება ძალიან იძაბება, პრეზიდენტი რეგიონებში მიდის. რატომ იქცევა ასე?

— იმიტომ, რომ რეგიონები ადვილი სამართავია, იქ იოლია არჩევნების გაყალბება, ადამიანის უფლებების შელახვა, რადგან ცენტრამდე ხმა ვერც კი აღწევს. ამიტომაც გველაპარაკება იქიდან ბედნიერი სახით...

— ბოლო დროს პრეზიდენტი ხშირად ლაპარაკობს კონსტიტუციურ ცვლილებებზე, რასაც ოპოზიცია უარყოფითად აფასებს. თქვენი აზრით, შექმნილი კრიზისიდან ეს არის გამოსავალი?

— ჩემი აზრით, აჯობებდა, ამ თემაზე მიხეილ სააკაშვილსა და გაერთიანებულ ოპოზიციას შორის საუბარი მაინც შემდგარიყო, თუნდაც იმიტომ, რომ მარტო „მიშა

წადის“ ყვირილით არაფერი შეიცვლება. ზოგჯერ მგონია, ოპოზიციონერებს არც კი ესმით, რომ ერი დაავადებულია ლიდერომანიით და ისინი ისეთივე ნაყოფი არიან ამ საზოგადოების, როგორიც თავად მიშაა. სააკაშვილი მართლაც რომ წავიდეს, დარწმუნებული ვარ, საზოგადოება ირაკლი ალასანიას ან ლევან გაჩეჩილაძეს კვლავ 95%-ით აირჩევს, ბურჯანაძის შანსი კი მინიმალურია...

— და ბოლოს, ხშირად, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ხელისუფლებასთან ბრძოლას ოპოზიცია აგებს...

— ასეა, აგებს, იმიტომ, რომ ოპოზიციის ლიდერებმა არ იციან, რა გააკეთონ და ზუსტად იმავე შეცდომებს უშვებენ, რასაც მიშა, — სხვის აზრს თითქმის არასდროს იზიარებენ...



ქართველი ბერები იერუსალიმში ფეხსაცმლით არ დადიოდნენ

მორენა მერკვილაძე

როგორც ცნობილია, ქართველმა მოღვაწეებმა უძველესი დროიდანვე მიაშურეს პალესტინას. საქართველოს მეფეთა ხელშეწყობით, წმინდა მიწაზე ქართული სავანეებიც დააარსეს და კულტურულ-საგანმანათლებო საქმიანობაც წამოიწყეს. საუკუნეების განმავლობაში შენდებოდა ქართული მონასტრები, იქმნებოდა ორიგინალური თხზულებები, მრავლდებოდა ხელნაწერები... წმინდა მიწაზე ქართველთა ცხოვრებისა და იქ არსებული ქართული სავანეების შესახებ გვესაუბრება არქიმანდრიტი მაკარი (აბესაძე).

— რომელი საუკუნიდან მოღვაწეობდნენ ქართველი ბერმონაზვნები წმინდა მიწაზე?

— ამის დამადასტურებელ ისტორიულ წყაროებს ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ არსებობს გადმოცემა, რომ იერუსალიმში პირველი ქართველი მოღვაწეები საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების ხანიდან — IV საუკუნიდანვე გამოჩნდნენ. ცნობილია, რომ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ასაგები ადგილი იმპერატორმა კონსტანტინემ გადასცა მირიან მეფეს. მონასტრის აშენების შემდგომ, ცხადია, იქ ქართველი მოღვაწეები დამკვიდრდნენ. იერუსალიმში უძველესი საუკუნეებიდანვე ქართველთა მოღვაწეობაზე მიუთითებს ისიც, რომ ქრისტიანობის გავრცელების პირველი ხანებიდან საქართველოს ეკლესიაში იერუსალიმური მსახურებათა წესი და ტიპიკონი იყო დამკვიდრებული.

— როგორ ვითარებაში უხდებოდათ ყოფნა წმინდა მიწაზე მოღვაწე ქართველ ბერებს?

— IV საუკუნეში, როდესაც იერუსალიმსა თუ წმინდა მიწაზე არსებულ სხვა სავანეებში ქართველი მოღვაწეები გამოჩნდნენ, პალესტინა ბიზანტიის იმპერიის ნაწილს წარმოადგენდა და ქრისტიანები, მათ შორის ქართველი ბერმონაზვნები თავისუფლად ცხოვრობდნენ — იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა და ქრისტიანები არ იდევნებოდნენ. იერუსალიმი იყო აკვანი ქრისტიანობისა, სწორედ ამ პერიოდში ჩამოყალიბდა ქრისტიანული ღვთისმეტყველებაც. მარტო საბა განწმენდილის ლავრაში, რომელიც შვიდი მონასტრისგან შედგებოდა, 30 ათასი ადამიანი მოღვაწეობდა. ისტორიული წყაროების მოწმობით, საბა განწმენდილის ლავრაში ქართველებს თავიანთი ეკლესიაც ჰქონდათ, სადაც წირვა-ლოცვა ქართულად აღევლინებოდა. საერთოდ, წმინდა მიწაზე ქართველი მოღვაწეები ყოველთვის დიდი უპირატესობით სარგებლობდნენ, მაშინაც კი, როდესაც იერუსალიმი არაბებმა დაიპყრეს და პალესტინა მუსლიმანების ხელში აღმოჩნდა. წმინდა მიწაზე ქართველთა უპირატესობა იმითაც იყო განპირობებული, რომ ისინი არასოდეს ერეოდნენ პოლიტიკურ ცხოვრებაში, მხოლოდ ქრისტიანული მოღვაწეობით შემოიფარგლებოდნენ, ამიტომ მათ ამ მხრივ, საშიშადაც არ მიიჩნევდნენ. თუმცა წმინდა მიწაზე არაბთა გაბატონების შემდეგ უამრავმა ბერმა, მათ შორის ქართველებმაც დატოვეს იერუსალიმის სავანეები და დასავლეთს, ძირითადად — ათონის მთას მიაშურეს. სწორედ ამ დროიდან დაიწყო ათონის მთის, როგორც ქრისტიანული ცენტრის ჩამოყალიბება და განდიდება. ქართული სავანეების სიძლიერესა და იქ მოღვაწე ქართველებზე ჩვენი სახელმწიფოც ზრუნავდა. მეფეებისგან დიდძალი შემოწირულობა იგზავნებოდა, სხვა მხრივაც იცავდნენ ქართულ სავანეებს. მაგალითად, ვახტანგ გორგასალმა, ქართველი მხედრობით, იერუსალიმიდან უსჯულოთა განდევნა მოახერხა და ჯვრის მონასტრის დამცველებად დატოვა თავისი მეომრები, რომლებიც შემდგომ იქ დასახლდნენ. მათ შესახებ საგულისხმო ცნობებს გვაწვდის დეკანოზი პეტრე კენჭოშვილი, რომელმაც 1899 წელს მოილოცა წმინდა მიწა: „მახლობლად ჯვრის მონასტრისა, ესრეთ წოდებულ „ვარდის ღელესა“ არის დაბა „მალბა“, სადაც ცხოვრობს ექვსასი სული ორივე სქესისა. ამბობენ, რომ ვითომც ეს მცხოვრებნი არიან შთამომავალნი აქ გადმოსახლებულთა, ქართველთა მეფე ვახტანგ გორგასლიანის დროსა მეხუთე საუკუნეში, დასაცავად ჯვრის მონასტრისა მტერთა დაცემისაგან... და უწოდებენ თავიანთ თავსა „გურჯებად“ — ქართველებად... იგინი იცავენ ჯვრის მონასტერს და ემსახურებიან მას... სახითა, ზნეობითა და ჩვეულებითა იგინი განსხვავდებიან გარეშე მცხოვრებთა არაბის ტომისაგან“, — წერს პეტრე კენჭოშვილი. ვიდრე საქართველო სახელმწიფოებრივად არსებობდა, სამშობლოდან მიღებული დახმარების წყალობით, ქართველები წმინდა მიწის ქართულ სავანეებს ინარჩუნებდნენ, შემდეგ კი გადასახადების სიმძიმის გამო, ნელ-ნელა დავკარგეთ ქართული სავანეები და ძალაუფლება წმინდა მიწაზე. XVIII საუკუნის ბოლოდან იერუსალიმის ქართულ სავანეებში ქართველი ბერები თითქმის აღარ ჩანან. მათი კუთვნილი ადგილები სხვა კონფესიათა წარმომადგენლებმა შეისყიდეს (ვიცით, რომ არაბთა ბატონობის პერიოდში წმინდა ადგილე-

ბი არადიდგვაროვანთა ხელში აღმოჩნდა ქონებრივად. მათ კი, ვისაც ესა თუ ის ადგილი სარწმუნოებრივად ეკუთვნოდა, ადგილის ქონებრივად მფლობელი არაბისთვის იჯარა უნდა ეხადათ). იმ პერიოდში საქართველოს ეკლესიაც არ იყო ავტოკეფალიური, რომ წმინდა მიწის ქართული სავანეებისთვის მიეხედა. არა მარტო ქართველი ბერმონაზონები, არამედ საერთოდ, ქართველები დიდი პრივილეგიებით სარგებლობდნენ წმინდა მიწაზე. 1180 წელს იერუსალიმის ლათინი პარტრიარქი ჟაკ დე ვიტრი ქართველთა შესახებ წერდა: „აღმოსავლეთში არის კიდევ ერთი ქრისტიანი ხალხი. ეს ხალხი დიდად მებრძოლი, ომში მამაცი, ტანადი, ძალოვანი და ძლევამოსილია. ჰყავს ურიცხვი მეომარნი, შიშის ზარს სცემენ სარკინოზებს, თავდასხმებით ხშირად დიდ ზიანს აყენებენ სპარსელებს, მიდიელებს და ასირიელებს. ამ ხალხს „გიორგიანებს“ უწოდებენ, რადგანაც განსაკუთრებით მოწიწებით ეპყრობიან და ეთაყვანებიან წმინდა გიორგის, ვინც თავის მფარველად და მედროშედ მიაჩნიათ ურწმუნოთა წინააღმდეგ ბრძოლაში. უფლის საფლავის მოსალოცად მომავალნი წმინდა ქალაქში დროშებგაშლილნი შემოდიან და ხარკს არავის უხდიან. სარკინოზები წყენინებას ვერ უბედავენ, რადგანაც შინ დაბრუნებულთ შეუძლიათ შური იძიონ თავიანთ მეზობელ სხვა სარკინოზებზე“...

— გარდა იმისა, რომ იერუსალიმში მრავლად იყო ქართული სავანე, ჩვენს წინაპრებს საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე ჰქონდათ თავიანთი კუთვნილი ადგილები იერუსალიმის აღდგომის ტაძარში...

— იერუსალიმის აღდგომის ტაძარში წმინდა ადგილები საუკუნეების მანძილზე ეკუთვნოდათ ქართველებს და იქ წირვა-ლოცვა ქართულად აღევლინებოდა. ისტორიული წყაროები მოწმობს, რომ ჩვენს წინაპრებს ერთ-ერთი ყველაზე საპატიო ადგილი ეკავათ იერუსალიმის აღდგომის ეკლესიაში. იყო პერიოდი, როდესაც უფლის საფლავზე აღმართული სამლოცველოს გასაღებს ქართველი ბერები ფლობდნენ. ქართველებსავე ჰქონდათ ეკლესიის კარიბჭის დაკეტვისა და გაღების უფლებაც. მომლოცველები მათგან იღებდნენ ეკლესიაში ღამით დარჩენის ნებართვას. ქართველ ბერებს ევროპელები „ფეხშიშველ ბერებს“ ეძახდნენ, რადგან უფლისა და წმინდა მიწისადმი უდიდესი კრძალვისა და სასოების გამო, იერუსალიმში არც ერთი ქართველი ბერი ფეხსაცმლით არ დადიოდა... 1347 წელს ევროპელი პილიგრიმი ზუდჰაიმი კი წერს: „იერუსალიმში ქართველებს აქვთ ქრისტეს წმინდა ეკლესიის გასაღები და ისინი თვით დიდძალი ფულისთვისაც არ შეელევიან ქვის უმცირეს ნატეხსაც კი“.

აღდგომის ტაძარში ქართველებმა კონკრეტული ადგილები მუსლიმანთა ბატონობის პერიოდში მოიპოვეს, როდესაც წმინდა ადგილები კერძო პიროვნებების ხელში გადავიდა. წმინდა მიწაზე არაბთა გაბატონებამდე, როდესაც პალესტინა ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა, აღდგომის ტაძარსაც და სხვა წმინდა ადგილებსაც სრულად განაგებდა იერუსალიმის მართლმადიდებელი საპატრიარქო. აღდგომის ტაძარში ქართველებს ეკუთვნოდათ გოლგოთა — ადგილი, სადაც ჯვარს აცვეს მაცხოვარი და მოხდა გამოხსნა კაცობრიობისა. პირველი ცნობა იმის შესახებ, რომ გოლგოთა ქართველებს ეკუთვნოდათ, XI საუკუნით თარიღდება: 1010 წელს ეგვიპტის სულთანმა ჰაქემმა აღდგომის ტაძარი დაანგრია. მის აღდგენაში, სხვა ქრისტიანულ ქვეყნებთან ერთად, საქართველომაც მნიშვნელოვანი მონაწილეობა მიიღო. ამ საქმეში შეტანილი წვლილისთვის ბიზანტიის იმპერატორმა კონსტანტინე მონომახმა საქართველოს მეფეს, ბაგრატ კურაპალატს გოლგოთა უბოძა. გოლგოთაზე საუკუნეების მანძილზე მკვიდრობდნენ ქართველი ბერები, წირვა-ლოცვა ქართულად აღევლინებოდა. არსებობს ცნობები, რომ გოლგოთაზე საკურთხეველში მუდმივად იყო ჩაკეტილი ერთი ქართველი ბერი ამ ადგილის დასაცავად. მის მახლობლად ქართველ ბერთა სენაკებიც ყოფილა. იყო პერიოდები, როდესაც ქართველები გარკვეული ხნით კარგავდნენ გოლგოთას, შემდეგ კვლავ იბრუნებდნენ და უფლებებს აღიდგენდნენ. XVII საუკუნის შუახანებში კი ჩვენმა წინაპრებმა საბოლოოდ დაკარგეს გოლგოთა, რადგან ველარ მოახერხეს ოსმალთა მიერ დაკისრებული მძიმე გადასახადების გადახდა. იქ მოღვაწე ქართველი ბერები ჯვრის მონასტერში გადავიდნენ. გოლგოთის გარდა, იერუსალიმის აღდგომის ტაძარში ქართველებს ეკუთვნოდათ ადამის სამლოცველო, რომელიც

გოლგოთის ძირში მდებარეობს. ამ ადგილს „იბერიელთა მიწას“ უწოდებდნენ. მომლოცველები მას ადამის ქართულ სამლოცველოდ მოიხსენიებდნენ. ქართველი ბერები საუკუნეების მანძილზე მოღვაწეობდნენ უფლის საფლავზე აღმართულ სამლოცველოშიც. არსებობს ცნობები, რომ უფლის საფლავზე, თავთით ჩაუქრობლად ენთო ქართველთა კუთვნილი ორი კანდელი. ქრისტეს საფლავზე დაკიდებული კანდელების ზეთით შევსების უფლება კი მხოლოდ იბერიელ ბერს ჰქონდა. ერთ დროს, ქრისტეს საფლავზე ქართველი მეფეები — ლეონ კახთა მეფის, ნიკოლოზ — ყოფილი ერეკლესა და მისი შვილების ხსენებაც ყოფილა დაწესებული. ასევე არსებობს ცნობები, რომ ქართველებს იერუსალიმის აღდგომის ტაძარში ეკუთვნოდათ: მარიამ მაგდალინელის სამლოცველო, ქრისტეს დილეგის სამლოცველო, წმინდა ელენეს და ჯვრის აღმოჩენის სამლოცველოები. იერუსალიმის ტაძარში ქართველთა მოღვაწეობის პერიოდში გოლგოთა ქართული მწიგნობრობის მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა. აქ არაერთი მნიშვნელოვანი ქართული ხელნაწერი შეიქმნა. თავის დროზე, აღდგომის ტაძარში ქართული ხელნაწერების მთელი კოლექცია ყოფილა დაცული.

— წმინდა მიწაზე არსებული ქართული სავანეებიც გავიხსენოთ.

— ჯვრის მონასტერი პირველად, საქართველოს პირველმა ქრისტიანმა მეფემ, მირიანმა აღაშენა იერუსალიმში... როგორც უკვე ვთქვით, წმინდა მიწაზე მონასტრისთვის ადგილი მირიან მეფეს იმპერატორმა კონსტანტინემ გადასცა. ეს ის ადგილი გახლდათ, სადაც „ძველი აღთქმის“ მამამთავარ აბრაამის ძმისწულის, ლოთის მიერ დანერგილი სამი ხმელი ტოტი განედლდა, ერთმანეთს შეეზარდა და ერთ დიდ ხედ აღმოცენდა. მოგვიანებით სწორედ ამ ხისგან გაკეთებულ ძელზე მიამსჭვალეს მაცხოვარი, რომელიც ქრისტეს ჯვარცმის დროს სოლომონის ტაძართან ჩამავალ ნაკადულზე ხიდად იყო გადებული: სოლომონის ანუ იერუსალიმის ტაძრის აგებისას ხე მოჭრეს და სამშენებლო მასალად გამოყენებას აპირებდნენ, მაგრამ შემდეგ, გაურკვეველი მიზეზის გამო, აღარ გამოუყენებიათ და ტაძრის კედელთან დაუგდიათ. გამოხდა ხანი და მისგან ხიდი აუგიათ, ტაძრის მახლობლად ჩამავალ ნაკადულზე გადასასვლელად. ამ ხიდით ათასწლეულების მანძილზე სარგებლობდნენ ადამიანები. ხე მტვრითა და ტალახით დაიფარა. უფლის ჯვარცმის დროს, სწორედ ეს ხე აიღეს და მისგან გააკეთეს ჯვარი, რომელზეც მაცხოვარი უნდა გაეკრათ, რათა უკიდურესად შეურაცხყოთ მხსნელი კაცობრიობისა... მირიან მეფის მიერ დაარსებული ჯვრის მონასტრის მცველებად, ვახტანგ მეფემ იერუსალიმში, ჯვრის მონასტრის მახლობლად მდებარე დაბა მალხაში ქართველები ჩაასახლა. დაარსების დღიდან ჯვრის მონასტერი ქართველ მოღვაწეთა კერად იქცა... შემდგომ საუკუნეებში, გასაჭირში ჩავარდნილი საქართველოდან ჯვრის მონასტერს დახმარება შეუსუსტდა, პალესტინაში ქრისტიანთა დევნამაც იმძლავრა, ამის გამო ჯვრის მონასტერი თანდათან დასუსტდა, XI საუკუნის დასაწყისისთვის სავანე თითქმის მთლიანად განადგურდა, იქ მოღვაწე ბერები კი იერუსალიმსა და მის გარშემო არსებულ სავანეებში მიმოიფანტნენ...

P.S. *წმინდა მიწაზე არსებული ქართული სავანეების შესახებ საუბარს „გზის“ მომდევნო ნომერში განვაგრძობთ.* ■

მესი მიღწეულით არ კმაყოფილდება



„ბარსელონასთან“ ერთად მიღწეული თავბრუდამხვევი წარმატების შემდეგ, თბილი კატალონიიდან ლეო მესი პირდაპირ სამშობლოში, არგენტინაში გადაფრინდა. სანაკრებო მატჩების წინ, იგი ესეიესში მდებარე არგენტინელთა საწვრთნელ ბაზაზე, ჩოგ-ფეხბურთისა და Playstation-ის თამაშით ერთობოდა და დიეგო მარადონას ბრძნულ დარიგებებს ისმენდა... მოგვიანებით, მესიმ გამომცემლობა SPORT-ის კორესპონდენტის მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხა.

— ლეო, ოდესმე თუ წარმოიდგენდი, რომ სეზონი ასე დასრულდებოდა?

— ყოველი ადამიანი, რომელიც „ბარსელონას“ მსგავსი გუნდის მაისურს იცვამს, მხოლოდ უმაღლეს მიზნებს ისახავს. ძალიან ცოტაა ისეთი გუნდი, რომელიც ერთდროულად, ეროვნულ ჩემპიონატს, ქვეყნის თასსა და ჩემპიონთა ლიგას იგებს.

— ამ წარმატების გამეორება რამდენად შესაძლებელია?

— ეს რთული იქნება, მაგრამ წინსვლა და ტიტულების კვლავ მოპოვება აუცილებელია. გუნდს წინსვლის ამბიცია აქვს. თუმცა, ეს ფეხბურთია და ამ თამაშში ყველაფერია მოსალოდნელი. წარმატებების მიღწევას მომავალშიც ასეთივე მონდომებით შევეცდებით!.. შესანიშნავი მოთამაშეები გვყავს და მათ გამარჯვებები ჯერაც არ მოჰბეზრებიათ.

— ეს შენი კარიერის პიკია?

— ეგ არ ვიცი, მაგრამ ვგრძნობ, რომ ყველაფერი კარგად მიდის. თუმცა მინდა, როგორც ფეხბურთელი, კიდევ უფრო გავიზარდო.

— ფინალის შემდეგ, „ბარსამ“ საბოლოოდ გასცა პასუხი შეკითხვას, — რომელია პლანეტის საუკეთესო გუნდი?

— ამაზე არასდროს გვიფიქრია. უბრალოდ, დასახული მიზნისკენ ჯიუტად მივიწევდით. ჩვენი სათამაშო სტილის წყალობით, ესპანეთის ჩემპიონი, ქვეყნისა და ევროპის თასების მფლობელი გავხდით.

— თავს გუნდის ცენტრალურ ფიგურად მიიჩნევ?

— არა! ჩემი აზრით, თითოეული ჩვენგანი ამა თუ იმ გუნდურ მოქმედებაში საკუთარ როლს თამაშობს და ყველა ეს როლი მნიშვნელოვანია. ჰოდა, სწორედ ეს არის ჩვენი საიდუმლოება.

— გასული სეზონიდან ყველაზე მეტად რა დაგამახსოვრდა?

— თითოეულ მომენტს თავისი ფასი აქვს. ასეთ ახალგაზრდულ ასაკში ჩემპიონთა ლიგის მეორედ მოგება მართლაც რომ შესანიშნავი შედეგია, მაგრამ მე „ბარსასთან“ ერთად ტიტულების მოპოვება კვლავაც მსურს.

— „ბარსელონაში“ მასკერანოს გვერდით თამაშს თუ ისურვებდი?

— ღმერთმა ქნას, ასე მოხდეს! ის ხომ ჩინებული მოთამაშე და არაჩვეულებრივი ადამიანია.

მარადონას მამასთან ერთად

— იბრაჰიმოვიჩ-ფორლანის წყვილიდან უპირატესობას ვის მიანიჭებდი?

— ორივე მათგანი კარგი ფეხბურთელია, მაგრამ მათზე, ვისაც არ ვიცნობ, ვერ ვილაპარაკებ.

— სილვინიო დაგაკლდება?

— ის ყოველთვის ოპტიმისტი გახლდათ და მისთვის გუნდი ყველაფერი იყო. რა თქმა უნდა, ის თითოეულ ჩვენგანს დააკლდება.

— შენ თქვი, რომ გვარდიოლა და მარადონა ერთმანეთს ჰგვანან...

— შედარებები არ მიყვარს, რადგან ყველას საკუთარი ხელწერა აქვს, მაგრამ ფეხბურთზე ორივემ ბევრი რამ იცის და ამ ცოდნას სხვებს თავისებურად გადასცემს.

— პეპემ პირადად შენ თუ გაგაკვირვა?

— მას ყველაფერი კარგად გამოსდიოდა მანამდეც, ვიდრე №1 გუნდს ჩაუდგებოდა სათავეში, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მაინც ყველას გაკვირვება შეძლო — პირველივე სეზონში სამივე ტიტულს ვერავინ იგებს, მას კი ეს ჩინებულად გამოუვიდა.

— მარადონაზე რას გვეტყვი?

— მას ჩემი სჯერა და ეს ძალას მმატებს. ბოლივიასთან მარცხი მტკივნეული იყო, მაგრამ ამან მხოლოდ გაგვაერთიანა და წინსვლის სტიმული მოგვცა.

— მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი წელიწადია დარჩენილი. შეგიძლია, ამჟამინდელი შეგრძნება გასული მსოფლიო ჩემპიონატის წინანდელ შეგრძნებას შეადარო?

— მაშინ ტრავმას ვიშუშებდი. ამჟამად, მუნდიალს საკუთარი თავისა და გუნდის გაძლიერებული რწმენით შევეგებები. გუნდში შესანიშნავი განწყობილებაა. ბედნიერი ვარ, რომ „ბარსასთან“ ერთად წარმატებებს მივაღწიე და ამ კურსით ჩემს ეროვნულ გუნდთან ერთადაც მსურს სვლა. ■

მარადონა და მესი

მოამზადა ალექსი რეხვიაშვილმა

„ვოლვოს“ ახალი კუპე-კაბრიოლეტი

„ვოლვო“ პრემიერისთვის ამზადებს კუპე-კაბრიოლეტის — Volvo C70 — განახლებულ ვერსიას, რომლის დებიუტიც ფრანკფურტის ავტოსალონზე შემოდგომაზე შედგება. ბარსელონაში სარეკლამო გადაღებისას მოპოვებული არაოფიციალური ფოტოები რამდენიმე შვედურ ინტერნეტფორუმზე გამოქვეყნდა. ამ სურათების მიხედვით, C70-ის განახლებულ ვერსიას ძარას წინა ნაწილი სრულიად განსხვავებულად ექნება გაფორმებული და კროსოვერის — XC60 — და პროტოტიპის — Volvo S60 — მომდევნო თაობის სტილში იქნება შესრულებული. მხოლოდ წინა მაშუქები, ფრთები, კაპოტი, რადიატორის ცხაური და წინა ბამპერი შეიცვლება. უკან ახალი მაშუქები და განსხვავებული ფორმის ბამპერია თვალში საცემი. ჯერჯერობით უცნობია ის, თუ რა ცვლილებები განხორციელდება სალონში და რამდენად შეიცვლება ავტომობილის ტექნიკური მახასიათებლები. Volvo C70 ამჟამინდელი სახით, 2006 წლიდან გამოდის — ეს უკვე, ამ სახელწოდების მოდელის მეორე თაობაა. ევროპისთვის განკუთვნილი კუპე-კაბრიოლეტის ვერსია 2,4-ლიტრიანი ატმოსფერული ბენზინის ძრავათი, 2,5-ლიტრიანი ტურბომოტორით ან 2,4-ლიტრიანი 5 ტურბოდიზელით აღიჭურვება. ■

Bugatti 57C ყველა რეკორდს მოხსნის?

1936 წელს გამოშვებული კუპე Bugatti 57C, რომელიც კომპანიის დამაარსებლის, ტორე ბუგატის დაბადების დღისადმი საჩუქრის სახით შეიქმნა, აუქციონზე გაიყიდება. კომპანია — Gooding&Company — 2009 წელს გამართავს ვაჭრობას, პრესტიჟულ საქველმოქმედო გამოფენაზე — Pebble Beach Concours d'Elegance — რომელიც ყოველწლიურად ეწყობა კალიფორნიის სანაპიროზე. ექსპერტთა პროგნოზით, Bugatti 57C-ის ფასი ყველა არსებულ რეკორდს მოხსნის, მათ შორის, წლევანდელ თებერვალში 12,2 მლნ დოლარად გაყიდული, 1957 წელს გამოშვებული Ferrari 250 Testarossa-ს სააუქციონე ფასისას. ეტორე ბუგატის კუთვნილი Bugatti 57C მეორე მსოფლიო ომის დროს კარგად დაცულ ქარხანაში ინახებოდა და ამიტომ, პირვანდელი სახით შენარჩუნდა. 1950 წელს კუპე გამოიყვანეს ქარხნიდან, სადაც 14 წლის განმავლობაში იდგა და მას შემდეგ მხოლოდ რამდენიმე მფლობელი გამოცვალა. Bugatti 57C-ს გარდა, აუქციონზე გაიყიდება აგრეთვე: 1967 წელს გამოშვებული AAR Guney Eagle Indy, 1964 წლის Dean Van Lines Roadster Indy, 1966 წლის Gethard-Offy Indy, 1909 წლის Stoddard-Dayton Model, Nario Andretti Lola Indy და 1951 წლის Blue Crown Spark Plug Special Indy. ■



ზოგი რამ Skoda Fabia-ს შესახებ

ცოტა ხნის წინ ინტერნეტში ჰეჩბეკის — Skoda Fabia — განახლებული ვერსიის არაოფიციალური ფოტოები გამოქვეყნდა, რომელიც ავსტრიაში მანქანის გამოცდისას გადაიღეს. ამ სურათების მიხედვით, სერიულ ავტომობილს ახალი წინა ბამპერი ექნება, ნისლის საწინააღმდეგო დიდი ფარებით და აგრეთვე, მსხვილი აირშემაკავებლით. ტესტმანქანის უკანა ბამპერი კამუფლაჟითაა დახურული, თუმცა იმის გარჩევა კი შესაძლებელია, რომ მას არავითარი მნიშვნელოვანი ცვლილება არ განუცდია. ზოგიერთი მონაცემით, შესაძლოა, ფოტოებზე აღბეჭდილი იყოს ჩეხური ჰეჩბეკის სუპერვერსიაც, რომელიც სავარაუდოდ, რალისთვის განკუთვნილი ავტომობილის — Fabia S2000 — და კონცეპტუალური მოდელის — Fabia Sport — მოტივებზე შეიქმნება. ეს უკანასკნელი პუბლიკამ პირველად, წლეულს მარტში, ჟენევის მოტორშოუზე იხილა. როგორც ადრე იუწყებოდნენ, ასეთ ავტომობილს გასაყიდად გაისად გამოიტანენ. ყველაზე მძლავრი „ფაბიის“ ტექნიკური მონაცემების შესახებ ჯერჯერობით არაფერია ცნობილი. განახლებული ჰეჩბეკის პრემიერა სექტემბერში, ფრანკფურტის საავტომობილო სალონზე შედგება. ■



1 რუსული სიმებიანი საკრავი
2 იგივეა, რაც ჭანი
3 ნედლეული
4 ქონება, სიმდიდრე
5 ავეჯის ნაწილი
6 ვარდის ბაღი
7 კრძო, ფასიანი მასწავლებელი
8 პერუს დედაქალაქი
9 სუბარი რამდენიმე პირს შორის
10 იაპონური ჭიდაობა
11 ძველი საბერძნეთი
12 კოლუმბის ერთ-ერთი გემი
13 სურათი წმინდანის გამოსახულებით
14 პარადი
15 ცხვირის გარეთა ხვრელი
16 სათამაშო ქაღალდი
17 შხამიანი გველი
18 დედმამიშვილი
19 რუსული ლუდი
20 იაპონური პოეზიის ჟანრი
21 უმიზნოდ სიარული
22 ქართველი ალპინისტი
23 ჩანჩქერი ჩრდ. ამერიკაში
24 შინაური ცხოველი
25 იტალიელი კინორეჟისორი
26 ამერიკელი მწყემსი
27 კრივის მოედანი
28 ხამსა
29 ტბორი
30 სიტყვათა წარმოთქმის მანერა
31 საბრძოლო ნადავლი
32 განსაკუთრებით პოპულარული სიმღერა
33 უსაფუძვლო მედიდურობა
34 ... დიასამიძე
35 დიდი მსხვილი ჯოხი
36 დიდი ვენახი
37 წონის საზომი ერთეული
38 კორეული ავტომობილი

ფინა ნომრის სკანვორდის პასუხები 1. ავსტრალია; 2. სინოდი; 3. ტიტრი; 4. ალმაცერი; 5. ყალიონი; 6. ჯენტლმენი; 7. ლუდი; 8. ნეი; 9. ფლორა; 10. სეული; 11. პლატინი; 12. ლეონი; 13. პაკისტანი; 14. პორშე; 15. ალია; 16. ასთანა; 17. პაბი; 18. ირმა; 19. კლიმატი; 20. თითა; 21. რიაზანოვი; 22. სირაჯი; 23. ხაშური; 24. ტრიტონი; 25. ბამბა; 26. ლექსიკა; 27. ბრემენი; 28. ბაგა; 29. ზვინი; 30. ჯიქი; 31. დასი; 32. ჯამბაზი; 33. აფროსნობა; 34. ნეზვი; 35. ჯიბრი; 36. სალვადორი; 37. იდილია.

სურათებზე: ანჯელინა ჯოლი; ბრედ პიტი.

ჰოროსკოპი

(11 - 17 აგვისტო)

ვერძი:

წარმატების მისაღწევად თავდაუზოგავი შრომა მოგიწევთ. შეეცადეთ, მოვლენები ადეკვატურად შეაფასოთ. მეგობრებისგან საჭირო და საინტერესო ინფორმაციას შეიტყობთ.

ხარი:

კონტრაქტების გასაფორმებლად საუკეთესო კვირაა. ბიზნესმენებს მატერიალური კეთილდღეობა ელით. უქმე დღეები ოჯახის წევრებთან ერთად, ქალაქგარეთ გაატარეთ.

ტყუპი:

ახალი გეგმები და პროექტები ხელმძღვანელ პირებს თამამად გააცანით. ფული ყირათიანად ხარჯეთ. ხუთშაბათსა და პარასკევს საქმიან პარტნიორებთან მოლაპარაკებები დაგეგმეთ.

კიბორჩხალა:

ამ კვირაში დატვირთული გრაფიკი გექნებათ, რადგან ერთდროულად მოგიწევთ როგორც სამსახურებრივი, ისე საოჯახო საქმეების მოგვარება. მეგობრები თქვენს დახმარებას შეეცდებიან.

ლომი:

ერთდროულად რამდენიმე საქმის გაკეთება მოგიწევთ. შეიძლება, ზოგიერთი გეგმის შეცვლა მოგიხდეთ. ნებისმიერ შემთხვევაში, წინდახედულობა გამოიჩინეთ და ემოციებს ნუ აჰყვებით.

ქალწული:

კარგი პერიოდია ძველი საქმეების დასასრულებლად. შესაძლოა, უკვე გაწყვეტილი კავშირები აღადგინოთ. დასვენების დღეებში შემოქმედებით საქმიანობას მიჰყავით ხელი.

სასწორი:

მიზნის მისაღწევად თავდაუზოგავი შრომა მოგიწევთ. დასვენების დღეებში ფრთხილად იყავით, რადგანაც შესაძლოა, კინკლაობა სერიოზულ კონფლიქტში გადაიზარდოს.

ღორი:

აკონტროლეთ ემოციები. ამ კვირაში საცხოვრებელი ადგილის შეცვლას არ გირჩევთ. კარგია, თუ ოჯახურ საქმეებს მოაგვარებთ, კვირის ბოლოს კი მეგობრებთან ერთად, ქალაქგარეთ გაისეირნებთ.

ბაკანი:

ავანტიურულ შემოთავაზებებს არ დათანხმდეთ. ხუთშაბათს შეხვედრები და მოლაპარაკებები წარმატებებს მოგიტანთ. მრავალ თქვენგანს სასიამოვნო მოგზაურობა ელის.

თხა:

საპასუხისმგებლო საქმეების შესრულებისას დაუფიქრებელ გადაწყვეტილებას ნუ მიიღებთ. დაძაბული კვირის მიუხედავად, ოჯახის წევრებს ყურადღება არ მოაკლოთ.

მეთევზე:

სამსახურში დაწინაურება და ხელფასის მომატება გელით. ამ კვირაში დასვენების დღეებიც საქმიანი შეხვედრებით გექნებათ დატვირთული. ყურადღება გამოიჩინეთ შვილების მიმართ.

თევზი:

ამ კვირაში მაქსიმალურად ყურადღებიანი უნდა იყოთ. შესაძლოა, ერთმა არასწორმა ნაბიჯმა ყველაფერი დაგაკარგვინოთ. კარგია მოგზაურობა. უქმე დღეები საყვარელ ადამიანს დაუთმეთ.

პატარები გვიოსოპენ

გაზეთ „კვირის პალიტრის“ არქივიდან

ერთ მშვენიერ დღეს ახალგაღვიძებულმა გიორგიმ თვალები მოიფშვნიტა და კმაყოფილმა განაცხადა:

— მე საჯარო სიზმარი ვნახე.

— ეგ როგორ? — ჰკითხა მამამ.

— როგორ და ჯარში ვიყავი, რა!

პირველკლასელი გოგიტა სკოლიდან დაღონებული დაბრუნდა და დედას ეუბნება:

— ჩვენი მასწავლებელი არ მომწონს!

— რატომ, შვილო?

— იმიტომ, რომ არაფერი არ იცის და სულ ჩვენ გვეკითხება: აბა, 2X3 რამდენიაო?..

დედამ ნათია მარწყვის შამპუნით დაბანა. გოგონა დედას ეკითხება:

— დედა, მითხარი, რა, მაგ შამპუნში მარწყვები როგორ ჩაჭყლიტე?

3 წლის ირაკლი უჯმაჯურიძეს ბიძამ ბურთი მოუტანა.

— აბა, ირაკლი, როგორ მოგწონს, ხომ ლამაზი ბურთია? — ჰკითხა ბიძამ.

— შენ, ბიჭო, არ იცი, რომ ბურთი ლამაზი კი არა, მრგვალი უნდა იყოს? ლამაზები გოგოები არიან, — უპასუხა დოინჯშემორტყმულმა ირაკლიმ.

პატარა ქეთიმ დედა გააბრაზა. დედიკომ დასაჯა და ეზოში სათამაშოდ აღარ გაუშვა.

— ქეთი, ნუთუ, არ იცი, რომ დედა არ უნდა გააბრაზო? დედიკოს ბოდიში მოუხადე, — უთხრა დოდო ბებიამ.

— დედიკო, ბოდიში გინდა? — ეკითხება ქეთი.

პატარა ნინის ყოველთვის ეუბნებოდნენ, — ჭამე და მალე გაიზრდებიო. ერთხელაც, გაკვირვებულმა ბავშვმა იკითხა:

— მამიკო რატომ ჭამს, ის ხომ უკვე დიდია?

4 წლის გიორგის ყურის ანთება დაემართა და ნემსების გაკეთება დასჭირდა. პირველი ნემსის გაკეთების შემდეგ, დედას ეკითხება:

— დედიკო, აბა, ნახე, ტაკო გახვრეტილი მაქვს?

დედაქალაქი და მისი ტოპონიმები

თბილისი თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, უძველესი დროიდან, მთელი კავკასიის გულს წარმოადგენდა. ბუნებრივია, სწორედ ასეთ რეგიონში ადრეული საუკუნეებიდანვე უნდა გაჩენილიყო დასახლებები. თან, არა მარტო გოგირდოვანი წყაროების მიდამოებში, არამედ მის გარე სანახებშიც, რასაც არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ნივთებიც ადასტურებს.

ნოდარ კოჭლაშვილი

დიდუბე

ის გარემოება, რომ თბილისის სანახებიდან ერთ-ერთი უძველესი დასახლება დიდუბე იყო, ამ სახელის ეტიმოლოგიიდანაც ჩანს. თუ კონკრეტულად სად იყო ეს დასახლება, ამის შესახებ ცნობებს გვაწვდის ვახუშტი ბატონიშვილი „...ხოლო ტფილისის სამჭრ-აღმოსავლეთით არს მინდორი დიდუბისა, რომელსა პირველ ეწოდა „ცხენის ტერფი“.

„მინდორი“ გასაგებია, ხოლო თუ რატომ ეწოდა „ცხენის ტერფი“, ამის შესახებ ვახუშტი არაფერს გვამცნობს. სამაგიეროდ, ისიც გვიდასტურებს, რომ დიდუბე უძველესი დროიდან არსებობდა. კიდევ ერთი ციტატა: „ოდეს ლტოლვილნი ნაბუქოდონოსორისაგან მოსულნი ჰურიანი დასხნა აქ მცხეთელ მამასახლისმან და ყვნა მოხარკედ, კვალად გრდანი, მარტყოფი, ლილო, დიდუბე, სამგორი“ („ქართლის ცხოვრება“). ამგვარად, სწორედ „ჰურიათა დასხნის“ დროს მიაწერს აქ ჩამოთვლილ დასახლებებს, მათ შორის დიდუბეს, ვახუშტი ბატონიშვილი. და თუ როდის „დასხნდნენ ჰურიანი“ ქართლში, ეს კარგადაა ცნობილი.

ქართლის გაქრისტიანებას ყოველივე წარმართულის განადგურება მოჰყვა. თუმცაღა, ქართულმა ლექსიკამ კერპთაყვანისმცემლობიდან ზოგიერთი სახელი შემოინახა.

არც ქართული განმარტებით ლექსიკონში და არც სულხან-საბა ორბელიანთან სიტყვა „დიდუბის“ განმარტება მოცემული არ არის, ხოლო ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში გამოყენებულია ვახუშტი ბატონიშვილის განმარტება: „დიდუბე — დიდი უბე“. სულხან-საბას მიხედვით: „უბე — სიღრმე, უბე ნავისა“. მაგრამ ეს ვერ ხსნის „დიდუბის“ ეტიმოლოგიას, რადგანაც მინდორს, თანაც დიდს, „უბეს“ არ დაარქმევდნენ. ამგვარად, ამ მონაცემებით აღნიშნულ სახელს ლოგიკურად ვერ ამოვხსნით.

ამოცანის ამოსახსნელად საინტერესო მასალას გვაწვდის „ქართლის ცხოვრების“ ერთი უცნობი ავტორი. მოვიტანთ ციტატას, რომელიც გამოყენებული აქვს ივანე ჯავახიშვილს თავის ნაშრომში — „ქართველი ერის ისტორია“: „ტფილისის მიდამოებში, „სანახებსა ტფილისისასა“ დასავლეთისაკენ XII ს. იყო „დიდოვბე“ და სწორედ „სრასა დიდოვბისასა“ გადახადეს დიდებულად თამარ მეფის ქორწილი („ის „ტრნი და აზ „მნი“). ამგვარად, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი სიტყვა „დიდოვბეს“ წერს.

როგორც ჩანს, ეს უძველესი ფორმაა „დიდუბისა“, რადგან მანამდე არც ერთ ავტორს „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებული არა აქვს. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, „დიდუბის“ წარმომავლობა ასეთია: ქრისტიანობის გავრცელებამდე ე.წ. დიდოვბეს მინდორზე უნდა ყოფილიყო წარმართული სალოცავი, ღვთაება დიდოვბეს სახელით; სავარაუდოა, რომ ეს ღვთაება იყო მდედრი ნაყოფიერებისა და გამრავლებისა და აი, რატომ. მოგეხსენებათ, მეგრულმა დიალექტმა ქართველურ ენათა „ფუძე ენის“ უამრავი უძველესი სიტყვა შემოინახა პირვანდელი სახით. „დიდოვ“ — „დედას“ ნიშნავს; რაც შეეხება „ბეს“ — ის უცხოენოვანი წარმოშობის უნდა იყოს. ცნობილია — ყველა დამპყრობელი ცდილობდა, დაპყრობილთათვის თავს მოეხვია საკუთარი რელიგია. ბუნებრივია, ასე იქცეოდა აქემენიდური ირანიც, რომელიც ჯერ კერპთაყვანისმცემლობას, ხოლო შემდგომ, კთაკვევლობას მისდევდა. იმ ხანებში ირანელთა ღმერთებს ეწოდებოდათ: „ბა“, „ბე“, „დაბო“. ბუნებრივია, თავს მოხვეულმა სარწმუნოებამ გარკვეული კვალი დატოვა, ამ შემთხვევაში — ტოპონიმის სახით. აღნიშნული ფუძე სხვა სიტყვებშიცაა შემორჩენილი: „ბაგინეთი“, „ბაღდადი“ (რაც ნიშნავს — „ღმერთის ბოძებული“), „ბაგა“ („გა“ ადგილს ნიშნავს). ამგვარად, „დიდოვბე“, „დიდობე“ — „დედის ღვთაებას“ ნიშნავს.

დიდუბის მინდორში, სადაც უძველეს დროს, წარმართული — დედის ღვთაების სამლოცველო უნდა ყოფილიყო, შემდგომ, ღვთისმშობლის ტაძარი აიგო. საბოლოოდ კი უბანს სახელად „დიდუბე“ შემორჩა. ყოველ შემთხვევაში, ამ ვერსიას, ვფიქრობ, არსებობის უფლება აქვს, ისევე, როგორც ნებისმიერ სხვას, რომელიც გარკვეულ ისტორიულ ცნობებსა და არგუმენტებს ეყრდნობა.

იაპონური სენსაციის სუდოკუ

„გზის“ №23-ში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

4	8	1	2	7	3	6	9	5
6	7	2	1	5	9	4	3	8
3	5	9	6	4	8	2	1	7
5	1	3	4	2	6	8	7	9
8	2	6	7	9	1	3	5	4
7	9	4	3	8	5	1	6	2
2	3	8	5	6	7	9	4	1
9	6	5	8	1	4	7	2	3
1	4	7	9	3	2	5	8	6

7	4	8	1	2	6	5	9	3
6	9	1	4	3	5	8	7	2
3	5	2	8	7	9	6	1	4
4	7	3	6	8	2	1	5	9
2	1	5	7	9	3	4	6	8
9	8	6	5	1	4	2	3	7
8	6	4	3	5	7	9	2	1
1	3	9	2	6	8	7	4	5
5	2	7	9	4	1	3	8	6

1	2	9	5	8	6	7	3	4
6	7	3	1	4	2	9	8	5
5	4	8	3	9	7	6	2	1
7	8	2	9	5		3	4	6
4	6	5	2	7	3	8	1	9
9	3	1	8	6	4	5	7	2
8	5	7	4	1	9	2	6	3
3	9	4	6	2	8	1	5	7
2		6	7	3	5	4	9	8

* მარტივი

	5			8	2	1		
	6				1		9	
2					9	7		
		6						4
				9				
1				6		8		
		8	1					5
	2		5				7	
		1	9	7			6	

** საშუალო

6					5		9	
	8		7				4	
			3			1		
	2			5	6			7
	9		4				2	
8				7			1	
		6			4			
	1				2		3	
	4		6					9

*** რთული

			4					1
		2		9				8
		6		1			7	
	5		8				3	
2				7				6
	6			2	4		8	
	4			3		1		
1				8		3		
7					5			

ფოტოკუიზი

ოსკარი

„მის თინეიჯერი"

ზაფხულის სეზონი

უკვე აგროვებ ოსკარუნებს? დროა „ოსკარის" კიდევ ერთ გრანდიოზულ პროექტში მიიღო მონაწილეობა – „მის თინეიჯერის" შესარჩევი კონკურსი დაიწყო!

თინეიჯერო გოგონებო (13-დან 19 წლამდე), მიიღეთ მონაწილეობა კონკიას ჯადოსნურ ზღაპარში.

მოიტანეთ თქვენი საუკეთესო ფოტოები ჟურნალ „ოსკარის" რედაქციაში (ან გამოგზავნეთ ელექტრონული ფოსტით) და გახდით ზაფხულის სეზონის გამარჯვებული.

თამაშდება: ტურისტული საგზურები, ძვირფასი სამკაულები საიუველირო მაღაზია „დელფოსისგან", პერსონალური პორტფოლიო, ფოტოსესია ჟურნალ „ბომონდში", კონტრაქტი სამოდელო სააგენტოსთან და კიდევ ბევრი ძალიან კარგი პრიზი.

კონკურსანტთა ფოტოები დაიბეჭდება ჟურნალ „ოსკარში" და განთავსდება ინტერნეტპორტალზე: www.ambebi.ge.



იჩქარე და პოსტინე ოცნება!

დამატებითი ინფორმაციისათვის იკითხე ჟურნალი „ოსკარი".